

ს. ს. ს. რ.

განათლების სახალხო კომისარიატი.

მიხეილ ფარცვანიძე.

ვეტერინარია

აგრონომ და ექიმ სტუდენტთა

სახელმძღვანელო

ორ ნაწილად.

ნაწილი პირველი: ეპიზოოტოლოგია

სახელმწიფო გამოცემა.

ტფილისი
„ქართცენტროსტამბა“

1921

იბეჭდება სამათ.-საბუნებისმეტყ. ფაკულტეტის დადგენილებით
ფაკულტეტის დეკანი ა. ბენაშვილი.

წინასიტყვაობა.

ეს წიგნი არის შედგენილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტთათვის, როგორც ვეტერინარიის საგნის სახელმძღვანელო.

ვინაიდან „ვეტერინარია“ ქართულ ენაზე და ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო წაკითხული ჩვენ მიერ პირველად უკანასკნელი კურსის სტუდენტებისათვის 1920—1921 წწ. განმავლობაში, ჩვენ იძულებული ვიყავით პირველ წელშივე გამოგვეცა ეს სახელმძღვანელო სტუდენტთა საბოლოო გამოცდების დაწყებამდე.

ასეთი დაჩქარებული ნაბიჯის გამო, შეიძლება, სახელმძღვანელოს ჰქონდეს ზოგიერთი ნაკლი, რაც იქნება, შეძლებისამებრ, თავიდან აცილებული მომავალში.

გარდა ამისა, იმის მიხედვით, რომ ჩვენში საქონლის მოვლა-ეკიპობის საქმე არ არის დაყენებული სასურველად სხვადასხვა მიზეზებისა გამო, ჩვენის ფიქრით, ამ ერთად-ერთ ქართულ ენაზე ვეტერინარიის სახელმძღვანელომ უნდა გაუწიოს დახმარება მათთვის მეთუნეს ზე მით ხელი შეუწყოს ჩვენს მესაქონლეობას.

სახელმძღვანელოს შედგენის დროს, რასაკვირელია, ჩვენ ვსარგებლობდით სხვადასხვა დარგის არსებულ სახელმძღვანელოებებით და სხვადასხვა ავტორთა ახალი გამოკვლევებებით როგორც ვეტერინარიაში, ისე მედიცინაში, მაგრამ აქ ჩვენ ჰვერი რამ გვაქვს მოთავსებული ისეთი, რაც შეადგენს საკუთარ დაკვირვებათა შედეგებს ოცი წლის განმავლობაში ვეტერინარიის, საზოგადოდ, და ბაქტერიოლოგია-ეპიზოოტოლოგიის ასპარეზზე მუშაობის დროს.

ვეტერინარიის სახელმძღვანელო გამოვა ორ ნაწილად: პირველი, რომელიც შეიცავს ვადამდებ ავადმყოფობებს და ზო-

გიერთ ზოგად ცნობებს, მეორე—ორგანოთა ავადმყოფობებს.

პირველი ნაწილი შეიძლება გახდეს ვეტერინარ-ექიმთა და საექიმო ფაკულტეტის სტუდენტებისათვისაც კაზოოტოლოგიის საგნის სახელმძღვანელოთ.

მ. ფარცვანიძე.

თბერვალი, 1921 წ.

ტფილისი.



უ ე ს ა ვ ა ლ ი.

ვეტერინარია არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს შინაურ პირუტყვთა როგორც ჯანსაღობას, ისევე ავადმყოფობას.

ჩვენში ხშირად, როგორც ინტელიგენცია, ისე პრესა, ხმა-რობენ „ვეტერინარიის“ მაგიერ სიტყვას „ბეითლობას“, თვით პირუტყვთა ექიმს ეძახიან—„ბეითალს“.

ეს ტერმინი ქართულ ენაში სრულიად და სამუდამოდ უარყოფილი უნდა იყოს, როგორც გადმოდებული თათრულიდან, სადაც ბაითალი ნიშნავს სოფლის საქონლის ჰაქიმბაშს, ე. ი. მას, რასაც რუსები ეძახიან КОНОВАЛЪ-ს.

ჩვენი ხალხი-კი ვეტერინარს ეძახის საქონლის ექიმს და სიტყვა ბეითალი მისთვის სრულიად გაუგებარია.

თვით სიტყვა ვეტერინარია ნიშნავს საქონლის ექიმობას. ეს სიტყვა წარმოსდგება სამ კელტურ სიტყვებისაგან: 1) ვეფ, —რაც ნიშნავს საქონელს, 2) ტეერენ—ავადმყოფობას და 3) არტს—ექიმს.

კელტებიდგან ეს სიტყვა—„ვეეტერინარტს“ გადმოიღწენ რომაელებმა და გადააკეთეს სიტყვად—„ვეტერინარიუს—ვეტერინარია“.

ვეტერინარია ხშირად ეხება გარეულ პირუტყვთა ავადმყოფობასაც, ასე რომ ეს მეცნიერება ცდილობს თავის ფარგლების გაფართოვებას და საბოლოო მიზნათ მას აქვს შედარებითი, ზოგადი მედიცინის წარმოება.

იმის მიხედვით, რომ ძველად აღმერთებდნენ პირუტყვს და სწამდათ ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი სულის გადასვლა პირუტყვის სხეულში, ეგვიპტეში და ინდოეთში ვეტერინარიას ექირა საპატიო ადგილი: ავადმყოფ პირუტყვს ექიმობდნენ თვით ქურუმები. მათ შორის იყვნენ სპეციალისტებიც, რომელნიც ექიმობდნენ სხვადასხვა გვარის ცხოველებს. ინდო-

ეთში ვეტერინარები ეკუთვნიდნენ უმაღლეს საექიმო წოდებას—
ვაიდიას.

ჩინეთში და ძველ სპარსეთში ავადმყოფ ადამიანს და პირუტყვს ექიმობდნენ ერთიდაიგივე ექიმები.

ჰიპოკრატის და არისტოტელეს ნაწარმოებებში ხშირად ვკვოულობთ იმ აზრებს, რომ ადამიანის და პირუტყვთა სენენს დიდი მსგავსება აქვთ ერთმანეთში. ასე რომ ძველ საბერძნეთშიაც მედიცინას და ვეტერინარიას აწარმოებდნენ ერთიდაიგივე სპეციალისტები.

ძველ რომში-კი ვეტერინარია იყო; როგორც ცალკე სამეცნიერო დისციპლინა, და მას აწარმოებდნენ აგრეთვე სწავლული მეურნეები.

რომში ვეტერინარიის დარგში სწერდნენ ექიმი-მედიკი ავლკორნელიუს-ცელსი და განთქმული გალენი, რომელმაც შეისწავლა კაცის ანატომია პირუტყვის ანატომიის მიხედვით.

მეორმოცე წლებში ქრ. დაბ. შემდეგ იყო დაწერილი თხზულება ვეტერინარიაზე ლუცი იუნიუს მოდერატ კოლუმელის მიერ: „De re rustica“, რაც დღესაც ფრიად სასარგებლო სახელმძღვანელოა სოფლის მეურნეებისათვის (გამოც. ლანსტრევისა, 1897, ბერლინი).

კოლუმელას დროს რომში უკვე არსებობდა სწავლთა და ომში დაქრილ ცხენების ჰოსპიტალი, რასაც ერქვა ვეტერინარიუმ.

მხოლოდ აპსირტმა, კონსტანტინე დიდის ჯარის ვეტერინარმა, გამოჰყო ვეტერინარია მედიცინიდან და დაგვიტოვა რამოდენიმე თხზულებები ვეტერინარიის შესახებ.

გარდა ამისა ცნობილია ნაწარმოები რენატისა (450 – 510 ქრ. დაბ. შ.) „Vegetii Renati artis veterinariae libri quatuor“, —რაც საუკეთესო ნიმუშია ძველ ვეტერინარიაში. ეს ის რენატია, რომელიც ითვლება შედარებითი მედიცინის მამათ.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ დაეცა რომის ვეტერინ-

ნარიაც. მხოლოდ ბიზანტიის მეფის კონსტანტინე-პორფიროსანის ბრძანებით იყო მოგროვილი ვეტერინარიის შესახებ ყველა წინათ ცნობილი თხზულებები და გამოცემული სათაურით „ჰიპიატრიკა“. ეს კრებული იყო დაბეჭდილი ლათინურ ენაზე 1530 წ. და ფრანგულზე 1563 წ. ამით ხელმძღვანელობდნენ საშუალო საუკუნოებებში თითქმის მთელ ევროპაში.

როგორც ვეტერინარებს, ისე ხშირად ადამიანის ექიმებს, ევალეობდათ ბრძოლა სხვადასხვა პირუტყვთა გადამდებ სენებთან, რაც საშუალო საუკუნოებებში მუსრს ავლებდა საქონელს.

ამ უბედურებას თან დაერთო, როგორც შედეგი, შეწყვეტა საქონლის ყიდვა-გაყიდვისა იმ საზღვრებში, სადაც მძინვარებდა საქონლის სენი, და დახურვა შინაგან და სანაპირო საზღვრებისა, ე. ი. იყო შემოღებული პირველად ევრ. წ. კარანტინი.

სენებულ მიზეზებმა აიძულეს როგორც არსებული მთავრობები, ისე ფართო საზოგადოებები მიექციათ ფრიალ სერიოზული ყურადღება პირუტყვთა გადამდებ სენების შესწავლისას.

ამნაირად სამუდამოთ გამოეყო მედიცინას ვეტერინარია და გაჩნდნენ სავეტერინარო სკოლები. პირველი სკოლა იყო დარსებული 1762 წ. ლიონში, შემდეგ ბერლინში, მიუნხენში, ჰანოვერში, დრეზდენში, ვენაში, ლონდონში, მადრიდში, პადუაში და სხ. და ვეტერინარია ნელ-ნელა ემპირიულ საგნიდან ხდება ექსპერიმენტალურ მეცნიერებად.

დიდი სამეცნიერო ხასიათი მიიღო ვეტერინარიამ გერმანიაში და საფრანგეთში. აღმოჩნდნენ შესანიშნავი ვეტერინარ-მეცნიერები, როგორათაც იყო ბურჟელა და აგრეთვე ბულეი, შოვო, პეიხ, ტუსენ, გურტლ, გერტიგ, სპინოლა, გიუნტერ და დე-ლაფოს, ცნობილი ანატომი და პათოლოგი, რომელმაც დასწერა კლასიკური „Cours Hippiatrique“ 1772 წ. — დიდ ვეტერინარ-მეცნიერად უნდა ჩავთვალოთ გერლახი, რომელმაც დასწერა თხზულება სამსჯავრო ვეტერინარიაზე 1877 წ. მანვე აღმოაჩინა ბევრი გადამდები პირუტყვთა სენები, სხვადასხვა პარაზიტები და სხ.

ბოლო ხანებში ვეტერინარია ისე განვითარდა, როგორც მედიცინა, ზოგიერთ ნაწილების გარდა, როგორც არის, მაგ., ნერვული პათოლოგია, თვალის და ყურის ავადმყოფობანი.

დანარჩენ დარგებში-კი მედიცინა და ვეტერინარია ხელი-ხელ ჩაკრული მიჰქრიან ერთს იდეალისაკენ---სენებთან წინასწარ საბრძოლველად. ჩვენ აქ გვინდა აღვნიშნოთ ბაქტერიოლოგიის განვითარება ვეტერინარიაში, რომლის საშუალებით კაცობრიობა დიდებულ შედეგებით ებრძვის სხვადასხვა პირუტყვთა გადამდებ სენებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისში, გერმანიაში და საფრანგეთში არსებობს ოცდაათზედ მეტი სამეცნიერო სავეტერინარო ჟურნალები და საზოგადოებები.

რუსეთში 1880 წლამდე ვეტერინარიას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. ეპიზოოტიები, მაგ., საქონლის შავი ქირი „Pestis boum“ მთელ ტერიტორიაზე ანადგურებდა საქონელს და აყენებდა ხალხს აუწერელ ზიანს. ასე რომ, როგორც სჩანს ოფიციალურ წყაროებიდან, ოთხმოციან წლებში ყოველ წელს იხოცებოდა მარტო ამ ქირიდან მსხვილ-რქოსან საქონელი 200.000—300.000 სულამდე.

აგრეთვე იხოცებოდა საქონელი სხვა ეპიზოოტიებისაგან (ქოთაოსაგან, ციმბირის ქირისაგან, ჰემორაგიული სეპტიცემიისაგან, პიროპლაზმოზისაგან, ღორის ქირისაგან, ეპიზოოტიური ფილტვების ანთებისაგან, ცხერის ყვავილისაგან, ტუბერკულოზისაგან, ცოფისაგან, ქათმის ქირისაგან და სხვა). ამის შემდეგ რუსეთმაც შეუდგა სავეტერინარო შკოლების დაარსებას სხვადასხვა რუსეთის კუთხეებში. ასე დაარსდა უმაღლესი სავეტერინარო ინსტიტუტები ხარკოვში, პეტერბურგში, ყაზანში, ვარშავაში, დორპატში.

გარდა ამისა შეჰქმნეს სავეტერინარო, სავალდებულო ხალხისთვის კანონები, რის საშუალებითაც მოისპოა საქონლის ქირი მთელ ევროპიულ რუსეთში.

საქიროა ამას დაუმატოთ, რომ რუსეთში იყო ორმოცამდე ერობების და მთავრობის ვეტერინარ-ბაქტერიოლოგიურ

ლაბორატორიები, სადაც მზადდებოდა ციმბირის კირის ვაქცინები და შრატი (1.000.000 დოზამდე წელიწ.). ლორის წითელას ვაქცინები (500.000 დოზ.) და სხვა და სხვა.

გარდა ამისა სწარმოებდა მთელ ტერიტორიაზე 1120 პირუტყვთა საავადმყოფო. ამ დარგში ისახელა თავი ერობის ვეტერინარიამ, როგორც თავისი პირადი შემადგენლობით, ისე დაუღალავი შრომით და საქმის განვითარებით.

ეხლა ჩვენ აქ ძალა-უნებლივ უნდა შევეხოთ ჩვენს საქართველოს ვეტერინარიას. რას წარმოადგენდა იგი 120 წლის წინად? ჰყავდათ თუ არა ჩვენს მეფეებს ვეტერინარები? რა ზომებს იღებდა მთავრობა სხვადასხვა პირუტყვთა სენების წინააღმდეგ? ამის ჯერ-ჯერობით არა-რა ვიცით.

ჩვენ გვქონდა მხოლოდ ხელთა ერთათ-ერთი ძველი ხელთნაწერი კარაბადინი, რომელშიდაც იყო მოთავსებული ექიმობა სხვადასხვა საქონლის ავადმყოფობებისა.

რას წარმოადგენს ეხლა, ამდროის ქართული ვეტერინარია?... ჩვენ გვაქვს ოთხი ორგანიზაცია:

- 1) საერობო ვეტერინარია,
- 2) შ. ს. ს. ვეტერინარია.
- 3) ქალაქთა ვეტერინარია და
- 4) სამხედრო ვეტერინარია.

ვინ და როგორ მუშაობის ამ დარგში ჯერ-ჯერობით ამაზე ადრეა ლაპარაკი და აქ ამას არცა აქვს ადგილი.

შეგვიძლია მხოლოდ აქ ვთქვათ, რომ საქართველოს მთავრობას აქვს თბილისის გვერდით სამეცნიერო ქარხანა, დიდრი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიით, საქონლის კირის წინააღმდეგ შრატის დამამზადებელი სადგური (დაარსებულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ), რის შემწეობით მოისპო წლინახევრის განმავლობაში ძლიერ გავრცელებული საქონლის კირი დასავლეთ საქართველოში და მიმდინარე წელში ებრძვის ხსენებულ კირს აღმოსავლეთ საქართველოში.

ჩვენი სამშობლო—სამეურნეო ქვეყანაა და თუ ჩვენ ხალხს ხარ-კამეჩი არ ეყოლა, ჩვენს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს მალე მოეღება ბოლო. ჩვენი ქვეყნის დედა-ბოძი, უნდა კარგათ გვახსოვდეს, გლეხია თავის ხარ-კამეჩით.

სოფლის მეურნემ და ვეტერინარმა უნდა შეუნარჩუნოს ხალხს მისი სიმდიდრის წყარო, — შინაური პირუტყვი, რომელიც ჩვენს სამშობლოს აძლევს ძალას და საზრდოს.

რა არის საერთოდ ავადმყოფობა?

ავადმყოფობა — ორგანოების ფიზიოლოგიური მუშაობის აშლა...

სწავლა მრავალ სხვადასხვა ავადმყოფობების შესახებ პათოლოგიის საგანს შეადგენს. ჩვენ ვარჩევთ: 1) გარეგან ავადმყოფობებს (ტრამვატიულს, ქირურგიულს, რომელთაც ეკუთვნის: კრილობები, სიმსივნეები, მეტხორცები, დაბეჭვები, სიკოკლები, დაშავებანი და სხვა) და 2) შინაგან ავადმყოფობებს.

გარდა ამისა ჩვენ ვარჩევთ, ადგილის მიხედვით — კანის, ძვლების, თვალის, ყურის, ფილტვების, საკვების მომწეებელ აპპარატის, კიდურების, ჩლიქების ავადმყოფობებს და სხ.

ავადმყოფობას, რომელიც მალე შორდება სხეულს, ვეცახით მწვავე ავადმყოფობას და იმას, რომელიც ხანგრძლივია — ქრონიკულს.

ავადმყოფობა შეიძლება იყოს სიცხიანი და უსიცხო. თუ რაიმე ავადმყოფობა იღებს საქონელში მასსიურ ხასიათს, მაშინ ამას უნდა დავარქვათ ეპიზოოტიკა. თუ ასეთი ეპიზოოტიკა ერთი და იმავე ადგილას პერიოდულად მეორდება — მას დავარქვავთ ენზოოტიკა.

ავადმყოფობის გამოცნობა შესაძლოა ნიშნების ანუ სიმპტომების მიხედვით.

ზოგიერთი მათგანი უკვე იცის საქონლის პატრონმა (მაგ., მან იცის საქონელს აქვს მადა თუ არა), დანარჩენი შეუძლია მოაგროვოს თვით ექიმმა ავადმყოფის ობიექტიური გასინჯვით.

რასაც საქონლის პატრონი გვიამბობს პირუტყვის ავადმყოფობის მიზეზის მიმდინარეობის და სხვა ცნობებს შესახებ— ამას ჰქვია ანამნეზი.

ანამნეზის და გასინჯვის შემდეგ ვეტერინარი სვამს დიაგნოზს, რის მიხედვით ის სცდილობს ავადმყოფობის ექიმობას.

ექიმმა უნდა იწინასწარმეტყველოს ავადმყოფობის შედეგის შესახებ— ამას ჰქვია პროგნოზი.

მთელ ამის აღწერას ჰქვია— ავადმყოფობის ისტორია.

თუ ავადმყოფი მოკვდა, ლეშს გაქრა ექირევა. რასაც ჰქვია— სექცია.

გარდა ექიმობისა, ექიმს უნდა ჰქონდეს სახეში მეორე უფრო დიდი მიზანი— ეს არის ე. წ. პროფილაქტიკა (ავადმყოფობის წინასწარი, გამაფრთხილებელი, დამცველი ზომების მიღება), რაც დამყარებულია ჯანმრთელობის სწავლაზედ— ჰიგიენაზე ანუ ზოოჰიგიენაზე.

ბადამდეგი (ინფექციური) და არაბადამდეგი (სკოლადიული) ავადმყოფობანი.

ინფექციურ ავადმყოფობებს (Inficio— „გადამდემა“) ექსნაან ისეთ ავადმყოფობებს. რომლებიც ჩნდება რომელიმე გადამდეგ სსუელაქის— მიკროორგანიზმის შესვლით ცხოველის ორგანიზმში.

ეს სსუელაქები ვითარდებიან ან თვით ცხოველის ორგანიზმში ან და ჰაერში, ნიადაგში, წყალში და სხე.

სოციურთ ავადმყოფობებსაც გამომწვევა სსუელაქებია უკვე ნაშოუნათ მიკრობების სხვით: მცენარე ზარასიტები (ბაქტერიები) და ცხოველებითაა ზარასიტები (Protozoa).

განვიხილოთ, არის თუ არა რამე განსხვავება გადამდეგ და არა გადამდეგ ავადმყოფობათა მიმდინარეობაში? ინფექციურ ავადმყოფობებს აქვს ე. წ. ინკუბაციური ანუ ფარული ხანა და ცაკლაურა მიმდინარეობა, რაც არ ემსხვევა არაგადამდეგ ავადმყოფობებს. სჯამე ამას, რომ ცხოველი (ხირუტყვის ის თუ კაცა) ამ წამსევი არ ავადდება, როგორც მის სსუელში შევა სენას აღმსურელი მიკრობა. არა-

მედ— რამოდენიმე ხნის შემდეგ (რაც უდრას რამოდენიმე საათს, დღეს, კვირას ან თვეს); ამ ხნის განმავლობაში ზირუტეკს ავადმყოფობის არა ეტეობა-რა. ამის შემდეგ სდგება მეორე ხანა ავადმყოფობისა—წინა-მალეწებელი ხანა, როდესაც ცისოკელს ძალსკედ ეცვლება ხასიათი, — მას ეტეობა უმიწეზო მოწეენილობა, არა ზეუელეებრივი ალერსანობა, უსაბუთო გაღიწიანება და სსე., და მსოღოდ ამღროს იწეება ავად-მყოფობის ნამღვიღი ხანა—ავადმყოფობის გაროუღეებად maximum.. ამ ხანაში ორგანიზმა ან იგურსება ან კვდება.

ამ ცნობების შემდეგ სსეართა აქვე მოეკანთ იქმნეს ცნობა მონაურ ზირუტეკთა ნარმალურ ტემპერატურასე, ზეუსსე, სენოქეასე, სიმპეესე და იგურ სსეანეღთა რიგსე.

სიცესე უნდა გაეწომოს ზირუტეკს უკანს ტანში ტერმომეტრის სსეულეებთი. ზეუსთი უნდა გაესინჯოს გარეთა ქვედა ების არტერიის ტემპი (Art. maxillaris ext.).

ცხორველთა ნორმალური ტემპერატურა.

ცხენის	38,5
ხარის	”
კამეჩის	39,0
ღორის	40,0
ცხვრის-თხის	”
ძაღლის	37,5-39,0
კატის	”
ქათმის	41,5-42,5

კულის ცემა წუთში.

ცხენის	24-40
ხარ-კამეჩის	44-54
ძაღლის-კატის	80-120
ცხვრის-თხის	68-80
ქათმის	140

ს უ ნ თ ქ ვ ა წ უ თ უ ი.

ცხენის	8-16	ძაღლის	10-30
ხარ-კამქის	10-30	კატის	20-30
ცხურის-თხის	12-20	ქათმის	40
ღორის	8-18		

ს ი მ ა ქ ე ბ რ ქ ე ლ დ ე ბ ა .

ცხენის	48 ¹ / ₂	კვარს
ხარ-კამქის	40 ¹ / ₂	"
ცხურის-თხის	22	"
ღორის	17	"
ძაღლის	9	"

ქათამი წას	პეპრცხენსუ	21-22	დღე
ანდაურა	" "	27-28	"
ბატა-ასუა	" "	28-32	"

რიგი მოსდით პირუტყვით

ცხენს	უაუელ	8-10	დღეში	ერთხელ
ძრახს	"	21-28	"	"
ცხურს-თხს	"	14-21	"	"
ღორს	"	21-28	"	"

გომობიარობის უამღებ რიგი ეწყებათ

ცხენს	მე-9-14	დღეს
ძრახს	" 28-42	"
ცხურს-თხს	" 42-185	"
ღორს	" 42-56	"

რიგი მიმდინარეობს 1-3 დღე.

სისხლი — ქსოვილია, რომელიც იმყოფება სულდგმულას სსკულ-
შა განუწყვეტლივ მოძრაობაში.

სისხლი აწვდის სხეულის სხვადასხვა ნაწილის უსაჭიროაკ მასაზრ-
დოებულ მასალას და მიაქვს უკან გადამწვარი, გადამუშავებული ნაყო-
ფები გაცულა-გამოაცულის, იმ ორგანოებისაკენ (თირკმლები,
ფილტვები. კანი და სს.), რომელთა დანიშნულება არის კანთა-
გისუფლებას ორგანიზმის ზემოხსენებულ ნივთიერებთაკან.

უსისხლოდ დარჩენილი სსკულის ორგანო უნდა მოკვდეს უს-
თუთათ. ეს კანონია.

სისხლი თავის მასაზრდოებულ შემადგენლობას ითუებს იმ
ნივთიერებებთან, რომელსაც შეიცავს ჰეური და ცხოველას სპეც-
საქმელა.

ხერხემლოვან ცხოველების სისხლი წითელი ფერისაა. უხერ-
ხემლონი — თითქმის უფეროა ან და შივეითალო (ეგრ. წოდ. თეთრი
სისხლი).

მიგრაციკანის სსკულებით რომ გავსინჯათ სისხლი, დაკინ-
ხავთ, რომ აგი შესდგება ერთხან სითხისაკან, რომელსაც ჰქვია
პლაზმა და მრავალ სსკულაკ-უჯრელებისაკან, — სასკელობრ, წითელ და
თეთრ სასხლის ბურთულებისაკან და ერთგვარ ფერფიტებისაკან.

კან-მრთელ ორგანიზში თეთრი ბურთულების ოდენობა მცირეა.
უმეტესი ნაწილს-კი შეადგენს წითელი ბურთულები. ასე, 1 კუბ.
მილიმეტრ სისხლში იმყოფება 5 მილიონამდე წითელი ბურთულები.
ფორმა რიით აღზრდილათ წითელ ბურთულებისა წაგავს სრულიად
შრგვალ წრეს, ანუ ლითონას ფულის ნიშანს, რომელსაც შეხსენილი
აქვს ზედა და ქვედა ზედაპირები. ფრინველთა და რეპტილიების
ბურთულების ფორმა წაგავს შოგრძო წრეს, ორივე მხარეს გამოზ-
ნეკილი ბირთვით.

წითელი ბურთულათა შეიცავენ ერთ შემდეგ წითლათ ნაუთი-
ერებს, რასაც ჰქვია ჰემოგლობინი და მას აქვს დიდი მნიშვნელობა,
ჰეურის მუკაბადის შეთუისებაში სუნთქვის დროს. მუკაბადათა შეერთე-
ბულ ჰემოგლობინს ჰქვია აქსიჰემოგლობინი, რაც მოიზოკება მხო-
ლოდ არტერიულ სისხლში. როდესაც ეს სისხლი დაუვლის ორგანი-

ზმს, ორგანიზებში სტოკების მკვებობას და გააქვს უკან ხასპარეზება. ამ მამენტადან არტეროული სისხლა ხდებთ კენურ სისხლად და აღებს მუქ მინდას ფერს.

თეთრი სისხლას ბურთულეობა, ანუ ლეიკოციტება. ბართუანია უჯრედებია, რომლებიც აღებენ სხვადასხვა შოკეანალიბის, ჩუქულე-ბრიყად-გა სვერულ ფორმას.

მაკროსიკოზით რომ გაქინიჯათ ეს ბურთულეობა 30-40 გრადუსის სიბობში, ჩუქს დაუინახავთ, რომ აინა უშვებენ ერთკვარ მორჩების. ეს მორჩები ზართოუდებთან და ამოდრეკებენ თვით ბურთულეებს. რასა ჭქვია ამებური მოძრათას. ამ მორჩების საშუალებით ბურთულეებს შეუძლია მათხოქონ სხვადასხვა მიკრობები და ზოგაერთა სხეულას შავნე ნაწილაკებია.

უხერხულთ ცხოველთა სისხლას სხეულაკები უდრან ხერხემ-ლანთა ლეიკოციტებს.

ამ ფორმალურ ელემენტების გარდა სისხლში არას სიათხე — სის-ხლას ზღაზმა და შრატია.

ზღაზმა შეიძლება მაიღლოთ ასე. ცხოველს უნდა შეკუქნაზურით სისხლის მიღში ზეტონი, რაც ღრობით აღნაჲ ჭქუვის სისხლს. ასეთი სისხლა რომ გამოულოთ ცხოველს და გაუხურათ მანას ცილინდრში — ჩუქს დაუინახავთ, რომ სისხლას ბურთულეები დაძირულიან და ზეკით-კი დარჩენილას სრულიად გამსჭვარულე: შოკეითალო სითხე. ეს სითხე იქნება პლოზმა.

უხდა, როგორ უნდა მივილოთ სისხლიდან შრატია?

სისხლის გამოღების შემდეგ, რამოდენიმე საათის განმავლობაში, სას-ხლი იკუთება, ნაკეუთი იკუმშუება, სიდანაც იწურება სითხე. რომე-ლიც წარმოადგენს სისხლას შრატს.

ამისთვის ცხოველას დამზადება ზეტონით არ არას სჭარო. გამოკველუელია, რომ სისხლი იკუთება ერთ სისხლას შემადგე-ნელ ნივთიერების საშუალებით, რომელსაც ჭქვია ფაბრანა.

ასე რომ შრატია არის უფაბრანო ზღაზმა.

სასხლის ქიმიური შემადგენლობა: შრატებრეუა ცილა, შაქარი, ცხაშენი და, უმეტეს ნაწილად, ჩუქულეობრივა მარილი; აგრეთვე ცო-გირდა, ფოსფორი და კირის მარილი.

დიდმნიშვნელოვან საწილს შეადგენს სასიღმა კაზება: მჭეუძის-
დი, ნახშირქვისა და ახალი.

ა ბ თ ე ბ ა.

ანთება—დასახსნეული ქსოვილის ადგილობრაჲა მდგომარეობას ვადა-
ზახსიკა, რომელაც გამოახსიკება 5 კარდინალურა ნაშისიკათ—სიამურ-
ვადიკა, სიწითლიკა, სიშისიკა, ტკივილიკა და ფუნქციის ამლიკა.
მახსიკა ვადისიკისიკა შეიკადება იქის მინკიკა, მკ., უკუკლკვარა
შეიკახეკვითა სისიკათის სიკუკლეკა, ზარსაბატკა, ანიკექციკურა სიკოთ-
ერეკება, სიწამლიკები და ტერმისიკა ვაკლკისიკა. აქ უნდა დამკტკათ,
რომ ანიკების სიკინეკული ფაკტორეკები-კა არ აწიკეკენ ზირდაზირ, არ-
მედ მით შიკქიკეკისეკ ვადისიკანეკული ქსოვიკა უნდასიკეს ანიკებისიკა
რეკიკიკით. თაკადანეკეკად, ქსოვიკლის ანიკების ვამი, აქ, სიდაც, რ-
სიკეკურეკა, არსიკების სისიკლას ძირეკება. მსიკება კერ. წ.
ჭიკერეკმა, ანიკ ქსოვიკლის სისიკლიკა ვაკლკისიკა.---

ვადისიკანეკულ ქსოვიკლის სიწიღმა ვანიკერეკებიან ვერ არტკრეკე-
ბი, ვანდალარეკი და ვენეკი, რის შიკქიკეკ მითრისიკა სისიკლასიკა
თიკქიკის სიკრეკება და ვანდალარეკი იტკენეკების სისიკლასიკა ბურთიკეკით
და სისიკლასიკა ზღსიკით. ამ დროს თიკთრა ბურთიკეკები ვრეკეკებაან
ვანდალარეკის მისიკათ ვეკლიკა ვეკადანეკისეკ და სიკლ-სიკლას აწიკება
შისიკა მისიკურა ვამისიკლასიკა სისიკლასიკარეკების ვეკლკეკებაან ანიკების
დამიკმა. აქ უნდა ვისსიკათ ერთა-რამ. თიკთრა ბურთიკეკება წარმთ-
დგენენ უკრეკებს, რომელიკაც აქიკა ზროტონღღსიკა და ბირთიკა. აა
ეს ზროტონღღსიკა ვამისიკლასიკა დროს იღებს ერთაკვარ მითრისიკა სისიკეს
(რისიკა ქიკია ზსიკეკლონდი) და მის სიკუკლეკით მერეკება ძირეკის ვე-
დლიკან. ამის ეისიკება სისიკლის დანარეკიკა შეიკადგენეკლასიკა—სისიკლასიკა
ზღსიკა და წიკიკული ბურთიკეკები, რაც წარმთადგენს კერ. წ. ეისი-
დატს და რისიკა მარტიკად ვეკისიკით—ჩირქის.

ამ ჩირქის ვოგეკერთ თიკთრ ბურთიკეკები მითრისიკა ანიკთიკეკების მისიკ-
კოვის ფაკტორეკები, რომელიკაც იფარეკენ თრკანაზის მის მისიკისიკა
მტრებისეკან—ავადმეოფობის მამკერეკლ ბიკტერეკებისეკან.

სისხლის ღენა (Haemorrhagia).

სისხლის ღენა—ცოტად თუ ბევრად სისხლას ძარღვებიდან სხლის დანთხევას.

უოველი სხინო სისხლის ღენა გვიკარნახებს მას, რომ სადღაც ქსოვილში დარღვეულა ძარღვების მთლიანობა — ჭრილობით, გასქდობით, ქსოვილის დაბეკვით და სხვა.

ასეთ სისხლის ღენას ჰქვია — Haemorrhagia per rhexin.

მცირე სისხლის ღენა შეიძლება მოხდეს უამისოდაც — სისხლის ბურთულების გამოსვლის გამო სისხლის ძარღვების კედლებიდან, — რასაც დაერქმევა Haemorrhagia per diapedesin.

იმის მიხედვით, თუ საიდან წარმოსდგება სისხლის ღენა, ვარჩევთ არტერიულ, ვენურ და კაპილარულ სისხლის ღენას.

სისხლის ღენის სიუხვე დამოკიდებულია ძარღვის და ჭრილობის სიდიდესზე.

არჩევნ კიდევ გარეგან სისხლის ღენას, როდესაც სისხლი ინთხევა გარეთ რომელიმე ღრუში: ცხვირში, პირში, სწორ ნაწლავში, საშვილოსნოში და სხვ.; შინაგანს, — როდესაც სისხლი ჩერდება არსებულ სხეულის ღრუებში, ან დაინთხევა სხვა და სხვა შინაგან ორგანოების ქსოვალში.

გადამეტებულ სისხლის ღენის დროს ცხოველს ემჩნევა ფერმისდილობა კანისა, სახისა, ძლიერა სისუსტე, ასობის კანკალი; ზორუტევი სუნთქავს ჩქარა, ჰულისი უცემს ხშირად.

ავადმყოფს უტედება წყურვილი, ეწევა გულის რევა, რწევა, თვალები უბნელდება, ეურები უწივის და ბოლოს მისდის გული. თუ სისხლის ღენა დროზედ შეჩერებულ იქნა, მამინ შეიძლება ავადმყოფის გამობრუნება, თუ არა და ორგანიზმი კვდება.

მთელი სისხლის ოდენობა უდრის სხეულის $\frac{1}{13}$ წონას.

ამის ნახვერის სისხლის დაკარგვა ორგანიზმისათვის სასიკვდილოა.

ძლიერ საშიშია სისხლის დენა ჰასკეში შესულ და ახალგაზრდა საქონლისათვის.

ექიმობა მდგომარეობს თავდაპირველად გაგლეჯილ ძარღვის შეკვრაში — დაჭირებით, მაკრათ შესვევით, დადაღვით, გადაკვრით და ზიანებულ ადგილისა, ტამპონაციით.

გარდა ამისა, უნდა ვიხმაროთ სისხლის შემახერებელი საშუალებანი, როგორათაც: ციფი კომპრესები, ბუსტი ვინულით (ყინულის ნატეხები), მდუღარე წყალი (საშვიდლოსნოდან სისხლის დენის წინააღმდეგ) ანუ მლასე ნივთიერებანი — ტანინი, მუხის ქერქის ფხვნილი, ტუვიის სიოხე, ხლორის რკინა (*Liquor ferri sesquichlorati*), ერგოტინი კან ქვეშ. ექიმის მოხელამდე, არტერიიდან სისხლის დენის წინააღმდეგ უნდა მაკრათ მიეჭიროს იითი თვით ძრღვს ისე, რომ სისხლს არ შეეძლოს დენა, ან გადაეჭროს რამე ჭრილობის ზემოთ, ტურნიკეტის საშუალებით. ან და, კიდევ უკეთესი იქნება, დაედვას გაჭრილ არტერიას ეგრედ წოდებული ლიგატურა მსხვილი აბრეშუმის ძაფის და ნემსის საშუალებით.

ვეტერინარიაში, გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის დენის შეჩერებაში სკიპილარს, რომელსაც აქვს კიდევ დეზინფექციური თვისებები.

მიზანშეწონილ საშუალებად უნდა ჩათვალოს ვეტერინარიაში გახურებელი შანთით ჭრილობის დადაღვა. დაწვა უნდა გრძელდებოდეს, სანამ არ გაუკეთდება ჭრილობას ქერქი. აქ უნდა ავხსნათ, საერთოდ, რომ სისხლის შესახერებლად საჭიროა სისხლას ძარღვში გაჩნდეს სისხლის საცობი, ე. წ. ტრომბი.

ინვაზიური ავადმყოფობანი.

ეს ის ავადმყოფობანია, რომლებიც გამოწვეულია ცხოველობითი პარაზიტების დასახლებით პირუტყვის ან შინაგან ორგანოებში, ან გარეთა ზედაპირზედ.

ცხოველობითი პარაზიტები, რომლებიც იწვევენ ინვაზიურ ავადმყოფობებს, იყოფებიან — *Entozoa*-თ და *Epizoa*-თ. პირ-

ველნი სცხოვრობენ პირუტყვთა შინაგან ორგანოებში, მეორენი-კი კანში და კანის ზედაპირზე.

ეს უკანასკნელი პარაზიტები, უმეტეს ნაწილში, დიდ ზიანს ვერ აყენებენ მათ პატრონს, იწვევენ მხოლოდ ადგილობრივ ფხანას და ართმევენ მას მასაზრდოებელ წვნის მხოლოდ მცირე ნაწილს*).

Entozoa-კი იწვევს სხეულში ხშირად სერიოზულ ცვლილებებს იმის მიხედვით, თუ სად იბუდებს ხსენებული პარაზიტი.

Entozoa, რომელიც ჩვენ გვანტიერესებს, უმეტეს ნაწილად, ეკუთვნის ქიებს, — ბრტყელ და მრგვალ ქიებს.

ბრტყელი ქიები გერმატროდიტები არიან, რომელთაც აქვთ ორივე სქესის (მამალ-დედალი) სასქესო აპარატი. მათ განვითარებას თან მისდევს მემკვიდრეობის თავისებური ცვლილებები, რაც გამოიხატება მასში, რომ მათი ბრტყეები არ ჰგვანან ეშობლებს და მხოლოდ შვილი-შვილები ან და შვილის-შვილის-შვილები ბოლოს და ბოლოს იღებენ თავდაპირველ სახეს სრულიად განვითარებულ ინდივიდისას.

ასეთი განვითარების რთულ ისტორიასთან დაკავშირებულია გამოცვლა პარაზიტის მიერ დროებითი პატრონისა, რასაც დაწვრილებით გავეცნობით შემდეგში.

Epizoa-ს ეკუთვნიან სხვადასხვა ორქერეკიანი მწერები, რომლებიც თავის ბოყის საფეხურს ატარებენ რომელიმე საქონლის სხეულის ნაწილში, საქონლის ბღერის ტკიპები და სხვა.

ინვაზიური ავადმყოფობების სწავლა მოითხოვს ხსენებულ პარაზიტების ბიოლოგიის გაცნობას.

*) ბოლოს დროს გამოკვლეულია, რომ ზოც Epizoa-ს გადააქვს პიროპლაზმოზები, ციმბირის კირი და სხ.

ბრტყელი ზიები (Cestodes).

ბრტყელი ჭია არის ცხოველთა კოლონია, რომელსაც აქვს ეგრედ წოდებული თავი ანუ ძიძა (scolex) და რამოდენიმე ასოები (ნაფლეთები), რომლებიც წარმოადგენენ განკერძოებულ ერთსახიან ინდივიდებს.

ამ ჭიებს არც სისხლის ძარღვები აქვთ და არც საკმლის მომწელებელი აპარატი.

თავი ჭიისა უსქესოა. მისგან წარმოშობილი ასოები-კი (პროგლოტიდები) სქესოვანი ინდივიდებია; ამ ასოებს აქვს ზედაპირიდან გაყვანილი შიდ შუაგულში წვრილი მკვებავი არხები, გვერდიდან-კი—სასქესო ორგანოები თავის ხვრელით, რომლებიც წარმოადგენენ საშვილოსნოს, საკვერცხეს და აგრეთვე ორ ან მეტ საექსკრეტო მილებს.

თავს აქვს რამოდენიმე კაუჭები და ოთხი ტუჩი, რომლების საშუალებით იკიდებს ფეხს ნაწლავების ლორწოიან გარსზე. გარდა ამისა მას აქვს ნერვული სისტემა.

ეს ასოები, ერთმანერთის დანერბვის შემდეგ, ივსებიან კვერცხებით, რის შემდეგ სტოვებენ პატრონის ნაწლავს და ინახვენ თავს ნესტიან ადგილში რამოდენიმე დღის და კვირის განმავლობაში.

და აი ამ დროს, თუ ვინიციობაა, საკმელ-სასმელთან ერთად შეჭყვა ეს კვერცხები სათანადო პატრონს, რძით აღზრდილ ცხოველს, მაშინ რამოდენიმე საათის განმავლობაში კვერცხის გარსი იშლება და იჩეკებიან კუჭში ემბრიონები, რომლებიც კაუჭების შემწეობით იკვლევენ გზას, კუჭის კედლების გარღვევის შემდეგ, სადმე ორგანიზმის ერთ-ერთ ქსოვილში.

ხშირად ახლად გამოჩეკილი პარაზიტები შედიან სისხლის მილებში, საიდგანაც გადადიან და სამუდამოთ ესახლებიან ღვიძლში, ტვინში და სხ.

თუ ჭიის ჩანასახი (ბუშტიანი—ამაზედ ქვემოდ გვექნე-

ბა საუბარი) მოხვდა ცოცხლად 'მესაფერი პატრონი კუქში'. მაშინ ის მაგრად იკიდებს ფეხს ნაწლავის კედელზე და იწყებს თავის თანდათანობითი განვითარებას, ე. ი. თავს ებმება ზედიზედ ზემო აღნიშნული ასოები.

აქ გაკვირით შევხებით იმ საკითხს, თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ბრტყელი ქია, — ამის წინააღმდეგ ძველადვე გამოცდილი იყო მამრობითი სქესის გვიმრის (ჩადუნის) ძირი. გარდა ამისა, ხმარობენ გოგრის (კვახის) თესლს, camala-ს, თავის შაქარს და სხვა.

Rp Pulv. Rhiz. fil. m. 15,0	Rp. Acid. arsenic 3,0
Hydr. chl. m.	Extr. Aloes 10,0
Gummi gutt. aa 5,0	P. rhiz. Fil. m 25,0
M f. sol. D. in p. aequ. N III	ut f. pil. D. t. d N III

S. ცხენს სამ იჯრათ 1 საათის განმავლობაში.

ამ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ გადავიდეთ თვით ინვაზიურ ავადმყოფობებზედ.

ლორის ბუშტ-ჰია (Taenia Solium ის ემბრიონი).

ამ ბუშტ-ჰიას ჩვენში ეძახიან კაკალას, ანუ ფეტველას და ამით ხდებიან ავად უმეტეს ნაწილად გოჭები იქ, სადაც არსებობს სიბინძურე, სადაც ადამიანი მიზანშეწონილ ფეხის ადგილს ერიდება და თავის განავლისთვის ხმარობს ეზოს, სალორეს, ტყეს და სხვა ადგილებს, სადაც დადიან ღორები.

თუ ადამიანი ავად არის ბრტყელი ჰიით (Taenia Solium), განავალს მისას უსათუოდ გაჰყვება ჰიის ასოები, ან კვერცხები, რომლებიც ასე თუ ისე გადაყლაპულ იქნებიან ღორის მიერ.

ჰიის კვერცხებიდან იჩეკებიან პატარა ჰიის თავიკები და მათი კაუქების საშუალებით ძვრებიან ნაწლავიდან რომელიმე ქსოვილში.

ამ სენს ხშირად ვპოულობთ 5—6 თვის გოჭების ტანში ბუშტ-ქიის სახით (ფეტვის კაკლის ოდენას), რომელშიაც სკურავს ქიის თავიკა და რასაც ლათინურად ჰქვია *Cysticercus cellulosae*.

ოცხალ ღორზე ბუშტ-ქიის დიაგნოზის დასმა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ბუშტ-ქია ემჩნევა ენაზე და ქუთუთოს ღორწოიან გარსზე.

ბუშტ-ქიის ჩვეულებრივი ადგილია კუნთები და მათი გარსი; შემდეგ, თავის და ზურგის ტვინი და, იშვიათად, ცხიმი.

თუ ბუშტ-ქია ორგანიზმში არ არის ფართოდ გავრცელებული, მაშინ პირუტყვი თითქმის ვერც გრძნობს ავადმყოფობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბუშტ-ქია იმყოფება ტვინში.

როდესაც რიცხვი ამ ქიებისა ძალზედ მრავლდება, მაშინ საქონელი ჰკარგავს მადას, მკლევდება და ბოლოს კვდება.

ექიმობა ამ ავადმყოფობისა შეუძლებელია.

აქ უნდა მივმართოთ ხოლმე მჭლოოდ წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს, რომ ავადმყოფობა არ გაჩნდეს და არ გავრცელდეს.

თუ ფეტველა ხორცში ძლიერ გავრცელებულია—ასეთი ხორცი უთუოდ უნდა მოსპობილ იქნას.

თუ ფეტველა მოიპოვება აქა-იქ—მაშინ ხორცი შეიძლება ვიხმართო მხოლოდ კარგად მოხარშვის შემდეგ.

ასეთი ხორციდან წვადების გაკეთება საშიშია.

გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, უნდა მიექცეს დიდი ყურადღება ფეხის ადგილებს—არ უნდა იყოს აშენებული ისე, როგორც ეს ხდება ჩვენს სოფლებში და პატარა დაბა-ქალაქებში. ჩვენ უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ ღორები არიან ნამდვილი კოპროფაგები და სიამოვნებით სპობენ ადამიანის განავალს, რაც უნდა მაძლარი-კი იყვნენ.

გარდა ღორისა, ავად ხდებიან ამ სენით—ძაღვები, მაიმუნები, ღათვები, კატები და ვირთაგვები.

ადამიანის სხეულშიდაც, როგორც გამონაკლისი, უნახავთ ეს ბუშტ-კია (თირკმლებში, ტვინში, კუნთებში და სხ.).

Küchenmeister მა ხარის ხორცშიდაც აღმოაჩინა ერთგვარი ბუშტ-კია, რომელიც არის *Taenia mediocanellata*-ს ემბრიონი და რასაც მან დაარქვა „მსხვილ რქოსან საქონლის ბუშტ-კია“.

ეს კიაც საშიშია ადამიანისათვის. განსხვავდება *Taenia Solium* ის ბუშტ-კიიდან მით, რომ მას არა აქვს სრულებით თავზე კაუკები.

სიგრძე *Taenia Solium*-ისა — 2 საეენია, *Taenia mediocanellata*-სი — 4 საეენამდე.

ცხვრის რეტი (Vertigo):

ეს ავადმყოფობა გამოიხატება თავის ტვინის ფუნქციების აშლაში.

ავადმყოფობას იწვევს ძაღლის ბრტყელი კიის **ნასახი** (*Taenia coenurus*), რომელიც ესახლება თავის ტვინში (ცხვრის, იშვიათად ხარ-კამეჩის და ცხენის). ამ ნასახს, რომელიც იღებს ბუშტ-კიის სახეს, ჰქვია — *Coenurus cerebralis*. ავადმყოფობას იწვევს ხსენებული კია სენით შეპყრობილ ძაღლის განავლის საშუალებით.

ამის გამო ცხვრის რეტს ხშირად შევხვდებით იქ, სადაც ცხვარი გადის საბალახოთ ცხვრის ფარის ძაღლებთან ერთად.

რეტით ავად ხდებიან კრავები და იშვიათად ჰასაკში შესულნი ცხვრები. რეტი შემოდგომის ავადმყოფობაა. ნიშნები რეტისა: სისუსტე, არაჩვეულებრივი და არანორმალური თავის დაქერა (ცხვარი თავს ძაღზე ჰხრის ძირს, გვერდზე, ზევით), თვალები უწითლდება, თავის ქალა უხურს, გული ჩქარა უცემს.

ტვინის ბუშტ-კიამ შეიძლება გამოიწვიოს ტვინის ანთება. მაშინ ავადმყოფი უგზო-უკვლოდ გარბის, ან ბრუნავს, ტრიალებს ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. ბოლოს, ვერ დგება ფეხებ-

ზე და ეცემა მიწაზედ. შესაძლოა, რომ ამ დროს ცხვარი კიდევ მოკვდეს.

ჩვეულებრივად ავადმყოფობა იღებს ხრონიკულ ხასიათს და დროებით ვითამც კარგად ხდება, მაგრამ 4—6 თვის შემდეგ ასეთი პირუტყვი კვლავ ხდება ავად და უფრო მძიმეთ, ვიდრე წინათ. მაშინ ის ძალზედ სუსტდება, ჰკარგავს მადას, მკლევდება და სიარულის დროს ბარბაცებს, როგორც მთვრალი, და 4—5 კვირის განმავლობაში კვდება. ასეთ სტადიაში რომ გავქრათ ცხვრის ტვინი, დავინახავთ შემდეგ სურათს. ტვინის სისხლის ძარღვები ძალზედ გავსებულია სისხლით, ტვინის ღრუებში და ტვინის გარსის ქვეშ იმყოფება სეროზული სითხე; აქვე ვნახავთ სხვადასხვა ზომის (ფეტვის კაკლის—ქათმის კვერცხის ოდენა) ბუშტ-ქიებს.

ამ სენის წინააღმდეგ ჩვენ ხელთა გვაქვს ცოტა-რამ. საკიროა მიღება წინასწარი, გამაფრთხილებელი ზომებისა: იმ ადგილებში, სადაც არსებობს რეტი, საკიროა, რომ კრავები ცხრა თვემდე გამოვკვებოთ ხმელი საკვებით, რადგანაც საკვების მზეზე გახმობის დროს ქიის ნასახი ილუპება.

გარდა ამისა, საკიროა, დროგამოშვებით მიექცეს ყურადღება თვით ოჯახის და ცხვრის ფარის ძაღლების კუჭ-ნაწლავების მდგომარეობას, რათა ისინი განთავისუფლებულ იქმნან ბრტყელი ქიებიდან. ამისთვის შეიძლება ვინმაროთ შემდეგი წამალი:

Rp. Cupri oxydati	0,5
Crætae pulv.	0,25
Buli albi levigat.	0,25
Aq. q. s. f. p.l. N X.	

ორი ნაწილი ამ წამლისა უნდა დაეცხოს პურზე და მიეცეს მოზრდილ ძაღლს და ნაწილის ნახევარი — ლეკვს. ამ ზომას უნდა მიემართოთ გახატებულზე. ყველა დავარდნილი ქიის ნაწილები უნდა იყოს მაშინვე მოსპობილი (დაწვით).

აგრეთვე უნდა იყოს მოსპობილი ავადმყოფი ცხვრის ლეშის თავი.

იმ ადგილებში, სადაც არსებობს ეს სენი, საჭიროა მოსპობილ იქნან მგლები, შელიები, კვერნები და ყველა ზედმეტი, მაწანწალა ძაღლები. როგორც მატარებელნი ნახსენებ ბრტყელ კიისა.

აღწერილი რეტი ზოგჯერ წააგავს ცოფს და ავადმყოფობის გამოცნობის დროს ფრახილად უნდა ვიყოთ.

რეტს აქვს ენზოოტიური ხასიათი და ბუდობს იქ, სადაც ნიადაგი ნესტიანი და ქაობიანია. აქ კიის კვერცხები დიდხანს და კარგად ინახება.

მხინოკოკი (*Echinococcus*).

ეხინოკოკი წარმოადგენს ბუშტ-კიას. — ერთ პატარა ბრტყელ კიის ნასახს.

ამ კიას ჰქვიათ *Taenia echinococcus*.

ეს პარაზიტი სცხოვრობს, უმეტეს ნაწილად, ძაღლების და მელეების საკმლის მომნელებელ აპპარატში.

ეხინოკოკი ბუდობს ხშირად ცხვრის, ხარის, ღორის, შინაურ ბაქიების, ცხენის, აქლემის, ზოგიერთ ველურ პირუტყვის და ადამიანის ფილტვებში, ღვიძლში, ელენთაში და სხვ. ძაღლის ეხინოკოკი-კი იშვიათია.

ეს ავადმყოფობა გავრცელებულია თითქმის ყველგან.

ჩვენში, ექიმი პანტიუხოვის ცნობით, ეხინოკოკი ძლიერ გავრცელებულია კაცის ორგანიზმშიაც; მაგ., თბილისის მიხეილის საავადმყოფოში, ორი წლის განმავლობაში 825 ადამიანის გვამის გაქრის დროს, ეხინოკოკი იყო აღმოჩენილი 10 შემთხვევაში.

ამავე საავადმყოფოში, ხუთი წლის განმავლობაში, ექიმი გოლბეკის ცნობით, თერთმეტჯერ გაუკეთებიათ ოპერაცია ეხინოკოკის გამო.

რამოდენიმე ბიოლოგიური ცნობები პარაზიტის შესახებ.

Taenia echinococcus ეკუთვნის შეიარაღებულ ბრტყელ კიებს; სიგრძი — 5 mm.; თავს აბია სამი ან ოთხი ასო..

ეს კია მოიპოვება ხშირად ძაღლების წვრილ ნაწლავებში ასობით და ათასობით. თავს აქვს 4 ტუჩი და გვირგვინისებრი კაუქები.

სასქესო აპარატი აქვს მხოლოდ ბოლო ასოს, რომელშიდაც მოთავსებულია ხუთასამდე კვერცხი.

დანერბვის შემდეგ, ნახსენები ბოლო ასო შორდება კიის კოლონიას და ეშვება მიწაზედ განავალთან ერთად და, თუ რომელიმე გზით მოხვდა კუჭში შესაფერ პატრონს, კვერცხის გარსი კუჭის წენის საშუალებით იშლება, საიდანაც გამოდის ექვს-კაუქიანი ემბრიონი (*proscotex*). ასეთი პროსცოქსი-ის ჰზერეტს ნაწლავის კედელს და მიდის რომელიმე შიგნითა ორგანოში. დაბინავების შემდეგ, ჩანასახი იღებს ბუშტ-კიის ფორმას და ხდება ეხინოკოკათ ანუ გიდატიდათ.

რა ცვლილებებს იღებს ეხინოკოკის ჩანასახი ორგანოებში?

ჩანასახი, როგორც-კი დასახლდება სადმე, მაშინვე ჰკარგავს თავის კაუქებს და ნელ-ნელა ჰხდება ბუშტ-კიათ, რომელიც გავსილია სრულიად გამსქვირვალე სითხით.

ბუშტ-კიას, როგორც გარეშე სხეულს, გარს ეხვევა ოდნავ სქელი ქსოვილი, პარკის სახით. ამ პარკის შიგნითა კედელზე, რამოდენიმე ხნის შემდეგ, ჩნდება მომავალი კიის თავიკები. ამ თავიკებს აქვს ორ-ორი ტუჩი და კაუქების გვირგვინი. შესაძლოა, ამ თავიკებიდანაც გაჩნდნენ აქვე ბუშტ-კიები, რასაც დაერქმევა ნაძეო ბუშტ-კიები, რომლებშიდაც თავის მხრივ, შესაძლოა, გაჩნდნენ კიდევ ახლად თავიკები; ამ ნაძეო თავიკებიდან შეიძლება გაჩნდნენ კიდევ ახლად თავიკები; ამ უკანასკნელი თავიკებიდან შეიძლება გაჩნდნენ მესამე ბუშტ-კიები,

რასაც დაერქმევა **ნაშვილიშვილეთი** ბუშტ-ქიები. ასე რომ ქიის დედა-ეხინოკოკში შეიძლება მოთავსებული იყოს რამოდენიმე შთამომავლობის თავიკები. ასეთი თავიკების რაოდენობა შეიძლება უდრიდეს **რამოდენიმე ათასს**. ნაძეო ბუშტ-ქიები, შესაძლოა, გაჩნდნენ არამცთუ დედა-ბუშტის შიგნითა კედელზე, არამედ ზედაპირზედაც.

ამ რთული განვითარების ისტორიის შემდეგ ხსენებული სხეულაკები ერთდებიან, უჩნდებათ მათ **საერთო ღრუ საკუთარი** გარსით.

ეხინოკოკის ბუშტები იზრდებიან ძლიერ ნელა და ბოლოს შეიძლება გახდნენ ბავშვის თავის ოდენაც. ეხინოკოკი იწვევს თავდაპირველად ორგანოს ცოტად თუ ბევრად ატროფიას (ორგანოს შეკუმშვას, დაპატარავებას, გადაგვარებას). ხშირად ეხინოკოკი თითონვე კვდება, სითხე ბუშტიდან და თვით ბუშტიც ჰქრებიან, და რჩება ორგანოში მხოლოდ მისი კვალი, უსწორ-მასწორო არხის ან ზოლის სახით. შეიძლება ეხინოკოკის ნაბუდარმა მიიღოს სიმსივნის სახეც.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეხინოკოკი შეჰყვება საქმელში ძალს ან მგელს, მაშინ მათ ნაწლავებში იღებს ბრტყელ ქიის სახეს. ეს განვითარება ხდება 7—10 კვირის განმავლობაში, რის შემდეგ ქია სტოვებს ორგანიზმს განავალთან ერთად.

ამ სენის დიაგნოზის დასმა ცოცხალ ცხოველზე ძნელია. მაგრამ მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ თუ პირუტყვს ეხინოკოკი აქვს ფილტვებში, მაშინ მას ემჩნევა ხველება, — დანაოჩენ შემთხვევებში-კი გამოცნობა შეუძლებელია.

ეხინოკოკის ექიმობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მხოლოდ აქ საჭიროა მივიღოთ წინასწარი, გამაფრთხილებელი ზომები.

საჭიროა საქონლის დაკვლის შემდეგ, თუ ორგანოებში აღმოჩნდა ეხინოკოკი, ასეთი ორგანოები დაუყონებლივ და საიმედოთ მოსპობილ იქნნას.

ასეთ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს დაწვა.

ღვიძლის კეველა (Distomatosis).

ეს ავადმყოფობა გავრცელებულია, უმეტეს ნაწილად, ცხვრის ფარებში, სადაც იღებს მასსიურ, ენზოოტიურ ხასიათს. ავადმყოფობას იწვევს ორგვარი პარაზიტი—*Distoma hepaticum* და *Distoma lanceolatum*. ეს პარაზიტები ცნობილი არიან ზოოლოგიაში, როგორც ორტუჩიანი, მწოვარი კიები, რომლებიც ბუდობენ ცხვრის ღვიძლში და ნაღველის არხებში. ეს კიები შეიძლება იშვიათად ვიპოვოთ კიდევ ცხენის, ღორის, ბაქიების და მსხვილ-რქოსან საქონლის ღვიძლშიდაც.

Distoma hepaticum ხის ფურცლის მსგავსი პარაზიტია; გერმოფროდიტია: წვერი უფრო სქელი აქვს, ვიდრე ბოლო. წვერში აქვს პატარა, რგვალი მწოვარი ორგანო. 3—4 მმ. მანძილზე მოთავსებულია მეორე (მუცლის), უფრო დიდი, ასეთივე ორგანო. ამ ორგანოთა შუა ადგილზე იმყოფებიან სასქესო ხვრელები. პირის ხვრელი ეწყება წინა მწოვარი ორგანოდან. აქედან იწყება საყლაპავი მილი და ნაწლავებიც.

სასქესო ორგანოდან შობილი კვერცხები (მაგ., პირუტყვის ღვიძლში—თუ იქ მოიპოვება პარაზიტი) ხედებიან ნაღველის არხებს, საიდგზნაც *Ductus cholangicus* გზით გადადიან პირუტყვის ნაწლავებში და განავალთან ერთად ეშვებიან მიწაზე. მაშინ, თუ ამინდი (საქიროა ჰაერის სინესტე) და ტემპერატურაც (23—26°C) უწყობენ ხელს, 4—6 კვირის შემდეგ კვერცხებიდან იჩეკება ნასახი (resp. ემბრიონი), რომელიც წააგავს ინფუზორიას.

ეს ინფუზორია სრულიად არ არის მავნებელი საქონლისთვის, თუ გინდ რომ შეჰყვეს მას საკმელში.

რომ ეს ნასახი გახდეს დასრულებულ კიათ და ნამდვილ პარაზიტად, საჭიროა მან განივლოს მთელი რიგი ფრიად საინტერესო ცვლილებები. ეს ინფუზორია, თავისი ბეწვების საშუალებით, წყალში ცურვის დროს, ჰხედება საჯმე ლოკოკი-

ნას და ესობა მას სხეულში. აქ 1:1 დღის შემდეგ ნასახი ჰქარგავს თავის ბეწვებს და იღებს ტოფრიკას სახეს, რასაც ჰქვია **სპოროციტა**. მალე სპოროციტაში ჩნდებიან ნასახის უჯრედები, რიდგანაც იყალიბებიან სავანგებო სხეულები ნამდვილი პირით და ბრმა საყლაპავი მილით. როდესაც სპოროციტა მიიღებს 700 მიკრონ სიგრძეს—მასში უკვე იწყობება ჩ—**ჩ რედიები**. ეს რედიები ვითარდებიან და ბოლოს ჰგლეჯენ სპოროციტის გარსს და მიჰყვებიან თავისუფალ მოძრაობას. რედია იზრდება და თვით მასში ჩნდება კუდიანი ახალი ნასახები, მოგრძო ფორმისა. ამ კუდიან ნასახს ჰქვია—**ცერკარი**.

თვითოეულ რედიაში შეიძლება იქმნას 20-25 ცერკარი. მათი განვითარების შემდეგ, ცერკარები ჰგლეჯენ რედიას და თავისუფლდებიან. ცერკარის ზომა— 300×230 მიკრონია^{*)}.

ცერკარის, გარდა გრძელი კულისა, რომელიც წარმოადგენს საცურავ აპარატს, აქვს წინა და უკანა მწოვარი აპარატი და დასრულებული კიის საყლაპავი მილის ნასახი ეს ცერკარი ცნობილია ღვიძლის **დისტომის** სახელით.

ევრე რთულად ჩამოყალიბებული ცერკარი ჰხვდება სადმე წყალს და ცურავს იქ, სანამ არ გადაყლაპავს მას ცხვარი ასე თუ ისე.

თუ, ვინიცობაა, ცერკარი არ მოხვდა ქაობიან ადგილს, მაშინ ის ჰქარგავს თავის კუდს და მას გარსებზევა მაგარი პარკი ($\frac{1}{4}$ cm), რომელშიდაც შეიძლება მან იცოცხლოს რამოდენიმე თვე: თუ ცხვარმა ეს პარკი გადაყლაპა, კუჭში იხსნება კუჭის წენის საშუალებით პარკის კედლები, საიდანაც თავისუფლდება უკულო ცერკარი (ებლა-კი ნამდვილი ნასახი), გადადის ნაწლავებში და იქიდან Ductus cloacalis-ის გზით შედის ღვიძლში, სადაც იღებს სრულიად დასრულებულ ღვიძლის **პეპელას** ფორმას.

ითიო ასეთი პეპელა-ქია სდებს ხუთი ათასამდე კვერცხს:

*) მიკრონი= $\frac{1}{1,000,000}$ მეტრს.

თითო კვერცხიდან იჩეკება ას ცერკარიამდე, ასე რომ ერთ ავადმყოფ ცხვარს, რომელსაც, ვთქვათ, ჰყავს ლვიძლში 1000 პეპელა (ამაზე ნაკლები-კი არ შეიძლება ექნეს ეპიზოოტიის დროს) შეუძლია მოგვეცეს 500.000.000 ცერკარი.

აი, როგორი ფარგლებით მრავლდება აღწერილი პარაზიტი!..

ეს აუარებელი პარაზიტები იწვევენ ეპიზოოტიას, რასაც ჩვენი ხალხი ეძახის ცხვრის ლვიძლის პეპელას ან და მეცნიერება—**დისტომატოზს**.

ვინაიდან დისტომის კვერცხების და ცერკარიების მოსამწიფებლად საჭიროა ქაობიანი და ჰაერით დახშული საძოვრები, აღნიშნული ავადმყოფობაც ფართო და სერიოზულ ხასიათს იღებს სწორედ ასეთ ადგილებში. შესაძლოა, რომ ამ სენშა მთლად გაანადგუროს ცხვარი და იმსხვერპლოს $75\frac{1}{10}$ -მდე.

ასე, 1916 წ. განჯის გუბერნიაში, ჩვენის ცნობით, დაიღუპა ამ სენიდან 200.000-ზე მეტი ცხვარი. ეს ავადმყოფობა ჩვენშიდაც გავრცელებულია და პერიოდულად ცხვარს მუსრს ავლებს.

2—3 კვირის ავადმყოფობის შემდეგ ცხვარი სუსტდება, მადა ეკარგება, ნაცოხარს ველარ იღებს, უტყდება წყურვილი. თვალის და პირის ლორწოიანი გარსი ყვითლდება. ყვითლდება კანიც, ე. ი. ცხვარს ემართება ყვითა (ყვითელა, სიყვითლე). თვალის მესამე ქუთუთო ამოდის თავის ბუდიდან და ნახევრამდე ჰფარავს თვალს. მატყლი ჰკარგავს თავის ფერს და ცხიმს, უშნოთ იწეწება. საქონელი ვერ დადის, აგდია მიწაზედ. სხეულის სხვადასხვა ნაწილებს ეტყობა შეშუპებანი. შეშუპება ეტყობა თვალის ზედა ქუთუთოსაც. წყალმანკიერების გამო ცხვარს უსივდება მუცელი. ხშირად ახველებს, აძლევს სიცხეს, სრულიად ჰკარგავს მადას, აძლევს ფლარათს და პირუტყვი **კვდება**. გამობრუნება იშვიათი მოვლენაა.

ლეშის გაქრის დროს, ვპოულობთ დიდ ცვლილებებს ლვიძლში, —ემჩნევა სიმსივნე, გადიდება. ლვიძლის ზედაპირი

მდიდარეა ხვრელებით, საიდანაც შეიძლება გამოიწუროს მრავალი პეპელას თაევები და ნორჩი დისტომები. ნალველის არხები შეიცავენ ლორწოიან ნალველის და ბლოჰად დისტომებს.

გამონაკლის შემთხვევებში, დისტომები გადადიან მუცლის ღრუში, სადაც იწვევენ პერიტონიტს (მუცლის აპკის ანთებას).

შესაძლოა, დისტომის მოგზაურობის დროს მუცლის ღრუში, დისტომამ გაბურღოს რომელიმე სისხლის გამტარებელი მილი და გამოიწვიოს შიგნითი, სასიკვდილო სისხლის დენა.

ასეთ მძიმე სენის ექიმობაზე ზედმეტია ლაპარაკი. აქ უნდა იყოს მიღებული წინასწარი ზოკები.

ყველა მეცხვარეებს უნდა ვურჩიოთ ცხვარი (უფრო ახალგაზრდა) არ ასოვონ ქაობიან (ნესტიან) და დაბლობ ადგილებში. თუ ეს მოუხერხებელია, მაშინ ცხვარს უნდა ვაძლიოთ ყოველდღე, საძოვარზე გადენის წინ, სულზე 7—8,0 მარილი დანაჰულ თივაზე და, თუ შესაძლებელია, მიუმატოთ მარილი სასმელ წყალსაც.

Prasbot და Cadéac-ის აზრით, სასარგებლოა ეძლიოს დილდობით მთელ ფარას ნაძვის ნორჩი შტოები, ქატო და ხის ფოთოლი.

ტ რ ი ხ ი ნ ე მ ზ ი.

ტრიხინა პირველად აღმოჩენილია ადამიანის კუნთებში Paget-ს მიერ 1837 წ.; 1847 წ. ტრიხინა იყო შემჩნეული ღორის კუნთებში ამერიკაში Leidy-ს მიერ; 1869 წ. Zenker-მა აღმოაჩინა ტრიხინები ერთსა და იმავე დროს ერთ ახალგაზრდა ქალის კუნთებში და ნაწლავებში. გამოიკვია, რომ ამ ქალს რამოდენივე კვირის წინათ ეჭაჰა ღორის შაშხი და ძებვები, რომლებიც შეიცავდნენ ტრიხინებს.

ტრიხინით ავად ხდებიან შინაური და ველური ღორები, ვირთაგვები, თაგვები, ძაღლები, კატები, მგლები, კვერნები, დათვები და იშვიათად ადამიანი. *Trichina Spiralis*—პატარა,

ძათის მსგავსი კიაა, რომელიც სათანადო პირუტყვის სხეულში მოიპოვება ნაწლავებში კიის სახით და კუნთებში კიის ბოჟის ან მატლის სახით.

ნაწლავების ტრიხინა—სქეს-დაყოფილი კიაა. დედალ კიას სიგრძე აქვს 3—4 mm., სისქე—0,06 mm. კიის საშვილოსნოში ჩნდებიან ემბრიონები, ზომით 0,12 mm., რომელნიც დედის მუცელში არღვევენ კვერცხის გარსს და იბადებიან ცოცხლად. მამლები კვდებიან, როგორც-კი დანერბვენ დედლებს, დედლები-კი—როგორც შობენ ემბრიონებს.

კუნთების ტრიხინა—ბურღის მსგავსია, სძევს კუნთების კონების სარკოლემაში ჯერ თავისუფლად, მერჰე-კი გარსეხვევა ლიმნის ფორმის პარკი. ეს ტრიხინა შეუიარაღებული თვალთ ვერ დაინახება, რადგანაც სიგრძე აქვს 0,7 mm.

ვინაიდან სარკოლემა მხოლოდ გარდიგარდმო ზოლიან კუნთებშია შოთავსებული (გულის კუნთის გარდა), სადა კუნთებში და გულში ტრიხინა არ მოიპოვება.

როგორ ვრცელდება ეს ავადმყოფობა?

ლორებს ემართება ტრიხინოზი ტრიხინოზიანი ღორის ხორცის, ტრიხინოზით დაავადებულ ვირთაგვების და თაგვების შეჭმის შემდეგ.

ცოცხალ ღორზე ტრიხინოზის შემჩნევა თითქმის შეუძლებელია.

მხოლოდ ექსპერიმენტალურად გამოკვლეულია შემდეგი. ტრიხინოზიანი ხორცის მიცემას შემდეგ, ღორს ეშლება კუჭ-ნაწლავის აპარატი: მას ეკარგება კამის მადა; უტყდება რწყევა და ფაღარათი. პირუტყვი ძალზე მკლევდება და ხანდახან 2—3 კვირის განმავლობაში კიდევ კვდება. მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა.

უმეტეს ნაწილად, პირუტყვი ავადმყოფობს ხრონიკულად 4—6 კვირის განმავლობაში და შემდეგ, ნელ-ნელა კარგად ხდება. მაგრამ ეს „კარგადმყოფობა“ ძლიერ სახიფათოა და-

ნარჩენ საღ პირუტყვეებისათვის და, მათ რიცხვში, ადამიანისათვისაც. ექიმობა ტრიხინოზისა შეუძლებელია.

აქაც არის საჭირო პროფილაქტიური ზომების მიღება. საჭიროა სასაკლაოებში ღორის ხორცის მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ავადმყოფი ღორის ღრეში უნდა დაიწვას და დაიმახროს ან და კარგად და დიდხანს იხარშოს.

უნდა აიკრძალოს ღორების შენახვა და მოშენება სასაკლაოებზე. უნდა მოსპობილ იქმნან ვირთაგვეები და თაგვები.

ტრიხინოზით ავადმყოფ ადამიანს ეშლება კუჭი, ეკარგება მადა, ერევა გული, უსივდება კუნთები, ჰგრძნობს კუნთების ტკივილებს, ეხრინწება ხმა, აძლევს სიცხეს, იწურება ოფლში.

სწორ დიაგნოსისათვის საჭიროა მიკროსკოპის საშუალებით ტრიხინებზე სისხლის გასინჯვა.

ბ ო რ ა ს *) რ ე ტ ი .

ეს ავადმყოფობა წააგავს ჩვეულებრივ რეტს, რომელზეც დაც ჩვენ გვექონდა საუბარი. ბორას რეტი უჩნდება ცხვრებს ბორას მატლების გროვის გამო შუბლის და ზედაყბის ღრუებში. ეს მატლები თავისი მსვლელობით და პირის კაუჭებით აღიზიანებენ აღნიშნულ ღრუებს და ამით იწვევენ რეტს.

ავადმყოფობის ნიშნები:

ცხვირიდან ევინტის დენა, ხშირად დაცხვიკება, ფრუსტუნნი, ან ფრთხინვა.

ცხვირის დაცემინების დროს ხშირად ცხვარს ვარდება ბორას მატლები. ავადმყოფი ცხვარი გაშმაგებით იფხანს ფეხით

*) ბორა—საქონლის მკბენავი ბუზია, *Oestrus ovis*.

ცხვირს და შუბლს; პირუტყვის ეტყობა თვალის შემაერთებელი გარსის ანთება, — ცრემლის დენა; ცხვარი ნაბიჯის გადადგმის დროს მალლა სწევს ფეხს.

ხანდახან პირუტყვის მატლები შორდება და ავადმყოფი კარგად ხდება. მაგრამ ხშირად ავადმყოფობა რთულდება, პირუტყვის ეკარგება ქამის მადა, მკლევებება, პირიდან გამოდის ქაფი; ეწყება კბილების კრაქუნნი, ხშირი სულისთქმა, სულის ხუთვა და 6—8 დღის შემდეგ ცხვარი კიდევ კვდება.

ლეშის გაქრის დროს ნახსენებ ზემოთ ღრუებში ჩვენ ვპოულობთ ბლომად ბორას ცოცხალ მატლებს, გახვეულს ლორწოში და ჩირქში.

სენის წინააღმდეგ იღებენ შემდეგ ზომებს:

უნდა შევეცადოთ ხელოვნურად ცხვარს ცხვირი ხშირად დაეცემინოთ, დაეცხიკვინოთ, რისთვისაც შეიძლება, მაგალითად, შევუშხაპუნოთ ცხვირში ცივი წყალი, შევავაროთ ცხვირში ბურნუთი, ვალერიანის ძირის ფხვნილი და სხვ.

შეიძლება აგრეთვე გადაუხერხოთ ავადმყოფს ძირში რქები და გამოურეცხოთ შუბლის ღრუ $1^0/0$ კარბოლის სიმეჯის ხსნილით ანდა $1^0/0$ კრეოლინით. გარდა ამისა, აქაც საჭიროა წინასწარი ზომების მიღება.

უნდა წაეცხოს ცხვრებს ცხვირას ნესტოებზე, საძოვრად გადენის წინ, — *Oleum animal. cruid.* და *Pix liquida.*

ხსენებული მატლები იჩეკებიან ბორას, ანუ *Oestrus ovis*, კვერცხებიდან.

ივლისში და მარიაშობისთვეში დედალი ბორა, მისი დანერბვის შემდეგ, ჰპოულობს ცხვირის ფარას და სდებს კვერცხებს ცხვირის ცხვირის ღრუში. აქ ცხრა თვის განმავლობაში მატლი იზრდება, რის შემდეგ, სრულიად განვითარებული ასეთუ ისე, სტოვებს პირუტყვის ღრუებს და ეშვება მიწაზე, სადაც იკეთებს პარკს.

42—48 დღის შემდეგ ბოყი ჰგლეჯს პარკს და, ბუზათ ქცეული, მიჰფრენს კვლავ ცხვირის ფარისაკენ.

არსებობს კიდევ სპეციალი ბორა ცხენის და ხარის.

ცხენის ბორას მატლი ატარებს თავის განვითარების საფეხურებს ცხენის კუკ-ნაწლავებში—*Gastrophilus equi*.

ხარის ბორას მატლი—ხარის ტყავ ქვეშ—*Oesrus bovis hypoderma bovis*. ცხენს შეიძლება მოვაცილოთ კუკიდან ბორას მატლები 6 - 8,0 Ca'თმ-ის მიცემით; სწორი წელიდან—*Gastrus haemorrhoidalis*—ბორის ვაზელინის წასმით (უკანა ხერეღში).

ხარის ბორას მატლის (ე. წ. ზღმურტლის) გამოცნობა ადვილია. პირუტყვის ემჩნევა ტყავის ქვეშ თხილის ოდენა კვანძები და სიმსივნეები, საიდანაც ხანდახან გამოდის ჩირქი. საჭიროა ესეთი კვანძები გაიჭრას სკალპელით (ან ჯიბის დანით), მატლი ამოეღოს და კრილობა ამოეწმინდოს კარბოლის სიმყავის ხსნილით ან იოდის ტინკტურით.

რგვალი ჭიები (Nematodes).

ამ ჭიებს ეკუთვნიან ასკარიდები, რომლებითაც, უმეტეს ნაწილად, ავად ხდებიან ჩვენი ყველა შინაური ცხოველები. ავადმყოფობა ვრცელდება ჭიის კვერცხების გადაყლაპვით.

სხეული რგვალი ჭიისა მოგრძოა, ცილინდრის ფორმისაა, არ არის დაყოფილი ასოებათ, სადაა. მათ აქვთ კარგათ განვითარებული ნაწლავების აპარატი წინა და უკანა ხერეღით.

სქესის მხრივ—დაყოფილი არიან.

რგვალი ჭიები იკვებებიან ორგანიზმის მასაზრდოებელ წვენებით და სისხლით, რომელსაც სწოვენ ნაწლავების კედლებიდან და რითაც იწვევენ პატრონის სხეულის სისუსტეს. შესაძლოა, ნაწლავის რომელიმე ადგილი მთლათ გატენილი იქმნას ამ ჭიებით, მაშინ ნაწლავი სქდება და პირუტყვი კვდება. დიაგნოზის დასმისთვის საჭიროა პირუტყვის განავალში აღმოჩენა ან თვით ჭიისა ან და ჭიის კვერცხისა (მიკროსკოპის საშუალებით).

როგორ უნდა მოვაშოროთ პირუტყვს ეს ქიები? საქი-
როა ერთი-ორი ღლის განმავლობაში ვაძლიათ 8—10 ლიტ-
რი კართოფილი ქატოთი. თუ ამან არ უშველა, უნდა მივცეთ
Tartarus stibiatus (ეს უფრო იაფად დაჯდება ეხლანდელ
სიძვირეში) ასე: 1 ლიტრ მდულარე წყალში უნდა გავხსნათ
12—15,0 და მიუმატოთ მას 1 ლიტრი ქატო; წინა ღლეს
უნდა მივცეთ მხოლოდ თივა, ისიც ძლიერ ცოტა.

გარდა ამისა:

1) Acid. arsenicosi 0,1—0,5;

2) Ol. Terebint. 50—100,0+300,0 ol. Ricini;

3) Semen arecae 100—250,0 (კვიცს - 10—50,0);

ზბოს უნდა მიეცეს 1) Tartarus stibiatus 3—5,0 გა-
მოხდილ წყალში 3—4 საათში თითო მაგიდის კოვზი.

2) Semen. arecae+flores cinæ

Rp. Sem. arecae—10,0; (20,0) } მოზრდილებს
Flor. cinæ — 5,0; (10,0) }

Rp. Sem. arecae — 5,0

Flor. cinæ — 2,5

S. კრავს.

3) Ol. Terebinth. ყოველ ღლე თითო ჩაის კოვზი ბრინ-
ჯის ნახარში.

ძალღს. Rp. Santonini—0,05 (0,2).

კატას. Rp. Santonini—0,02—0,05

ამის შემდეგ Ol. Ricini.

რგვალი ქიები შეიძლება გაუჩნდეს ფრინველსაც (ე. წ.
Heterakis):

მათ უნდა მიეცეს:

1) Semen arecae 3,0

2) ბენზინი 3—6 წვეთი საფალარათო (აბუსალათი-
ნის) ზეთში.

ქათმის თხიპა (SYNGAMOSIS).

როგორც ჩვენ გვაქვს გამოკვლეული, ჩვენში, ახალგაზრდა შინაურ ფრინველებს და უფრო-კი წიწილებს, მუსრს ავლებს Syngamosis-ი, ე. წ. ჩვენში „ქათმის თხიპა“, ანუ „ქათმის ქლექი“.

ქლექთან ამ ავადმყოფობას არათფერი საერთო არა აქვს. ნიშნები ავადმყოფობისა: ხველება, თავის ნძრევა და ცანცარი; ხველების დროს ფრინველი ისვრის პირიდან დაკვეთილ ლორწოიან ნახველს. ხშირად ამთქნარებს, სულს ითქვამს სტვენით. მქლევედება. ეხუთება სული და პირუტყვი კვდება.

მიზეზი ამ სენისა—ორთითა ფიწალის მსგავსი და ძაფის სისხო ერთად-შეზრდილი დედალ-მამალი ქიაა [Syngamus (რაც ნიშნავს „შეუღლებულს“) trachealis, syngamus bronchialis], რომელიც უჩნდება წიწილას სასულეში.

ეს ქიები შობენ კვერცხებს, რაც ხველების დროს იფრქვევა ჰაერში და შემდეგ ხვდება მიწას. თუ ეს კვერცხები ჩავარდა ან წყალში ან ნოტიო ადგილში, მაშინ 1—2 კვირის განმავლობაში მათგან გამოიჩეკებიან პატარა ქიები (ემბრიონები). ამით ბინძურდება ქათმის სასმელი წყალი, ბალახი, საკენკი და სხ., რაც იწვევს აღნიშნულ ქათმის „თხიპას“.

როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ სენს?

ხმარობენ 5% Natrium salicylicum-ის ხსნილს, რომელსაც უშხაპუნებენ ავადმყოფს პატარა, ერთ-გრამიან, შპრიცით ხახიდან სასულეში (ამ შემთხვევისათვის შპრიცის ნემსს უნდა ჰქონდეს წვერი დაჩლოუნგული და სათანადოთ მოღუნული). უფრო კარგი შედეგი მოჰყვება ამ ექიმობას, თუ წამალს შეუშხაპუნებენ სასულეში პირდაპირ კისრიდან. რადგანაც პატარა წიწილების სასულის მონახვა ძნელია, შეიძლება ყოჩყინტის ქვეშ გაიკრას ტყავი, რომ შპრიცის ნემსი დანამდილებით შეყვანილ იქმნას სასულეში. თუ წამალი სწორეთ მოხვდა,

ფრინველს დაწყებინებს მაგრათ ხველებას, რითაც ამოგდებულ-
ლი იქნებიან დაგლეჯილი თხიპის ქიები თავისი კვერცხებით.

გარდა ამისა, საჭიროა, რომ ნიადაგი არ ბინძურდებოდეს
და აღარ იყოს მომავალში ავადმყოფობის შემთხვევები, მივი-
ლოთ შემდეგი ზომები:

1) უნდა მოისპოს დაწვით და კირის მოფრქვევით ავად-
მყოფი ფრინველების განავალი, ნახველი და ლეში;

2) უნდა მოიმდულროს ნაცრის წყლით საქათმე თავის
მოწყობილობით;

3) უნდა ამოაშრონ და მოზენონ წუმპე ადგილები ეზოში;

4) ავადმყოფი უნდა მოაცილონ კარგად მყოფს და

5) უნდა მოაფრქვიონ ზღვის მარილი იმ ადგილში, სა-
დაც იქნება გადაყვანილი კარგად მყოფი ფრინველი.

კანის ავადმყოფობანი.

ა. ეკზემა.

ეკზემა—ცხენის და ძაღლების კანის ანთებაა, რაც შეიძ-
ლება გამოწვეული იყოს მტვრისაგან, ქუქუისაგან, ფხანისა-
გან, დაშავებისაგან, საქმლის მომნელებელი აპარატის ფუნქცი-
ების აშლისაგან, სუსტი აგებულებისაგან და სხვ.

დასაწყისში, პირუტყვს ადგილ-ადგილ უწითლდება კანი,
მის ცენტროში ჩნდება ერთგვარი კვანძი; სიწითლენი უერთ-
დებიან ერთმანერთს, კანი სქელდება, იჟღენთება, რაც იწვევს
ფხანას და ტკივილებს.

ბოლოს, ხსენებული კვანძები მწიფდებიან, საიდანაც გა-
მოდის ჩირქისებრი სითხე, და ეკვრებათ პირი ქერკით.

ასეთი იარების ალაგას პირუტყვი ჰკარგავს თმას. შესაძ-
ლოა, რომ კვანძებიც შეუერთდნენ ერთმანერთს და დაიკავონ
ტანზე დიდი ადგილი.

ექიმობა. თავდაპირველად უნდა ავაცილოთ ავადმყოფის მიზეზები, რომლებსაც გამოწვეული აქვთ ავადმყოფობა.

უპირველესი ჩვენი მიზანი უნდა იყოს საქონლის ჩაყენება ისეთ პირობებში, რომ მისთვის მოსპობილ იქმნას ყოველივე საშუალება ტკივილების დაფხანისა. ამისათვის საჭიროა საქონლის მოკლედ დაბმა ან და ტკივანი ადგილის არტახით დაფარვა. შემდეგ, თუ კვანძები არ არის დაჩირქებული, საჭიროა წაეცხოს იარებს ცინკის ან ტყვიის მალამო და ზედ წაეყაროს:

Rp. Zinci oxydati 5,0
 Anyli tritici 20,0
 Mf. pulv.

თუ კვანძები დაჩირქებულია, უნდა წაეცხოს—6% ლიპისი (ქერქების და ჩირქის მოწმენდის შემდეგ) და ზედ მიფრქვეას იოდოფორმი ან-და მუხის გამხმარი ქერქის ფხვნილი.

თუ ავადმყოფობას აქვს ქრონიკული ხასიათი, უნდა წაეცხოს:

Rp. Picis liquid. fagin.
 Sapon. virid. aa 50,0
 Spirit. q. s. ut f. liniment.

ბ. Herpes tonsurans. მკრიკავი მუნი.

ეს მუნი ხარკამეჩის, ძაღლების და, იშვიათად, ცხენის, ღორის, ცხვრის და ადამიანის კანის ავადმყოფობაა, რაც გამოწვეულია ერთგვარი კოფოებრი, შეუიარაღებულ თვალით უხილავი, სოკოთი—*Trichophyton tonsurans*,—რომელსაც მიკროსკოპის ქვეშ ემჩნევა ძაფების და სპორების სახე. თვით ავადმყოფობა ასე ვითარდება: ხსენებული სოკოს ძაფები ეხვევიან ბალნის ღეროს და შემდეგ შედიან ღეროს საშოში, სადაც იწვევენ ანთებას, რის შედეგია ბალნის თავის ბუდიდან და კანიდან ამოვარდნა.

ნიშნები: ხარს—თავდაპირველად უჩნდება მრგვალ-მრგვალი ლაქები, უმეტეს ნაწილად, თავზე და კისერზე; ეს ლაქები თანდათან იზრდებიან, ერთდებიან, იკეთებენ ზედაპირზედ ქერქს, რომლის ქვეშ მოთავსებულია წებოს მსგავსი სითხე.

ძალს—უჩნდება ასეთივე ლაქები თავზე და კიდურებზედ, მაგრამ, შესაძლოა, მთელ ტანსაც მოედოს.

ცხენს—უჩნდება ლაქები ზურგზე (უნაგირის ადგილას), გავაზე, თავზე სრულიად მრგვალი, სპილენძის შაურნიანის ოდენა.

ექიმობა. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ექიმობის დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ ჩვენ თვითონ, რადგანაც ეს კანის ავადმყოფობა კაცზედაც გადადის.

ავადმყოფი უნდა მოვაცილოთ კარგად მყოფებს. საკირა დეზინფექცია თავლებისა და ბოსლების 1% სულეების ხსნილით, 5% კარბოლის სიმჟავით ან-და შეთეთრება კირით შენობის შიგნითი ყველა ნაწილებისა.

თვით კანზე, სადაც იარებია, უნდა წაესვას მწვანე საპონი, მის შემდეგ აიგლიჯოს პინცეტით ქერქები და ბოლოს წაეცხოს T-ra jodi.

Rp. Hydr. bichl. corr.	0,5
Acidi carbol.	20,0
Vaselini	500,0
Mf. ung. (ცხენს, ძალს).	

ან-და: Rp. Aetheris	20,0
Spir. v.	10,0
Thymoli	20,0
M. D.	

Rp. Pic. liquid.	
Ax. porci aa	50,0
MD.	

თუ მუნის ლაქები ტუჩზე ან სახეზე აქვს კვიცს ან ხბოს, უნდა წაეცხოს:

Rp. Sapon. kalini 40,0
Kreosoti 2,0
S. 2—3-ჯერ წაესვას დღეში.

ბ. Favus. მუნი.

ამით ხდებიან ავად ძაღლი, კატა, ქათამი და, იშვიათად, ცხენი. გამოწვეულია კოფოსებრი სოკოთი — *Achorion Schenleinii*— და გადადის კაცზე და კაციდან პირუტყვზე. აქაც კანზე ჩნდება მრგვალ-მრგვალი ქერქები.

ზოგადი ნიშნები: ხმელი, მოთეთრო. ჩაზნექილი ვერცხლის აბაზის ოდენა ქერქები. ქერქის ადგილას სცვივა ბალანი. ასეთი ქერქები ჩნდება, უმეტეს ნაწილად, შუბლზე და ცხვირის ზურგზე, ლოყებზე, ყურებზე, მუცელზე, ბარძაყის გარეთა პირზე. კერძოდ, კატებს უჩნდება მუნი კლანჭების და ყურების გარშემო: კანი ქერქის ქვეშ გასქელებულია და დასისხლოული; ძაღლებს მუნი უტეხს ფხანას; კატებს თითქმის არც-კი აწუხებს; ცხენს ქერქები უერთდებიან ერთმანერთს და ბოლოს იღებენ ერთგვარ არშიის სახეს. ქათმის მუნი ცნობილია ხალხში, როგორც „თეთრი ბიბილო“. თავდაპირველად ბიბილოზე ჩნდება პატარ-პატარა კოფოსებრი ლაქები, რომელნიც დაბოლოს ჰფარავენ მთელ ბიბილოს.

რამოდენიმე თვის შემდეგ ლაქებზე ჩნდებიან სქელი ქერქები და მუნი გადადის კისერზე, ზურგზე, მთელ ტანზედ. ბუნტული სცვივა. ფრინველი კვდება სისუსტის გამო.

ექიმობა ისეთივეა, როგორც „Herpes tonsurans“-ის წინააღმდეგ.

ქავილი, ანუ ფხანა საქონლისა.

ფხანით ავად ხდება ყველა გვარის პირუტყვი, მაგრამ ხშირად ავადდებიან ძაღლები და ცხვრები, შემდეგ ცხენი, ხარ-კამეჩი, ღორი და კატა. ავადმყოფობას აქვს ეპიზოოტიური ხასიათი. მიზეზი ამ ავადმყოფობისა ერთგვარი შეუიარაღებული თვალით (უმიკროსკოპით) უხილავი კუს მსგავსი ტკიპებია, რომელნიც ცნობილი არიან მეცნიერებაში: Sarcoptes, Dermatocoptes და Dermatophagus სახელით. სიგრძე Sarcop-tes-ი არ აღემატება — 0,2—0,5 mm.; ეს ტკიპები ჰხვრეტენ პირუტყვის კანს, აკეთებენ შიგ არხებს და იკვებებიან კანის უჯრედებით და სისხლით, მრავლდებიან ამ არხებში, რითაც იწვევენ კანის ანთებას და ფხანას.

Dermatocoptes—უფრო დიდია, ვიდრე Sarcoptes და თუ კარგად დააკვირდა კაცი, შეიძლება მათი დანახვა შეუიარაღებული თვალითაც. ეს ტკიპები არ ჰხვრეტენ კანს და სცხოვრობენ კანის ზედაპირზედ.

Dermatophagus წააგავს Dermatocoptes-ს. ეს ტკიპები სქეს დაყოფილნი არიან. ფხანა გადადის ავადმყოფიდან პირდაპირ ან ვრცელდება ავადმყოფი საქონლის საოფლის, სახეხის ხმარებით ან და შესაძლებელია მიზეზათ იყოს თვით ავადმყოფი ცხენის მომვლელი კაცი.

ნიშნები: წერტილის ოდენა სიწითლეები კანზე, კვანძები, მათ აგლეჯის შემდეგ ქერქები; აუტანელი ფხანა, რომელიც ძლიერ აწუხებს პირუტყვს: ტანის გახურების შემდეგ (მზეზე), სიარულის შემდეგ და თბილ სადგომში. ფხანის გამო, ჩნდება კანის ანთება და კანიდან სისხლის დენა. მიმდინარეობა ქრონიკულია.

ღიაგნოზი უნდა დაისვას ქერქების მიკროსკოპით გაშინჯვით. ამისათვის ქერქი უნდა ამოიგლიჯოს სკალპელით ან მკრელი დანით ღრმათ კანიდან, დაესხას ზედ დარბილებამდე

10% კალის ტუტი და გაიშინჯოს ობიექტივით № 3—4. მიკროსკოპის მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ კარგი და ძლიერი ლუბა.

წინასწარმეტყველებისათვის საჭიროა ცოდნა, რომელ ტკიპთან გვაქვს საქმე. ადვილი მოსარჩენია ფხანა, გამოწვეული *Dermatocoptes* და *Dermatophagus*-ით. მასთან, თუ საქონელი ღონიერათ და მსუქნად არის - მისი მორჩენაც ადვილი იქნება.

ექიმობა: საჭიროა ავადმყოფი საქონელი გადავიყვანოთ ცალკე შენობაში. უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია ბოსლებს და თავლებს, უნაგირს, საოფლეს, საურავს და სხვა. უნდა გაიწმინდოს და გასუფთავდეს კანი ქერქებიდან და ჩირქიდან. ექიმობის დროს არ შეიძლება ვიხმაროთ ვერცხლის წყალი ხარკამეჩს და კარბოლის სიმეავე კატებს. წამლის ხმარება საჭიროა დროგამოშვებით, სანამ პირუტყვი კარგად შეიქმნებოდეს.

თავდაპირველად პირუტყვს უნდა წაუფსვთ მწვანე საპონი ან ზეთუნის ზეთი (უნდა დარჩეს კანზე : 4 საათი). შემდეგ უნდა წაეცხოს:

Rp. Picis liquid.
Sulf. subl. aa 500,0
Sap. virid.
Spiritus aa 1000,0
MD.

S. უნდა წაეცხოს სახეხით და განმეორდეს 6—8 დღის შემდეგ.

ან: Rp. Acid. carbol. 20,0
Ol. olivari 500,0
MD.

ან: Rp. Picis liquid.
Spiritus aa 200,0

ან: Rp. Kreosoti 6,0
Ol. Oliv. 60,0
MD. უნდა წაეცხოს დღეში ორჯერ.

ხარ-კამეჩს:

Rp. Decocti herb. nicotian. 100,0
Kreosoti 5,0
MD. ორჯერ დღეში.

ცხვრის ფხანა.

რადგანაც ამ ფხანას აქვს თავისებური ხასიათი და მიმდინარეობა, ჩვენ განვიხილავთ მას ცალკე.

ცხვარს ფხანა ეწყება ზურგიდან და კულის ძირიდან. კანი გარშემო წითლდება, კანის კვანძები ჩირქდებიან. მატყლი იკვრება, იბურდება და შემდეგ სცივია. უბანლო კანი გასქელებულია, გაწითლებული, დახეთქილი, დაპობილი და დასვრილი ჩირქით. ამას უერთდება საშინელი ფხანა. ავადმყოფი ჰკარგავს კამის მადას, ძალზე მკლევდება და კვდება სისუსტის გამო.

ექიმობა: ამის წინააღმდეგ საკირია ხმარება წამლით შეზავებულ ვანებისა, მაგრამ, რადგანაც ასეთი ვანების გაკეთება შესაძლოა მხოლოდ წლის თბილ დროში (ე. ი. ზაფხულში), სიცხეში უნდა მივმართოთ სხვა საშუალებებს, რასაც ექნება პალიატიური ხასიათი, და შემდეგ, ზაფხულში მიღებულ უნდა იქმნას რადიკალური ზომები, ე. ი. გაკეთებულ იქმნას—ზემოთ ხსენებული ვანები.

ამისათვის უნდა გაიკრიქოს ცხვარი, წაეცხოს მწვანე საპონი იმ ნაწილებს, სადაც ემჩნევა ფხანა (24 საათით), გაესუფთაოს სველი ჩვართ კანი ქერქებიდან, ქერტლიდან და შემდეგ უნდა წაესვას მალამო:

Rp. Creolini
Spiriti aa 100,0
Sap. virid. 800,0
Mf. linim.

ვანნას უკეთებენ ასე:

Rp. Creolini 6 littr.
Aq. font. 250 littr.

S. ფრენერის ვანნა 100 ცხერისათვის. ამ ვანნაში უნდა ჩაუშვათ ცხვარი და სახეხით კარგად ვწმინდოთ 6—10 წუთის განმავლობაში.

ხანდახან ცხერებს ემართება ფხანა მხოლოდ ტუჩებზედ, ცხვირის ზურგზე, თვალის გარშემო, ლოყებზე და კიდურების ძირა ნაწილებზე. აქ უნდა ვიხმაროთ:

Rp. Creolini
Sap. viridis aa 50,0
Spirit. v. 25,0
Mf. კრეოლინის ლინიმენტი.

საკიროა კიდევ რამოდენიმე სიტყვა ითქვას ერთგვარ ფხანაზე, რომელიც გამოწვეულია მიკროსკოპიული ტკიპებით—*Acarus folliculorum*. ეს ტკიპები იბუდებენ კანის ცხიმის ჯირკვლებში. ამ ფხანის მორჩენა ძნელია. გარდა იმ ზომებისა, რომლებიც იყო ზემოთ ხსენებული, იარებს უნდა წაეცხოს შემდეგი მალამო:

Rp. Picis liquid.
Sapon virid. aa 30,0
Kal. sulf. 10,0
Mf. ungu. DS. ყოველ დღე მაგრად წაეცხოს.

ტკიპები. ჯლიბები.

უბრალო, ხილული ტკიპების წინააღმდეგ თავდაპირველად საქონელს უნდა წაეცხოს ზეთუნის ზეთი და ორი-სამი დღის შემდეგ—თამბაქოს ნახარში.

ინფექციური ავადმყოფობანი.

ეს ის ავადმყოფობანია, რომლებიც გამოწვეულია მცენარეობითი პარაზიტების—**ბაქტერიების** და ზოგიერთი ცხოველობითი ერთუჯრედიანი პარაზიტების—Protozoa's საშუალებით.

ეს ვითამ იკოდნენ ძველ დროშიაც ზოგიერთ ცნობილ ექიმებმა და ფილოსოფოსებმა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ამის დამამტკიცებელი საბუთები...

და მხოლოდ ჩვენის დროის გამოჩენილ ბაქტერიოლოგებმა Pasteur'მა და Koch'მა ექსპერიმენტალური გზით დაარწმუნეს ამაში მთელი კაცობრიობა.

ხსენებულ პარაზიტებს, საერთოდ, ეძახიან **პათოგენურ**, ანუ ავთვისებიან მიკრობებს.

ხუზარა, ჯილხნი, ციმბირის ჭირი (Anthrax).

ციმბირის ჭირს ეძახიან მწვავე, სიცხიან ინფექციურ პირუტყვთა ავადმყოფობას, უფრო ხშირად მცოხნავთა და ცხენის, გამოწვეულს ერთგვარ მიკრობით, რომელსაც ჰქვია Bac. Anthracis, და ანატომიურად გამოხატულს, უმეტეს ნაწილად, ელენთის მწვავე სიმსივნეში და სეროზულ-ჰემორაგიულ სისხლის დანთხევაში კანქვეშა და სეროზულ შემაერთებელ ქსოვილებში.

ეს ეპიზოოტია ყოველ დროს და მთელ ქვეყნის ზურგზე აყენებდა და აყენებს მესაქონლეობას დიდ ზიანს და მუსრს ავლებს თვით შინაურ პირუტყვებს.

გარდა ამისა, არც ერთი პირუტყვის სენი არ გადადის კაცზე ისე ხშირად, როგორც ციმბირის ქირი, რაც გამოიხატება, უმეტეს ნაწილად, კანის ავადმყოფობაში (კარბუნკული, *Pustula maligna*).

ეს ეპიზოტიც არსებობს საქართველოშიაც და ბოლოს დროს ძლიერაც გავრცელდა.

მეთვრამეტე საუკუნოს ბოლომდე მეცნიერებას არ ჰქონდა შესწავლილი ეს ავადმყოფობა და მხოლოდ 1876-1877 წწ. გამოჩენილ მეცნიერებმა, საფრანგეთში პასტერმა და გერმანიაში კოხმა, აღმოაჩინეს ბიოლოგიური თვისებანი ამ სენის აღმძვრელი მიზეზისა და მასთან ერთად, **საერთოდ**, გაჰკაფეს ახალი გზა, რომლითაც მიეცათ საშუალება მათ და მათ შემკვიდრე ბიოლოგებს შეესწავლათ დანარჩენი გადამდები სენებიც.

ძველადვე იყო შემჩნეული, რომ ციმბირის ქირი დროგამოშვებით მეორდებოდა ერთი და იმავე ალაგას, **ერთი და იმავე საზღვრებში**, რომელთაც თვით ხალხი უწოდებდა სახელად „წყეულ მიდვრებს“; როგორც-კი გასდენიდნენ საქონელს ასეთ საქოვრებზე, მაშინვე დაიწყებოდა საქონლის ავადმყოფობა და მათი დაღუპვა.

ეს ავადმყოფობა ვრცელდება დიდ სიცხეებში და იღებს მასიურ ხასიათს უკუაგულ ზაფხულში... შეიძლება ავადმყოფობა გაჩნდეს ზამთარშიაც, ბოსლებში, მაგრამ ამას ექნება სპორადიული ხასიათი: საქონელი ხდება ავად თითო-ორჯოლა.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სენი გადადის საკვების საშუალებით შორ ძანძილზედაც. ასე, 1910 წ. ამ სენმა იფეთქა პეტერბურგში მეეტლების ცხენებთა შორის. მიზეზი იყო ციმბირის ქირის ბაცილებით დასვრილი ქერი.

ამ სენის აღმძვრელი არის უძრავი ბაცილა, რომელიც მოთავსებულია ორგანიზმში ძეწკვის (კრიალოსანის) მსგავსად, ორორ-სამსამი ერთად, გარემოსილი გამსკვირვალე გარსით. სისხლში და სხეულის ქსოვილებში ეს ბაცილები მრავლდებიან მუდმივი დაყოფის გზით.

ცხოველის სხეულის გარეშე, შესაფერ პირობებში (თუ ტემპერატურა 12—43°, მკვებადთან ერთად) ამ ბაცილებში ჩნდებიან ეგრედ წოდებული **სპორები**: აქ მრავლდებიან ბაცილები მხოლოდ **სპორების** საშუალებით, რაც წარმოადგენს ბრწყინვალე წერტილს, რომელშიდაც მიკრობის ან ბაცილის სიცოცხლე ინახება რამოდენიმე წელს. ცოცხალ სხეულში და გაუქრელ ლეშში სპორები არ ჩნდებიან.

სპორა არის სნების უზომოდ მაგარი, შეურყეველი ჩანასახი, რომელიც ძლიერად უძლებს ბაცილების ყოველ გვარ მომსპობ აგენტებს.

ციმბირის ქირის ბაცილები, თუ ზერელე არის სადვე მოფენილი, მზის სხივების მოქმედებით ილუპება 7 - 15 საათის განმავლობაში და თუ ღრმად არის—მაშინ 2 3 კვირის განმავლობაში. გაცხელება ანუ გახურება 55—60 გრადუსამდე ხოცავს ბაცილებს 1 — 15 წუთში.

დაბალი ტემპერატურა კი, მაგ., —24° ჰკლავს ამ ბაცილებს მხოლოდ 15 დღის შემდეგ.

დეზინფექციური საშუალებებით შეიძლება ამ ბაცილების დახოცვა 1% გოგირდის სიმკვავით 15 წუთში; აბსოლიუტური სპირტი—ჰკლავს უცებ; არაყი—5 წუთში; 0,1% სულემის ხსნილი—რამოდენიმე წუთში.

ლპობაც მალე ხრწნის და სპობს ამ ბაცილებს.

სპორები ნიადაგის უღრმეს ფენებში უსინათლოდ და უმკვებადოდ ინახებიან დაუსრულებლივ დიდ ხანს.

გახმობას იტანენ კარგად.

მზის სხივები ჰკლავენ მათ მკვებადთან ერთად 45 საათის მოქმედების შემდეგ.

უმკვებადოთ-კი, თუ გინდ მზის სხივებმა იმოქმედოს მათზე 110 საათის განმავლობაში, მაინც რჩებიან ცოცხალი და სხეულის მომწამვლელები.

გაცხელება სისველეში 95 გრადუსამდე ჰკლავს სპორებს 10 წუთში, 100-დე—5 წუთში.

მშრალ ჰავას სპორები იოლად იტანენ: მათ მოსასპობად საჭიროა სიმბურვალის 140 გრადუსის მოქმედება 3 საათის განმავლობაში.

დეზინფექციურ საშუალებათაგან სპორები უფრო მგრძობიერი არიან სულემის მიმართ: 1⁰/₀ სითხე სპობს მათ 2 საათის განმავლობაში; 5⁰/₀ კარბოლი ჰკლავს 8 დღეში: აბსოლიუტური სპირტი—6 თვეში.

სნების გავრცელების პროცესი უნდა წარმოვიდგინოთ ასე: ციმბირის ქირით დაავადებული ორგანიზმი, უფრო ავადმყოფობის ბოლო ხანებში, უხვად შეიცავს ციმბირის ქირის ბაცილებს, რომლებიც არსებობენ მილიარდობით სისხლში, ქსოვილებში და სხვადასხვა ორგანიზმის განავალში (ექსკრემენტში, შარდში, ლორწოში და სხვ.).

ამ გზით გამოსული სხეულიდან ბაცილები ეშვებიან ნიადაგზე და აქ შესაფერ პირობებში (12—38⁰, სინესტე), შობენ სპორებს. სხვადასხვა ატმოსფერულ მიზეზებისა გამო, სპორები დედამიწის ზურგიდან ჩაღიან ღრმა ფენებში და იქ ინახვენ თავს უზომოთ დიდხანს, სანამ ხელმეორედ, შემთხვევით, არ ამოჰყოფენ თავს მიწის გულიდან სფეროში ჰიაცილების ან ლოკოკინის საშუალებით. აქ სპორები, გახურებული ზაფხულის მზით, შობენ ბაცილებს, რომლებიც ევლინებიან ნიადაგს და მცენარეებს.

არსებობს კიდევ მეორე გზა ციმბირის ქირის გავრცელებისა. ეს არის სხვადასხვა მწერები და ტკიპები (ჯლიბები), რომლებსაც თავის (სადმე დასერილი ციმბირის ქირის სნებით) ისრით, კბენის დროს, გადააქვთ ეს სენი ავადმყოფიდან ჯანსაღ საქონელზე: მართლაც-და მკებნარ მწერთა გუნდობის დროს შემჩნეულია სენის ფართო გავრცელება.

ხორცის მკამელ ცხოველებს (ძაღოს, კატას, ღორს და კაცსაც) ეყრებათ ეს სენი ავადმყოფი საქონლის ხორცის საშუალებით. თუ ასეთი ხორცი შექმნილია მაშინვე დაკვლის ან ლეშის გაკრის შემდეგ, სანამ ბაცილებიდან გამოიჩეკებო-

დენ სპორები, შესაძლოა კუკის წვეწმა (იქ არის ნორმალურად მარილის სიმკვლე) მოჰკლას ციმბირის ჭირის ბაცილები და ამით ააცილოს თავიდან პირუტყვის საშიშროება.

მაგრამ შესაძლოა ამ შემთხვევაშიაც დაემართოს პირუტყვის ეს სენი, თუ მას აქვს იარა ან ჭრილობა სადმე პირის ღრუში და საყლაპავ მილში.

პირუტყვიდან პირუტყვზე პირდაპირ ამ სენის გადასვლა იშვიათი მოვლენაა.

შინაურ ცხოველებიდან ციმბირის ჭირის მიმართ მაღალ-მგზნობიერი არიან ბალახის მკამლები — ცხენი, ცხვარი, ხარ-კამეჩი და იშვიათად თხები.

აქ უნდა ვთქვათ, რომ არის აფრიკაში ალჯირის ჯიშის ცხვარი, რომელსაც სრულებით არ ემართება ეს სენი.

არ ემართება აგრეთვე ფრინველებსაც. მიზეზია — მათი ნორმალური მაღალი სხეულის ტემპერატურა (41° — $42,5^{\circ}$).

სენის ერთხელ გადატანა ცხოველს აძლევს დიდი ხნის ან მუდმივ იმუნიტეტს, ე. ი. საქონელს მეორედ აღარ ემართება ეს სენი.

სხეულში ასე თუ ისე შესული სპორები შობენ ბაცილებს და მრავლდებიან იქ ზემოხსენებულ დაყოფის გზით. მაგრამ ორგანიზმიც ამ ბაცილებს არ ხვდება პასიურად და მათ წინააღმდეგ სხეულის სითხეებში (უფრო სისხლის შრატში) მუშავდებიან ბაცილების მომკვლელი ნივთიერებანი (ანტიტოქსინები).

გარდა ამისა, ორგანიზმი ახდენს ფაგოციტების ნამდვილ მობილიზაციას, რომლებიც, შეძლებისამებრ, მედგრად ებრძვიან მტერს — ბაცილებს და თავის პსევდოპოდების საშუალებით შთანთქავენ მათ

ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია, ერთის მხრით, სხეულის უჯრედების სიმრთელიდან, ღონიდან და მეორეს — ციმბირის ჭირის ბაცილების სიძლიერიდან, რაც გამოიხატება მათ გარშემო ლორწოიანი გარსის შექმნის უნარში. ეს გარსი

იცავს მათ ბაცილათა მომკვლელ და მომსპობ ნივთიერებათაგან და ფაგოციტებისაგან. იმ პირუტყვთ, რომელთაც აქვთ შეთვისებული იმუნიტეტი, თავის სხეულში მუდამ მზად აქვთ უხვათ ნახსენები ზემოთ ანტიტოკსინები, რომლებიც არ აძლევენ საშუალებას ბაცილებს გავრცელდნენ სხეულში და თან ჰკლავენ მათ.

სნების სხეულში შესვლიდან და ავადმყოფობის პირველი ნიშნების გამოჩენამდე ჩვეულებრივად გადის 2—14 დღე.

ხანდახან ავადმყოფობა იღებს **ძალზე** მწვავე ხასიათს, ე. წ. ელვასებრი მიმდინარეობას: სრულიად ჯანსაღი, შესახედავად, საქონელი უცებ ეცემა მიწაზედ, ეხუთება სული, ეკრუნჩხება ფეხები; ცხვირ-პირიდან გამოდის სისხლიანი ქაფი, უკანა ტანიდან — სისხლიანი ლორწო და რამოდენიმე წუთის შემდეგ საქონელი კვდება.

ასეთ მწვავე ავადმყოფობას კიდევ ეძახიან — აპოპლექსიურ ციმბირის ქირის ფორმას.

უმეტეს ნაწილად, ციმბირის ქირს აქვს უფრო **ნელი** ხასიათი, და ავადმყოფობა გრძელდება 2—5 დღეში. თავში, საქონელს ემჩნევა **საერთო** გაღიზიანება და წუხილი, რაც მალე გადადის ერთგვარ დაღლილობაში: პირუტყვი დგას თავჩაღუნული, აპატიურად; ბარბაცებს სიარულში. სულს ითქვამს მძიმეთ; პულისი აქვს ჩქარი და სუსტი; ეტყობა თრთოლა და კანკალი. სიცხე უკანა ტანში ადის 4:—42 გრადუსამდე.

ხანდახან ხარ-კამეჩ-ცხვარს ებერება ძალზე ფაშვი, ცხენს უტყდება მუცლის ტკივილი და ქვალები, რის გამო პირუტყვი ეცემა მიწაზედ, გორავს, სცემს თავს მიწას, ეკრუნჩხება ფეხები. **იშვიათად**, სიკვდილის წინ ეწყება ფალარათი სისხლით.

შარდი მუქი, ხშირად **სისხლიანია**.

ფური საქონელი შრება.

ხანდახან ცხენს და ხარ-კამეჩს სხეულზე ემჩნევა **ცხელი** შეეშუპებული სიმსივნეები სათესლეებზე, ცურზე, მუცლის ქვეშ, გულ-მკერდზე, კისერზე, ყელზე და სხვ.

სიმსივნეები იზრდებიან უცებ, ეტყობათ შეშუპება, სიცხე. ლორები და ძაღლები ციმბირის ქირით ავად ხდებიან ყელის სიმსივნის ნიშნებით, რის გამო მათ ეტყობა მძიმე სუნთქვა.

ცხვრების ციმბირის ქირი მიმდინარეობს ხშირად ძლიერ მწვავედ — **უნიშნებოდ** და ცხვარი კვდება **უეცრად**.

ძლიერ იზვიათად, ეპიზოტიას აქვს განსაკუთრებული მიმდინარეობა, და ავადმყოფები იტანენ ამ მძიმე სენს.

ციმბირის ქირის გამოცნობა, კლინიკური დაკვირვების გარდა, სისწორით შეიძლება სისხლის და ორგანოების ნაწილების მიკროსკოპიული გამოკვლევით: ციმბირის ქირით ავადმყოფი საქონლის სისხლში ან ლეშის ორგანოებში უსათუოდ უნდა იყოს ციმბირის ქირის ბაცილები. აქ უნდა ვთქვათ, რომ ციმბირის ქირიან ცოცხალ საქონლის სხეულში ეს ბაცილები მოიპოვება პერიფერიულ სისხლში მხოლოდ სიკვდილის წინ — 2—3 საათის წინ.

ლეშის გაქრის დროს ჩვენ ვპოულობთ დაუკვდელ **მოშავო** სისხლს (აქედან Antirax, რაც ნიშნავს ბერძნულ ენაზე **ნახშირს**), ძალზე გასივებულ და გადიდებულ ელენთას და ჯირკვლებს; კანქვეშა ქსოვილში — სისხლიან მოთანთალე შეშუპებას, ნაწლავების ანთებას და სხვ. ქსოვილი ელენთასი მოშავო, შინდის ფერია, თხელია, გაქრის შემდეგ თავისუფლად მოსწვეთს სისხლი. ღვიძლი და თირკმლები გასივებულია, ფილტვებს ეტყობა შეშუპება, გაჟღენთა სისხლით.

დანარჩენ ორგანოებშიაც ეტყობა სისხლის შეჩერება და წერტილისებრი სისხლის თხევა.

თუ ციმბირის ქირის ბაცილები მოხვდა პირუტყვს **კანში**, მწერის ან ტკიპის მეოხებით, და ვერ შესძლეს კიდევ შესვლა სხეულის შიგნითა ორგანოებში (ე. წ. კარბუნკულის ფორმა), მაშინ შეიძლება მივმართოთ ადგილობრივ ექიმობას იმ იმედით, რომ ავადმყოფობას ეგებ დავსძლიოთ.

ამ შემთხვევაში ან უნდა ამოვკრათ და შემდეგ ამოვწვათ გახურებული შანთით სიმსივნე, ან მხოლოდ ამოვწვათ.

გარდა ამისა, შეიძლება ღრმად დავსეროთ სინსივენე*) და ზედ დავადოთ მარლა, გაელენთილი 1:100 სულემის სითხით, 5:100 კარბოლით, 5:100 კრეოლინით, იოდის ტინკტურით. ამას უნდა დაემატოს—კან ქვეშ, იმ საზღვრებში, სადაც თავდება სიმსივნე, — შეშხაბუნება ზემო ხსენებულ ხსნილებსა.

თუ ციმბირის ქირის ბაცილები შესული არიან შიგნითა ორგანოებში, მაშინ ექიმობაზე ზედმეტია ლაპარაკი.

თუ გვეგონია, რომ სნება იმყოფება მხოლოდ საკვების მომწელებელ აპპარატში, მაშინ შეიძლება მივმართოთ შემდეგ საშუალებებს:

ავადმყოფ ცხენს—2,0 კალომელი—რამდენიმეჯერ დღეში
„ ხარ-კამეჩს—300,0 სკიპიდარი + ზეთი,
„ ცხეარს-თხას—50-80,0 „ + „

ამასთან უნდა მიეცეს ღვინო, ქათურის სპირტი.

ციმბირის ქირთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს წინასწარ, გამაფრთხილებელ ზომებს: ღვინის და ავადმყოფის ყოველგვარი განავლის მსწრაფლი მოსპობას.

ძლიერ საიმედო საშუალებას ამ მხრივ წარმოადგენს მაღალი ტემპერატურა, ე. ი.: ობიექტების სავსებით დაწვა.

თუ ღვინის დაწვა ვერ მოხერხდა, მაშინ საჭიროა ამოითხაროს სამარე სამი ალაბის სიღრმეზედ, ჩაიმარხოს უიდ ღვინი და თვით ღვინზე დაეყაროს 1/4 ალაბის სისქეზედ გადაუმწვარი კირი.

იმ ალაგს, სადაც იდგა ავადმყოფი საქონელი, უნდა მოესხას სულემა, კარბოლი, ფორმალინი ასეთი დეზინფექცია უნდა მოეხდინოს იმ ნივთებს, რომლებსაც ხმარობდა ავადმყოფი.

საექვო საბალახოები უნდა გაუქმებულ იქმნან ან და თი-

*) საჭიროა სთანადო სიფრთხილე და დეზინფექცია.

ბათვე-მკათათვეში აიკრძალოს საქონლის საძოვრად გადენა ესეთ ადგილებში. იქ-კი, სადაც ხშირად მეორდება ციმბირის ქირი, საჭიროა მოხდეს ამ სენის წინააღმდეგ სათანადო წინა-სწარი, ანუ დამცველი საქონლის აცრა.

40 წლის წინათ საფრანგეთის დიდმა მეცნიერმა პასტერმა ექსპერიმენტალურად დაამტკიცა, რომ ციმბირის ქირის ბაცილების გადვივება 12—24 დღის განმავლობაში (42,5° ტემპერატურა) ასუსტებს მათ მომწამვლელ თვისებებს იმ ზომამდე, რომ აცრა მათი შინაურ პირუტყვს ალარა ჰკლავს და იწვევს მხოლოდ მცირე, მალე-წარმავალ სიცხის მომატებას საქონლის სხეულში.

ამ რიგათ დამზადებულ ბაცილებს ჰქვია ციმბირის ქირის ვაქცინები (პირველი—სუსტი და მეორე უფრო მაგარი).

ჯერ უკრიან პირველ ვაქცინით კან ქვეშ—0,5 და ორი კვირის შემდეგ მეორე ვაქცინით—0,1. ამ აცრის შემდეგ საქონელი უნდა ჩაითვალოს დაზღვეულად ამ სენის წინააღმდეგ ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგ საჭიროა აცრის განმეორება.

ვაქცინების გარდა, არსებობს კიდევ აცრა ციმბირის ქირის შრატით.

ამისთვის ამზადებენ პერიოდულათ ცხენის ორგანიზმს ზემო მოყვანილ წესით დასუსტებულ ციმბირის ქირის ბაცილებით.

ასე დამზადებული ცხენი ბოლოს და ბოლოს ვერც-კი ჰგრძნობს ციმბირის ქირის ნორმალურ ბაცილების კან ქვეშ შეშხაპუნებას.

ასეთ მაღალიმუნოვანი ცხენის შრატი რომ შეუშხაპუნოთ ციმბირის ქირით დაავადებულ პირუტყვს, ბაცილები ჰკარგავენ გამრავლების უნარს და ბოლოს იხოცეცებიან ორგანიზმის სამშვიდობოთ.

ორიოდე სიტყვა კაცის ციმბირის ქირზე

არც ერთი პირუტყვის ავადმყოფობა არ გადადის ისე ხშირად კაცზე, როგორც ციმბირის ქირი. ამ მხრივ დიდ სა-

შიშროებას წარმოადგენს ავადმყოფთა ხორცი, ტყავი. მატყლი, ბალანი, ბეწვი და სხვა. ფათერაკს წარმოადგენს აგრეთვე ავადმყოფი საქონელი და მისი ლეში.

ამ სენით ავად ხდებიან ხშირად მწყემსები, ვეტერინარები, მათი ფერწლები, მეეტლეები, მეჯინბეები, ლეშის გამტყავებლები და სხ.

1904—1905 წწ. რუსეთ-იაპონიის ომის დროს ხშირად იყო ციმბირის ქირის შემთხვევები ჯარის კაცთა შორის. მიზეზი იყო ციმბირის ქირიანი ცხვრების ტყავების სათბურები.

ნიშნები კაცის ციმბირის ქირისა ისეთივეა, როგორც საქონლისა. ექიმობაც ერთნაირია.

ქოთაო. Malleus.

ქოთაო—ერთილიქიან პირუტყვთა გადამღები ქრონიკული ავადმყოფობაა. წინათ ეს სენი ძლიერ გავრცელებული იყო, მაგრამ ბოლო ხანებში, მის წინააღმდეგ რაციონალურ ზომების მიღების გამო, შედარებით დასცხრა. როგორც სტატისტიკური წყაროებიდან სჩანს, ქოთაო არსებობდა და არსებობს ჩვენშიდაც.

ქოთაო ემართება ცხენს, ვირს და ჯორს; ხელოვნურად შეიძლება გადატანილ იქმნას კატაზედ, ძაღლზედ, ცხვარზედ და თხაზედ. შეიძლება გადავიდეს ეს სენი კაცზე და, იშვიათად, აქლემზედ; ხარ-კამეჩი, ღორი და ფრინველი დაცული არიან ამ სენიდან: მათ არც ბუნებრივად, არც ხელოვნურად არ ემართებათ ქოთაო. ავადმყოფობის აღმძვრელი—სწორი ანდა ოდნავ მოღუნული ბაცილაა, რომელიც იმყოფება ცხვირის ლორწოში და ქოთაოთ დაავადებულ ორგანოთა ჩირქში. ქოთაოს ბაცილები ინახავენ თავის მომწამვლელ თვისებებს სინესტეში 14—24 დღეს. გახმობ-გაშრობა მათ ჰკლავს 1—3 თვის განმავლობაში. მზის სხივები სპობს 24 საათის განმავ-

ლობაში. გათბობა 5.⁰ მდე — 5 წუთში. კარბოლის, სულემის ხსნილი, კირის რძე და სკიპიდარი 2—3 წუთში. კუქის წვენი ჰკლავს მათ 15 საათის განმავლობაში. გაყინვას ეს ბაცილები კარგად და ღიბხანსაც იტანენ.

ამ ბაცილების კულტურა (ხელოვნურათ ბულიონში, გაღვივების შემდეგ) რომ შევუშხაპუნოთ ცხენს ან ვირს კან ქვეშ (ანდა წაუღსვათ მათ ცხვირის ლორწოიან გარსზე), 2—3 დღის განმავლობაში პირუტყვს სცემს სიცხეს, და აცრის ადგილზე, შემდეგ სხეულის დანარჩენ ნაწილებზედაც-კი, ჩნდება პატარა-პატარა კვანძები, რომელნიც მალე გადაიქცევიან იარებათ და დაჩირქდებიან. ამათ გარშემო სხეულს ეტყობა ანთება და სიძსიენე ლიმფატიურ ჯირკვლებისა.

ეს კულტურა რომ შევაკამოთ ხსენებულ პირუტყვთა, მივიღებთ ასეთივე კვანძებს ფილტვებში და, იშვიათად, ღვიძლში. თითქმის ავადმყოფობის ასეთ სურათს ვიღებთ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ცხენს ვაძლევთ საშუალებას მოსწიოს ბურნუთის მსგავსათ, გამხმარი ქოთაოს ბაცილების კულტურა.

ბუნებრივათ ეს სნება ვრცელდება ავადმყოფი პირუტყვის ცხვირის ლორწოს და კანის ქოთაოს კვანძების ჩირქის საშუალებით.

ექსკრემენტებში და შარდში, ჩვეულებრივათ, არ იმყოფება ქოთაოს ბაცილა. შესაძლოა, პირუტყვს დაემართოს ეს სენი ქოთაოს ბაცილით ახლად დასვრილი ნიადაგიდანაც. უმეტეს ნაწილად, ცხენს ემართება ქოთაო ავადმყოფი ცხენის ცხვირის ლორწოთი, რომელიც ხვდება ან საკვებს ან სასმელ წყალს. შესაძლოა, ავადმყოფობა გადავიდეს ამ სენით დაავადებულ ცხენთა ხურაობის დროსაც. გადატანა შეიძლება კიდევ ამ ბაცილებით დასვრილი სახეხით, სამურველის გზით და სხვა. ჩვეულებრივათ, ავადმყოფობა ჩნდება ოჯახის ცხენებში ახლად ნაყიდი ავადმყოფი ცხენიდან. ამ სენის გავრცელებაში დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა მაწანწალა ციგნების, დალალების და მეეტლების ცხენები. ამ სენმა შეიძლება ძლიერ

იფეთქოს ცხენოსან რაზმებში და სხვა ისეთ გვარ ადგილებში, სადაც ცხენები ბლომად იყრის თავს.

ამ სენის მხრივ უფრო მგრძნობიერია ვირი, რომელსაც ჰკიდებს ხელს ძალზედ მწვავედ და მძივედ. აქაც, როგორც სხვა გადამდებ ავადმყოფობის მიმდინარეობაში, სუფევს ინკუბაციური ხანა, რომელიც გრძელდება რამოდენიმე კვირიდან რამოდენიმე თვემდე.

არჩევენ **მწვავე** და **ხრონიკულ** ქოთაოს. **მწვავე ქოთაო** იწყება მძიმე შეცივებით და სიცხის აწევით 41—42⁰-მდე; პირუტყვს ეტყობა ძლიერი დაღლილობა, სრული აპატია, ბალნის აბურძგნა; სუნთქვა ხშირი; მადა ეკარგება; ხილულ ლორწოიან გარსებს ეტყობა ანთება. ორი-სამი დღის შემდეგ ეს ნიშნები მწვავედებიან, და ძალზედ გაწითლებულ ცხვირის ლორწოიან გარსზე ჩნდებიან ჩირქიანი კვანძისებრი ბუშტუკები, რომლებიც მალე სქდებიან და ხდებიან იარად. ამ იარებმა შეიძლება შეუერთდნენ ერთმანერთს და დაიკირონ მთლიანად დიდი ადგილი. ამის შემდეგ ცხენს მოსდის ცხვირიდან სისხლ-ნარევი ლორწოიანი, მომწამვლელი წვინტლი ან ჟვინტი.

კანის სხვადასხვა ადგილზე ჩნდებიან ან დიდი შეშუპებული სიმსივნეები, რომლებიც დაბოლოს ჩირქდებიან და იღებენ ღრმა იარის ხასიათს. ლიმფატიური მილები და ჯირკვლები სივდებიან და იზრდებიან. სახსრებს ემჩნევა სიმსივნე. ავადმყოფი სრულებით აღარ სკამს, მალე მკლევდება და 10—20 დღის შემდეგ კვდება. **მწვავე ქოთაო** ხანდახან გადადის ქრონიკულ ქოთაოში. მაგრამ შეიძლება პირუტყვი თავიდანვე ავად გახდეს ქოთაოს სუსტი, ღუნე ნიშნებით და ავადმყოფობა გაგრძელდეს ერთს, ორს და მეტს წელიწადს უწინ ეგონათ, რომ ხრონიკული ქოთაო ვითამ ჩნდებოდა ცხენის **ჩამომრებიდან**, მაგრამ ეხლა ნათლად არის გამოარკვეული, რომ ქოთაოს და ჩამომრების აღმძვრელებს საერთო არა-რა აქვთ და ჩნდებიან ერთი მეორიდან დამოუკიდებლივ.

ხრონიკული ქოთაო იწყება ფილტვების დაავადებით,

რის შემდეგ ჩნდება აღწერილი ზევით ცხვირის ქოთაოს ნიშნები და, იშვიათად, კანის ქოთაო.

ამნაირად არჩევენ ხრონიკულ ქოთაოს სამ ფორმას: ფილტვების, ცხვირის და კანის ქოთაოს. მაგრამ ეს ფორმები ერთი და იგივე ავადმყოფობის ნიშნებია და გამოწვეულია ერთი და იგივე ქოთაოს მიკრობით. გარდა ამისა, ცხვირის ქოთაოსთან ერთად არსებობს ფილტვების ქოთაოც. ფილტვების დაზიანება მიმდინარეობს ნელ-ნელა და ჩვეულებრივ შეუმჩნეველად. გადიან თვეები, და ცხენს ფილტვების ქოთაოთ ავადმყოფობის არა-რა ემჩნევა,—მხოლოდ, დროგამოშვებით, ახველებს, მკლევდება, ეკარგება მუშაობის უწინდელი უნარი. ხანდახან უმიზეზოთ უტყდება ცხვირიდან სისხლის დენა; ხველების დროს ავადმყოფი ამოისვრის სისხლიან და ლორწოიან ნაკვეთებს. თუ ავადმყოფობით ძლიერ დაზიანებულია ფილტვები, მაშინ პირუტყვს ეხუთება სული და სიარულის დროს უცებ იღლება, ოფლიანდება და უტყდება ქოშინი. ამ ნიშნებს შეიძლება თან დაერთოს ცომისებრი, უმტკივნეულო სიმსივნე ასოს ჩუჩასი ან ცურისა. შეიძლება, დაეტყოს კიდურებს ძირა ნაწილებში სიმსივნეები, რომელნიც პერიოდულად ჰქრებიან.

ხრონიკული ცხვირის ქოთაო იწყება ცხვირის ლორწოიანი გარსის ანთებით; ორივე ნესტოებიდან, და ხშირად უფრო მარცხენა მხარედან, მოსწვეთს თავდაპირველად გამსჭვირვალე და შემდეგ ლორწოიანი წვინტლი. დენა ბოლოს იღებს მომწვანო, წებოსებრ ჩირქის სახეს, რომელიც მაგრად ეკვრება, ქერქის მსგავსათ, ცხვირის ხვრელის კიდევებს; ცხვირის ნესტოების ლორწოიან გარსის სისხლის ძარღვები ძალზედ გავსებულია სისხლით, თვით გარსი გაქდენთილია და გასივებული. დაბოლოს, მაზედ ჩნდება რუხი ან მოყვითალო, ფეტვის კაკლის ოდენა, კვანძები, რომლებიც მალე ჩირქდებიან და იღებენ ღრმა იარის ხასიათს. იარები იზრდებიან, უჩნდებათ მათ უსწორმასწორო ნაპირები და ქონისებრი ფსკერი. ეს ცვლილებანი უჩნდება პირუტყვს

ცხვირის ძირა ლოკოკინაში და ცხვირის ძვიდეში. აქ ხშირად იარები იღებენ სხივისებრ, ბრწყინვალე, ბრტყელ, ბორცვისებრ, წითელს ან მოთეთრო სახეს—ეს მორჩენილი ქოთაოს იარებია. ხანდახან ყველა იარები იღებენ ასეთ ხასიათს და ცხვირიდან დენა ისპობა. მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ ხელახლად ჩნდებიან ჩვეულებრივი ქოთაოს კვანძები და იწყება ხელახლად აღწერილი ზევით ცხვირის დენა.

ქვედა ყბის ლიმფატიური ჯირკვლები იმ მხარეზედ, სადაც ცხენს ცხვირიდან დენა აქვს, სივდებიან, მაგრდებიან და არიან **მაგრათ მიზრდილი** კანზე და ყბაზე. ეს ჯირკვლები სრულიად **უძრავნი**, **უტკივნეულნი** არიან და მათ **არ ეტყობა** სრულიად სიმბურვალე. ეს მოვლენა არის მათი დამახასიათებელი ნიშანი და ეს ჩვენ კარგათ უნდა გვახსოვდეს. სხვა მიზეზების გამო (მაგ. ჩამომრების დროს) ქვედა ყბის ჯირკვლები, მართალია, შეიძლება იქმნან გადიდებული, მაგრამ ისინი იქმნებიან **მოძრავი**, მათ ზემოთ შეიძლება კანს ნაოქად მოუყაროთ თავი, მათ ექნება სიმბურვალე და სხვა მწვავე ანთების ნიშნები.

კანის ქოთაო:

კანის ქოთაო გამოიხატება ავადმყოფი ცხენის კანზე თხილის კაკლის ოდენა კვანძების და იარების გაჩენაში. ამ კვანძებს თავდაპირველად ეტყობა სიმბურვალე და ტკივილი, შემდეგ დაჩირქება და დაიარება მოყვითალო-რუხი ფერის ჩირქით. აქ ლიმფატიური ჯირკვლები და მილები ფართოვდებიან, მაგრდებიან და იღებენ სხვილი ზონარის სახეს. ჩვეულებრივად, ქოთაოს კვანძები ჩნდება ამ ზონარის გასწვრივ. ახლო-მახლო კანქვეშა ქსოვილები იყენებებიან სეროზული სითხით, რის გამო მუცლის ქვეშ, გულმკერდზე და კიდურებზე ჩნდებიან ცომისებრი, უმტკივნეულო, შეშუპებული სრმსივნეები. ხანდახან ფეხები ისე უსივდებათ, რომ საქონელი მათ ძლივს ამოძრავებს.

ზოგჯერ ქოთაოდან ზიანდებიან ძვლებიც: ნეკნები და ტერფის ძვლები.

საერთოდ, ავადმყოფი ცხენი ძალზედ მკლევდება, ბალანი ჰკარგავს თავის პრწყინვალე სახეს, კანი ჰკარგავს თავის მოქნილობას, სისხლში მრავლდებიან თეთრი სისხლის ბურთულები. სხეულის ტემპერატურას ეტყობა პერიოდული ცვალებადობა: ხან აღის 40^o-მდე, ხან მოულოდნელად ეცემა ნორმამდე. შეიძლება ქრონიკულ ქოთაომ მიიღოს მწვავე ხასიათი მთელი სხეულის ინფექციის სახით. მაშინ პირუტყვს უცებ აძლევს სიცხეს, კანზე და ცხვირის ლორწოიან გარსზე აყრის ქოთაოს კვანძებს, რომლებიც ხდებიან ჩირქიან იარად, და იწყება ცხვირიდან დენა სისხლიან ლორწოსი. პირუტყვს ეხუთება სული, ტანზე უჩნდება შემოშუპებული სიმსივნეები; ავადმყოფი ძალზე მკლევდება, სულს ვეღარ ითქვამს, პულსი უცემს ჩქარა და სუსტად; უტყდება ფაღარათი და ავადმყოფი კვდება. საერთოდ, ამ სენის ხანგრძობობა ძალზე ცვალებადია—ორი კვირიდან 7 წლამდე. მასთან საქონლის მოუვლელობა, ზედმეტი მუშაობა, რაიმე კიდევ სხვა მიზეზები ამწვავენ ქოთაოს და მათ შეპყრობილ პირუტყვს მალე ეღება ბოლო. არის ისეთი იოლი შემთხვევები, როდესაც ცხენი იტანს ამ ავადმყოფობას, ნაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისია.

რასაკვირველია, თუ ავადმყოფობა გამოიხატება ცხვირიდან ჩირქის დენაში, სიმსივნეებში, კანის დიდ-ძალ კვანძებში და იარებში, მაშინ მორჩენის იმედი აღარ უნდა გვქონდეს.

ქოთაოს გამოცნობა ზოგიერთ შემთხვევებში წარმოადგენს დიდ სიძნელეს. თავის დროზე ავადმყოფობის გამოცნობა-კი უპირველესი საშუალებაა ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლაში და მის გავრცელების გზების შეწყვეტაში პირუტყვთა და აღამიანთა შორის.

წინათ ქოთაოს გამოცნობისთვის იღებდნენ მხედველობაში მხოლოდ კლინიკურ გამოკვლევებს, ე. ი. ეძებდნენ ცხვირში

კვანძებს და იარებს, უშინჯავდენ ქვედა ყბის ჯირკვლევს, კანის ზედაპირს და სხვა და სხვა. შემდეგ ექიმებს მიეცათ საშუალება დაემტკიცებიათ ქოთაოს არსებობა სენიან მასალის გადატანით სალაბორატორიო პატარა საცდელ ცხოველებზე: ზღვის გოქებზე, კატებზე და სხვა. დამტკიცდა, რომ თუ მამალ ზღვის გოქს აეცრა ქოთაოს მასალა (მაგ. ცხვირის ევინტი) მუცლის ღრუში, მაშინ 2—4 დღის განმავლობაში უსივდება მას სათესლეები, რომლებსაც ეტყობა სიმზურვალე და ტკივილი; ჩნდებიან ქოთაოს კვანძები და იარები და ზღვის გოქი იღუპება 2 კვირის განმავლობაში. კატას რომ აუცრათ ეს მასალა, 2—3 დღის შემდეგ ადის სიცხე $40-42^{\circ}$. აკრის ალიაგას ჩნდება სიმსიენე და მრგვალი იარა. მე-5—12 დღეზე კატა კვდება. გამოცდა თავდება სისხლის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით. ნახსენები დიაგნოსტიური საშუალება დიდებულია მაშინ, როდესაც ჩვენ გვაქვს სახეში გამოკვლევის დადებითი შედეგი, მაგრამ როდესაც საცდელი პატარა ცხოველები რჩებიან ცოცხალნი, მაშინ გვაქვს ნება გარდაწყვეტით ვთქვათ, რომ ჩვენ არ გვქონდა საქმე ქოთაოთ ავადმყოფ ცხენთან?.. არა. ამის ნება არა გვაქვს, რადგანაც ჩვენ ვუცრით საცდელ ცხოველს მხოლოდ მაშინ, როდესაც გვებადება რაიმე ექვი ქოთაოზე

ეგებ იმ მასალას, რომელიც ჩვენ ავიღეთ ქოთაოთ დაავადებულ ცხენიდან, შემთხვევით, არ მოჰყვა ქოთაოს ბაცილები!.. მაშინ ჩვენ უნდა მივმართოთ სხვა გამოკვლევის — უფრო უეჭველი, სწორი და ნამდვილ—გზას.

1890 წ. ვეტერინარებმა გელმანმა და კალნინგმა მიიღეს მალღეინი, რომლითაც შეიძლება სინამდვილით დაისვას დიაგნოზი — სკირს ცხენს ქოთაო თუ არა. ამ ექიმებმა მიიღეს კართოვილის ქოთაოს ბაცილების კულტურა, მიუმატეს მას წყალში გახსნილი გლიცერინი, გააღვივეს რამოდენიმე დღის განმავლობაში ტერმოსტატში (37°). შემდეგ მოჰკლეს ეს მიკრობები გახურებით 100° -მდე, გაწურეს თიხის

ფილტროში და ასე მიღებულ სითხეს, დაარქვეს **მალლენი**. დამტკიცდა, რომ მალლენის შეშხაპუნება ქოთაოთ დაავადებულ ცხენისას, იწვევს მოკლე ხნით ორგანიზმის სიცხის აწევას და ავადმყოფობის გამწვავებას.

არსებობს მალლენის ხმარების **3 წესი**: მალლენის კან ქვეშ შეშხაპუნება, მალლენის ჩაწვეთება თვალის უბეში და მალლენით გაცხება ზერელე დანით დასერილ კანზე. საზოგადოდ, მალლენის ხმარებას ჰქვია მალლენიზაცია. ვეტერინარიაში უფრო მიღებულია ძველი წესი მალლენიზაციისა: ეს არის მალლენის შეშხაპუნება კან ქვეშ.

მალლენის უგზავნიდა პეტერბურგის ექსპერიმენტალური ინსტიტუტი ყველა ვეტერინარებს, მოთხოვნისამებრ, თითო გრამიან ამპულაებში.

შეშხაპუნების წინ რამდენჯერმე უზომავენ სიცხეს საექვო ცხენს. მალლენიზაციას უშვრებიან იმ ხანაში, როდესაც ცხენს ნორმალური სიცხე აქვს. კისრის შუა ადგილის გაპარსვის შემდეგ, მალლენის უშხაპუნებენ აქ (კან ქვეშ — **ზერელეთ**) ერთ-გრამიან შპრიცის საშუალებით. 6 საათის შემდეგ ყოველ ორ საათში ერთხელ პირუტყვს უზომავენ სიცხეს. თუ ცხენი ქოთაოთი არის ავად, მაშინ მას აუღის სიცხე 8 საათის შემდეგ 40° -მდე. 14—18 საათის შემდეგ ადის 42° -მდე; სიცხე ამ წერტილზე ჩერდება რამოდენიმე ხანს (24—48 საათს) და ნელ-ნელა ეცემა ნორმამდე. ასეთ რეაქციის დროს პირუტყვს ემჩნევა ხშირი სუნთქვა და ხშირი გულის მუშაობა, თრთოლა, მადის დაკარგვა, სისუსტე და აპატია. ოპერაციის ალაგზე ეტყობა ვრცელი ანთებითი შეშუპებული სიმსივნე. თუ ცხენი იყო ჯანსაღი, მალლენიზაცია ჩაივლის სრულიად უშედეგოთ.

თვალის მალლენიზაცია იწვევს ქოთაოთ დაავადებულ ცხენის თვალში დროებითი ანთებას. თუ ცხენი ჯანსაღია, ასეთი მალლენიზაცია აქაც ჩაივლის უშედეგოთ. კანის მალლენიზაციას ახდენენ იშვიათად და ამაზედ არ ღირს აქ შეჩერება.

მალლენიზაციის გარდა, კიდევ სუფევს ერთი სადიაგნო-

ზო მეთოდი, რომელსაც ჰქვია ავგლიუტინაცია, რაც გამოიხატება ქოთაოს ბაცილების შეწება-შეერთებაში ქოთაოთ და ავადებული ცხენის სისხლის შრატში. შრატი უნდა იყოს განზავებული წყლით არა ნაკლებ 1:2000 პროპორციით.

არსებობს კიდევ ერთი მეთოდი: Wassermann-ის (resp. Bordet და Goussou-ს) რეაქცია, რომლის ახსნა არ შედის ჩვენს პროგრამაში.

ეხლა განვიხილოთ ზერელედ ის ავადმყოფობანი, რომლებიც ჰგვანან ქოთაოს. ასეთ ავადმყოფობად უნდა ჩავთვალოთ უბრალო ხრონიკული ცხვირის ღრუს კატარი (ანუ ლორწოიან გარსის ანთება). ამ ავადმყოფობის დროს ჩვენ ვერ ვპოულობთ ცხვირის ძგიდებზე ზემო აღწერილ კვანძებს; იარები თუ მოიპოვება—მხოლოდ მრგვალ-მრგვალი, მოწითალო ფსკერით. ქვედა ყბის ლიმფათიური ჯირკვლები თუ შესივებულია—თავისუფლად მოძრაობენ კან ქვეშ და შესივებული არიან ყოველთვის ორივეს მხრივ; ეტყობათ სიმხურვალე.

ქოთაოს შეიძლება ჰგავდეს კიდევ ეგრედ წოდებული ეპიზოოტიური ლიმფანგოიტი, რასაც ზოგიერთი ავტორები ეძახიან „აფრიკის ქოთაოს“. ჩვეულებრივად, აქ ზიანდება კანი, მაგრამ იარები მობრტყელოა, ჩირქი, მათგან გამოსული, ჰგავს უფრო რძის ნაღებს მასთან, ეს იარები ხშირად თავისთავად რჩებიან. გარდა ამისა, „აფრიკის ქოთაო“, გამოწვეულია ერთგვარი სოკოებით, რომლებიც მიკროსკოპის საშუალებით ადვილად გამოსაცნობია ნამდვილი ქოთაოს ბაცილებიდან.

ეხლა გადავიდეთ ქოთაოს წინააღმდეგ ბრძოლაზედ.

მრავალგვარი ექიმობა, მაგრამ ამაოდ, იყო ნაშინჯი. ამ ეამად კანონით აღკრძალულია ყველა ქვეყნებში ქოთაოს ექიმობა. სულ ბოლოს დროს იყო მიღებული მიკრობიული დამცველი საშუალება, ეგრედ წოდებული „ფარაზა“, რომლის აცრით სცდილობდნენ პირუტყვის სამუდამოთ ქოთაოდან დაზღვევას. ეს „ფარაზა“ მზადდება დახოცილ ქოთაოს ბაცილებიდან. შედეგები გამოცდისა იყო სრულიად გამამხნეველი,

მაგრამ მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი ამ ფრიად სერიოზულ საკითხის საბოლოოდ გამოკვლევას.

ქოთაო ისეთი მძიმე სენია როგორც პირუტყვისთვის, ისე ადამიანისთვის, რომ ყველგან მას აქცევენ ფრიად სერიოზულ ყურადღებას: მას ებრძვიან მიზანშეწონილი გეგმით სახელმწიფოები ყველა თავისი ორგანოებით.

რუსეთში უახლოესი თვალ-ყურის დევნა ჰქონდა მინდობილი შინაგან საქ. სამინისტროს, რომელსაც ჰქონდა შემუშავებული ვრცელი წესი ყველა მთავრობის, ქალაქთა და ერობების დაწესებულებათა სახელმძღვანელოდ.

ამ წესით, რომელსაც ჰქონდა კანონის ძალა, ევალეობდა ყველა ცხენის პატრონებს დაუყონებლივ შეტყობინება მთავრობის უახლოეს აგენტისთვის ქოთაოს მიმართ საექვო შემთხვევებზე. მაშინვე სათანადო ორგანო ჰგზავნიდა ვეტერინარს, რომელიც იკვლევდა ავადმყოფობას კლინიკურად, ბაქტერიოლოგიურად და მალღეინიზაციით.

ამ საშუალებებით დამტკიცებულ ქოთაოს წინააღმდეგ ვეტერინარმა უნდა მიიღოს შესაფერი ზომები, ესე იგი:

1) ცხენი, რომელსაც გამოაჩნდება კლინიკურად უდავო და ნამდვილი ქოთაოს ნიშნები, დაუყონებლივ უნდა იქმნას მოკლული და სათანადოთ დამარხული.

2) ცხენს, რომელსაც აღმოაჩნდება ქოთაოს საექვო ნიშნები, უნდა აეცრას მალღეინი იმ წესით, რომელიც იყო მოყვანილი ზემოთ. თუ მალღეინიზაციას მოჰყვა დადებითი შედეგები, მაშინ ცხენი, როგორც პირველ შემთხვევაში, დაუყონებლივ უნდა იქმნას მოკლული.

გარდა ამისა, უნდა აეცრას მალღეინი ყველა მეზობლად მდგომ ცხენებს, რომ პუნქტზე ძირიანად აღმოფხვრილ იქმნას ქოთაო. რომ **სავსებით** მოსპობილ იქმნას გზები ქოთაოს გავრცელებისა, საკიროა პუნქტზე სერიოზული დეზინფექცია ყველა თავლებისა, დაწვა ცხენის განავლისა, და, თუ ეს არ შეიძლება, დეზინფექცია მისი სულემის ხსნილით და დამარხვა

მ ალაბის სიღრმეზე მიწაში. მცირე ფასიანი თავლის საგნები — ცოცხი, თოკი, ხის ვედროები და სხვა უნდა იქმნან უსათუოდ დამწვარი, დანარჩენი-კი ამოვლებული სადგინო ფექციო მასალაში. როგორც იყო ნათქვამი, ამ სენით ავად ხდება კაცი, რომელზედაც გადადის ქოთაო ადვილად. ავად ხდებიან ხშირად: ვეტერინარები, ფერშლები, მეეტლეები, მეჯინიბეები, ცხენის პატრონები და სხვა, ე. ი. ის პირნი, რომლებსაც ასე თუ ისე საქმე აქვთ ცხენთან. მაგრამ, შესაძლოა, ქოთაოთ ავად გახდეს კაცი სრულიად შემთხვევით, როგორც ეს მომხდარა არა ერთხელ დიდ ქალაქებში. ვთქვათ, თქვენ გაიარეთ ახლოს ქოთაოთ შეპყრობილ ცხენთან და მისი წვინტლი მოგხვდათ ან თვალში ან ცხვირში—შედგვი იქნება თქვენი ქოთაოთ დაავადება ესეთი შემთხვევები იყო ბევრი აღწერილი გაზეთების ხრონიკაში. ერთ ასეთ შემთხვევის მოწმედ ჩვენც ვიყავით, როდესაც ბაქოში ავად გახდა ქოთაოთი ცნობილი ნაფიცი ვექილი ლებედინსკი 1905 წელში და მოკვდა კიდევ საშინელ ტანჯვებში.

კაცს ავადმყოფა ეწყება თავის ტკივილებით, გულის რევით და რწყევით, შეკვივებით, სიცხით. ორი-სამი დღის შემდეგ უტყდება სახსრებში და კუნთებში ძლიერი ტკივილები: კანზე ჩნდება მოწითლო ძლიერ ტკივნეული ლაქები, რომლებიც მალე ჩირქდებიან და მიუხედავად მიღებულ ზომებისა, არ ჰქრებიან, იზრდებიან და ჩადიან ღრმად სხეულში: ელენთა სივდება; ფილტვები იელენტება; ხანდახან გამოდის ცხვირიდან ქოთაოს დამახასიათებელი სისხლიანი ჟვინტი. მასთან შესაძლოა თვით ცხვირიც გასივდეს და ძალზედ გაწითლდეს. ხანდახან ავადმყოფობა აქაც იღებს ხრონიკულ ხასიათს და შეიძლება გაგრძელდეს რამოდენიმე წელს (ათს და მეტსაც) და, გამონაკლის შემთხვევებში, დამავრდეს 50%—ში დარგანიზმის სრულიად განკურნით.

ՄՐՄԻ (Rabies, Lyssa, Rage).

ეს ავადმყოფობა განსხვავდება სხვა გადამდებ სენებიდან იმით, რომ ცოფი გადადის პირუტყვიდან პირუტყვზე მხოლოდ კბენით.

ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მკბენავი პირუტყვი უნდა იყოს შეპყრობილი ცოფით.

ჩვეულებრივად ცოფით ავად ხდებიან ძაღლი, კაცა და, იშვიათად, მგელი და მელა.

ცოფი აგრეთვე გადადის ცხენზე, ხარ-კამეჩზე, ცხვარზე, თხაზე, ღორზე, ფრინველზე და კაცზედაც.

ცოფის აღმძვრელი მიკრობი ჯერ არ არის აღმოჩენილი. მეცნიერები ჰფიქრობენ, რომ ეს მიკრობი წარმოადგენს ისეთ პაწაწინა არსებას, რომ მისი დანახვა ჩვენის ღრრის მიკროსკოპით შეუძლებელია: საჭიროა ამ მიკროსკოპზე რაღაც უფრო გადაქარბებული აპარატი, რომელიც ჯერჯერობით კაცობრიობას ვერ გამოუფიქრია.

ასეთ პაწაწინა არსებას ეძახიან მიკრობიოლოგიაში ულტრამიკროსკოპიულ ოდენობას.

ეს ტერმინი უნდა დაიმახსოვროთ.

დამტკიცებულია მხოლოდ, რომ ცოფის უჩინარი მიკრობი მოიპოვება თავის და ზურგის ტვინში, ღორბლში (resp. ნერწყვში) და ნერწყვის ჯირკვლებში; გამტარებელი-კი სნები-სა არის სხეულის ნერვები.

თვით სნება ცოფისა მაინცა-და-მაინც არ არის ხანგრძლივი. ასე, დავარდნილ ღორბლში მას ძალა ეკარგება ერთს დღე და ღამეში; თუ ღორბლი გახმა—14 საათში. ტვინში, თუ ეს გრილად და გაუხრწნელად არის შენახული, სნება ინახება ორ თვემდე; გათბობა 52—58⁰ სპობს სნებას 1/2 საათში; 80⁰—ორ წამში; გაყინვა-კი (თუ გინდ—35⁰-მდე) სრულიმდ არ სპობს. გლიცერინი, პირიქით, ინახავს მას ათ თვემდე.

ხოლო რამოდენიმე წუთში ენერგიულად ჰკლავს მას—
 $1^{00}/_{00}$ სულემის ხსნილი, $2^{0}/_{0}$ გოგირდის სიმჟავე, $1^{0}/_{0}$ მანგან-
კალი და $1^{0}/_{0}$ კრეოლინი.

სავესებით სპობს მას **ლპობა**.

ბუნებრივად ცოფის გადადება ხდება გაცოფებული ძალ-
ლის კბენით,—მისი **დორბლის** საშუალებით. ეს დორბლი
უსათუოდ უნდა მოჰხვდეს დაკბენილ პირუტყვს გაკაწრულ
(ნაკბენ) კანში, კან ქვეშა ქსოვილში ან კუნთებში, ე. ი. იქ,
სადაც მოთავსებულია ნერვები.

ძლიერ საშიშროებას წარმოადგენს ორგანიზმისთვის, თუ
იგი დაკბენილია თავის რომელიმე ნაწილში—ტუჩში, ლოყა-
ში, ცხვირში და სხვა.

თუ ცოფიანი დორბლი მოხვდა ლორწოიან გარსს, მაგ.
პირში, ცხვირში ან თვალში,—შესაძლოა პირუტყვის ავად გა-
ხდომა ცოფით, თუ გინდ ორგანიზმი არც იყოს ნაკბენი.

ამ სენის ინკუბაციური ხანა უდრის ორი კვირიდან რა-
მოდენიმე თვეს (წლამდე).

ცოფის კლინიკური მიმდინარეობა იყოფება სამ ხანად:

1-ლი ხანა—გაცოფებული ძალის იცვლის ხასიათს; გარ-
ბის სახლიდან, ან-და იმალება სახლის მიბნელებულ ალაგებ-
ში; ძახილზე არ მიდის პატრონთან; ეტყობა წუხილი; უმიზე-
ზოდ ჰფხაქნის მიწას; ან-და გაშტერებული სდგას და ვითომ
პირით იჭერს ბუხს (ბუხი-კი არ სჩანს); უთავბოლოდ და უმი-
ზეზოდ ჰყეფს და ღმუჯის. პირუტყვს ეტყობა გაღიზიანება; ბრა-
ზით ეცემა გარეშე პირებს და ძაღლებს; ხმაურობა, მოულოდ-
ნელად რითიმე შეხება უცებ მათ ძალზე აღიზიანებს; ეტყო-
ბა თვალის გუგას გაფართოება, ჩქარი სუნთქვა.

მე-2 ხანა—ავადმყოფი თავის-თავად ძალზე გაღიზიანებუ-
ლია. პირიდან უხვად გამოდის დორბლი. ეტყობა, პირუტყვს
ელანდება რალაც გალლუციანაციები, რომლებიც მწვავედ აბ-
რაზებენ მას; ძალლი აგდია მიწაზე, განუწყვეტლივ ღრღნის
სხვადასხვა ნივთებს, ველარა სცნობს თავის პატრონს, ნაცნობ

აღამიანს და პირუტყვს; ჰკბენს მათ უმიზნოდ. დროგამოშვებით მიისწრაფვის გასაქცევად და თუ ჩაკეტილ კარებშია დამწყვდეული, სცდილობს კარების და კედლების ღრღნით გაინთავისუფლოს თავი...

მაშინ ძალღი გარბის უმიზნოდ, **სწორ მიმართულებით**; გზაზე შეხვედრილ პირუტყვს ჰკბენს.

ამ დროს არც ჰყეფს, არც ღმუის.

ასეთ გაღიზიანების შემდეგ პირუტყვს ეტყობა ძალზე დაღლილობა, რის გამო ის ეცემა მიწაზე; მძიმედ სუნთქავს, თვალის გუგა უარესად უფართოვდება; იპყრობს შიში: სულ მცირე გაღიზიანება, მაგ., ხელის ან ცხვირსახოცის აქნევა იწვევს ავადმყოფის სხეულში ცხარ სიბრაზეს, ე. წ. აეროფობიას.

პირუტყვს ეწყება ზოგიერთი სხეულის ნაწილებში სიღამბლეები. ეცვლება ყეფა, ეხლიჩება და ბოლოს სრულიად ეკარგება ხმა, რაც გამოწვეულია ხორხის ნერვების სიღამბლისაგან. ეწყება საყლაპავი კუნთების სიღამბლე, რის გამო ავადმყოფი ვერ იღებს და ვეღარ ჰყლაპავს საქმელს და **სასმელს** (აქედან ცნობილი ტერმინი სიციოფისია hydrophobia).

ღორბლი მოსდის უხვად, კუჭი შეკრული აქვს, თირკმლები ვეღარ ასრულებენ რიგზე თავის დანიშნულებას.

3—4 დღის შემდეგ სდგება—

მე-3 ხანა ავადმყოფობისა—სიღამბლეების ხანა, რომლის განმავლობაში ძალღს უვლის ცოფის ბნედა იშვიათად, სიღამბლის ნიშნები-კი უფრო-და-უფრო რთულდებიან. ასეთ ხანაში თვალში გვეცემა სიღამბლე ქვედა ყბისა, რომელიც უშნოთ ჩამოწოდლია ზედა ყბიდან რამოდენიმე მანძილზე და რის გამო პირუტყვს პირი დაფჩენილი და ენა გამოყოფილი აქვს. პირიდან ჩამოსდის ნერწყვის ნაკადი. პირუტყვს ეტყობა მთელი ტანის და კიდურების სიღამბლეები. ავადმყოფი ვეღარ დადის, ძლივს დაათრევს უკანა ფეხებს; კუდი ჩამოშვებული აქვს. პირუტყვი საბოლოოდ ეშვება მიწაზე და კრუნჩხვებში კვდება.

გარდა ამისა, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მძაფრი ხანა გამოხატულია სუსტად. მაშინ მოულოდნელად პირუტყვს ეწყება სიღამბლეები, რის მიხედვით არჩევენ სიცოფის ორ ფორმას—**ცხარ სიცოფეს** და **ჩუმ სიცოფეს**. შემჩნეულია, რომ მოშინაურებულ ძაღლს (ე. წ. ოთახის ძაღლს) ემართება ჩუმი სიცოფე, ნაგავს და ცხვრის ფარის ძაღლს-კი—**ცხარი სიცოფე**.

თითქმის ასეთივე ნიშნებით ავად ხდებიან დანარჩენი პირუტყვებიც.

ცოფის თავის დროზე გამოცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს და უფრო მაშინ, რადესაც დაკბენილია რომელიმე პირუტყვი ან კაცი. შეუდარებელივ ადვილი გამოსაცნობია სიცოფე ცოცხალ პირუტყვზე, ვიდრე მოკლულზე, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ჩვენ გვექნება საშუალება ვიქონიოთ სახეში ავადმყოფობის ყველა კლინიკური ნიშნები, ე. ი. ავადმყოფობის ისტორია. ამისათვის საეჭვო ძაღლი საჭიროა დაქერილ იქმნას და დამწყვდეულ რკინის გალიაში ან სხვა საიმედო ალაგში—გამოსაცდელად.

თუ ხელთა გვაქვს მხოლოდ მოკლული (ან მკვდარი) პირუტყვის ლეში, მაშინ ჩვენ უნდა გამოვიცნოთ ეს ავადმყოფობა ვაჭრის სურათით. ცოფიან ძაღლის კუჭში უსათუოდ ვპოულობთ ისეთ საგნებს, რასაც ნორმალურად ძაღლი პირს არ ჰკიდებს, მაგ., ნაფოტს, ქვას, ნახშირს, თივას, ჩალას, ბალანს და სხვ. უფრო დარწმუნებით შეგვიძლია გამოვსტევათ ჩვენი აზრი ლეშის ტვინის მიკროსკოპიულად გასინჯვის შემდეგ: დადებითი შემთხვევებში ვპოულობთ ე. წ. ამმონის რქებში—**ნეგრის სხეულაკებს**.

გარდა ამისა, შეიძლება საკითხის ბიოლოგიური გამოკვლევაც. ამ შემთხვევაში საჭიროა პატარა ნაჭერი მოგრძო ტვინისა აეცრას, ტვინის ქალას ტრეპანაციის შემდეგ, შინაურ კურდღელს—ტვინის მაგარი გარსის ქვეშ. დადებითი შემთხვევებში საცდელი პირუტყვი კვდება სიცოფიდან **3—4** კვირის შემდეგ.

ნაკბენის კრილობები დაუყოვნებლივ უნდა იქმნას განბანილი 1⁰/₀ სულემის ხსნილით, 3⁰/₀ კარბოლით, მაგარი სპირტით ან-და ძმრით. გარდა ამისა, საჭიროა გახურებული შანთით, ლიაპისით ან მწვავე სიმეავით ამოიწვას კრილობა.

შეიძლება კრილობას წაეცხოს და კრილობის მიდამოებში შემხაპუნებულ იქმნას იოდი (Tinct. jodi).

დაახლოებით, თუ ეს ზომები მიღებულ იქმნა 1/2 საათის განმავლობაში კბენის შემდეგ, შესაძლოა ცოფიდან კიდევ გადაჩრჩეს დაკბენილი სუბიექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში იმედი ამ ექიმობისა ნაკლებია.

გავრცელებული ცოფის ექიმობაზე (როდესაც დაკბენილს გამოჩენილი აქვს უკვე ცოფის ნიშნები) ზედმეტია ლაპარაკი.

ხარკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში პროფესორ ალადა-შვილმა გამოსცადა ერლიხის პრეპარატი „606“ გაცოფებული ადამიანების ექიმობისათვის, მაგრამ, კაცობრიობის საუბედუროდ, მან მიიღო ყველა შემთხვევებში არა სასურველი შედეგები: ყველა დაკბენილები დაიხოცნენ აუწყრელ მძიმე ტანჯვებში. შეიძლება მხოლოდ დაკბენილ პირუტყვს ან ადამიანს გაუკეთდეს წინასწარი, დამცველი აცრა.

ამისათვის იღებენ ხელოვნურად გაცოფებულ შინაურ კურდღლის მოგრძო ან ზურგის ტვინის პატარა ნაკერს, ახმობენ მას (23⁰ ტემპერატ.) თავდახურულ მინის ქილაში, რომლის ფსკერზე მოთავსებულია მწვავე კალი. ამ კალის დანიშნულებაა—შთანთქვა, შემრობა ტვინის სისველესი.

გახმობის დროს ტვინი ნელ-ნელა ჰკარგავს თავის მომწამვლელ თვისებებს და ბოლოს მას სრულიად ეკარგება ძალა. ეხლა, დაკბენილ პირუტყვს რომ დაუწყოთ სისტემატიურად ამ გვარად მომზადებული ტვინის მთელი რიგი შემდგომითი შემდგომად აცრა*), მაშინ პირუტყვი ითვი-

*) თავდაპირველად, უცრიან 14 დღის განმავლობაში გამხმარ ტვინს, შემდეგ—13 დღის განმავლობაში... და ასე გადადიან 5 დღეში გამხმარ ტვინზე.

სებს სენის ინკუბაციურ ხანაში ნამდვილ იმუნიტეტს და ჰკარგავს სნების მგრძობიერობას. ეს აცრა პირველად შემოიღო დიდმა ჰასტერმა.

ასეთი აცრა ხდება პასტერის ინსტიტუტებში, რომელიც არსებობს თბილისშიდაც.

ხოფუესის მეთოდი:

უნდა აეცრას დაკბენილს ცოფიანი ძაღლის მარილწყალში გახსნილი ტვინი (1:5000; 1:2000; 1:500; 1:200; 1:100; 1:10).

ფრანცოუს შარქსმა ასეთი აცრა შემოიღო მუცლის ღრუში გახსნილი ცოფიანის ტვინის უშხაპუნებით.

გალტიეს მეთოდით ასეთ ხსნილს (1:10) უშხაპუნებენ პირდაპირ სისხლის გამტარებელ მილში—ვენაში.

რა ზომები უნდა მივიღოთ ცოფის გავრცელების წინააღმდეგ?

უნდა მოისპოს როგორც ცოფიანი, ისე ცოფით საექვო ძაღლები და კატები.

გარდა ამისა, საჭიროა შემოღებულ იქმნას რეგისტრაცია და გადასახადი ძაღლებზე, აგრეთვე მოსპობა მაწანწალა, უპატრონო ძაღლებისა.

კარგ ზომათ უნდა ჩაითვალოს პირბადეების სავალდებულო შემოღება ყველა ძაღლებისათვის (დიდ ქალაქებში). ამ წესით ინგლისში სრულიად მოისპო ცოფი.

თურქული (Aphthae).

თურქული ძლიერ გავრცელებული ეპიზოოტიია.

ავადმყოფობის აღმძვრელი ჯერ არ არის აღმოჩენილი და უნდა ჩაითვალოს ულტრამიკროსკოპიულ ქმნილებათ.

თვით გადამდები სნება მოთავსებულია პირის გარსის და ჩლიქის ნაპრაღის (ორჩლიქიანთა) თურქულის ბუშტუკებში.

ავადმყოფობა გადადის ავადმყოფიდან კარგად მყოფზე, ბოსელში ან თავლაში ერთად ღვომის დროს, საძოვრებზე და სხვ. უფრო ხშირად-კი ეს სენი ვრცელდება ავადმყოფის დორბლის, რძის, სნებით დასვრილი სასმელი წყლის, საკვების, ვედროს, საქონლის მომვლელის ტანისამოსის საშუალებით და სხ.

ინკუბაციური ხანა უდრის 2—7 დღეს, რის შემდეგ ავადმყოფს აძლევს სიცხეს ($40—41^{\circ}$), ეკარგება ქამის მადა და ნაცოხრის ამოღების უნარი.

პირის ლორწოიანი გარსი წითლდება, სივდება, ხურს. 1—2 დღის შემდეგ ცურის და ჩლიქების ნაპრალის კანზე ჩნდება ბუშტუკები, გავსილი გამსქვირვალე სითხით. ბუშტუკები მალე სქდებიან და მათ ალაგზე ჩნდებიან ზერელე, ხანდახან ვრცლად მოდებული, იარები.

ასეთი ბუშტუკები რქოსან საქონელს, ჩვეულებრივად, უჩნდება პირის ღრუში და ჩლიქების ნაპრაალში.

ხანდახან იარები ჩნდებიან ცხვირის ლორწოიან გარსზე, დინგის სარკვეზე, თვალის კაკალზე, რქების ფუძეზე და ცურზე.

ბოლო შემთხვევაში ცური სივდება, ფართოთ იფარება ბუშტუკებით და წითლდება; ეტყობა ტკივილი. რძე იღებს მოყვითალო ფერს, ხარშვის დროს იქრება, დღევით არ იძლევა კარაქს; ეკარგება ჩვეულებრივი გემო; ეძლევა სუნნი; ოდენობა მცირდება. ხანდახან ავადმყოფობა რთულდება ფილტვების და ჩლიქების ანთებით. ჩლიქები ხშირად ჩარქდებიან და ჰკარგავენ თავიანთ რქის ბუდეს.

საზოგადოდ, თურქული მიმდინარეობს იოლად და პირუტყვი ავადმყოფობს ერთი კვირიდან ორ კვირამდე. ამ დროს ავადმყოფი, პირის ტკივილების გამო, საკმაოდ ვერ სქამს, თავისუფლად ვერ მოძრაობს, კოკლობს (თუ დაზიანებული აქვს ჩლიქების ნაპრაალი), რის გამო ძალზე მქლევედება, სუსტდება.

ცხენს თურქული ემჩნევა მხოლოდ პირის ღრუში: ტუჩებზე და ენაზე.

თურქულით ავად ხდებიან ფრინველებიც: მათ აყრის ბუ-
შტუკებს ბიბილოზე, ნისკარტში, თვალზე და ფეხებზე.

გარდა ამისა, მათ უსივდებათ ფეხები და სძვრებათ თი-
თებიდან ბრკყალეები.

თურქულს, იოლ შემთხვევებში, არ სჭირია ექიმობა: სა-
ჭიროა მხოლოდ სისუფთავის დაცვა და საქონლის დასვენება.

თუ პირუტყვს აქვს პირში ბლომად დაყრილი—უნდა გა-
მოველოს 3⁰/₀ ბორის სიმჟავე, 2⁰/₀ რკინის შაბიამანი, 1⁰/₀
მარილის სიმჟავე და შაბის ხსნილი.

ჩლიქების ნაპრალის ავადმყოფობის დროს—უნდა ნაპრა-
ლი გამოირეცხოს 10⁰/₀ რკინის შაბიამანით და 3⁰/₀ კარბო-
ლის სიმჟავით. შეიძლება წაეცხოს ნაძვის კუპრი (pix liquida),
მიფტრქვას შაბის ფხენილი, ნაფტალინი და სხვა.

ცურის თურქულის წინააღმდეგ შეიძლება ვიხმაროთ 3⁰/₀
ბორის სიმჟავის ხსნილი. თუ ცურზე არის იარები — საჭიროა
მათი თბილი წყლით მობანა, წასმა ცინკის მალამოსი ანუ გლი-
ცერინასი.

თუ იარები ღრმად არის ჩასული ცურში,—უნდა წაეცხოს
ქაფურის მალამო და ხშირ-ხშირად სიფრთხილით მოიწველოს.
უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგად, წინასწარ, თურქულის
გამაფრთხილებელ ზომებს, რაც გამოიხატება კარგადმყოფ სა-
ქონლის აცრაში.

ასაცრელ მასალად ხმარობენ თურქულით ავადმყოფის
დორბლს (resp. ნერწყვს).

ამისთვის ავადმყოფს უნდა გამოეწმინდოს პირის ღრუ
სუფთა ტილოთი, და ამგვარად გათხუნული ტილო უნდა წაე-
ცხოს პირშივე კარგადმყოფ პირუტყვებს. საჭიროა მხოლოდ
ამ ოპერაციის წინ გამოეშრალოს პირი კარგადმყოფებს მსხვი-
ლი ტილოთი, რომ შემდეგ ავადმყოფის დორბლი კარგად შეი-
თვისოს ლორწოიან გარსმა.

თუ ეპიზოოტიას აქვს მწვავე, მძიმე ხასიათი—ასეთი აცრა არ უნდა მოხდეს.

შემჩნეულია, რომ ხელოვნურად აცრილი საქონელი იტანს ავადმყოფობას იოლად.

გარდა ამისა, უმთავრესი მიზანია—ერთბაშათ მოვიცილოთ თავიდან სენი. თურქული იძლევა ხანგრძლივ იმუნიტეტს.

—

თურქული გადადის კაცხედაც.

მიზეზი ავადმყოფობისა—ავადმყოფი ძროხის მოუხარშავი რძე, კარაქი და ყველია.

ხშირად თურქული გადადის საქონლის მომვლელზედ.

ნიშნები ავადმყოფობისა მოგვაგონებს სავსებით საქონლის და ცხენის თურქულს.

ავადმყოფობა წარმოადგენს საშიშროებას ძუძუ მწოვარ ბავშვებისათვის და ხშირად იღებს მათში ნამდვილ ეპიდემიის ხასიათს. ბავშვებს უტყდება ფაღარათობა, რის გამო იხოცება ავადმყოფთა 8—10%.

ამ ეპიდემიის წინააღმდეგ საჭიროა აიღკრძალოს თურქულის ეპიზოოტიის დროს უმი რძის ხმარება.

—————

ჭლეჩი, ტუბერკულოზი. Tuberculosis.

ქლექს, ან ტუბერკულოზს ეძახიან ხრონიკულ გადამდებ ავადმყოფობას, რომელიც გამოწვეულია ერთგვარი ჩხირის მსგავსი ბაცილებით (ე. წ. კოხის ბაცილებათ), რის გავრცელება ორგანიზმში იწვევს ქსოვილების ბორცვისებრ, მარგალიტისებრ ცვლილებებს. აქედან გაჩნდა ტერმინი ტუბერკულოზი, რაც ნიშნავს ლათინურად ბორცვისებრს (Tuberculus — ბორცვი)

ხარკამეჩის ქსოვილებში ხშირად ვპოულობთ ერთ გვარ თავისებურ ცვლილებებს, რომლებიც გამოიხატებიან ვრცელ

მეტხორცეების გაჩენაში გულის და მუცლის ღრუებში, რაც ვეტერინარიაში ცნობილია „მარგალიტის ავადმყოფობის“ სახელით.

მე-XVIII საუკუნოში ეს სენი და კაცის ათაშანგი (სიფილისი) ეგონათ ერთი და იგივე ავადმყოფობა, რომელიც, ვითამ, ჩნდებოდა სიფილისიანი ადამიანის პირუტყვთან შეუღლებით, რის გამო ტუბერკულოზის ნიშნებით დაავადებული პირუტყვის ხორცი კანონით სავსებით უნდა ყოფილიყო მოსპობილი.

მხოლოდ მე-IXX საუკუნოს დასაწყისში იყო გამოთქმული აზრი გერმანიის მეცნიერთა მიერ, რომ კლექს სიფილისთან საერთო არასფერი არა აქვს.

ამავე მეცნიერებმა ექსპერიმენტალურად დაამტკიცეს, რომ რქოსან საქონლის „მარგალიტის ავადმყოფობას“ და ადამიანის ტუბერკულოზის შუა სუფევს ბიოლოგიური ახლობი ნათესაობა.

რობერტ კოხმა, გამოჩენილ და ცნობილ ბაქტერიოლოგმა, აღმოაჩინა. 1882 წელს ამ სენის აღმძვრელი—ტუბერკულოზის ბაცილა, ჩხირი, ანუ მიკრობი, რომელსაც კაცობრიობამ დაარქვა მის აღმომჩენის პატივის საცემათ და ხსოვნისთვის — „კოხის ბაცილა“.

ეს აღმოჩენა ითვლება დიდ მოვლენათ და საუკეთესო საშუალებათ ამ სენთან ბრძოლისთვის: მეცნიერებს უადვილებს სავსებით გაეცნონ კლექის და კლექის ბაცილების თვისებებს, რისთვისაც კლექის მიკრობები გადააქვთ ზღვის გოქებზე, ვირთავებზე, შინაურ კურდღლებზე და ხელოვნურად დამზადებულ მასაზრდოებელ ნიადაგებზე—ბულიონზე, აგარზე და სხვ.

კლექის ჩხირების პოვნა ცხოველის სხეულში ნამდვილი და უდავო ნიშანია ამ სენისა.

ამ ჩხირებს ჰპოულობენ კლექიანის ნახველში, შარდში, სისხლში, რძეში, ჩირქში, ძვალში, განავალში და კანში.

ჩლექის ჩხირები დიდხანს ცხოვრობენ ნახველში.

იყო მაგალითები, როდესაც რამოდენიმე თვის შემდეგ კპოულობდნენ კლექის ჩხირებს ავადმყოფის გამხმარ ნახველში და აღვივებდნენ მათ ზემო მოყვანილ პირობებში — ცხოველების ორგანიზმში და ხელოვნურ ნიადაგზე.

კლექის ჩხირებს გაყინვის არ ეშინიათ, მაგ., — 6-10°-ის. მაღალ ტემპერატურას-კი ღიღხანს ვერ უძლებს, მაგ., 70°-ს ოც წამს უძლებს, 80°-ს — 5 წამს.

5% კარბოლის სიმკვავის ხსნილი ხოცავს ნახველში კლექის ჩხირებს მხოლოდ 24 საათის განმავლობაში.

კლექი მემკვიდრეობის გზით არ გადადის: კლექიან ძროხას, დაბადებისას, რომ მოვაცილოთ ხბო და გამოვკვებოთ მთელი ძროხის რძით — ხბო კლექით არ დაავადდება.

ეხლა განვიხილოთ ის საკითხი, თუ რა დამოკიდებულება აქვს საქონლის კლექის მიკრობებს ადამიანთან?

1901 წ. რობერტ კოხმა გამოაქვეყნა ლონდონის კონგრესზე შემდეგი: კლექის აღმძვრელი მიკრობები ადამიანისა და რქიან საქონლის განსხვავდებიანო. ის უშხაპუნებდა კან ქვეშ რქიან საქონელს ადამიანისაგან ხელოვნურ ნიადაგზე გადაყვანილ კლექის ჩხირებს და საქონელი კლექით არ ავადდებოდა: მას მხოლოდ დროებით უსივდებოდა ის ადგილი, სადაც უშხაპუნებდენ მიკრობებს.

ამ გვარად კოხმა აღმოაჩინა ორი ტიპის კლექის მიკრობები: ადამიანის და საქონლის (resp. ხარის).

ეს აღმოჩენა სხვა მეცნიერებმაც დაადასტურეს და გამოარკვეეს, რომ ხარის და ადამიანის კლექის მიკრობები მორფოლოგიურადაც განსხვავდებიან ერთმანერთში: ხარის ბაცილები უფრო მომსხოა და მოკლევ, ვიდრე კაცისა. მაგრამ თან გამოირკვა, რომ ხარის კლექი გადადის ადამიანზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიგიენის სწავლაში.

მეცნიერები ხსენებულ გამოცდებით არ დაკმაყოფილდნენ და განაგრძეს მუშაობა ამ დარგში.

პრფ. ნოკარმა დაამტკიცა, რომ ადამიანის კლექი გადა-

დის ფრინველებზე, რით დაამტკიცა ქლექის ერთი გვარის მიკრობის გადასვლა მეორე გვარში.

რძე და ქლექის ჩხირები:

ჰიგიენის მკოდნენი, რუბნერი, შმიტი და ლოგელი გვიმტკიცებენ, რომ გადაღულებული რძე სავსებით ჰკარგავს თავის ძლიერ სასარგებლო ნივთიერებებს, ეგრ. წ. ვიტამინებს.

ვასილიევი ამტკიცებს, რომ 'შეთვისება' ორგანიზმის მიერ აზოტისა და ცხიმისა ძალიან ძნელდება გადაღულებულ რძეში. მაშასადამე, დუღილით ჩვენ რძეს ვუკარგავთ თავის კარგ თვისებას და შემაღვენლობას, თუმცა ამით ვანთავისუფლებთ სხვადასხვა ბაქტერიებისაგან.

კალმეტმა და ბრეტმა 1906 წ. პარიზში გამოაქვეყნეს შემდეგი: 1) მოხარშულ რძეში ქლექის მიკრობები იხოცებიან, მაგრამ ზოგი შხამიანი შემაღვენლობა—ტოქსინები, წარმოდგარნი ამ მიკრობებიდან, არ ისპობიან; 2) ცხოველები, რომლებიც იკვებებოდნენ ასეთი მოხარშული რძით, იხოცებოდნენ სისუსტის გამო.

გარდა ამისა, უმ რძეში ჰპოულობენ ზოგიერთ სპეციალ ფერმენტებს, რომლებსაც აქვს დიდი ბიოლოგიური მნიშვნელობა ჩხვილ ორგანიზმის აღზრდაში.

ამ რიგათ, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ახალგაზრდა პირუტყვის (რესპ. ბავშვის) გამოსაკვებად საჭიროა სრულიად საღი ძროხის უმი რძე.

ქლექი და ტუბერკულინი:

ეხლა, როგორ უნდა დავრწმუნდეთ — ავად არის საქონელი ქლექით, თუ არა?

ქლექის გამოცნობა ძლიერ ძნელია, თუ კლინიკური ნიშნები ავადმყოფისა არ არის ნათლად გამოხატული ან-და თუ ავადმყოფობა მიმდინარეობს ფარულად.

მაშინ ჩვენ უნდა მივმართო ეგრ. წ. ტუბერკულინიზაციას ტუბერკულინის საშუალებით.

რა არის ტუბერკულინი?

ტუბერკულინი მიიღო პირველად რობერტ კოხმა. ეს ტუბერკულინი 25 წლის წინად ქვეყანაზედ ისე იყო განთქმული, როგორც ეხლა ერლიხის პრეპარატები „606“ და „914“.

თავის საშუალებას გვირჩევდა რ. კოხი ქლექის საწინააღმდეგოთ, მაგრამ, კაცობრიობის საუბედუროთ, კოხს იმედები გაუმტყუნდა.

ამ ჟამად ტუბერკულინს დარჩა მხოლოდ დიაგნოსტიური მნიშვნელობა.

ტუბერკულინი მზადდება ქლექის დახოცილ ბაქტერიებიდან.

ქლექით დაავადებულ პირუტყვს რომ შევეუშხაპუნოთ კანქვეშ ტუბერკულინი, რამოდენიმე საათის შემდეგ ავადმყოფს აძლევს სიცხეს (40-41°); ის ადგილი, სადაც უშხაპუნებენ, სივდება და სხვ.

თუ პირუტყვი არ არის ავად ქლექით—ტუბერკულინი ორგანიზმზე არაერთარ ამგვარ გავლენას არ იქონიებს. ბოლოს დროს, იყო შემოდებული ტუბერკულოზის დიაგნოსისათვის ბიოლოგიური რეაქცია აბდერლალდენისა. აბდერლალდენმა დაამტკიცა, რომ ქლექიან ცხოველების სისხლში არის დამცველი ფერმენტები, რომლებიც ანაწილებენ პეტონს (ცილაა).

ამისთვის უნდა ავიღოთ წყალში გახსნილი ქლექიან ლეშის ფილტვების ქსოვილები, შევეურიოთ სათანადოთ მომზადებულ ავადმყოფის (ქლექით?) სისხლის სითხეში, ჩავასხათ ეს სითხე თევზის ბუშტში, მოვათავსოთ წყლით სავსე მინის ქილაში და შევდგათ ტერმოსტატში, თუ ცილა გავიდა ბუშტის კედლებიდან ქილაში, რასაც გავიგებთ ბიურეტის რეაქციით*), მაშინ ჩვენ გვექნება საჭმე ქლექიან ავადმყოფთან.

*) იხ. მე-2 ნაწ., თავი მე-III, § 8.

ყველამ იცის, რა საშიშროებას წარმოადგენს კაცობრიობისთვის ქლექი. მარტო ჩვენს საქართველოში ილუპება წელიწადში ამ სენიდან 10.000 კაცამდე.

ქლექს უჭირავს დიდი ადგილი პირუტყვთა შორისაც, როგორც ამას ნათლად გვიმტყიცებს სასაკლაოებზედ ვეტერინარული ზედამხედველობა.

დაავადებულ ტუბერკულოზით ორგანიზმში (resp. დაზიანებულ ორგანოებში) და მის ნაყოფებში იმყოფება აუარებელი რიცხვი ტუბერკულოზის ბაცილებისა.

ასე, ქლექის ბაცილები მოიპოვებიან რძეში, თუ ფურსაქონელს დაზიანებული აქვს ცური. რძეს შეიძლება აგრეთვე მოხვდეს ეს ბაცილები სხვა გზითაც, მაგ., თუ მეწველი ძროხა არის ავად ფილტვების ან ნაწლავების ქლექით. აქ რაიმე გზით შეიძლება მოჰხვდეს მიკრობები რძეს, წველის დროს.

სისხლში ქლექის ჩხირები მოიპოვებიან იშვიათად.

ეს უნდა ითქვას ხორცის შესახებაც და ამისათვის ქლექიანი საქონლის ხორცის ხმარება ჩვეულებრივად არ წარმოადგენს საშიშროებას.

ტუბერკულოზი ვრცელდება, უმეტესად, ბაცილებით დასერილ საქმელ-სასმელის მიღებით (resp. ავადმყოფის პირის მოლოკვით) და სხვ.

შინაურ პირუტყვებიდან ქლექის მიმართ უფრო მგრძობიერნი არიან ხარ-კამეჩი, შემდეგ ცხენი, ლორი და სხვ.

რომელიმე გზით შესული ორგანიზმში ტუბერკულოზის მიკრობები, იბუდებენ ერთ-ერთ ქსოვილში და იწყებენ თავის განვითარებას და გამრავლებას.

ეს მოვლენა იწვევს ქსოვილში ახალგაზრდა უჯრედების ზედმეტ გამრავლებას, ჩნდებიან პაწაწინა ბუდეები ჩვილი ქსოვილისა, ე. წ. **ტუბერკულები**—ბორცვისებრი, მარგალიტის მსგავსი და ფეტვის კაკლის ოდენა შენივთებები. ეს „მარგალიტები“ ბოლოს-და-ბოლოს უერთდებიან ერთმანერთს და ჩირქდებიან. ფილტვებში, ტუბერკულოზის ბაცილების მომწამვლელი ნაყოფების საშუალებით, ჩნდება ხრონიკული კატარა-

ლური ანთება. თვით უჯრედები ადგიან ხაქოსებრ გადაგვარების და ნეკროზის (მოკვდომის) გზას.

ტუბერკულოზით ხშირად ზიანდებიან ხარ-კამეჩის ლიმფათიური ჯირკვლები (ქვედა ყბის, ბეკის და ცურის ჯირკვლები), ასე რომ ამ პირუტყვთა ხსენებული ჯირკვლების სიმსივნე უნდა ჩაითვალოს ტუბერკულოზის სიმპტომით.

აქედან, და შემდეგ ლიმფათიური ნაპრალეებიდან, ტუბერკულოზის ბაცილები გადადიან დიდ სეროზულ ღრუებში— გულის და მუცლის ღრუებში, რომლებიც წარმოადგენენ ფართო ლიმფათიურ სივრცეებს, სადაც ჩნდებიან „მარგალიტისებრი შენივთებანი“, ფორმით ყვავილიან კომპოსტოსი, ანუ ყურძნის მტევნისა.

საკვების მომწელებელ აპპარატში, მის დასაწყის ნაწილებში, ბაცილები იწვევენ დაზიანებას ენისას და იქვე მდებარე ჯირკვლებისას. ჩვეულებრივად-კი ტუბერკულოზით ზიანდებიან წვრილი ნაწლავები და ბრმა ნაწლავი, ახლო მდებარე ჯირკვლებით.

ღვიძლში, ელენთაში, თირკმლებში ხშირად კვოულობენ წვრილ ბორცვებს ან და, იშვიათად, ვრცელ ტუბერკულოზის ბუდეებს, გავსებულს ხაქოსებრ ჩირქით.

ფურ საქონელს ხშირად უჩნდება ტუბერკულოზი საშვილოსნოში და საკვერცხეებში; ბუდეებს—სათესლეებში.

ცურის ტუბერკულოზი გამოიხატება ცურის შუაგულში კვანძების გაჩენაში. ჩვეულებრივად-კი ზიანდება უკანა ნაწილი ცურისა. დაზიანებული ნაწილი იღებს ვეებაერთ, მაგარ სიმსივნის სახეს (აქ ყოველთვის დაზიანებულია ცურის ზემო ლიმფათიური ჯირკვლები).

იშვიათად ვპოულობთ ზურგის და თავის ტვინის ტუბერკულოზს, ძვლებისას, სახსრებისას, თვალისა და კანისას.

თუ ქლექის რომელიმე დიდი ბუდიდან ბაცილები როგორმე შევიდნენ სისხლის გამტარებელ მილში და გაჰყვენ სისხლის ნაკადს, მაშინ ხდება მთელი ორგანიზმის დაავადება

სენით, რაც ცნობილია მწვავე, ანუ მილიარული ტუბერკულოზის სახელით.

ცხვრები და თხები ავად ხდებიან ასეთივე სურათით. ცხენებს ხშირად უზიანდებათ მუცლის ჯირკვლები და ფილტვები. ღორებს—საქმლის მომწელებელი აპპარატი და ძვლები. ძაღლებს და კატებს—ფილტვები და საქმლის მომწელებელი აპპარატი. ინკუბაციური ხანა ტუბერკულოზისა უდრის რამოდენიმე თვეს.

როგორც ვხედავთ, საქონელი უფრო ხშირად ავად ხდება ფილტვების ტუბერკულოზით.

მაშინ პირუტყვი ძლიერ ახველებს (ცივი წყლის მიღების და ზედმეტი მღუშობის შემდეგ): ნახველი-კი არ სჩანს; პირუტყვი მას ჰყლაპავს. ავადმყოფი სუნთქავს ჩქარა და მძიმეთ. საქონლი უცებ მკვლევდება. კამის მაღა-კი არა აქვს დაკარგული. ბალანი ჰკარგავს თავის ბრწყენას. პირუტყვს ხშირად ბერავს და უტყდება ფალარათობა. ველარ მოძრაობს, ეხუთება სული და კვდება.

ფურ-საქონელს, სასქესო ორგანოების ტუბერკულოზით დაავადებულს, ეტყობა უთავბოლო და უდროო ხურაობა: ფური-კი არ მაკდება. ხოლო მას ემჩნევა საშოდან ლორწოიანი ჩირქის დენა.

პირუტყვის ტუბერკულოზის ექიმობაზე ლაპარაკი ზედმეტია იმის მიხედვით, რომ კანონი გვიკარნახებს ასეთი ავადმყოფების დაუყონებლივ დახოცვას.

აქ უნდა მოვმართოთ წინასწარ, გამაფრთხილებელ ზომებს: ჯოგში. რომელშიდაც, ჩვენის ფიქრით, მძინვარებს ტუბერკულოზი, საჭიროა მოვახდინოთ ტუბერკულინიზაცია. ის პირუტყვები, რომლებიც მოგვეცემენ ტუბერკულინიზაციის დადებითი რეაქციას, უნდა იყვნენ დაუყონებლივ გამოყოფილი და გადაყვანილი ცალკე ბოსელში. იქ-კი, სადაც იდგა საექვო საქონელი, უნდა მოხდეს სათანადო დეზინფექცია.

ამის მიხედვით, დანიის პროფ. ბანგმა შეიქმნა მთელი

რიგი ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელიც მოწონებულ იქმნა, როგორც დანიაში, ისე სხვა ქვეყნებში. ამ წესით, ტუბერკულოზით დაავადებული პირუტყვი დაუყონებლივ დახოცილ უნდა იქმნას. დანარჩენ საქონელს იკვლევვენ ტუბერკულინის საშუალებით: სრულიად საღი და ექვს გარეშე საქონელი გადაჰყავთ სუფთა ცალკე ბოსელში, რასაც უვლის ცალკე, საგანგებოთ დანიშნული პერსონალი, რომელიც სრულიად არ ეხება საექვო საქონელს.

თუ საექვო ბოსელში რომელიმე პირუტყვს გამოაჩნდა ნამდვილი ტუბერკულოზის ნიშნები, მაშინ ასეთი პირუტყვი უნდა იქმნას დაუყონებლივ დაკლული. თუ საქონელი ფურია, მაშინ მისი ხბო დაუყონებლივ უნდა იქმნას გადაყვანილი საღ საქონელთა ბოსელში და გამოკვებული საღ ძროხის რძით. თუ ხბოს გამოაჩნდა ფაღარათობა, ხბო დაუყონებლივ უნდა იქმნას დაკლული. ყველა ასეთ შემთხვევებში უნდა მოხდეს სათანადო დეზინფექცია ბოსლისა და პირუტყვის სადგომისა. გარდა ამისა, $1\frac{1}{2}$ —2 თვის ხბოებს, მიუხედავად ყოვლისა, უნდა გაუკეთდეს ტუბერკულინიზაცია. ხბო, რომელიც მოგვეცემს დადებითი შედეგებს, უნდა იყოს დაუყონებლივ მოსპობილი. სრულიად საღი ხბოები-კი უნდა იყვნენ გადაყვანილი საღ საქონელთა ბოსელში. ამ ბოსელშიდაც წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს ტუბერკულინიზაცია, რის შემდეგ საექვო საქონელი უნდა გადაყვანილ იქმნას საექვო საქონელთა ბოსელში. ტუბერკულინიზაცია უნდა გაუკეთდეს ახლად ნაყიდ საქონელსაც. მხოლოდ სრულიად საღი საქონელი უნდა იყოს შეყვანილი საღ საქონელთა ბოსელში. ამნაირად საღი საქონლის ჯგუფი ნელ-ნელა ივსება სრულიად ჯანსაღი საქონლით, ავადმყოფი ჯგუფი-კი თან-და-თან ისპობა და ჯოგი, შედარებით უმტკივნელოდ, საბოლოოდ ტუბერკულოზიდან თავისუფლდება.

პროფ. ოსტერტაგმა შემოიღო ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი წესი.

ის გვირჩევს ავადმყოფი საქონელი დაუყონებლივ მოვსკოთ, ხბოები გამოვკვებოთ მთელი ძროხების რძით და მოსაშენებლად დაეცხოვოთ მხოლოდ ის ხბოები, რომლებიც მოგვცემენ უარყოფითი ტუბერკულინიზაციის რეაქციას.

1901 წ. პროფ. ბერინგმაც შემოიღო ტუბერკულოზის გამაფრთხილებელი წესი, რაც მდგომარეობს მასში, რომ სრულიად ჯანსაღ ხბოებს უშხაპუნებენ ვენაში ოდნავ დასუსტებულ გახმობით ადამიანის ქლექის ბაცილების კულტურას. აღმოჩნდა, რომ ასეთ ხბოს 1 წლის განმავლობაში არ ემართება ტუბერკულოზი, მაგრამ ადამიანისათვის მისი ხორცის ქამა წარმოადგენს საშიშროებას, რადგანაც სისხლში ქლექის ბაცილები არ იხოცებიან ორი-სამი წლის განმავლობაში.

ბელგიაში იყო შემოღებული გეიმანსის მეთოდი.

ამ მეთოდით რქოსან საქონელს კანქვეშ უთავსებენ კაცის ან ხარის ქლექის ბაცილებს, რაც, თავის მხრით, მოთავსებულია სათანადოთ ლერწმის გულში: აქ ხდება ერთგვარი ნივთიერებათა გაცვლა გამოცვლა. შედეგები იყო მიღებული სრულიად გამამხნეველები: საქონელს არ ემართებოდა ტუბერკულოზი და, ზოგიერთ შემთხვევებში, ავადყოფი საქონელი იკურნებოდა კიდევ.

აქტინომიკოზი. Actinomycosis.

აქტინომიკოზს ეძახიან ხრონიკულ ავადმყოფობას, რომელიც ხშირად ემჩნევა მსხვილ რქოსან საქონელს და, იშვიათად, დანარჩენ პირუტყვებს და ადამიანს.

ეს სენი გამოიხატება ადგილობრივ ქსოვილების მაგარი სიმსივნეში და დაჩირქებაში.

ამ ავადმყოფობის აღმძვრელი მიკროსკოპიული სოკოა, რომელიც ცნობილია სხივისებრი სოკოს სახელით.

ავადმყოფობა გავრცელებულია უფრო დაბლობ და ქაობიან ადგილებში. ხელოვნურად ამ სენის გადატანა ცხოველზე შეუძლებელია.

ბუნებრივად აქტინომიკოზი გადადის საქონელზე მჩხვლეტავი მცენარეების—უფრო ქერის, პურის და შერიის—ნაწილების საშუალებით, რომლებიც ჩხვლეტენ პირის ღრუს ლორწოიან გარსს, და ამ გზით შეაქვთ ქსოვილში არსებული მათზე სნების ჩანასახი. ხსენებული სოკო არსებობს, როგორც მცენარეობითი პარაზიტი, ბალახზე და ქირანახულზე. ამ სოკოს ჩანასახს არ ეშინია გახმობის, რის გამო თივა ან სხვა ხმელი საკვები, დასვრილი ამ სოკოთი, წარმოადგენს საქონლისთვის საშიშროებას. აქტინომიკოზით ზიანდებიან აგრეთვე ფილტვებიც, თუ ჰაერში, რომლითაც სუნთქავს პირუტყვი, უხვად არი გაფანტული აქტინომიკოზის სოკოს ჩანასახები.

ხარკამეჩი ხშირად ხდება ავად ჩარბის, ენის, ქვედა და ზედა ყბის აქტინომიკოზით.

ტუჩის ლორწოიანი გარსის ქვეშ ხშირად ჩნდება აქტინომიკოზი თხილის სისხო სიმსივნის სახით.

ენაზედ ჩნდება ერთი ან რამოდენიმე სქელი კიდევებით იარები, მომწვანო-მოყვითლოდ დაჩირქებული. ამ იარებში ეჩხირებიან საკვების ნაწილები, რომლებიც იწვევენ გართულებას—ენის ანთებას, რის გამო ენის კუნთები მაგრდებიან (ეგრ. წ: „ფიცრის ენა“) და ჰკარგავენ ნორმალურ შოძრაობის უნარს. ავადმყოფს პირი დაფჩენილი აქვს, უხვად გამოდის ლორწო.

ყბის აქტინომიკოზი ძალზე აუშნოვეს საქონლის თავს: დაზიანებული ადგილი ძლიერ სივდება; აქ ტყავი დაფარულია ღრმა იარებით; ყბის ძვალი იხრწნება, რომლიდანაც გამოდის უხვად ჩირქი. მასთან ზიანდებიან ახლო მდებარე ჯირკვლებიც.

აქტინომიკოზით ზიანდება ცურიც, რომელიც ძალზე სივდება და ჩირქდება.

მიმდინარეობა აქტინომიკოზისა სრონიკულია: ავადმყოფობა გრძელდება რამოდენიმე თვე და წელიწადი. დაბოლოს, საქონელს სიმსივნეები უშლიან საკვების მიღებას, მის დაღეკვას, სუნთქვას...და პირუტყვი კვდება.

შესაფერი და თავის დროზედ ექიმობით შეიძლება აქტინომიკოზიდან გავათავისუფლოთ საქონელი.

საიმედო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს სავსებით იმოქრა სიმსივნესი და შემდეგ ამოწვა კრილობისა გახურებული შანთით. თუ აქტინომიკოზი წარმოადგენს მხოლოდ დაზიანებულ სიმსივნეს—საკმარისია მისი გაქრა, გამორეცხა კარბოლის ხსნილით და ამოწვა იოდის ტინქტურით ასეთივე ექიმობა არსებობს ტუჩის და ენის აქტინომიკოზის წინააღმდეგაც.

ბაშეშება (Tetanus).

გაშეშება—მწვავე ინფექციური ავადმყოფობაა, რომელიც იწვევს ორგანიზმის ნერვულ სისტემის ინტოქსიკაციას (resp. მოწამვლას, ანუ მოშხამვას). ამ დროს მთელი სხეულის კუნთები იმყოფებიან განუწყვეტლივ კრუნჩხვითი შეკუმშვებში.

ავადმყოფობას იწვევს გაშეშების ბაცილა (*Bacillus tetani*), რომელიც აღმოჩენილია სტუდენტი Nicolajer-ის მიერ. მიზეზი გაშეშებისა არის ბაცილების ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის შხამიანი ნაყოფები.

ეს ბაცილები განსხვავდებიან სხვა ბაცილებიდან იმით, რომ მათ აქვთ ბოლოში რგვალი და სხვილი თავი, რომელშიდაც იმყოფება სპორა და მოგვაგონებენ თავის ფორმით ჩვეულებრივ ქინძისთავს.

ეს მიკრობები ძლიერ გავრცელებულია ნიადაგში. მის ზემო ფენებში, სადაც ვერ ჰხვდება მჟავადი (გაშეშების ბაცილები ნამდვილი ანაერობები არიან). გაშეშებით ავად

ხდებიან ცხენი, შემდეგ ხარ-კამეჩი, ძალი და ღორი—რაიმე კრილობის ან კანის დაშავების შემდეგ.

მხოლოდ ასეთ კრილობაში (resp. კრილობის ჩირქში) იმყოფება გაშეშების ბაცილები.

მათი სხეულის სისხლში გადასვლა—იშვიათი შემთხვევაა.

ნიშნები ავადმყოფობისა: მთელი სხეულის კუნთების კრუნჩხვები. აქ იღებენ მონაწილეობას საღეჭავი კუნთები, თავის, კისრის, ზურგის, კიდურების, მუცლის და სასუნთქი ორგანოების კუნთები. ავადმყოფს გრძნობა არ ეკარგება ბოლო წუთამდე. სიცხე თითქმის ნორმალური აქვს, მხოლოდ სიკვდილის წინ და, რაც უფრო შესანიშნავია, სიკვდილის შემდეგ—ეწევა 41-42⁰-მდე. ავადმყოფი სდგას უძრავად ერთ ადგილზე. ფეხები ფართოთ აქვს გაჩაჩხული; პირუტყვი მათ ვერ ღუნავს; თავი და კისერი ძალზე გაკიმული აქვს; ყურები-კი აკიმული ზევით; თვალები ჩავარდნილი აქვს ორბიტაში და არ მოძრაობენ; ხელით თავის აწევის დროს მესამე თვალის ქუთუთო თითქმის მთელ თვალს ჰფარავს. თვალის გუგა გაფართოვებულია; პირი—დამუწული. საკმელს და სასმელს ვეღარ იღებს, მადა-კი, ეტყობა, აქვს. პირიდან გადმოსდის ლორწო. მუცლის კუნთების შეკუმშვის გამო, ავადმყოფს მუცელი შეკიმული აქვს. კუდი გაშეშებულია და ცოტათი გვერდზე მოკიმული.

ასეთი მდგომარეობა ავადმყოფობისა შეიძლება გაგრძელდეს რამოდენიმე საათს და დღესაც.

კუჭი და ნაწლავები ვეღარ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. კიდევ 3—4 დღე და პირუტყვი კვდება. ამ სენის წინააღმდეგ უნდა იყოს მიღებული პროფილაქტიური ზომები.

ვინაიდან გაშეშების ბაცილები ძლიერ გავრცელებულია ნიადაგში, ნეხვში და სხვა ამგვარ ნივთიერებებში, საჭიროა პირუტყვის ყველა კრილობები დაუყონებლივ გამოწმენდილი იყოს ან სულემის, ან კარბოლის, ან სხვა ამ გვარ საღებზინფექციო მასალით, ან წასმული უნივერსალური საშუალებ-

ბიო—იოდით. გარდა ამისა არსებობს ამ სენის წინააღმდეგ აცრა სათანადო შრატით. ეს შრატი მზადდება ჯანსაღ ცხენის სისხლიდან, რისთვისაც ცხენს დროგამოშვებით უშხაპუნებენ კანქვეშ Tetanus-ის დასუსტებულ იოდ-ქლორით ბაცილების კულტურას. ეს შრატი მიიღო პირველად და დაამზადა Bel-Finij-მა და შრატს სახელად დაერქვა—ბერინგის ანტიტოკსინი.

ადამიანიც ხდება ავად ამ სენით ზემო აღწერილ ნიშნებით. აქაც ხმარობენ ანტიტოკსინს. გარდა ამისა, ავადმყოფს უნდა აღინონ უხვად ოფლი ცხელ აბანოში.

საქონლის ზირი (Pestis Boum).

მსხვილ რქოსან საქონლის კირი მწვავე, სიცხიანი, გადამდები ავადმყოფობაა, რომელიც გამოწვეულია ულტრამიკროსკოპიული მიკროორგანიზმით. ეს ავადმყოფობა გამოიხატება, გარდა ტიპიური კლინიკურ მიმდინარეობისა, ლორწოიან გარსთა თავისებურ ანთებაში.

იშვიათ შემთხვევებში შეიძლება ეს სენი გადავიდეს ცხვარზედ და თხაზედ.

საქონლის კირს დიდი და გრძელი ისტორია აქვს.

შემჩნეულია, რომ კირი ფართოთ ვრცელდება დიდ ომების დროს. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი გერმანიაში, საფრანგეთში და იტალიაში. კარლოს დიდის ლაშქრობის დროს და მე-XIII საუკუნოში ევროპაში მონგოლთა შექრის შემდეგ და სხ.

მე-XVIII საუკუნოს დასაწყისში კირმა გაანადგურა მთელი ევროპის საქონელი. ასე, 1711—1714 წ. წ. კირმა იმსხვერპლა Paulet-ის გამოანგარიშებით 1½ მილიონი სული საქონელი.

რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ ჰოლანდიაში კირმა

მოსპო თითქმის მთელი საქონელი. ნაპოლეონ I ლაშქრობის მეოხებით ეპიზოოტიამ კვლავ იჩინა თავი საფრანგეთში და გერმანიაში, რამაც აიძულა საფრანგეთის მთავრობა დაეარსებია ლიონში 1762 წ. უმაღლესი სავეტერინარო სკოლა. ამ დროს ქირი შემოტანილი იყო რუსეთშიაც. ასეთ ფარგლებში ქირის გავრცელებამ აიძულა ევროპის ყველა სახელმწიფოებში შეედგინათ ქირის წინააღმდეგ ერთგვარი კოალიცია, რომელმაც სასტიკი ზომების მიღებით მოსპო ქირი. მაგრამ უკანასკნელ საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს კვლავ იფეთქა ქირმა და მხოლოდ დიდი ბრძოლის შემდეგ იქმნა მოსპობილი იგი.

1880 წლიდან ქირი არსებობდა მხოლოდ რუსეთში და ოსმალეთში. ქირის წინააღმდეგ მიღებულ ზომებმა ევროპიულ რუსეთშიაც მოსპო ქირი და უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში იქ ქირი აღარ ყოფილა.

ქირი ბოლოს დროს მძინვარებდა, და ეხლიც მძინვარებს, მხოლოდ ზოგიერთ აფრიკის კუთხეებში, ოსმალეთში, კავკასიაში და, კერძოთ, ჩვენშიაც.

საქართველოში ენზოოტიურად არასოდეს არ მძინვარებდა ქირი და თუ იშვიათად გაჩნდებოდა—მას ჰქონდა სპორადიული ხასიათი.

საერთაშორისო ომის დროს აქ მან მიიღო ნამდვილი პანზოოტიური ხასიათი და დიდი ბრძოლის შემდეგ,*) რაც გამოიხატა საქონლის მასიურ აცრაში საქართველოში დამზადებული შრატით (რისთვისაც იყო დაარსებული ჩვენ მიერ დროებითი საშრატე სადგური ჯერ ქ. ქუთაისში და შემდეგ მუდმივი — თბილისის ახლოს, ს. ტაბახმელის გვერდით), საბოლოოთ ისპობა დასავლეთ საქართველოში ეს უსაშინელესი სენი საქონლისა.

სტატისტიკური ცნობით, იმერეთში აცრილია ამ შრატით 50.000-ზე მეტი საქონელი, დასავლეთ საქართველოში-კი ჯერ-ჯერობით—20.000 სულამდე. შედეგები მოჰყვა ამ აცრას შესანიშნავი: აცრის შემდეგ საქონელი თითქმის არ

*) აქ ისახელეს თავი ბევრმა ქართველ და რუს ვეტერინარებმა.

იზოცებოდა და აკრილ საქონელმა სამუდამოთ შეიძინა ქირის მიმართ იმმუნიტეტი.*)

როგორ მზადდება ეს შრატის, ამაზედ საუბარი გვექნება ქვემოთ.

ქირი ვრცელდება ქირის უხილავი მიკროორგანიზმის რაიმე გზით გადატანით.

ქირის „კონტაგი“ მოიპოვება ავადმყოფი საქონლის ან ლემის ყოველს შემადგენელ ნაწილში, მაგ., ხორცში, სისხლში, ხორცის ნარეცხ წყალში, რძეში, ერბოში, ცხიმში, ტყავში, ლორწოში, შარდში, განაეალში, ნეხვში, საწოლსაფენში და სხვ.

ქირის კონტაგი შეიძლება გაჰყვეს: ადამიანის ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ცხენის, ძაღლის, კატის და სხვა პირუტყვის ფეხს და სხვ.

ქირი საქონელს, ჩვეულებრივად, პირის მხრივ და კუკიდან უჩნდება. ავადმყოფობა იწყება 40—41 გრადუსის სიცხით, რაც 3—4 დღეს გრძელდება.

ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფ პირუტყვს ემჩნევა სისუსტე, მოწყენილობა; მადა ეკარგება, ყურები და თავი დაშვებული აქვს. ნაცოხარს ველარ იღებს. ფური საქონელი შრება. ბალანს ეკარგება ჩვეულებრივი ბრწყენა და იბურძგება; თვალის გუგას ემჩნევა სიმშრალე. ხილულ ლორწოიან გარსთ ეწყება ანთება, რაც გამოიხატება სიწითლეში და ჩირქის დენაში (თვალიდან, ცხვირიდან და საშოდან). პირუტყვი ცახცახებს, კბილებს აკრაქუნებს, ხშირად ახველებს, ხანდახან გიჟობასაც იწყებს.

ამ დროს ავადმყოფს ემჩნევა ძირა ტუჩის ლორწოიან გარსზე, ღრძილებზე, ენის ქვედა ზედა პირზე, ცხვირის ნესტოებზე, და საშოზე ღომის კაკლის ოდენა კვანძები, რომლებიც

*) ზურნაბადის შრატით (დამზად. 1902—1916 წ. წ.) აკრას ქუთაისის გუბერნ. მოჰყვა 1906 და 1916 წლებში არა სასურველი შედეგები: დაიღუპა 42—83 % საქონლისა.

ადგილზე ერთი-ორი დღის შემდეგ ჩნდება იარები, ეგრ. წ. ჰირის ეროზიები. ეს ეროზიები დაფარულია ხაქოს მსგავსი ნივთიერებით, რომლის აწმენდის შემდეგ, მათ (ეროზიების) ფსკერიდან მოჟონავს პაწაწინა სისხლის წვეთები.

პირუტყვს თვალიდან მოსდის ჯერ ცრემლი, შემდეგ ჩირქი. ნესტოებიდან—ლორწო, ჩირქი. ცხვირის სარკვე შრება.

ავადმყოფს ეტყობა კუჭის შეკრულობა, მაგრამ მალე ფაღარათობას აწყებინებს - და ფუნა თხელის, ძალზე მყრალი, ლორწოიანი ან სისხლიანი განავლისაგან შესდგება. ტემპერატურა სხეულისა ეცემა 36° -დე პირუტყვი ძალზე შკლევდება, სრულიად უძლოურდება და კვდება ავადმყოფობის ნიშნების გამოჩენიდან მე-6—10 დღეზე. ასე იხოცება დაავადებულთა 95% -დე. ინკუბაციური ხანა უდრის 3—21 დღეს.

ჰირიან საქონლის ლეშში, პირის გარდა, ჩვენ ვაქცევო ყურადღებას მაქიკის ლორწოიან გარსს, რომელსაც ეტყობა ძალძე სიწითლე.

აქ ჩვენ ვპოულობთ ისეთივე ჰირის ეროზიებს. როგორც ტუჩის ლორწოიან გარსზე. წიგნა სავსეა მშრალი საკვებით. წვრილი ნაწლავები შეიცავენ სრულიად თხელ, მოწითალო, ძალზე მყრალ, ფუნას. ლორწოიანი გარსი გაწითლებულია. წვრილ ნაწლავების ლიმფატური ჯირკვლები, ეგრ. წ. პეიერის ღილები, გაწითლებული არიან, გასივებული და თითის დაქერის შემდეგ ამოდის მათ შუა გულიდან დაჩირქებული რგვალ-რგვალი, ღომის კაკლის ოდენა, საცოები.

მსხვილი ნაწლავებიც შეწითლებულია.

მხოლოდ სწორ ნაწლავზედ ეტყობა, სიგრძეზე, პარალელური წითელი წერტილები, რომლებიც შორიდან წაგავენ წითელ ხაზებს.

ნაღველის ბუშტი ძალზე გავსებულია მოყვითალო ნაღვე-

ლით. იშვიათად, ბუშტის გარსზედ ვპოულობთ ხსენებულ ქირის ეროზიებს.

ელენთა, ჩვეულებრივად, სრულიად არ არის გამოცვლილი, — ნორმალურია. ფილტვებს ეტყობა მწვავე ჰიპერემია.

ქირით დაავადებულ საქონლის ექიმობა კანონით აღკრძალულია, რადგანაც აქ ექიმობის პროცესმა შეიძლება მხოლოდ შეუწყოს ხელი ქირის გავრცელებას. ასეთი ავადმყოფნი უნდა იყვნენ დაუყონებლივ მოსპობილი, დანარჩენი საღი საქონელი-კი აცრილი სათანადო შრატით, რასაც აქვს წინასწარი, დამცველი ხასიათი.

როგორ მზადდება ქირის საწინააღმდეგო შრატი?

ამისათვის საჭიროა გვეყვდეს ხარი, რომელსაცან ბუნებრივად აქვს გადატანილი ქირი ან-და აცრილი აქვს ქირის საწინააღმდეგო (აგრ. ქირიანი სისხლი) შრატი და ამით დაზღვეულია ქირიდან.

ასეთ ხარს, დრო გამოშვებით, უშხაპუნებენ მუცლის ღრუში, ვენაში ან. კან ქვეშ ახლად. ქირით დაავადებულ საქონლის სისხლს.

დამტკიცებულია, რომ რაც ნახსენები საქონელი მეტ ქირიან საქონლის სისხლს მიიღებს და ხშირად—იმდენათ უფრო მაგარ, ანუ კარგ ხარისხის, ანუ მაღალი ტიტრის შრატს მივიღებთ.

1¹/₂—2 თვის დამზადების შემდეგ, ხარს ვართმევთ საუღლე ვენიდან სისხლს (2—4 ლიტრას), რომლიდანაც მზადდება ქირის საწინააღმდეგო შრატი.

როგორ გროვდება შრატი. სისხლიდან—თქვენ ეს უკვე იცით წინა ლექციებიდან.

სუფთათ მოგროვებულ შრატს უნდა მიემატოს, რომ შრატი არ დაღპეს დიდი ხნის განმავლობაში, $\frac{1}{2}$ ‰ კარბონის სიმყავის ხსნილი.

ასეთი შრატი, მისი ძალის გამოცდის შემდეგ, იგზავნება სოფლებში, სადაც მძინვარებს საქონელზე ქირი.

ქირის წინააღმდეგ აცრა, როგორც ზემოთ ვთქვით, წინას-

წარი, გამაფრთხილებელი, ძალდატანებითი ზომაა, ე. ი. უნდა აეცრას სრულიად ჯანსაღ საქონელს იმ მიზნით, რომ მას აღარ დაემართოს ბუნებრივად ქირი.

ამისათვის საჭიროა აეცრას ერთდროულად სოფლის ან სხვა პუნქტის მთელს საქონელს. აცრა ხდება კომბინაციური მეთოდით, ე. ი. საქონელს ერთის მხრით უცრიან ქირიან საქონლის სისხლს და მეორეს მხრით უშხაპუნებენ, როგორც (რესპ. იმ დოზას) ამას უკარნახებს შრატის დამუშავებული სადგური, ქირის საწინააღმდეგო შრატს.

ამის შემდეგ საქონელი სუსტის და იოლის ქირის ნიშნებით ხდება ავად და ასში, ჩვეულებრივად, თუ შრატი კარგი ხარისხისაა, იტანს ამ აცრას და იზღვევა სამუდამოდ — 95-99 %.

ცხენების ჩამომრები. *Митр. Adenitis equorum.*

ცხენების ჩამომრები—მწვავევე, ინფექციური, კონტაგიური ცხენების ავადმყოფობაა, რაც გამოიხატება ზევითა სასუნთქი ორგანოების ანთებაში და ლიმფატიური ჯირკვლების დაჩირქებაში.

ავადმყოფობას იწვევს მიკრობი *Streptococcus equi*, როგორმელიც აღმოჩენილია Schütz-ის მიერ 1888 წ.

ეს ავადმყოფობა ძლიერ გავრცელებულია თითქმის მთელ ქვეყნის ზურგზე, გარდა ირლანდიის, და არგენტინისა.

ავადდებიან უფრო ახალგაზრდა ცხენები, ვიდრე ჰასაკში შესულნი. მიუხედავთ იმისა, რომ პროცენტი ამ სენიდან დაღუპვისა მცირეა, სენი ცხენების პატრონთ აყენებს დიდ ზარალს მის გამო, რომ, ერთის მხრით, ავადმყოფი პირუტყვი

დროებით სნეულდება და ანით უძლიურდება და მეორეს — შესაძლოა ზოგიერთ ინდივიდების დალუპვაც სენის სხვადასხვა გართულების გამო.

აღმძვრელი სტრებტოკოკი მუდმივ მოიპოვება ავადმყოფთა ცხვირის ლორწოიან ჩირქში და დაზიანებულ ლიმფატიურ ჯირკვლებში.

სტრებტოკოკები წარმოადგენენ თავის ფორმით მიკროსკოპიულ კრიალოსანს.

ავადმყოფობა ვრცელდება ორგანიზმში სტრებტოკოკების ცხვირის ან ხახის ღრუში შესვლით, სადაც ჩნდება ლორწოიან გარსთა ჩირქიან-ლორწოიანი ანთება.

სტრებტოკოკი შეიძლება მოხვდეს პირუტყვს ან პირდაპირ ან საკვებ-სასმელის საშუალებით.

ავადმყოფობა ვრცელდება ჯოგში ან თავლაში, თუ იქ მოხვდა ან ჩამომრებით ავადმყოფი ან ახლად ნაავადმყოფარი ცხენი.

ავადმყოფობის გადადებაში და გავრცელებაში დიდ როლს თამაშობს, უეჭველად, ჰაერი, რომელშიდაც დაფრქვეულია ავადმყოფის ცხვირის ევინტი და ნახველი (ეგრ. წოდებული წვეთური ინფექცია).

სნების დამტარებელი შეიძლება იქნეს: ევინტით დასვრილი თავლის ნივთები და მოწყობილებანი, როგორათაც: ცხენის საპირეები, ვედროები, საკვები, სასმელი წყალი, საწოლ-საფენი, კედლები, იატაკი; საძოვარი თავის ბალახით, ხელ-ფეხი და ტანისამოსი მოსაქმსახურეთა.

ავადმყოფობის მიმართ მგრძობიერნი არიან განსაკუთრებით ერთხლიქიანები. ჩვეულებრივად-კი ავად ხდებიან პირუტყვები ხნოვანობით $1/2$ წლიდან 5 წლამდე.

ავად ხდებიან **ერთხელ** თავის სიცოცხლეში და განმეორება ავადმყოფობისა — იშვიათი შემთხვევაა.

ავადმყოფობის ფართოთ გავრცელებას ხელს უწყობს პირუტყვის გაგრილება და დამოკიდებული მასთან სურდო.

ლემის გაკრის დროს ჩვენ ხშირად ვპოულობთ, ლიმფატიურ ჯირკვლების ანთების გარდა, ბრონხების მიდამოში კაკლის-მუჯის ოდენა აბსცესებს (ჩირქ-გროვებს). ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც სიმსივნეს მიუღია ბავშვის თავის სიდიდე. ეს სიმსივნეები სავსეა ნაღების მსგავსი ჩირქით, რომელშიდაც უხვად მოიპოვება ჩამომრების სტრეპტოკოკები.

შესაძლოა იქნეს ჩირქიანი ანთება პლევრისა და გულის პერანგისა.

ფილტვებში ჩვენ ვპოულობთ ჰიპერემიას, მწვავე შეშუპებას და კატარალურ ანთებას. შეიძლება აქაც იქნეს სხვადასხვა ზომის აბსცესები.

ჰიპერემია ყოველთვის ეტყობა სასას, სასულეს და ბრონხების ლორწოიან გარსს; ეს ნაწილები მოფენილია ლორწოიანი ჩირქით.

მუცლის ღრუში და მუცლის ბადეში ვპოულობთ დაჩირქებულ ლიმფატიურ ჯირკვლებს. აბსცესებს ვპოულობთ თირკმლებში, ღვიძლში, ელენთაში, კუქის ქვეშა ჯირკველში და *musc. psoas*-ში. გარდა ამისა ხშირად შეიძლება აბსცესები იქმნას ნაპოვნი თავის და ზურგის ტვინში, სადაც იწვევენ ჩვეულებრივად ტვინის გარსების ჩირქიან ანთებას; აბსცესები შეიძლება ვიპოვოთ კისრის კუნთებში, ბარძაყის, ბეჭის და უკანა ტანის მიდამოებში, სხვა და სხვა სახსრებში, სათესლეებში, ცურში, ფარისებრ ჯირკველში და სხვ.

ეხლა გადავიდეთ ავადმყოფობის ნიშნებზე. ინკუბაციური ხანის შემდეგ, რაც გრძელდება 4—8 დღეს, ავადმყოფობა იწყება ორგანიზმის ტემპერატურის აწევით 39—40°-მდე. ამ დროს პირუტყვს ეტყობა ძალზე მოღლილობა, უმადობა; ეწყება ცხვირის ღრუს ანთება, რაც თავდაპირველად გამოიხატება ცხვირის ლორწოიან გარსის ანთებაში და შემდეგ ჩირქიან ლორწოს ცხვირიდან დენაში.

ავადმყოფი ხშირად ახველებს და ეწყება ნელ-ნელა სა-

სის, პირის და თვალების ლორწოიან გარსის ანთება.

უმეტეს ნაწილად, თავშივე ავადმყოფს ემჩნევა ქვედა ყბის ჯირკვლების მწვავე სიმსიენე. ეს სიმსიენე თანდათან იზრდება, გადადის ხახაზე, ყურის ფუძეზე და ლოყებზე და, ბოლოს, წარმოადგენს ერთ მთლიან სიმსიენეს. ამის გამო, ავადმყოფი თავს ვეღარ ჰხრის თავისუფლად, თვით სიმსიენე ძალზე მოქიმულია, მაგარია, ცხელი და ეტყობა ტკივილი.

რამოდენიმე დღის შემდეგ სიმსიენე რბილდება, ჩირქდება და სქდება, საიდანაც უხვად გამოდის ნალების მსგავსი ჩირქი. ამის შემდეგ ქსოვილების ანთება და შეშუპება ამ მიდამოში ნელ-ნელა ჰქრება, დაზიანებული ადგილი იღებს თავდაპირველ სახეს და პირუტყვი იკურნება.

გარდა ამისა, კანზე ჩნდება ხშირად მუწუკები, რომლებიც ხან ჰქრებიან თავშივე. ხან-კი ივსებიან მოყვითალო სითხით.

ასეთი ბუშტულები ჩნდებიან, ჩვეულებრივად, ლოყებზედ, ცხვირის და პირის გარშემო, კისერზე; გულ-მკერდის გვერდებზე და სახსრების მომხრელ ზედაპირზედ.

მაგრამ ავადმყოფობა ყოველთვის ასე არ მიმდინარეობს. ხშირად აღწერილი სურათი იცვლება სხვადასხვა გართულებების მეოხებით, მაგ., თუ ვინიცობაა, აბსცესის შეცულობა მოხვდა ანთების გამო დაზიანებულ რომელიმე სისხლის ძარღვს და სტრეპტოკოკები გაჰყვა სისხლის ნაკადს, მაშინ ასეთი მოვლენის შედეგად იქნება მეტასტატიური, ანუ **გადატყორცნილი**, ანთება სხვადასხვა შინაგან ორგანოებისა.

ამ გზით შეიძლება გაუჩნდეს პირუტყვს აბსცესები ტვინში, ფილტვებში, ღვიძლში, ელენთაში, თირკმლებში, ფარისებრ ჯირკველში და სხვ. და სხვა.

ამ შემთხვევებში პაციენტებს ემჩნევა მაღალი ტემპერატურა, გულის ძლიერი სისუსტე, საერთო აპათია და 4—5 დღეში პირუტყვი კიდევ კვდება.

როგორც ვხედავთ, ცხენების ჩამომრები არ არის ისეთი

უმანკო ავადმყოფობა, რომელსაც არ უნდა მიეკცეს ჯეროვანი და სერიოზული ყურადღება.

ექიმობა ჩამომრებისა იმყოფება შემდეგში.

თავდაპირველად საჭიროა დაეზილოს სიმსივნეები, **სანამ დაიჩირქებოდნენ**, რუხი ვერცხლის წყლის მალამოთი ან და გაუკეთდეს მათ ცივი კომპრესები. ამასთან საჭიროა მიეკცეს დიდი ყურადღება იმას, რომ თავლაში იქნეს თბილი და სუფთა ჰაერი; თუ ამიღი გვაძლევს ნებას, შეიძლება ასეთი ავადმყოფი დღით დაეცოვით ჰაერზე, ჩრდილში და საკვებათ მივცეთ, კარგი ხარისხის თივის და ქერის გარდა, კართოფილი ან სტაფილო; ზაფხულში—ნედლი ბალახი, სამყურა და იონჯა; თუ ავადმყოფს უჭირს ყლაპვა, ყელის სიმსივნის გამო, უნდა მიეკცეს თბილწყალ ნარევი ღერდილი ან ქატო. საჭიროა მიეკცეს დიდი ყურადღება, საერთოდ, სისუფთავეს, რისთვისაც ხშირად უნდა გამოეცვალოს ავადმყოფს საწოლ-საფენი, მომიდულროს საპირე; ცხვირ-პირი უნდა მოეწმინდოს 4% ბორის სიმჟავის ხსნილში გაჟღენთილ ლურბლით. თუ გვაქვს საშუალება და სპირტით დაუზღვლო ტანს ავადმყოფს—ეს ხომ საუცხოვო იქნება.

ჯირკვლების სიმსივნეები, თუ თითონ არ მწიფდებიან, საჭიროა ხელოვნურად მოვამწფოთ თბილი კომპრესების საშუალებით. როგორც-კი შევატყოფთ ასეთ ჯირკველს სირბილეს ან ე. წ. ფლუკტუაციას, —დაუყონებლივ უნდა გაიქრას ასეთი სიმსივნე, გამოიწუროს ჩირქი და გამოირეცხოს სათანადო სადებიზნფექციო ხსნილით. გაქრა უნდა მოხდეს ფართოთ—სიმსივნის მთელ სიგრძეზედ.

ასეთი ოპერაციის შემდეგ ავადმყოფი ჰგრძნობს თავს უკეთ, სიცხე უნელდება, შეშუპება თავის მიდამოებში ჰქრება, მადა ქამისა ბრუნდება და სხვ.

თუ ავადმყოფს ძალზე შესივებული აქვს ყელი და ხახა.

საჭიროა მიეცეს 10 გრამი ქლორ-კალისა (Kal. chloricum) ერთ ვედროს წყალზე და გაუკეთდეს პრისტნიკის სათბობი კომპრესები.

გარდა ამისა უნდა მიეცეს ყურადღება კუჭის მდგომარეობას; თუ ავადმყოფს მუცლის შეკრულობა აქვს, უნდა მიეცეს საკვებთან ერთად თითო მაგიდის კოვზი კარლსბადის მარილი.

თუ პირუტყვს ძლიერ აწუხებს ცხვირ-პირის კატარრი, საჭიროა გაუკეთდეს ორთქლის ინგალაცია, რისთვისაც მღუღარ წყალს უნდა მიემატოს სკიპიტარი.

უნდა ეძლიოს შიგნით ყოველ დღე ათ-ათი გრამი სალიცილის სიმეჩავე ან სალიცილის ნატრი.

ეპიზოოტის წინააღმდეგ უნდა ეიქონიოთ სახეში ზოგიერთი პროფილაქტიური ზომები.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩამომრებს ძნელად იტანენ უფრო კვიცები; ამისათვის საჭიროა, თავლაში ეპიზოოტიის გაჩენის დროს, კვიცები შევიანახოთ ცალკე დანარჩენ ცხენებიდან— სითბოში და სისუფთავეში.

ყვავილი (Variola).

ყვავილს ეძახიან ადამიანის და შინაურ პირუტყვთა მწვავე, სიცხიან, გადამდებ ავადმყოფობას, რომლის მიმდინარეობის დროს ან მთელ ტანზე ან სხეულის ზოგიერთ ადგილებზე ჩნდება თავისებური ბუშტულისებრი პარტახტები.

სერიოზული და ჩვენთვის ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ცხვრის ყვავილს, რომელსაც აქვს ეპიზოოტიური და ავთვისებიანი ხასიათი.

ყვავილის აღმძვრელი ეკუთვნის ულტრამიკროსკოპიულ ორგანიზმს და იმყოფება ყვავილის კვანძებში, ბუშტულებში და მათ ნაჯდომ ადგილზე გაჩენილ ქერქში და ხანდახან ავადმყოფის სისხლშიცა.

ამ უკანასკნელ მოვლენის შესახებ დამტკიცებულია მხოლოდ ერთი რამ, მაგ, ყვავილის ჩირქი რომ შეუშხაპუნოთ პირუტყვის სისხლის ძარღვში—1-2 საათის შემდეგ ასეთი სისხლი ჰკარგავს და აქარწყლებს მიღებულ ყვავილის შხამს.

ცხვრის ყვავილს, როგორც სხვა ინფექციურ ავადმყოფობებს, აქვს ინკუბაციური ხანა, რაც უდრის 6-8 დღეს. ამის შემდეგ ავადმყოფს აძლევს სიცხეს (41—42°), ეკარგება ქამის მალა, პულისი უცემს ხშირად, სუნთქავს მძიმედ, ხანდახან ეტყობა შეციება და კანკალი. ხერხემალზე ხელის დაქერა იწვევს დიდ ტკივილებს. თვალის ქუთუთო სივდება, თვით თვალები იხუჭება, ლორწოიან გარსს ეტყობა ანთება, რის გამო თვალებიდან განუწყვეტლივ სდის ცრემლები და ლორწო. ასეთი ლორწო ცხვირიდანაც გამოდის.

პირის ლორწოიანი გარსი ადგილ-ადგილ შეწითლებულია. შარბზე და გარედ ავადმყოფი გადის ნაკლებად.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება 1—2 დღეს, რის შემდეგ ავადმყოფს აყრის ტანზე პატარ-პატარა წითელს და მრგვალ ლაქებს (*Roseola variolosa*) და თან ადგილ-ადგილ ეტყობა კანის შეშუპება. ასეთი როზეოლები ემჩნევა პირუტყვის თვალის გარშემო, ლოყებზე, ტუჩებზე, ცხვირის ფრთებზე, სარცხვინო ჩარბებზე, ჩუჩასზე, ცურზე, სათესლეების პარკზე, კუდის ძირა ზედა-პირზე, ბარძაყის შიგნითა ზედა-პირზე და, საზოგადოდ, ყველა ტიპველ და უბეწვო ადგილზე.

მეორე დღეს ასეთ ლაქების შუა გულში შეიძლება შევამჩნიოთ მრგვალი მოწითლო, ღომის კაკლის ოდენა, კვანძები, ან მუწუკები. ეს კვანძები შემდეგ დღეებში იზრდებიან თითქმის ნეკის ფრჩხილის ოდენათ (ე. წ. Stadium papulosum). მალე მუწუკები ხდებიან ბუშტულებათ, სავსე გამსქვირვალე სითხით. 2-5 დღის შემდეგ ეს სითხე იქცევა ჩირქათ და თვით ბუშტულებს უჩნდება ცენტროში ეგრ. წ. ჰიპი, ერთგვარი შეხსენებლობა, რაც დასახასიათებელია ყვავილის ბუშტულებისათვის.

ამ დროს ავადმყოფობის მიმდინარეობა უფრო მწვავედ-
ბა, მაგრამ 4—6 დღის შემდეგ ჩირქ-გროვეები ხშებიან და ავად-
მყოფობის ბნელა ნელ-ნელა სცხრება.

ჩირქ-გროვეების ადგილზე ჩნდებიან ქერქები, რომლებიც
7—8 დღის შემდეგ შორდებიან სხეულს... კიდევ რამოდენი-
მე დღე და ორგანიზმი იკურნება.

ასეთ პირობებში ავადმყოფობა გრძელდება 2—3 კვი-
რას. ამ ფორმით დაავადებული საქონელი იხოცება 15—
20 პროცენტამდე.

მაგრამ არსებობს ყვავილის უფრო მძიმე ფორმები:

1) ე. წ. **მოდებული ყვავილა**. როდესაც ყვავილის მუ-
წუკები დალაგებულია ერთმანერთთან ისე ახლოს, რომ სხეუ-
ლი წარმოადგენს თითქმის ერთ მთლიან დაჩირქებას. მაშინ
მუწუკები ჩნდება ცხვირში, პირში, თვალის ქუთუთოს შიგ-
ნითა ზედაპირზე და თვით თვალის კაკალზედაც. ამ შემთხვე-
ვაში პირუტყვი უსათუოდ კვდება.

2) **ჭემორაგიული**, ანუ **შაგი ყვავილი**—როდესაც მუ-
წუკები რ.ე.ს.ს. ბუშტულოები) ივსება სისხლით, რომელიც ეო-
ნავს სისხლის ძარღვებიდან. ამ შემთხვევაში მთელ ტანს ეჩი-
ნევა ვრცლად თავისებური დაღურჯებანი, თვით სისხლი-კი
იხრწნება.

ამის შედეგი — ორგანიზმის სიკვდილია ნივთიერებათა დამ-
ყაყებიანი დახრწნის და ამ ნივთიერებების ორგანიზმის მიერ შე-
თვისების გამო, რაც ცნობილია მეცნიერებაში — სეპტი-
ცემიათ.

ამ ფორმიდან დღეუპვის პროცენტი უდრის—75-ს.

3) **ემფაზემატიური ყვავილ**, როდესაც ბუშტულე-
ბი იბერებიან სხვა და სხვა მყარული გაზებით. ორგანიზმი
კვდება.

ექიმობა. ყვავილის ექიმობის დროს საქიროა ვკვონდეს
მხედველობაში ჰიგიენური ზომები — სათანადო გამოკვება და
მოვლა ავადმყოფთა. გომურში არ უნდა სცივოდეს, პირუტყ

ყვთ უნდა ეძლიოს მოხარშული სხვა და სხვა ფხალეულობა — სტაფალო, ჭარხალი, კართოფილი; თუ პირში არა აქვთ დაყრილი — მწვანე ბალახი. სასმელ წყალს უნდა მიემატოს ოდნავ გოგირდის ან მარილის სიმყავე.

კუქის შეკრულობის წინააღმდეგ საჭიროა მიეცეს — გლუბერის მარილი (*Natr. sulfuricum*) 50 --- 1000,0 და გაუკეთდეს საპნის ოყნა.

ერთად-ერთ რადიკალურ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს გიმაფროთხილებელი და **სავალდებულო — ძალდატანებითი** აცრა ყვავილისა.

აცრა ხდება ყვავილის ბუშტულების მოცულობის საშუალებით, ან **ლიმფით**.

ეს ლიმფა უნდა მოგროვილ იქნას ახალგაზრდა და ჯანნიანი ცხვრების იმ ბუშტულებიდან, რომლებიც შეიცავემოყვითალო და სრულიად გამსჭვირვალე სითხეს, ე. ი. **ბუშტულების დაჩირქებაში**.

გარდა ამისა, უნდა მიექცეს დიდი ყურადღება თვით ეპიზოოტიის ფორმისაც: ეპიზოოტიას უნდა ჰქონდეს ტიპური, კარგთვისებიანი ხასიათი.

აცრა ხდება ასე.

უნდა აეცრას **მთელ** ფარას. ასაცრელ ალაგათ ცნობილია უფრო დუმის ქვედა ზედაპირი, უკანა ტანის ხვრელიდან 5 — 10 cm. დაშორებით, რაც ხდება ასაცრელი ლანცეტის საშუალებით.

კრავების ასაცრელი მასალა უნდა იქნეს წინა წელში მოგროვებული და შენახული გრილად და სათანადოდ.

ასეთი აცრა იწვევს ხანგრძლივ იმუნიტეტს.

ცხვრის ყვავილი არ გადადის თხებზე.

მათზე არსებობს საგანგებო თხის ყვავილი, რაც იშვიათი მოვლენაა.

ლორის, ცხენის, ძაღლის და ქათმის ყვავილი არ წარმოადგენს დიდ ეკონომიურ ინტერესს და აქ ამაზე არც ღირს ლაპარაკი.

დიდ ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს მთელი კაცობრიობისათვის ძროხის ყვაილი, რაზედაც გადავალთ ეხლა.

ძროხის ყვაილის ბიოლოგიის შესახებ არსებობს 3 მთავარი აზრი:

1) ძროხის ყვაილი წარმოსდგება ადამიანის ყვაილისაგან;

2) — ცხენის ან ცხვრის ყვაილიდან და

3) ყვაილი ემართება ძროხას მხოლოდ ყვაილით ავადმყოფი ძროხიდან.

პირველ მოყვანილ აზრს შეცნიერთა უმეტესი ნაწილი უფრო უკერს მხარს და თვით უკვდავი ინვლისის ექიმი **ელუარდ ჯენნერი**. ამ ექიმმა თავისი გენიალური დაკვირვებით და გამოკვლევით დაამტკიცა და მით დაარწმუნა მთელი ქვეყანა, რომ ადამიანის ყვაილის წინააღმდეგ წინასწარი აცრით შეიძლება თავიდან აცილება კაცობრიობის უსაშინლესი მტერი სა—ყვაილისა, რომელიც აცრის შემოღებამდე უღეტავდა ავადმყოფთა 80 პროცენტამდე.

მედიცინის ისტორიიდან ცნობილია, რომ ყვაილის აცრა, ანუ **ვაკცინაცია** (ლათინურად *vaccina* ჰქვიან ძროხას), ე. ი. აცრა კაცისთვის ძროხის ყვაილისა იმ მიზნით, რომ კაცს დაჰკარგოდა მგრძნობიერობა ნატურალურ ან ბუნებრივი ყვაილის მიმართ, კარგათ იცოდნენ კავკასიის ერებმა, კერძოთ ქართველებმა, დიდი ხნის წინ ქრისტეს დაბადებამდე. ეს ჰქონდა, რასაკვირველია, გაგონილი და გამოცდილი, როგორც ჯენნერს, ისე სხვა პირებსაც, მაგ., ვეტერინარებს **Fevstler**-ს და **Sutton**-ს, რომლებმაც 1765 წ. ვერ დაჰმართეს ხელოვნურად ნატურალური ყვაილი იმ პირთ, რომლებსაც შემთხვევით დაჰმართოდათ ძროხის ყვაილი. ასეთივე განზრახვით 1791 წ. სოფლის მასწავლებელმა **Plet**-მა დაჰმართა ძროხის ყვაილი ერთი გლეხის 3 შვილს. იმ დროს

სოფელში მძინვარებდა დიდი ყვავილის ეპიდემია. ხსენებულ გლეხის ოჯახში ყველას დაემართა ყვავილი ხსენებულ 3 აკრილ ბავშვის გარდა...

და დიადი დამსახურება კაცობრიობის წინაშე ჯენერისა მდვომარეობს მასში, რომ მან პირველად ენერგიულად და დაჟინებით დაიწყო ქადაგება იმ ქეშმარიტებისა (მიუხედავთ იმისა, რომ ეს იყო ბრმად ცნობილი ხალხში), რომ წინასწარი აკრა კარგად მყოფთათვის ძროხის ყვავილით — დიდი ხნით და, ზოგიერთ შემთხვევებში, სამუდამოთ იცავს ადამიანს ნატურალურ ყვავილისაგან.

ამ მიზნით ჯენერმა მოახდინა აუარებელი რიცხვი ასეთი აკრისა, შეისწავლა ეს საკითხი ყოველის მხრივ და გამოსცა 1798 წ. ლონდონში თავისი კლასიკური თხზულება ვაკინაციაზე, რომელმაც იქონია მთელ ევროპაში დიდი გავლენა, რის შედეგათ იყო მიღებული, როგორც კანონი, სავალდებულო ყვავილის აკრა,

როგორ მზადდება ეს ლა ყვავილის ასაკრელი ლიმფა — ეს წარმოადგენს საკითხის დეტალებს, რომლების გადმოცემა არ შედის ჩვენს პროგრამაში.

ხარმის ეპიზოტიური ფილტვების ანთეზა (Pleuro-pneumonia boum contagiosa).

ეს გადაიდები ავადმყოფობა ეპართება მხოლოდ მსხვილ რქიან საქონელს (სიკვდილის პროცენტი=20—50%) და პირველად აღწერილია 163 წ. Valentin-ის მიერ. ეპიზოტიური ფილტვების ანთებამ თავის დროზე მუსრი გაავლო გესსენის საქონელს, შემდეგ შეტანილ იქმნა ინგლისში, სადაც იმსხვერპლა 1 მილიონამდე სული საქონელი. ამ ეპიზოტიამ ამოჰყო თავი გასულ საუკუნოში აფრიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ ამერიკაში და რუსეთშიც.

კავკასიაში და, კერძოდ, ჩვენში ეს ავადმყოფობა არ ყოფილა შექმნილი.

ავადმყოფობის აღმძვრელი თითქმის ულტრამიკროსკოპიული ორგანიზმია, რომელიც აღმოჩენილია Noard და Roux-ს მიერ. ეს მიკრობი ითვლება დღემდე ნაპოვნ ბაცილებში ყველაზედ უფრო პატარად. მისი დანახვა შეიძლება მიკროსკოპით მხოლოდ 1500 ჯერ გადიდების შემდეგ და თუ პრეპარატი მიკროსკოპიული ძალზე გაშუქებულია. მიკრობი წარმოადგენს ძლიერ წვრილ, მოძრავს და სინათლის გადამტეხ წერტილს.

ავადმყოფობის ინკუბაციური ხანა უდრის 3—8 კვირას, რის შემდეგ პირუტყვს დრო გამოშვებით ეწყება ხველა. 1 - 2 კვირის განმავლობაში ხველება ძლიერდება. სიცხე ადის 39,5°. პირუტყვს ეტყობა სულის შეხუთვა და ქოშინი. ხილული ლორწოანი გარსები იღებენ მოლურჯო ფერს.

ჩამოთვლილ მიზეზების გამო პირუტყვი იღებს ამ ავადმყოფობის დამახასიათებელ სხეულის მდებარეობას ან პოზას: პირუტყვს გაჩახული აქვს ოთხივე ფეხები და გაქიმული ყელი: ეტყობა მოუსვენარობა—დაწვება თუ არა, მაშინვე სცდილობს ადგეს.

ფურ საქონელს უშრება რძე.

შარდზე გადის ნაკლებად.

ხან და ხან ამით თავდება ავადმყოფობა და პირუტყვი ნელ-ნელა კარგად ხდება. მაგრამ ხშირად ავადმყოფობა იღებს მწვავე ხასიათს. ტემპერატურა ადის 40 ± 2°, პირუტყვი ძალზე ჰხვინის და სწუხს, კუქს ეტყობა შეკრულობა, გვერდებზე ხელის დაქერა იწვევს ტკივილებს. ცხვირიდან გამოსდის ჩირქიანი, შედებილი სისხლით, ლორწო; თვალები ეცრემლება; ბალინი ჰკარგავს თავის ჩვეულებრივ ბრწყინას და იბურძვება; მკვე ძროხები აგდებენ ხბოებს. პირუტყვი აგდია მიწაზე გაქიმული კისრით, ღონე მიხდილი, და კვდება 2... 3 კვირის განმავლობაში. ავადმყოფობის დროს, აღმძვრელი მიკრობების

შეოხებით, ფილტვები ძალზე იუღენთებიან სისხლით, რის გამო, როგორც სისხლის შრატის, ისე თეთრი და წითელი სისხლის ბურთულები გამოდიან სისხლის ძარღვებიდან და იკვეთებიან, რაც იწვევს ეგრ. წ. წითელ ჰეპატიზაციას (Hepatitis) — ლათინურად ღვიძლია), ე. ი. ფილტვები იღებენ ღვიძლის კონსისტენციას, რის გამო ფილტვები იძირებიან წყალში. გაკრისას ფილტვებიდან გამოდის ფიბრინის ნაკეთები.

თუ ავადმყოფმა ასეთ მდგომარეობას გაუძლო, მაშინ ფილტვებში ჩნდება ეგრ. წ. რუხი ჰეპატიზაცია, რაც დამახასიათებელია წითელი ჰეპატიზაციის გარდაგვარებისა. ასეთი ფილტვების განაკერი მოვლავონებს თავისი გარეგნული სახით ძარღვიან მარმარილოს.

რაც შეეხება წინასწარმეტყველებას, ახალგაზრდა საქონელი უფრო იტანს ამ ავადმყოფობას, ვიდრე ჰასაკში შესული. ავადმყოფობა იძლევა სამუდამოთ იმუნიტეტს.

დიფერენციალური დიაგნოსტიკა. ეს ავადმყოფობა წააგავს 1) სპორადიულ ფილტვების ანთებას, რომლის შემთხვევები მთელ ჯგოფში შეიძლება იქნეს 1—2; 1) ტუბერკულოზს — რის გამოსაცნობათ უნდა მივმართოთ, სხვათა შორის, ტუბერკულინიზაციას და 3) სეპტიცემიას, ანუ დამყაყებითი სისხლის მოშხამვას, რაც ხშირად ემჩნევა ძროხებს მშობიარობის შემდეგ (ასეთ ლეშის გაკრის დროს ჩვენ ხშირად ვპოულობთ ფილტვებში ზევით აღწერილ ცვლილებებს).

გარდა ამისა, სეპტიცემია გრძელდება 3—7 დღეს და თავდება ყოველთვის სიკვდილით. ავადმყოფი ტკივილებს არ ჰგრძნობს; ეტყობა მხოლოდ აპატია. დამყაყებითი სისხლის მოშხამვა ეტყობა თითქმის ორგანიზმის ყველა ორგანოებს. ზიანდებიან ლორწოიანი გარსები (ემჩნევა სისხლის დათხევა თვალების, პირის, ნაწლავების და სხვ. გარსებში), კანი და კანქვეშა ქსოვილები; როგორც უკანასკნელი მოვლენის შედეგებია — სახის და თავის შეშუპება, პირის და ენის ანთებანი.

ენა ვერ ეტყევა პირში, ზიანდება სახსრები. ანთება პა-

რენხიმატიური ორგანოთა (სისხლის დათხევა, ჩირქგროვები და სხვ.)

გულის, საშვილოსნოს და ჩონჩხის კუნთებში ჩნდებიან ჩირქ-გროვები, ექსტრაავაზატები და შეშუპებანი. ნაწლავების დაზიანების გამო ავადმყოფს უტყდება შეუწყვეტელი ფაღარათობა. ამასთან თუ გვაქვს საშუალება და სექტიცემიით დაავადებულ ფილტვების ხხილი შეუშხაზნეთ კან ქვეშ ზღვის გოქს — ცხოველი უსათუოთ ხ—20 საათის განმავლობაში დაილუპება სექტიცემიის ნიშნებით.

ექიმობა. ავადმყოფს უნდა ვადოთ გვერდებზე ყინულით სავსე რეზინის ტომრიკები, დღე და ღამ, ორი-სამი საათის შესწვეტით. უნდა მიეცეს *Natr. sulfuric.* 1 გირვანქა.

უფრო დიდი და რადიკალური შინაშენლობა აქვს სენის გამაფრთხილებელ, წინასწარ აცრას სათანადო შრატით, რაც მზადდება პეტროგრაღის მთავარ სივეტერინარო დამორატორიაში. აცრა ხდება გაწმენდილ და გაპარსულ კულის წვერში.

თუ ასეთი აცრა ვერ მოხდა, ავადმყოფი საქონელი უნდა დაიხორცოს, პოსლებში უნდა მოხდეს სასტიკი და სათანადო დეზინფექცია.

ცხენების ინფლუენცა. *Influenza equorum.*

ინფლუენცა არის ეპიზოოტიური, გადამდები ცხენების ავადმყოფობა, რომლის აღმძვრელი ჯერ არ არის აღმოჩენილი. ავადმყოფობა იძლევა სამუდამოთ იმუნიტეტს.

ავადმყოფობის დროს ცხენს უზიანდება ფილტვები, პლევრა, გული და ღვიძლი. ჩვეულებრივად ავად ხდებიან ახალგაზრდა ცხენები, რის წინასწარ, მომზადებულ პირობებათ უნდა ჩაითვალოს მძიმე მუშაობა, წინათ გადატანილი სასუნთქი ორგანოების ანთებანი, არაშესაფერი თავლა და სხვ. სენს გადა-

ტანა ავადმყოფიდან კარგადმოფხე შეიძლება მოხდეს მოძველელ ადამიანის, საკვებ-სასმელის და სხვ. საშუალებით. ინკუბაციური ხანა უდრის — 14 დღეს.

ავადმყოფობის ნიშნები. დიდი სიცხე, ხველება, ჩქარი და მძიმე სუნთქვა, რაც მდგომარეობს ნეკნების დიდ, არანორმალურ მოძრაობაში.

ასე გრძელდება 6 დღე, რის შემდეგ ნიშნები შეიძლება ნელ-ნელა დასცხრენ და ავადმყოფიც განიკურნოს

ექ. მობა. ცივი ოყნები უკანა ტანის ხვრელში. სიცხის დასანელებელი საშუალებანი — ფენაცეტინი, ანტიფებრინი; არაყი (ან ღვინო), ქაფური და სხვ. გულის გასამაგრებლად — კოფეინი. გვერდების დასახელად მლოგვის ზეთი და სპირტი: სათბობი კომპრესები, რომელიც უნდა გამოიყვალოს ყოველ 3 საათში ერთხელ. ნახველის ამოსაღებათ — ნიშადური. შარდის მოსაგვრელათ ტყვია, ანუ გია. (*Fruct. juniperi*); *Kal. acetic.* კუჭის აშლის წინააღმდეგ კალომეოი, კარლსბადის მარილი. გარდა ამისა საჭიროა ავადმყოფთა გადაყვანა ცალკე თავლაში. სადგომების დეზინფექცია.

Rp. Camphor. trit 30,0

Pulv. rad. Althaeae 150,0

Aq. q. s. f. pil. N III.

Ds. დღეში თითო აბი სისუსტის დროს

Rp Hydr. chlorat. mit. 5,0

Pulv. Rad. Alth 100,0

Aq. dest. q. s. f. Electuar.

Ds. ერთდროულად.

Rp. Atropini sulf. 0,05

Aq. destill. 10,0

D. S. ყოველ დღე ორჯერ თავალში რამდენიმე წვეთი.

Dp. Opii pulv. 8,0

Hydr. chlor. mit, 2,0

Pulv. Rad. Alth. 25,0

S. პილულები მიეცეს ერთად ფალარათის გამო.

ს ე პ ტ ი ც ე მ ი ა . ჰ ი ე მ ი ა .

1. სეპტიცემია—ხწრნის ანუ ლპობის ქიმიური ნაყოფებით ორგანიზმის მოშხამვა, რაც გამოიხატება, უპეტეს ნაწილად, ელენთის სიმსიენეში და გულის კუნთის, ღვიძლის და ელენთის ცხიმოვანი გარდაგვარებაში

ნიშნები ავთამყოფობისა (იხილე „ეპიზოტ. ფილტ. ანთ.“) მაღალი ტემპერატურა (40—42°C): შეციება; პულსის და გულის სისუსტე; სილურჯე ხილული ლორწოვანი გარსებისა; მღვრიე შარდი, შეუწყვეტელი ფალარათობა. პირუტყვის სიკვდილი.

2. პიემია ჩირქის მომგვრელი მიკრობებითა (სტრეპტოკოკებით, სტაფილოკოკებით და სხვ.) ორგანიზმის მოშხამვა, რაც ხდება ჩირქიან ვენურ ტრომბოზის მეოხებით, ჩირქიან ლორწოვანი გარსების ანთების გამო, ჩლიქების დაჩირქებით, ცხენების ჩამომრების და ახლად დაბადებულთა კიბის ანთების გამო და სხვ.

ერთის სიტყვით—პიემია სხვა და სხვა ჩირქიან ავადმყოფობა გართულებათა, რომლის დროს ორგანიზმში ღვივდება აღნიშნული ზემოთ მიკრობები.

ნიშნები პიემიისა ჰვანან სეპტიცემიის ნიშნებს.

Rp Creolini 15,0

Ol. Terebinth 100,0

Gummi arabici

Rad. Alth. q s.

D. S. ერთჯერ ცხენს.

ცხენების პარტახტიანი ავადმყოფობა
(Morbus maculosus).

ეს ავადმყოფობა მწვავე, ინფექციური პროცესია, რომლის აღმკვრელი ჯერ არ არის აღმოჩენილი.

ნიშნები. პარტახტები (სისხლის ლაქები) გაწითლებულ ცხვირის ლორწოვან გარსზე, შეშუპებები — სიმსივნეები კიდურების კანისა, თავის წინა ნაწილისა, მუცლისა, გულ-მკერდის ქვედა ნაწილისა და ჩუჩასი.

ეს სიმსივნეები, თავში შეზღუდული, ბოლოს ერთდებიან.

აღნიშნული პარტახტები შეიძლება იქნეს შემჩნეული ავადმყოფის პირის და თვალების გარსებზედაც. სიცხეს აძლევს იშვიათად.

წინასწარმეტყველება საკიროა გამოთქმულ იქნეს სიფრთხილით.

ექიმობა. მწვანე ბალახი, კალომელი, სალიცილის სიმეაა ვე, კრეოლინი, სკიპიდარი; პარაფინის მალამო და სხვ.

Rp. Naphthalini 100,0

Rhiz. calam.

Rad. alih. aa 80,0

Mf. Electuarium. S. დღეში 3—4-ჯერ ცხენს თითო ჩაის კოვზი.

Rp. Rezorcini 20,0

Fruct. juniperi 100,0

Rad. Liquir. 60,0

Mf. pilul N IV

D S. დღეში თითო აბი ცხენს.

Rp, Ferri sulf. 50,0
Cort. chinae 80,0
Natr. chlor. 200,0
M. f. pul. ორჯერ დღეში მაგილის კოვზი.

ქ ა ლ ლ ი ს ზ ი რ ი.

ეს ავადმყოფობა წარმოადგენს ვადამდებს და სიცხიან პროცესს, რომლის აღმძვრელი ჯერ არ არის აღმოჩენილი.

ავად ხდებიან ხშირად ლეკვები და კატის კნუტები. არჩევენ ავადმყოფობის 3 ფორმას, როდესაც პირუტყვის ემჩნევა ხილულ გარსთა ანთება სასუნთქი და საკპლის მომწელებელ ორგანოების და ნერვულ სისტემის აშლა და კანზე მუწუკები,

სიმპტომები. მაღალი ტემპერატურა, ჩირქიანი კონიუნ-კტივიტი, თვალის კაკლის იარები, მადის აშლა, წყურვილი, პირის ანთება, მყრალი ფაღარათობა; ლორწოიანი ანუ ჩირქიანი დენა ცხვირიდან; ყელის, სასულის და ბრონხების ანთება; ტვინის ბნედა, კუნთების კრუნჩხვები, რეტი, უკანა ფეხების და ტანის დამბლები; მუწუკები ბარძაყების შიგნითა ზედაპირზე და მთელ ტანზედაც.

ხშირად პირუტყვი კვდება სისუსტის გამო.

ექიმობა. კუქის აშლის წინააღმდეგ უნდა მიეცეს—კალომელი ან კანქვეშ აპომორფინი; თვალების ანთების წინააღმდეგ $1\frac{1}{2}\%$ კრეოლინის სითხე და 2% ბორის სიმჟავე, სასუნთქი ორგანოების დაზიანების წინააღმდეგ მორფი, აპომორფინი, Tart. Stibiat., Rad. ipecacuanh.; ტვინის გაღიზიანების წინააღმდეგ—ბრომის ნატრი, ქლორალ-ჰიდრატი; დამბლების—ყავა, ღვინო, ქაფური, კოფეინი, სტრიხნინი, ელექტრონი მაღალი ტემპერატურის წინააღმდეგ—ანტიპირინი, ანტიფებრინი.

დიეტა. დაკეპილი ნედლი ხორცი, რძე, ბულიონი.

Rp. Creolini 1,0

Aq. destill. 300,0

M. D S თვალების მოსაწმენდი.

Rp. Apomorphini muriat. 0,005—0,01

Aq. dest. 5,0

M. D. S. კან ქვეშ.

--

Rp. Opii pulv. 0,2

Calomel. 0,1

Sacchar. 0,5

Mf. pulv. ერთ მიცემაზე ფალარათის დროს.

—

Rp. Strychn. nitr. 0,002

Aq. dest. 5,0

M. D. S. სამ დღეში ერთხელ კან ქვეშ, დამბლების წინააღმდეგ.

ენჯოროტიური ინფექციური ხროვების, კრავების, გოჯაის გის და სხვ. მოგდება.

ამით ხდებიან ავად ძროხები, დედალი ცხვრები, თხები, ღორები, და იშვიათად, ფაშატი (ქაკი) ცხენები.

ძროხები ავადებენ ხშირად მაკეობის მე-3—7 თვეზე. მოგდების წინ პირუტყვს უსივდება და უწითლდება საშოს ღორწოიანი გარსი, გამოსდის ჩირქიან-სისხლიანი სითხე. მოგდების შემდეგ სიშოს ანთება დიდ ხანს გრძელდება. თუ პირუტყვი დარჩა უეჭიმოთ — შეიძლება სამკურნალოდ მისი გაბერწება და დააყადება.

ექიმობა: იზოლიაცია ავადმყოფთა, სადგომების დეზინფექცია, სამედიკალური მსწრაფლი განთავისუფლება მომყოლიდან და ჩანასახიდან, თუ ჩანასახი მკვდარია. საშვილოსნოს და საშოს გამორეცხვა კარბოლის სიმეჯის სითხით (2⁰/₀), კრეოლინით (3⁰/₀) და ლიზოლით (3⁰/₀) ესმარხოს აპპარატის საშუალებით. ვარდა ამისა უნდა შეეშაპუნოს 2⁰/₀ კარბოლის სიმეჯე 2 კვირაში ერთხელ ბარძაყის შიგნითა ზედაპირის კანქვეშ.

ძუძუთმომარ კირუბავთა ზალაართობა

Dysentery neonatorum.

ამით ხშირად ხდებიან ავად ენზოოტიურად ჩხილი პირუტყვები (ხბოები, კრავები, გოქები და კვიცები) და დაავადებულთა სიკვდილის $\frac{0}{0}$ უდრის — 90 ს.

აღმძვრელი სენისა არ არის აღმოჩენილი.

ნიშნები. პირუტყვი ჰკარგავს, დაბადების რამოდენიმე დღის შემდეგ, რძის წოვის და ჰამის მადას, იკინტება განუწყვეტლივ, გარედ გადის თხლათ და თეთრად, შემდეგ კი სისხლზე.

ავადმყოფი ძალზე სუსტდება და კვდება ავადმყოფობის 2—3 დღეზე.

ექიმობა. ავადმყოფთა განცალკევება; სადგომთა დეზინფექცია; მაკე საქონელთა გადაყვანა ცალკე და სათანადო ბოსელში

ავადმყოფს უნდა მიეცეს სათანადო საშუალებანი:

ხბოებს და კრავებს — საფალარათო ზეთი; კვიცებს — კალომელი, სალიცილის სიმეჯე და სხვ.

Rp. Ol, Ricini 50—100,0

Gaitumrab. 25,0

Aq. destill. 300,0

M. D. S. ერთ მიცემაზე ხბოს კრავს.

Rp. Opii pulv,
Acid. salicyl an 1,0
Ml. pulv.
D. S. ორჯერ მისაცემათ ორი დღის
განმავლობაში.

Rp. Arg. nitrici 0,6
Aq. destill. 100,0
Mf. sol.
D. S. ყოველ სამ საათში ერთჯერ თითო
ჩაის კოვზი.

ქ ა თ მ ი ს „ჭ ი რ ი“.

ჩვენში ყველა ქათმის გადამდებ და გამანადგურებელ ავად-
მყოფობებს ეძახიან საერთოდ „ქათმის ქირს“.

მეცნიერება-კი არჩევს მათში რამოდენიმე სხვადასხვა ეპი-
ზოოტიებს:

1. ფრინველთა ზოღერას;
 2. ფრინველთა ქირს;
 3. ფრინველთა დიფთერიას;
 4. ფრინველთა ყვავილს;
 5. ფრინველთა ტუბერკულოზს;
 6. ფრინველთა სპირილოზს და
 7. ინდაურების მალარიას (საკუთარა გამოკვლევა და
დაკვირვება).
-

1. ძათმის ხოლერა—Cholera gallinarum.

მწვავე, კონტაგიური, ეპიზოოტიური ფრინველთა, უმეტეს ნაწილად, ქათმების, ბატების და იხვების ავადმყოფობაა და გამოწვეულია ერთგვარი მიკრობით, რომელსაც ჰქვია *Bacillus avisepiticus*.

ამ ხოლერას დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ჩვენს ქვეყნისათვის, სადაც თითქმის მარტო ეს ქათმის ავადმყოფობა სუფევს ენზოოტიურად და მუსრს ავლებს ჩვენს შინაურ ფრინველს.

Bacillus avisepiticus—ეკუთვნის ვერ წ. ბიპოლიარებს, რომლებიც განსხვავდებიან სხვა ჯურის ბაცილებიდან იმით, რომ შეღებვის დროს მათ ეღებება მხოლოდ ბოლოები, ე. წ. პოლიუსები (აქედან **ბიპოლიარი**), შუანაწილი კი რჩება შეუღებავი, თეთრი სარტყლის მსგავსათ.

ეს ბაცილები დიდხანს ინახავენ თავს ნიადაგის ნესტიან ღრმა ფენებში; განავალში—ერთ თვეს; ლეშიში—3 თვეს; წყალში—18 დღეს. გაყინვის არ ეშინიათ დაახლოვებით 14 დღის განმავლობაში. გახმობას მზებზე იტანენ 48 საათის განმავლობაში; დაჩრდილოლ ადგილში კი—72 საათს. დეზინფექციური მასალა კარგათ და საიმედოთ მოქმედებს—1% კარბოლის სიმწვავე, 5% კირის წყალი. განავლის და სისხლის სადებინფექციოთ საქიროა მათი არევა 5% შაბიამნის სითხეში.

ბუნებრივად ფრინველი ავად ხდება ავადმყოფის განავლის ან ჟინტის, დასვრილი საკენკის, მკვდარი ფრინველის ლეშის ნაწილების აკენკით ან-და როდესაც კარგათ და ავადმყოფი ფრინველი ერთ და იმავე ქურკლიდან, ან გუბედან წყალს სვამენ.

გარდა ამისა, შესაძლოა ავადმყოფობის ჩანასახი გადავიდეს ერთ ეზოდან მეორეში სხვა და სხვა მოკოლოდნელი გზით.

უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფობა ვრცელდება ოჯახებ-

ში ახლად წაყიდი ავადმყოფი ფრინველის საშუალებით.

ხშირად ავადმყოფობა ვრცელდება ფრინველთა გამოფენების მეოხებით, როდესაც ასეთი გამოფენა მოკლებულია ვეტერინალურ ზედამხედველობას.

ხშირად ოჯახში შემოაქვს ავადმყოფობა შინაურ მტრედებს, რომლებიც ხშირად ხდებიან ხოლერით ავად.

ამაშივე შეიძლება დამნაშავე იყვნენ ბელურები და ქათმის თკიპა.

ქათმის ხოლერის მიმართ მგრძნობიერანი არიან გაუჯობესებული ჯიშების ქათმები და წყლის ფრინველი.

ჩვეულებრივი ჯიშის ქათამი-კი უფრო იშვიათად ხდება ავად. ხოლერა იმუნიტეტს არ იძლევა.

ბაცილები ნაწლავებიდან შედიან ნაწლავების ლიმფატიურ ნაპრალებში და აქედან სისხლის ნაკადში, სადაც მრავლდებიან ძალიან ჩქარა. ფრინველი ჩვეულებრივად იღუპება.

ლეშის გაკრის დროს ჩვენ ვპოულობთ ნაწლავების და ფილტვების მწვავე ჰემორაგიულ ანთებას. შეცულობა ნაწლავებისა თხელია, ლორწოიანი და სისხლ-ნარევი: თვით გული. გარეგანი ზედაპირი, ვითომ შეღებილია სისხლის წინწყლებით (ეს უფრო ემჩნევა წყლის ფრინველს). ფილტვები გაფლენთილია სისხლით, შეშუპებულია და არ შეიცავენ ჰაერს. ლიმფატიური ჯირკვლები შესივებულია.

გარდა ამისა, სისხლში—წითელ სორსლების შუა და ხანდახან სისხლის თეთრ ბურთულებში უხვად მოიპოვებიან ხოლერის ბიპოლიარები.

ნიშნები: ინკუბაციური ხანა ქათმების ხოლერისა უდრის — 4—9 დღეს, ბატების და იხების 1—2 დღეს.

ქათმის ხოლერას აქვს ორი ფორმა—**მწვავე** და **ქრონიკული**.

მწვავე ფორმის შემთხვევებში ავადმყოფობა მიმდინარეობს საოკრად ხანმოკლედ: პოულოდნელად ფრინველი სირბილის დროს ვარდება ქანდარიდან ან ხიდან და უეცრად კვდება.

უფრო ხშირად კი სიკვდილის წინ ეტყობა ფრინველს ზოგიერთი ნიშნები ავადმყოფობისა: ფრინველი მოწყენილია, ზის აბუძგული სადღაც მიყრუებულ ალაგას, ეტყობა კანკალი, თავს ინახავს იღლიაში; ფრთები ჩამოშვებული აქვს. სიარულის დროს ეტყობა უღონობა: ქანაობს და ბარბაცებს. ქამის მადა ეკარგება; წყურვილი კი ზედმეტი აქვს. ცხვირის ნესტოებიდან და ნისკარტიდან გამოსდის ქაფიანი ლორწო და ჟვინტი. ნისკარტი, ბიბილო და წვერი იღებენ მოლურჯო ფერს. უტყდება რწყევა, ფალარათი — მომწვანო და მოწითალო ფერისა და ძალზე მყრალი სუნისა. ბურტყული უკანა ტანის ხვრელთან მოსვრილია და შეწებული განავლით. ავადმყოფი სუნთქავს მძიმეთ, წამდაუწუმ აღებს ნისკარტს. ეტყობა ძალზე სისუსტე — ზის და სთვლემს. დაბოლოს, ეწყება კრუნჩხვები და ფრინველი კვდება.

ხანდახან ასეთი ფორმა გადადის ქრონიკულ ფორმაში. მაშინ ავადმყოფთ უსივდებათ ფხრების და ფეხების სახსრები, რომლებიც მალე ჩირქდებიან: ჩირქში მოიპოვება აუარებელი რიცხვი ხოლერის ბიპოლიარებისა.

მწვავე ფორმა გრძელდება 1—3 და ხანდახან 7—12 დღეს. ქრონიკული — რამოდენიმე კვირას.

წინასწარმეტყველება უიმედოა: ზოგიერთ ოჯახში მთლად ისპობა ფრინველი. შეიძლება ასში — ერთმა გადაიტანოს.

დიაგნოზი. ქათმის ხოლერა თავისი კლინიკური ნიშნებით ძლიერ წააგავს ქათმის ნამდვილ ქირს. მხოლოდ ამ ბოლო ავადმყოფობის დროს ავადდებიან განსაკუთრებით ქათმები (და არა წყლის ფრინველი).

ხოლერის ქრონიკული ფორმა ხანდახან ჰგავს ტუბერკულოზს, მაგრამ აქ საკითხს სწყვეტს მიკროსკოპი და ლეშის გაქრის სურათი.

ხშირად ქათმის პატრონს ჰგონია ქათმების უეცარი სიკვდილის მიზეზათ რაიმე საწამლაფი, მაგრამ ქიმიური ანალიზი კუქის შეცულობისა სინათლეს ჰფენს ასეთ ექვს.

ექიმობა. ექიმობიდან სარგებლობა მცირეა. მაგრამ შეიძლება ვცადოთ ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ -- შაბიამანის სითხე ($1/2$ - $1^{0}/_{10}$)*), სულემის სითხე***) და ეს ხსნილები ვასეათ წყლის მაგიერ ჩაის ან მაგიდის კოვზით, როგორც ავადმყოფს, ისე კარგადმყოფ ფრინველებს, რასაკვირველია, ეპიზოოტიის დროს.

გარდა ამისა საჭიროა მივიღოთ ასეთი ზომები:

1) ახლად შეძენილი ფრინველი 4--5 დღის განმავლობაში არ უნდა შეეურიოთ ოჯახის ფრინველებში.

2) ავადმყოფობის გაჩენის შემდეგ ფრინველის ლეში უნდა დაიწვას და დაიბარბოს ერთი ალაბის სიღრმეზე მაინც.

3) არაერთარ შემთხვევაში არ უნდა გადაიგდოს ფრინველის ლეში წყალში, მდინარეში, არხში, ტყეში, ეზოში ან ქუჩაში.

4) საქათმე თავის მოწყობილობით, სადაც იყო ავადმყოფის შემთხვევები, უნდა მოიფრქვიოს კირით და მოიმდულროს ნაცარ-წყლით.

5) ეს დარიგებები უნდა სავსებით შეასრულონ მოქალაქეებმა, დამნაშავე პირნი-კი უნდა სამართალში იქმნენ მიცემული.

წინასწარი გამაფრთხილებელი აცრა სათანადო შრატით იცავს ფრინველს ორი-სამი კვირის განმავლობაში და მას აქვს მნიშვნელობა მაშინ, თუ აცრა ხდება მასიური, ერთდროული და ძალდატანებითი.

2. ქათმის ჭირი. *Pestis avium.*

ჭირი ქათმისა, -- მწვავე, გადამდები, ინფექციური ქათმე-

*) 10 გრამი შაბიამანი 1 ბოთლ წყალზე

**) $1/2$ გრამი სულემა 1 ბოთლ წყალზე.

ბის ავადმყოფობაა, რომელიც თითქმის სავსებით წააგავს ქათმის ხოლერას.

ქათმის ქირი გამოწვეულია ულტრაპიკროსკოპიული ორგანიზმით. აღმძვრელი მოთავსებულია სისხლში, ნერვულ სისტემაში, ცხვირის ჟინტში და განავალში.

ქირის მიმართ მგრძნობიერნი არიან ქათმები და ინდაურები, შემდეგ ხოხბები, ბელურები, შავი შაშვები, მწყერები, ბუ და თუთიყუში. წყლის ფრინველი და მტრედები დაცული არიან ამ სენიდან.

სრულიად არ ემართებათ—რძით აღზრდილთ.

ავადმყოფობის ნიშნები ისეთივეა. როგორც ქათმის ხოლერისა.

დიაგნოზი ისმება მიკროსკოპის საშუალებით და ბაქტერიოლოგიური გზით, როდესაც ვიღებთ უარყოფით შედეგებს.

ექიმობი და პროფილაქტიკა ისეთივე არის, როგორც ხოლერისა.

3. ფრინველთა დიფთერია.

ეს ავადმყოფობა—მწვავე, კონტაგიური, ეპიზოოტიური ავადმყოფობაა, რომლის დამახასიათებელი ნიშნები გამოიხატება თავის ლორწოიან გარსებზე კრუპოზულ ცრუ-დიფტერიულ აპკებში.

აღმძვრელად უნდა ჩაითვალოს *Bac. diphtheriae avium* Löffler-ისა.

ავადმყოფობა ემართება უფრო ახალგაზდა მტრედებს, ქათმებს, ინდაურებს, ხოხბებს, ფარშავანგებს და სხ.

წყლის ფრანველს დიფტერია ემართება იშვიათად.

Bac. diphtheriae avium—ბიპოლარია.

ავადმყოფობა ვრცელდება ისე, როგორც ხოლერა და ქათმის ქირი.

ნიშნები. ხანმოკლე ინკუბაციური ხანის შემდეგ იწყება თავის რომელიმე ლორწოიანი გარსის ანთება. ხანდახან უამისოდაც ამ გარსზე ჩნდება მოყვითალო თეთრ-თეთრი პატარა ლაქები, რომლებიც თანდათან ვითარდებიან, ერთდებიან და ხდებიან ვრცელ აპკებათ. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც გარსები იღებენ მუქ-წითელ ფერს და მალე მათ ზედაპირზე ჩნდება ერთგვარი თავში რუხი ფიფქი და შემდეგ სქელი დადებები მოყვითალო ფერისა.

ეს დადებები შემდეგში ხმებიან, სქდებიან და იღებენ უსწორ-მასწორო სახეს.

თავისუფალი ადგილები-კი შეშუპებულია.

ხსენებული დადებები შეიძლება აქვრეს, მაგრამ მათ ალაგზე ჩნდებიან ახლები, რომლებიც ჩაღიან ღრმათ ქსოვილში.

თუ ვინიცობაა, ფრინველი გადაურჩა ავადმყოფობას, გარსი ნელ-ნელა იღებს თავის ჩვეულებრივ სახეს. ხშირად ასეთი ფიფქები ჩნდებიან პირის ლორწოიანი გარსზე, უფრო სასაზე, ენაზე, პირის კუთხეების ახლოს და ლოყებზე, აგრეთვე ხახაზე და მის მიდამოებში.

შეიძლება ანთება გადავიდეს სასულეზე, ბრონხებზე და ჩინჩახვებდაც... ამ დროს ფრინველს უჭირს სუნთქვა და ყლაპვა: კისერი გაქიმული აქვს, პირი ღია, შესუნთქვის დროს ისმის მსტვენავი და მოშიშინე ხიხინი.

ავადმყოფს მაღა ეკარგება.

ანთება შეიძლება გადავიდეს ცხვირის ლორწოიანი გარსზედაც, რომლის დროს ფრინველს ემჩნევა ცხვირიდან უხვი დენა ჩირქიანი ლორწოსი. ფრინველს ხშირად აცემინებს ცხვირს; თავს ძალზე ანძრევს.

ცხვირის ღრუდან ანთება გადადის საცრემლე არხში, რის გამო ფრინველს უსიყდება თვალები; სიმსივნე ცხელი, მტკივ-

ჩეულია. ფრინველის თავი ჰკარგავს თავის ჩვეულებრივ სახეს და განიცდის სრულ დეფორმაციას.

სიმსივნის გაქრის შემდეგ, ამოღის ღრუდან მოყვითალო, თეთრი ხაქოს მსგავსი მასა.

ზიანდებიან აგრეთვე თვალები, რომლებსაც უჩნდება ჩირქიან - ლორწოიანი ანთება, რის შედეგია მხედველობის დაცარგვა.

კუქ-ნაწლევები ფრინველს ეშლება ავადმყოფობის ბოლო ხანაში, როდესაც ეწყება შეუკავებელი სისხლიანი ან ჩირქიანი ფადართობა, რის გამოც ავადმყოფი ძალზე სუსტდება. ამ დროს მას ბიბილო ულურჯდება და ფრინველი კვდება.

დიფტერიას ჰგავს ფრინველთა ყვავილი, მაგრამ აქ დასაწყისშივე ზიანდება კანი, შემდეგ კი ლორწოიანი გარსები.

ექიმობა. წინასწარ საჭიროა ფრთხილად პინცეტით გარსებიდან ფიფქების და დადებების აძრობა და შემდეგ წასმა $1^{00}/_{00}$ სულემის ხსნილისა (რის შემდეგ იარა უნდა მოიბანოს სოდის ხსნილით), ლიმნის წვენიისა, კრეოლინის და ლიზოლისა ($2-3^{0}/_{0}$) და იოდისა.

თვალების ექიმობის დროს უნდა ვიხმაროთ $2-3^{0}/_{0}$ ტანინი, ბორის სიმჟავე და კრეოლინის ხსნილი.

სიმსივნეები უნდა გაიქრას რაც შეიძლება ადრე და გამოწმენდილ იქნას ზემოთ ნახსენები ხსნილებით.

სულის შეხუთვის წინააღმდეგ შეიძლება ვიხმაროთ სკიპიდარის ინგალიაცია (მდულარე წყალში უნდა ჩაისხას სკიპიდარი და ეორთქლოს).

კუქ-ნაწლევების აშლის წინააღმდეგ - ტანინი ან ჩკინის შაბიამანი ($1^{0}/_{0}$) და წითელი ღვინო.

საქათმეებში უნდა მოხდეს სათანადო დეზინფექცია. ფრინველების ლეშები უნდა იქმნას უსათუოდ დამწვარი და დამარხული.

4. ზრინველთა ყვავილი.

(*Epithelioma contagiosum avium*).

ფრინველთა ყვავილი — ხრონიკული, კონტაგიური ავად-
მყოფობაა, რომლის დამახასიათებელ ნიშნათ ითვლება ერთ-
გვარი კვანძების გაჩენა კანზე, განსაკუთრებით ბიბილოზე. გარ-
და ამისა; შესაძლოა გაუჩნდეს ავადმყოფს დიფტერიაული ფიფ-
ქები და დაღებები თავის ლორწოიან გარსებზე.

ქათმის ყვავილი გამოწვეულია ულტრამიკროსკოპიული
მიკროორგანიზმით.

ფრინველთა ყვავილი ხშირად ემართება ქათმებს და მტრე-
ლებს, იშვიათად წყლის ფრინველს.

უმეტეს ნაწილად, ავადმყოფობას ფრინველი კარგად
იტანს, მაგრამ შეიძლება ზოგიერთ ოჯახებს, სადაც ქათ-
მებს გაუმჯობესებული ჯიშებია, მიაყენოს დიდი ზა-
რალი.

ნიშნები. დასაწყისში ავადმყოფობა, უმეტეს შემთხვევებ-
ში, ემჩნევა ფრინველს თავის კანზე, ბიბილოზე, საყურეებზე,
წვერებზე და თავის ბუნებრივ ხვრელების გარშემო, სადაც
ეტყობა სიტიტვლები. ამ ნაწილებზე თავდაპირველად ჩნდე-
ბა ქათმის მსგავსი რუხი ფიფქი, რაც მალე იქცევა მოწითალო-
რუხი ფერის და ბრწყინვალე კვანძებათ.

ეს კვანძები თანდათან იზრდებიან, ხმებიან, მაგრდებიან
და იღებენ მუხუდოს სახეს, რომელშიდაც მოთავსებულია ქო-
ნის მსგავსი ძხელი ნივთიერება.

ასეთი კვანძების მეოხებით, თვალები ავადმყოფთ ეხუჭება
და უსივდება ცხვირის ხვრელების გარსი.

შესაძლოა, ავადმყოფს გაუჩნდეს თვალების ანთებაც და
მხედველობაც დაეკარგოს.

ასეთი კვანძები შეიძლება გაჩნდეს უკანა ტანის ხვრელის

გარშეო, ფრთების ქვედა ზედაპირზე, კისერზე და სხვ. აქ კვანძები ხანდახან იღებენ რქის სახეს და ხდებიან თითქმის კაკლის ოდენა.

პირის და ცხვირის გარსების ანთება უნდა ჩაითვალოს ყვაილის დროს ხედდართულ, მეორედი მოვლენათ.

ნაწლევების დაზიანება ანეთავე მოვლენაა და იწყება ავადმყოფობის ბოლო ხნებში. ამ დროს ავადმყოფს ეკარგება სავსებით შადა, ძალა. ფრინველი მქლევდება და კვდება.

უმეტეს შემთხვევაში-კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ფრინველი ექიმობის შემდეგ იკურნება.

ამისათვის საჭიროა კვანძები დავურბილოთ რაიმე მალამოთი, ზეთით ან სოდან წყლით, რის შემდეგ უნდა შევეკადოთ პინცეტით კვანძებს აკლას.

ამ ოპერაციის შემდეგ საჭიროა იარების მიწვა 1 პროც. ლიაპისის ხსნილით, (რის შემდეგ დაუყოვნებლივ და აუტალებლივ საჭიროა ლიაპისით გადარეცხა მარილწყლით), 1 %/0 სულემის ხსნილით (უნდა გადაირეცხოს სოდან ხსნილით), 2 %/0 კრეოლინით და ლიზოლით.

დანარჩენი ექიმობა ისეთივეა, როგორც დიფტერიისა.

5. ფრინველთა ტუბერკულოზი, ანუ ტუბერკულოზი.

ეს ავადმყოფობა ჩნდება ხან-და-ხან ენზოოტიურად უფრო იქ, სადაც ფრინველი დამწყვდეულია ერთს ადგილას.

აღმძვრელი სენისა თითქმის ისეთივეა, როგორც დანარჩენი საქონლის ტუბერკულოზის აღმძვრელი ბაკილა.

ფრინველის ტუბერკულოზი ვრცელდება მხოლოდ აქედან

მყოფი ფრინველის საშუალებით— ამ შემთხვევებში, როდესაც ფრინველი ჰკენკავს კლექიანი ფრინველის ლეშს და მის დაზიანებულ ორგანოებს.

ტუბერკულოზიანი ფრინველი ძალზე მკლავა და ღონე მიხდის, რაც აიხსნება ორგანიზმის კლექის ბაცილებიდან წარმომდგარი ტოქსინების მოშხამვით.

ლეშის გაქრის დროს ჩვენ ვპოულობთ კლექის ნიშნებს ღვიძლში, (რასაც ხ.ლხი შეცდომით „ფილტვებს“ ეძახის.) და ელენთაში.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვაჩნევთ აღნიშნულ ორგანოებში მოყვითალო კვანძებს და ხორკლებს, რომელებშიაც მოთავსებულია ხაქოსებრი ნივთიერება. თვით დაზიანებული ორგანო გადიდებულია.

ზიანდებიან აგრეთვე ნაწლევები ლიმფური ჯირკვლებით: ლორწოიანი გარსი მოფენილია მოყვითალო კვანძებით ჯირკვლები - კი შესივებულია და ხაქოსებრივ გარდაგვარებული.

ზიანდებიან კიდევ ძვლები და სახსრები, სადაც შეიძლება ვიპოვოთ ხაქოსებრი ნივთიერება.

იშვიათად ზიანდებიან ფილტვები.

ტუბერკულოზს შეიძლება წაგავდეს ზოგიერთ ქიებიდან გამოწვეული ავადმყოფობანი ან სახსრების ნიკრისის ქარები, მაგრამ ამ შემთხვევებში საკითხს სწყვეტს საიმედოთ ნიკროსკოპი.

პროფილაქტიკა ისეთივეა, როგორც ქათმის ხოლერისა.

ნ. ფრინველთა სპირილლოზი.

სპირილლოზი — ავთვისებიანი ფრინველთა ავადმყოფობაა, რომელიც ემართება, როგორც ქათამს, ისე წყლის ფრინველს.

ეს ავადმყოფობა გამოწვეულია ბურღის მსგავსი და მიძრავი მიკრობით, რომელსაც ჰქვია *Spirochaeta gallinarum*.

აღმძვრელი აღმოჩენილია ავადმყოფი ბატის სისხლში 1881 წელს, ქალაქ ტფილისში ექიმი სახაროვის მიერ...

მას შემდეგ სპირილლოზი იყო შემჩნეული სხვა და სხვა ქვეყნებშიდაც.

სპირილლოზი ვრცელდება ერთგვარი ქათმის ტკიპის საშუალებით, რომელსაც ეძახიან *Argas persicus*.

ამ შემთხვევაში ტკიპი*) თვით უნდა იყოს შეპყრობილი ამ სენით (resp. უნდა ატარებდეს თავის ორგანიზმში ხსენებულ სპიროხეტებს).

ავადმყოფი ფრინველის ლეშის გაქრის დროს ჩვენ ვპოულობთ გადიდებულ და დარბილებულ ელენთას და ღვიძლს. ლეშში სპიროხეტები ჰქრებიან.

ინკუბაციური ხანა უდრის 7—9 დღეს.

ნიშნები. ფრინველს ეკარგება მადა, სიცხე აუდის 42,5—43,0°. ავადმყოფი ძალზე სუსტდება: თვლემს. ეწყება ფალარათი. ბიბილოს ეკარგება ჩვეულებრივი ფერი. ეტყობა სიღამბლეები ფრთებს და ფეხებს.

იღუპება 85—90%.

*) ტკიპი ჰკენს ფრინველს ღიმღამეობით, დღე კი იძალდება საქათმის ნაპრალებში.

ავადმყოფობის დროს სისხლში მიკროსკოპის ქვეშ მოსჩანს აუარებელი სპიროხეტები.

ექიმობა. ავადმყოფს უნდა შეეშაპუნოს კნ ქვეშ ატოქსილი 0,05 და, ვარღ, ამისა, ესევე საშუალება უნდა მიეცეს შიგნით ზედი-ზედ ორჯერ — 0,1.

ატოქსილის შეშაპუნება შეიძლება კიდევ გულ-მკერდის კუნთებში.

შედეგი ასეთი ექიობისა გამამხნევებელია.

7. ინდაურების მალარია.

ეს ავადმყოფობა იყო პირველად შემჩნეული ჩვენ მიერ ქ. განჯაში 1914. წ.

ავადმყოფ ინდაურთა სისხლში, წითელ სორსლების პროტოპლაზმაში იყო აღმოჩენილი (და აღწერილი ლიტერატურაში) ერთგვარი ცვალებადი თავის განვითარების დროს - რგოლის-ბეჭდის მსგავსი ცხოველობითი პარაზიტი, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სახელად ჩვენი მასწავლებლის და პროფესორის რაუპახის ხსოვნის პატივის საცემლად: „Haemogregarina Meleagris Raupachi“.

პატოლოგო-ანატომიური სურათი და ავადმყოფობის ნიშნები თითქმის ისეთივეა, როგორც ქათმის სპირილოზისა.

წინასწარმეტყველება ცუდია.

ლორის ზიზი

Pestis suum.

ლორის ჰირი წარმოადგენს ინფექციურ, კონტაგიურ შინაურ და გარეულ ლორების ავადმყოფობას, გამოწვეულს ულტრაშიკროსკოპიულ შიკროორ განიზრით.

ავადმყოფობის დროს ხშირად ვამჩნევთ, გარდა ძლიერ მწვავე შემთხვევებისა, ფილტვებისა და მუცლის ანთებას.

ეს ანთებანი გ მოწვეულია თავის მხრით—*Bac. suisepiticus* და *Bac. suipestifer*-ით.

ლორის ჰირი ძლიერ გავრცელებულია მთელი ქვეყნის ზურგზე და, კერძოდ, როგორც ჩვენ გვაქვს გამოკვლეული ბაქტერიოლოგიურად, ჩვენშიდაც.

ეს ავადმყოფობა უფრო ანადგურებს ახალგაზრდა პირუტყვებს.

ავადმყოფობა ვრცელდება, იქვე გარეშე, საქლის მომწელებელი აპპარატის გზით და, უმეტეს ნაწილად, ავადმყოფი პირუტყვის შარდის საშუალებით, რომელსაც ძლიერ მომხმამველადი თვისებები აქვს.

ანატომიური სურათი. ლორის ჰირის ეპიზოოტიის დროს ჩვენ ვარჩევთ ოთხ მთავარ ფორმას.

ა. ნამდვილი ლორის ჰირი, რომელიც წარმოადგენს მწვავე ჰემორაგიულ სექტაციას.

აქ ჩვენ ვპოულობთ წერტილისებრ სისხლის თხევას ხახაში, კუკის და ნაწლევების გარსებში და ხანდახან თირკმლებშიაც. ელენთა შესივებულია. მუცლის აკი დაფარულია ერთგვარი ფიბრინოზური ფიფქებით. ნაწლევებში — სისხლიანი მოკულობაა.

ბ. მუცლის ფორმა—წარმოადგენს ხშირს და ჩვეულე ბრიე ფორმას.

აქ ზიანდება ან ბრმა და მსხვილი ნაწლევები, სადაც ჩნდება იან მაგარი რგვალი კვანძები და რგვალი, სიმიდის კაკლის ოდენა, ყვითელი, მომწვანო ან რუბ-მოშავო ფერის ქერკები.

ბოლოს, კვანძები იქცევიან ღრმა იარებათ, რომლებსაც მორგვას მსგავსი კიდეები აქვს. ხრონიკულ შექთხვევებში ნაწლევების შიგნითა ზედაპირზე კვაულობენ ხან ბრტყელო, ხან ამოზნეკილ საერთო ნაწლევების გარსის დონედან, მოშავომოწითალო ფერისა, სქელს, მაგარ ქერკებს—ე. წ. ღილებს, და მრავალ ფენიან დადებებს.

კუქის ლორწოიანი გარსი ძალზე შეწითლებულია, ანთებ.ს გამო, და დაფარულია თავისებური ფაფქებით.

ლამფატიურ ჯირკვლებს ეტყობა ზოგიერთი ცკლილებები: შესივება, ჰიპერემია და სისხლის თხევა.

ბ. გულმკერდის ფორმა. აქ ზიანდება ფილტვები კატარალური ანთების გამო, რაც რთულდება ფილტვების და გულის პერანგის ანთებათ. გარდა ამისა, ანთება ემჩნევა საკკლის მომნელებელ აპპარატს.

დ. შერეული ფორმა. ეს ფორმა მოგვაგონებს ზემოთ აღწერილ ფორმების ყველა ნიშნებს.

ღიაგნოზი. ინკუბაციური ხანა უდრის 4—10 დღეს. ნამდვილი ჭირის ფორმის მიმდინარეობის დროს ღორს ეკარგება კამის მადა; იმალება სადმე საღორის კუთხეში ან ეზოში. პირუტყუს ეტყობა სისუსტე, სიზარმაცე, დგას გაშტერებული ერთ ალავას, წელში მოხრილი და თავ ჩალუნული. გარდა ამისა, უმთავრეს ნიშნათ უნდა ჩაითვალოს თვალების შემაერთებელი გარსების მწვავე ანთება: ავადმყოფს თვალებიდან სდის ლორწო ან ლორწოიანი ჩირქი.

ავადმყოფობის დასაწყისში პირუტყვს ეტყობა რწყევა. კუჭ-ნაწლევებს ეტყობა შეკრულობა, შემდეგ კი ფალარათობა. ხანდახან განავალი სისხლის ფერია.

ამის შემდეგ 4—7 დღეზე, პირუტყვი ან კვდება, ან იკურნება, ან უფრო ხშირ შემთხვევებში, გადადის ქრონიკული ფორმაში.

ჭირის მუცლის ფორმა თითქმის ისე მიმდინარეობს, საერთოდ, როგორც ზემოთ აღწერილი ფორმა, მხოლოდ ნიშნები კუჭ-ნაწლევების დაზიანებისა, უფრო მწვავედ ეტყობა ავადმყოფს. მასთან პირუტყვს ეტყობა პირის ღრუს ლორწოიან გარსის ანთება: ენაზე, ლოყებზე და ხახაზე ეჩნევა რუხ-მოყვითალო ფხვიერი დადებება; ნუშისებრი ჯირკვლები სივდებიან და იარდებიან.

ამ დროს პირუტყვს უჭირს ყლაპვა; სუნთქავს მძიმეთ და ეხუთება სული, რამაც შეიძლება პირუტყვი კიდევ დაახრჩოს.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ავადმყოფი ნელ-ნელა უკეთ ხდება და 2—3 კვირის განმავლობაში სრულიად იკურნება.

უმეტეს შემთხვევებში კი, ავადმყოფობა გადადის ქრონიკულ ფორმაში, რაც საბოლოოდ ასახირებს პირუტყვს.

ჭირის გულ-მკერდის ფორმა გამოიხატება, უმეტეს ნაწილად, ფილტვების და პლევრის ანთებაში.

ჭირის შერეული ფორმის მიმდინარეობის დროს პირუტყვს უზიანდება როგორც კუჭ-ნაწლევები, ისე გულ-მკერდის ორგანოები. ავადმყოფს ეკარგება მადა, უტყდება ფალარათი, ეწყება ხველება და სულის ხუთვა, რაც შედეგია ფილტვების ანთებისა.

ამ ფორმის დროს პირუტყვს ხშირად ეტყობა ცკლილებები კანზედაც. კანის ტიტველ ადგილებზე ხშირად ვპოულობთ წითელ-წითელ ლაქებს. ეს ლაქები შეიძლება გადაიქცნენ ბუშტულებათ.

მუცლზე ხანდახან ეპოულობთ მრავალ წერტილისებრ სისხლის თხევას. შესაძლოა, ზოგიერთ ალაგას ან მთელ ტანზე დასციინდეს ძაგარი.

ღიაგნობის დასმა კოცხალ ავადყოფნა ღორზე ძნელია: საჭიროა ლეშის გაქრა და მღებული სურათის მიხედვით საკითხის გადაწყვეტა.

ღორის ქირს კოტათი წააგავს ღორის წითელა, მაგრამ აქ ჩვენ ეპოულობთ ავადყოფნის სისხლში ერთგვარ ძლიერ წვრილს და გრძელ ბაცილებს და სხვა ნიშნებს, რაზედაც გვექნება საუბარი ქვემოთ.

ღორის ქირის ეპიზოტის დროს ეხოცება 3 რველ წელში 80—90 პროცენტამდე, შემდეგში კი, თითქმის ამის ნახევარი.

თუ ღორებს კარგი მოვლა აქვს და ინახებიან ჰიგიენურ პირობებში, სიკვდილი დაავადებულთა შორის შეიძლება ჩამოვრდეს—10-15 პროცენტამდე.

ექიმობაზე დიდი იქედები არ უნდა გვექონდეს დამყარებული. აქ უნდა იყოს მიღებული პროფილაქტიური ზომები, რაც მდგომარეობს ეპიზოტის დროს კარგით მყოფ პირუტყვთა ორგანიზმის წინასწარ მომზადებაში სწთან საბრძოლველად.

როგორც ჩვენ გვაქვს გამოცდილი ქალ. ქუთაისში 1916 წ., ღორებს უნდა გაუკეთდეს დღეში ორჯერ კარბოლის ოყნები ესმარხის აპპარატის საშუალებით. ამისათვის საჭიროა ნახევ. პროც.—500-1500,0 კარბოლის ხსნილი (ნელ-თბილ წყალზე).

მძიმე შემთხვევებში როდესაც ავადმყოფის გამობრუნების იმედი აღარ არის, უკეთესი იქნება ასეთი პირუტყვის მოსპობა: ლეშის დაწვა და დამარხვა.

თვით სალოკეებში საქიროა ხშირად მოხდეს სათანადო დეზინფექცია (1% სულევის ხსნილით, კირის წყლით და სხვ.).

გარდა ამისა უნდა იყოს შემოღებული ძალდატანებითი წესი, რომლის მიხედვით ყველა ახლად ნაყიდი ღორი არ უნდა იქნეს შერეული ოჯახის ღორებში და სრულიად ცალკე შენახული სამი კვირის განმავლობაში მაინც, ე. ი. საქიროა ახლად ნაყიდ ღორთა კარანტინი.

თუ ოჯახში კირი გაჩნდა, კარკად მყოფი ღორები უნდა იქნეს რაც შეიძლება მეტად დაყოფილი პატარ-პატარა ჯგუფებად და გადაყვანილნი მამულის საღ ადგილებში.

ღეში უსათუოდ უნდა დაიწყეს და შემდეგ საიმედოთ დაიმარხოს, რომ ძალღმა ან სხვა რომელიმე პირუტყვმა არ გაავრცელოს მით ავადმყოფობა, და მოხდეს სალორეების სათანადო დეზინფექცია.

ღორის კირის წინააღმდეგ არსებობს წინასწარი გამაფრთხილებელი აცრა, რაც ხდება სათანადო შრატით.

ამ შრატის დამზადება იმ პრინციპებზეა*) დამყარებული, როგორც საქონლის კირის ასაკრელი შრატის დამზადება. მხოლოდ აცრა ხდება არა კომბინაციური მეთოდით—მარტო შრატით, რის გამო ღორი იღებს ამ აცრით ეგრ. წ. პასსიურ იმუნიტეტს.

ღორის წითელა. *Erysipelas suis*.

ღორის წითელა—ეპიზოოტიური, მწვავე, ინფექციური ახალგაზრდა ღორების ავადმყოფობაა, რომელიც გამოწვეულია ძლიერ წვრილი ჩხირის მსგავსი ბაცილით—*Bacillus erysipelatis suis*.

*) თბიეკტებათ ხმარობენ ისეთ ღორებს, რომლებსაც ბუნებრივად, ან ხელოვნურად აქვთ გადატანილი ღორის კირი.

ეს მიკრობი აღმოჩენილია Loffler-ის მიერ 1885 წ. ავადმყოფთა სისხლში.

ლორის წითელა ზაფხულის ავადმყოფობაა და გავრცელებულია თითქმის ყველგან. ამ სენით ღორები ავად ხდებიან დაზიანებული კანის ან და საქმლის მომწელებელი აპპარატის მხრივ.

ავადმყოფობის აღმძვრელის მატარებლად უნდა ჩაითვალოს სასმელი წყალი და საქმელი, დასვრილი ავადმყოფის განავლით ან შარდით.

ამ ეპიზოტის დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს მისი რამოდენიმე წლის განმავლობაში ზაფხულობით განმეორება. ეს იმის დამახასიათებელი საბუთია, რომ ღორის წითელას მიკრობს დიდხანს შეუძლია შეინახოს თავი მიწაში და საღორის იატაკის ქვეშ.

წითელას მიმართ მგრძნობიერნი არიან უფრო ღორები, ხნოვანობით სამი სვიდან ერთ წლამდე. ძუძუ მწოვარა გოჭები იშვიათად ავადდებიან.

გარდა ამისა შემჩნეულია, რომ წითელათი სნეულდებიან უფრო გაუმჯობესებული ღორის ჯიშები, ვიდრე ადგილობრივი ჯიშები. გარეული ღორები სრულიად არ ავადდებიან.

ავადმყოფთა ლეშის გაკრის დროს ჩვენ ვერ ვპოულობთ შინაგან ორგანოთა დიდ ცვლილებებს: კუკის ლორწოიანი გარსი შესივებულია, შეწითლებული; ადგილ-ადგილ შეიძლება მასზე შევამჩნიოთ წერტილისებრი სისხლის თხევა და, საერთოდ, დაფარულია მწებავი მინისებრი ლორწოთი.

შესივებულია და შეწითლებული აგრეთვე ნაწლევების ლორწოიანი გარსი. გასივებულია და ხანდახან დაიარებული ნაწლევების სოლიტარული ჯირკვლები და ე. წ. პეიერის ღებები.

ელენთა ოდნავ შესივებულია და შეიცავს უხვად სისხლს ფილტვებს ეტყობა ჰიპერემია და შეშუპება. ლიმფატური ჯირ-

კვლები ძალზე გასივებულია. გულზე (გარედან და შიგნიდან) ეტყობა ხშირად წვრილ-წვრილი სისხლის თხევა. კ.ნ.წ. ყოველთვის ემჩნევა წითელ-წითელი ლაქები, რაც არის შედეგი ახლო-მახლო სისხლის ძარღვების გაფართოებისა. კანი და კანქვეშა ქსოვილი შეშუპებული და გაყენტილია სისხლით. იშვიათად ვპოულობთ სხეულის ცალკე ნაწილების ნეკროზს, ანუ მოკვდომას (ყურების, კუდის და სხვ.) ასეთი ნეკროზი შეიძლება მოხდეს მთელი ზურგის ტყავისა.

ღორის წითელას ხრონიკული ფორმის მიმდინარეობის დროს, უმეტეს შემთხვევაში, ვპოულობთ იაროვან ენდოკარდიტს, რაც გამოიხატება გულის სარქველების ფიბრინოზურ დადებებში, რაც იღებს ყვავილიან კომბოსტოს სახეს. ეს დადებები იჭერენ გულის თითქმის მთელ ხვრელებს, რაც იწვევს სხვადა სხვა სერიოზულ ცვლილებებს ფილტვებში, ღვიძლში, ელენთაში და თირკმლებში.

დადებების აძრობის შემდეგ სარქველებზე ვპოულობთ კვანძებს და იარებს.

ენდოკარდიტის გარდა შეიძლება შევამჩნიოთ ხრონიკული ნაწლევების ანთება, უბრალო ჰიპერტროფია ლიმფატიურ ჯირკვლებისა, ანთებანი სეროზულ გარსებისა და სახსრებისა.

წითელას მწვავე ფორმის მიმდინარეობის დროს ბაცილებს ჩვენ ვპოულობთ სხვადასხვა შიგნითა ორგანოების სისხლში, კანქვეშა შემაერთებელ ქსოვილში, — იქ სადაც არის დალაგებული წითელი ლაქები, — და ახლო-მახლო ლიმფატიურ ჯირკვლებში. სისხლში ბაცილები მოთავსებულია როგორც პლაზმაში, ისე სისხლის თეთრ ბურთულეების პროტოპლაზმაში.

ხრონიკული ფორმის მიმდინარეობის დროს მიკრობები ჩვეულებრივად მოიპოვება გულის სარქველებზე და ნაღველში.

მიკროსკოპიული პრეპარატები იღებება Gram-ის მეთოდით.

ინკუბაციური ხანის შემდეგ, რომელიც გრძელდება 3—5 დღეს, ავადმყოფობას ემჩნევა ცალკე შემთხვევებში სხვადასხვა მიმდინარეობა.

არჩევენ სამ ფორმას:

ჯინჭროვანი ცხელება, რომელიც წარმოადგენს ძლიერი იოლი ფორმას. ფარული ხანის შემდეგ პირუტყვს აყრის ტანზე, უფრო მკერდის გვერდებზე და ყელზე, რვეალ-რვეალ ან ოთხ კუთხიან ნათლად შემოხაზულს, უფრო მხურვალე, ვიდრე დანარჩენი სხეული, მუქ-წითელ ან იას-ფერ ლაქებს.

ბოლოს და ბოლოს, ლაქებს ეტყობა ამოზნექილობა 2—3 mm-ით, ჰკარგავენ ფერს ცენტროში; მოხაზულობა-კი რჩება ისევ წითელი.

ზოგიერთ შემთხვევებში ეს ლაქები, პირიქით, იღებენ თითქმის მოშავო ფერს, იწურება მათგან თავისებური სითხე, რაც იწვევს ერთგვარ აბურცებულებებს, რომლების ადგილზე შემდეგ ჩნდებიან ხმელი ქერკები.

აღწერილი ხორკლები შეიძლება გახდენ ფრჩხილის ოდენა და მეტიც (ხელის გულის ოდენამდე) იმ შემთხვევებში, თუ ხორკლები შეუერთდენ ერთმანეთს.

ამ დროს ავადმყოფს აძლევს სიცხეს (43⁰-მდე); ეტყობა სისუსტე, ეკარგება მადა; უტყდება წყურვილი, ეკვრება კუჭი; თვალები ეცრემლება; ეწყება რწყევა და სიღამბლეები.

როდესაც ავადმყოფობა მივა გართულების უმაღლეს საფეხურამდე, ავადმყოფს სიცხე უნელდება, ლაქები ჰქრებიან, ნიშნები ავადმყოფობისა სცხრებიან და 3—10 დღის შემდეგ პირუტყვი საბოლოოდ იკურნება.

ზოგიერთ შემთხვევებში კანის ცვლილებები იღებენ ავთჯისებთან ხასიათს: ყურებზე, თავზე და კულზე კანი ძალზე სივდება, წითლდება და ხურდება. მალე ეს ადგილები ჰკარ-

გავენ მგრძობიერობას, სიმხურვალეს და ხმებიან, სანამ, დაბო-
ლოს, მთლათ არ ასძვრებიან სხეულს. ასე პირუტყვი ჰკარგავს
ორივე ყურებს, კუდს და თითებს.

ხანდახან ანთებიდან დაზიანებული ზურგის ტყეავი ხმება
მთელ ზურგზე და თავსდება მასზე ჯავშანის მსგავსად. ასეთი
ჯავშანი ბოლოს და ბოლოს სძვრება ზურგს და მის ალაგას
ჩნდებიან უხეში და სქელი ხრტილისებრი შენახორცები.

2. სეპტიცემიური ფორმა ღორის წითელასი—არის ჩვეუ-
ლებრივი და ხშირი ფორმა ავადმყოფობისა. ამ დროს პირუტ-
ყვი უეცრად სუსტდება, ჰკვეთს ჰამას, ეტყობა გულის რევა,
ეწყება რწყევა. სიცხე აღის 41—42°. თვალის ქუთუთოები
სივდებიან, თვით თვალები წითლდება, ჩირქდება. კუჭ-ნაწლე-
ვებს თავში ეტყობა. შეკრულობა, ბოლოს აშლა. განავალი
ჯერ ღია ფერისაა, შემდეგ მოწითალო და მოშავო; სუნი
საძაგლად მყარალი.

ავადმყოფობის მიმდინარეობის დროს პირუტყვს ემჩნევა
სხეულის სხვადასხვა ადგილებზე კანის სიწითლეები: მუცელზე,
ბარძაყების შიგნითა ზედაპირზე, ილლიავებში, კისერზე და ყუ-
რებზე. ეს სიწითლეები ბოლოს იღებენ მოლურჯო ფერს და
ერთდებიან. თვით კანი აქ სივდება, მაგრამ უმტკივნოა. სი-
წითლეები, თიხის დაქირების შემდეგ, ჰქრებიან, მაგრამ აც-
ლის შემდეგ იმ წამსვე იღებენ თავდაპირველ ფერს.

იშვიათად ლაქები იქცევიან ბუშტულებათ, რომლებიც
ივსება სეროზული სითხით. სითხის გამოჰონის შემდეგ, ბუშ-
ტულები ხმებიან და მათ ალაგას რჩება ქერქები. როგორც
გამონაკლისი, ამ ფორმის მიმდინარეობის დროსაც შეიძლება პი-
რუტყვს, ანთების გამო, მოვარდეს კუდი, ყურები და სხვ.

გარდა ამისა, აქაც ავადმყოფობას შეიძლება თან დაერ-
თოს უკანა ფეხების სისუსტე, დალურჯება ხილული ღორწო-
ნიანი გარსებისა და ფილტვების შეშუპება. ამ შემთხვევაში სი-
ცხე ეცემა უცებ და ავადმყოფი კვდება.

იშვიათად ავადმყოფობის ნიშნები ნელ-ნელა სუსტდებიან და ავადმყოფი ან იკურნება საბოლოოდ ან ავადმყოფობა გადადის ხრონიკულ ფორმაში.

3. ხრონიკული ფორმა წითელასი, უმეტეს ნაწილად, გამოიხატება **ხრონიკულ ენდოკარდიტში**. ე. ი. გულის შიგნითა გარსის და სარქველების ანთებაში, რაც ემართება იმ გოქებს, რომლებმაც ასე თუ ისე შესძლეს წითელას მწვავე ფორმის გადატანა: პირუტყვის უბრუნდება ქამის მადა, ეტყობა, ვითომდა, ღონე და ხალისი, მაგრამ ორი-სამი თვის შემდეგ, დაახლოვებით, მათ ნელ-ნელა ეკარგება მადა, სუსტდებიან და ვედარ მოძრაობენ, ეწყებათ ხველა, მძიმე სუნთქვა, კვლავ უწითლდებათ კანი ყურებზე და მუცელზე; გულს ეტვობა აჩქარებული მუშაობა, — გულის ბგერის მაგიერ ისმის მარტო შუილი. ტემპერატურა ნორმალურია.

ასეთ ნიშნებით ავადმყოფი ცოცხლობს რამოდენიმე კვირას, ძალზე მკლევდება, სუსტდება; უჩნდება კანზე ერთგვაროვანი ეკზემა. ეწყება უკანა ფეხების სიღამბლე და პირუტყვი, ჩვეულებრივად კვდება.

ხრონიკული ფორმის გარდა, ღორისწითელა, საშუალოდ, ჰელეტს დაავადებულთა 50—75%—მდე.

ეგრ. წოდ. ჯინქროვანი ცხელება-კი თითქმის ყოველთვის კარგთვისებიანია და პირუტყვი კარგათ იტანს ავადმყოფობას.

ავადმყოფობის გამოცნობის დროს ჩვენ უნდა გვქონდეს სახეში წითელას გარდა **ღორის ჭირი** და ეგრ. **წ. ღორების სეპტიცემია**, მაგრამ ეს ავადმყოფობები, ჩვეულებრივად, მიმდინარეობენ ნელის ტემპით და გარდა ამისა ამ შემსთხვევებში ზიანდებიან განსაკუთრებით ფილტვები, საკმლი-მომნელეებელი აპპარატი და ხახა.

მიუხედავად იმისა, რომ აქაც პირუტყვის უწითლდება კანი, ლაქები სულ სხვა ხასიათისაა, (ლაქები კანში სის-

ხლის დათხევის შედეგია) და ასეთი ლაქები არ ჰქრებიან თითის დაქერის შემდეგ.

კიდევ ერთი ღორების ძლიერ იშვიათი ავადმყოფობა ცოტათი მოგვაგონებს წითელას. ეს არის ღორის ციმბირის ქირი, რაც ცნობილია ჩვენში ღორის ყაპოს სახელით. ამ შემთხვევაში ღორს ძალზე უსივდება ყელი და უჭირს ყლაპვა.

აქ საბოლოოთ სწყვეტს საკითხს მიკროსკოპი.

წითელას ექიმობა ჩვეულებრივი წამლებით — ტყვილად დროს და ფულის დაკარგვაა. შეიძლება მხოლოდ მიეცეს ავადმყოფს კალომელი (2—3,0).

აქ უფრო ადგილი აქვს ღორების სათანადო შრატით აცრას: ავადმყოფობის ნიშნების გამოჩენის შემდეგ შეიძლება ვიხმაროთ შრატი, როგორც **საექიმო საშუალება** (აცრა საჭიროა განმეორდეს 6—8 საათის შემდეგ).

ჩვეულებრივად-კი აღნიშნულ შრატს აქვს წინასწარი სენის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა.

ამ მიზნით **ჯანმრთელ** ღორებს უცრიან კანქვეშ 10—20.0 შრატს.

ავადმყოფობის წინააღმდეგ, საერთოდ, პროფილაქტიური ზომები ისეთივე უნდა იყოს მიღებული, როგორც ღორის ქირის წინააღმდეგ, და ღორების სავალდებულო მასიური აცრა, რაც ხდება, გარდა ზემოთ ნახსენები შრატისა, **Pasteur-ის ვაკცინებით**.

ამ მეცნიერმა შეამჩნია, რომ ღორის წითელა იძლევა მუდმივ იმუნიტეტს და ამ მოსაზრებით მან შემოიღო დაავადება (resp. აცრა) პირუტყვთა წითელას აღმძვრელ ხელოვნურად დასუსტებულ ბაცილებით.

ეს დასუსტება ხდება ასე:

ბაცილებს უცრიან შინაურ კურდღელს, რომლის ორგანიზმში ბაცილები ჰკარგავენ (**ღორების მ.მ.რთ**) ოდნავ თავის მომშაბამდე თვისებებს. ეს ცდა ხდება რამოდენიმეჯერ გან-

მეორებით, რაც ცნობილია ბაქტერიოლოგიაში პასსაჟის სახელით. ასეთი პასაჟების შემდეგ, ბაცილები გადააქვთ ბულიონში და აღვიყებენ მათ სასანადო პირობებში. მიღებული კულტურა წარმოადგენს Pasteur-ის ვაკცინას, რაც დღემდე ითვლება საუკეთესო საშუალებათ ღორის წითელას წინააღმდეგ.

ჰემორრაგიული სეპტიცემია. პასტერელლოზი. ბარბონი.

ეს ტერმინები—შემკრებელობითი სახელია მთელი რიგი ავადმყოფობისა, რომლებიც გამოწვეულია ერთი თავისებური, მაგრამ სხვა და სხვა გვარის, მიკრობით, რომელიც ცნობილია ბაქტერიოლოგიაში—*Bac. bipolaris plurisepticus*-ის *) სახელით და აღმოჩენილი იყო პირველად ვეტერინარ-პროფესორის ე. ზემმერს მიერ 1878 წელში და შემდეგ შესწავლილი 1880 წელში Pasteur-ის მიერ ქათმის ხოლერის მიმართ.

ეს ავადმყოფობები გამოიხატებიან ორგანიზმის ზოგად ინფექციაში და უველა შინაგან ორგანოების ჰემორრაგიულ ანთებითი პროცესში.

ამ მიკრობის მიმართ მგრძნობიერნი არიან თითქმის ყველა შინაური და გარეული, წყრილ და მსხვილ ოსხფეხნი, ფრინველები და ადამიანიც, რომელიც ავადდება უსაშინელოსი სენით—ჟამით, ანუ შავი ჭირით (ფილტვების და ბუბონურ ფორმით**).

*) ამ მიკრობის თვისებების აღწერა იხილეთ „ქათმის ხოლერაში“.

***) ადამიანის ჟამის ბაცილასთან ქათმის ხოლერის ბაცილას ბიოლოგიურათ არასდერი სავსებით არა აქვს და ერთის მეორეში გადასვლა შეუძლებელია.

ამ სერიიდან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ხარის და კამეჩის ჰემორრაგიულ სექტიცემიას, როგორც ტიპურ წარმომადგენლებს ოთხფეხთა სექტიცემიისა.

ფრინველთა სექტიცემია, ანუ **ქათმის ხოლერა**, უკვე იყო ცალკე განხილული ჩვენ მიერ ზემოთ, ზოგიერთ მოსახერგმისა გამო.

1. ხარისაჲს ჰემორრაგიული სექტიცემია.

ინფექციური სიცხიანი ავადმყოფობაა, რომელიც მიმდინარეობს, უმეტეს შემთხვევაში, მწვავედ. ავადმყოფობის დროს პირუტყვს ემჩნევა კუჭ-ნაწლევების ანთებანი, ანთებითი შეშუპება კანისა და ზოგიერთ შემთხვევებში, ფილტვების ანთებაც.

ავადმყოფობა ვრცელდება უფრო ზაფხულში, და ხშირად აქვს სპორადიული, არა ეპიზოოტიური (resp. ენზოოტიური) ხასიათი.

ავადმყოფობა ჩნდება ჩვეულებრივად, საკვების მომწელებელი აპპარატის გზით და, იშვიათად, კანის გაკაწვრით.

აღმძვრელი მიკრობი მოიპოვება ზოგიერ საეჭვო ადგილებში, **თვით ნიადაგში**, საიდანაც ვრცელდება პირუტყვთა შორის სხვა და სხვა, არა გამორკვეულ, მიზეზებისა გამო.

ინკუბაციური ხანა უდრის, როგორც ეს არის ექსპერიმენტალურად დამტკიცებული, 6--24 საათს.

დასაწყისში პირუტყვს აძლევს სიცხეს, ($+0^{\circ}$ და მეტს), ეწყება გულის ძგერა, საერთო სისუსტე, კუნთების, კანკალი. ბალანი ებუძგება. სხეულის მთელი ზედაპირი ხან უცივდება, ხან უხურს. სარკე—ცივი და მშრალი აქვს. კამის მადა ეკარგება, ვერ იღებს ნაცოხარს. ფური შრება. კუჭ ნაწლევებს ეტყობა შეკრულობა და ქვალები. შემდეგ იწყება ლორწოიანი ფლარათი, ხანდახან სისხლანარევი,

ცხვირიდან გამოდის სისხლიანი ჟვინტი. სისხლი შეიძლება გამოჩნდეს, მხოლოდ ძლიერ იშვიათად, შარღშიდაც.

ამ ზოგად ნიშნების შემდეგ ავადმყოფობა მიმდინარეობს **ორ ფორმით.**

შეშუპებითა ფორმა. ავადმყოფს ძალზე უსივდება, კანქვეშა ქსოვილის ანთებითი შეშუპების გამო, თავი და კისერი — **უფრო უელი და მკერდის ქვეითი.**

სიმსივნეები შეიძლება გადავიდნენ კიდურებზედაც, სადაც ჩნდება სახსრების ანთება.

მაშინ პირუტყვს თვალებიდან მოსდის ცრემლები. ემჩნევა პირის გარსის ანთება. უკირს ყლაპვა, რის გამო ნერწყვი ჩერდება პირში და განუწყვეტლივ სდის პირიდან. ენა უსივდება იმ ზომამდე, რომ ვეღარ ეტევა პირში.

სუნთქვა უკირს, ისმის ხიხინი. ხილული გარსები დალურფებულია. პირუტყვი კვდება სუნთქვის შეწყვეტის ან ნაწლავების სასტიკი ანთების გამო. ავადმყოფობა გრძელდება 12 — 36 საათს.

გულ-მკერდის ფორმა — გამოიხატება მწვავე ფილტვების ანთებაში. პირუტყვი მოხრილია წელში, სდგას ერთ ადგილზე. ახველებს მშრალად, ცხვირიდან სდის მოწითალო, ქაფიანი ლორწო. ამასთან — სუნთქვა ჩქარი და მძიმე. ნაცოხარს ვერ იღებს. ემჩნევა მუცლის შეკრულობა, რომელიც შემდეგ გადადის სისხლიან ფაღარათში. პირუტყვი ძალზე სუსტდება და კვდება.

ავადმყოფობა გრძელდება 3—8 დღეს.

წინასწარმეტყველება ორივე შემთხვევაში ცუდია: იღუპება 85 — 95 პროცენტამდე.

ავადმყოფობა ცოტათი მოგვაგონებს ციმბირის წირს, მაგრამ აქ ლეშის გაქრის დროს უსათუოთ ვპოულობთ ძალზე გასივებულ, რბილს და გადიდებულ ელენთას.

ჰემორრაგიულ სექტიცემიის დროს კი—ელენთა ან ნორ-
მალურია ან და ადგილ-ადგილ ცოტათი შესივებული—
მეტი არაფერი. სისხლი ნორმალური ფერისაა და
იკვსება.

ამასთან საჭიროა მიემართოთ მიკროსკოპს.

გარდა ამისა, ავადმყოფობა ცოტათი მოგვაგონებს საქონ-
ლის ქირს, მაგრამ მას ნათლად ახასიათებს ცნობილი ქირის
ეროზიები და სხვა ქირის თავისებური ნიშნები.

ავადმყოფობა ჰგავს კიდევ ე. წ. ჩვენში ჭიჭინას (resp.
სიმპტომატ. კარბუნკ. ავთვისებიანი, შეშუპება ხარ-კამეჩისა),
მაგრამ აქ შეშუპებანი „ჭიჭინებენ“ ხელს დაქერის დროს,
რაც დამახასიათებელია იმ იშვიათი და არა გადამდებ ავად-
ყოფობისა.

ექიმობა ჰემორრაგიულ სექტიცემიისა უშედეგოა.

საჭიროა ავადმყოფთა იზოლიაცია და სათანადო დეზინ-
ფექცია სადგომებისა.

რადგანაც ეს ავადმყოფობა გადადის ლორებზედაც, სა-
ჭიროა ამათ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და მიღებულ იქმ-
ნას წინასწარი ზომები, — გადაყვანა მათი საგქვო ადგი-
ლებიდან.

2. კამეჩების ჰემორრაგიულ სექტიცემიებ, ანუ ბაბოზნი—

კამეჩების მწვავე ინფექციური, სიცხიანი ავადმყოფობაა,
რომლის დამახასიათებელ ნიშნათ, განსაკუთრებით, უნ-
და ჩაითვალოს შეშუპებითი სიმსივნე ხახის და ყელის მიდა-
მოებისა.

აღმძვრელია.—*Bacillus bubalosepticus*.

თვით ავადმყოფობას კი, ეძახიან—Barhon-ს, რაც ნიშნავს იტალიანურად „წვერს“, რასაც მოგვაგონებს ჩამოშვებული სიმსივნის გამო პირუტყვის ყაპო.

ავადმყოფობას აქვს ეპიზოოტიური ხასიათი და ხანდახან მუსრს ავლებს კამეჩებს და ღორებს, რომლებზედაც გადადის ეს ავადმყოფობა

ავადმყოფობის წინა პუნქტში აღწერას უნდა დავუმატოთ ის, რომ ლეშის გაქრის დროს ჩვენ ვპოულობთ კიდევ, სასუნთქი ორგანოების ანთებების და შეშუპებების გარდა, საკვების მომწელებელ აპპარატში—მაქკის ლორწოიან გარსის შეშუპებას და ანთებას (resp. სიწითლეს).

ელენთა გავსებულია სისხლით, სიდიდე-კი ნორმალურია.

ინფექციური ავადმყოფობანი, გამოწმებული Protozoa-თი.

ა. პიროპლაზმოზები, ანუ პირუტყვთა ტიფ- ცხელება.

პიროპლაზმოზები ეკუთვნიან იმ ავადმყოფობებს, რომლებიც გამოწვეულია ერთუჯრედიან ცხოველობითი მიკროორგანიზმებით, ანუ პარაზიტებით და მიმდინარეობენ მწვავე ან ხრონიკული ფორმით.

ამ მიკროორგანიზმებს ეძახიან **პიროპლაზმოზებს** („პირუმ“—ხხალია, რასაც თავის ფორმით წააგავს პარაზიტი) ან **ბაბეზიებს** (Babes.-რუმინელი მეცნიერია, რომელმაც 1888 წელს აღმოაჩინა ავადმყოფობის აღმძვრელი პარაზიტი).

პიროპლაზმოზით პირუტყვი ავად ხდება პარაზიტების შესვლით (აცრით) პირუტყვის კან-ქვეშ რომელიმე ტკიპის, ან ჯლიბის საშუალებით (resp. კბენით).

• I ხარშის, ცხენების და (ხვჩაობის მ. წ. სამხრეთის) პიროპლაზმოზი

ამ პირუტყვთა ენზოოტიური ავადმყოფობაა, რომლის მიმდინარეობის დროს, წითელი სისხლის ბურთულების ქიმიური დარღვევის შემდეგ, სისხლის შემღებავი ნივთიერება გადადის შარდში.

ავადმყოფობას იწვევს *Piroplasma bigeminum*. ავადმყოფობა ჩნდება ქაობიან და ტყეში მდებარე საძოვრებზე, სადაც ეპიზოოტიურ ხასიათს იღებს გაზაფხულ-ზაფხულში და გავრცელებულია ჩვენშიდაც.

Piroplasma bigeminum (*bigeminum*—ტყუპი)—ერთუჯრედიანი ორგანიზმია (*protozoon*), რომელიც მრავლდება არათანასწორი დაყოფით.

ავადმყოფთა სხეულში პარაზიტები მოთავსებულია სისხლის წითელ ბურთულებში. ჩვეულებრივად ეს პარაზიტები ჰგვანან ერთ წყვილ სხალს, გადაბმულს ერთმანეთზე თავის ყერვებით.

ასეთი სისხლის აცრით შეიძლება გამოვიწვიოთ ჯანმრთელ საქონლის ორგანიზმში ტიპიური პიროპლაზმოზი მეორე-მერვე დღეს.

ავადმყოფობას ჰგვრიან დედალი ტკიპები (*Rhipicephalus sanguineus*) და მათი ბარტყები, ეგრ. წ. ბოჟები და ნიმფები, ავადმყოფ პირუტყვის სისხლის წოვნით გაბერილნი.

პიროპლაზმოზის მიმართ მალალ მგრძნობიერანი არიან უმეტეს შემთხვევებში მოზრდილნი პირუტყვნი. ცხალგაზრდ-

ბი იოლად იტანენ ამ სენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარაზიტები არსებობენ სისხლში, თუმცა-კი ძლიერ მცირე რიცხვით. ს-კმაოა ასეთი ორგანიზმი გამოყვანილ იქნას ჩვეულებრივი წონასწორობიდან, რომ მაშინვე იფეთქოს ფარულ (ე. წ. ლატენტურ) მდგომარეობაში მყოფ პიროპლასმოდამ ყველა თავისი მწვავე და მძიმე შედეგებით.

პარაზიტები აზიანებენ წითელ სისხლის ბურთულებს, რომლებიც ქიმიურად ირღვევა და იშლება.

ამ დროს, ინფექციის ინტენსივობის მიხედვით, ილუპება ცოტა ან ბევრი სისხლის ბურთულები, რის გამო ავადმყოფს ემჩნევა თვალსაჩინო სისხლნაკლებობა, ჰემოგლობინი-კი იხსნება სისხლის პლასმაში.

თუ სისხლის წითელი სორსლები ბლომად არის დაზიანებული, მაშინ უმეტესი ნაწილი ჰემოგლობინისა მიჰყვება და ერთვის შარდს.

ამ დროსვე ჩნდება საერთო სიყვითლე, რაც წარმოადგენს ორგანიზმისთვის დიდ საშიშროებას

ავადმყოფთა ლეშის გაქრის დროს ჩვენ ვპოულობთ დაზიანებულ ელენთას და საკვების მომწელებელ აპპარატის ორგანოებს. ელენთა ყოველთვის ძალზე გასივებულია და გადიდებული ყველა მიმართულებებში. გაქრილი ადგილის ზედაპირი ერთგვარად იხორკლება, ს:იდანაც ადვილად იწურება სისხლი.

მაქიკის (ანუ დერიტის) ლორწოიანი გარსი შესივებულია და ემჩნევა მასზე მრავალი, წვრილ-წვრილი სისხლის თხევა. ასეთ ცვლილებებს წარმოადგენს ნაწლევების და უფრო სწორი წელის ლორწოიანი გარსი.

ღვიძლი გადიდებულია და ადგილ-ადგილ გაყვითლებული.

შარდ-ბუშტი თითქმის ყოველთვის გავსებულია სისხლიანი შარდით; გარსი სულ მოფენილია წითელ-წითელი წინწყლებით...

გარდა ამისა, სისხლი ღია ვარდის ფერისაა და თხელი.

ელენთის და ღვიძლის სისხლში უხვად მოიპოვება პარაზიტები. ყველგან სიყვითლის ნიშნებია.

ავადმყოფობის ნიშნები. ინკუბაციური ხანა უდრის 8—9 დღეს, რის შემდეგ ავადმყოფს აძლევს სიცხეს ($40-41^{\circ}$) ეტყობა ძლიერ მოქანცულობა, სუნთქავს მძიმედ და ხშირად; გული უძგერს.

იოლ შემთხვევებში ტემპერატურა ნელ-ნელა ეცემა ნორმამდე, მძიმე შემთხვევებში კი დღე და ღამ განუწყვეტლივ ერთ დონეზეა და მხოლოდ სიკვდილის წინ უცებ ეცემა 35° -მდე.

ავადმყოფობის დროს პირუტყვს მაღა ეკარგება, ნაცოხარს ველარ იღებს, ხანდახან ეტყობა თავის რეტი კუჭი შეკრული აქვს, შემდეგ—აშლილი: აფლარათებს მუქ-ყვითელ ფრად. ფური შრება—ძალით გამოწველილი რძე ყვითელი ფერისაა და მწარე გემოსი.

ავადმყოფი ბარბაცებს; კუნთებს ეტყობა კანკალი; თვალებიდან უხვად სდის ცრემლები, ბაღანს ეკარგება ჩვეულებრივი ბრწყენა. მუხლების სდრეკებში თავიდანვე სივდება ლიმფატური ჯირკვლები. ხილული ლორწოიანი გარსები თავში წითლდება, შემდეგ-კი ყვითლდება.

ვენური სისხლი ვარდის ფერია და თხელი; შრავი წითელი ფერისაა. წითელი ბურთულების რიცხვი უდრის—1 კუბ. სანტ—ში 1—2 მილიონს. მათში მოთავსებულია, უმეტეს ნაწილად, პიროპლაზმები. ჰემოგლობინის ოდენობა უდრის— $12 \frac{0}{100}$ -ს.

სენიდან იღუპება ჩვეულებრივად 5—50 %.

ავადმყოფობის მიმდინარეობაზე დიდი გავლენა აქვს არსებულ ამიდებს: დიდ სიცხეებში ან, პირიქით, დიდ სიცივეებში და სინესტეეებში საქიანელი ბლომად ნადგურდება.

ავადმყოფობის გამოცნობის დროს ჩვენ უნდა გვეკონდეს მხედველობაში; პიროპლანზმოზის გარდა, ციმბირის ქირი და დემორაგეული სექტიკემია, მით უმეტეს, რომ აქაც ავადმყოფს, სიცხის გარდა, შარდიც სისხლიანი აქვს.

მაგრამ ამ შემთხვევებში ავადმყოფობა მიმდინარეობს ძლიერ მწვავედ, ავადმყოფს არ ემჩნევა სისხლნაკლებობა; შარდში მოიპოვება სისხლის წითელი ბურთულები; სისხლში ციმბირის ქირის ბაცილებია (სიკვდილის წინ) და ბარბონის ბიპოლიარები (იშვიათად).

ღეშის გაკრის დროს საექვო შემთხვევებში ხომ მიკროსკოპი სწყვეტს საიმედოთ საკითხს...

ავადმყოფობის გაჩენის დროს საკიროა, თუ საქონელი გადის საძოვრად, გადაყვანილ იქნას სხვა საძოვრებზე; ამ შემთხვევაში საძოვარი უნდა იყოს მოთავსებული მაღალ ადგილზე. ტკიპები საქონლიდან უნდა იქნეს მოცილებული კრეოლინის, ლიზოლის ან მარილის ხსნილით, რის შემდეგ საკიროა წაეცხოს საქონელს რამე ზეთი.

ექიმობაზე დიდი იმედი არ უნდა გვეკონდეს დამყარებული, მაგრამ ზოგიერთი ავტორები ბოლოს დროს გვირჩევენ შევეშაპუნოთ ავადმყოფთ საუღლე ვენაში მეტილენბლაუ.

Rp. Methylenblau 4,0

Aq. sterylisatae 200,0

M. D. S. შევეშაპუნოს მოზრდილ საქონელს ერთბაშად საუღლე ვენაში.

2. ტროპიკული პიროპლაზმოზი.

ხარების ძლიერ საშიშარი ავადმყოფობა.

აღმძვრელს ჰქვია—*Piroplasma parvum*.

ამ ავადმყოფობამ იმსხვერპლა ტრანსვალში 1905 წ. 50.000-ზე მეტი სული საქონელი.

Piroplasma par. Protozoa-ში ყველაზედ უფრო პატარა არსია: შედარებით წითელ სისხლის ბურთულთან, რომელშიდაც მოთავსებულია პარაზიტი, 8—10-ჯერ უფრო პატარაა.

პარაზიტს აქვს ხშირად რგოლის ფორმა, მაგრამ შეიძლება მან მიიღოს ჩხირის ან ჯვრის ფორმა.

ავადმყოფობიდან კარგადმყოფზე სენის გადატანა პიროპლაზმოზიანი სისხლის ერთჯერ შესაპუნებით, რა გზითაც უნდა მოხდეს ეს, ამ შეიძლება: საჭიროა განმეორებითი აკრა 10—12 დღის შემდეგ. ეს მოვლენა—ბიოლოგიური თვისებაა ამ პარაზიტის.

ავადმყოფობის მატარებელი არის მრავალჯერ ტკიპი (*Rhipicephalus appendiculatus*).

წიშნები. ინკუბაციური ხანა უდრის—10—12 დღეს, რის შემდეგ პირუტყვს აძლევს ურყევ ხასიათის სიცხეს; ავადმყოფი სუნთქავს მძიმეთ, ახველებს. ხილული გარსები ყვითლდება. პირიდან გამოდის მინახებარი ლორწო. გტყობა მუცლის შეკრულობა, სისუსტე. შარდი ხუფთა და ნორმალური. სისხლის წითელ ბურთულებში (თითქმის ყველაში) მოთავსებულია *Piroplasma parvum*.

ავადმყოფობა ძლიერ ავთვისებიანია: იღუპება 95%.

ექიშობა არ არსებობს.

ამ სენის მსგავსი ავადმყოფობა აღმოაჩინა ამიერ-კავკასიაში ვეტერინარ ლეუსმა, ზურნაბ. დის საშრატე სადგურის გამგემ.

ეს პარაზიტი მოინათლა *Piroplasma aenulatum*-ის სახელით...

პატოლოგ-ანატომიური სურათი ზედმიწევნით მოგვეაგონებს ზევით აღწერილ სამხრეთის პარაპლაზმოზს.

ბ. ტ რ ი კ ა ნ ო ზ ო მ ო ზ ე ბ ი .

უკანასკნელ ოცდა ათი წლის განმავლობაში გამოკვლევებმა დაგვიმტკიცა, რომ ზოგიერთი გადამდები პირუტყვის (და ადამიანის) ავადმყოფობები ჩნდებიან ეთოვარი ცხოველობითი სისხლის პარაზიტების (*Trypanosoma*) მეოხებით, რომლებიც ცნობილი იყო წინედაც, მაგრამ როგორც კარგთვისებიანი არსები.

ამ პარაზიტებთა შორის აღმოჩნდნენ ავთვისებიანი გვარები, რომლებიც იწვევენ პირუტყვთა სხვა და სხვა ავადმყოფობებს—*Nagana*, *surra* და *Dourine*-ას.

Trypanosoma შედაკებით დიდი—მიკროსკოპიული, მოძრავი პარაზიტია—წითელ სისხლის ბურთულეებზე 5—10-ჯერ უფრო დიდი.

1. *Nagana* აფრიკის ავადმყოფობაა, რომლის მატარებელი არის ცნობილი ბუზი (მწერი) «ცე-ცე» (*Glossina morsitans*).

2. *Surra* — ინდოეთის ავადმყოფობაა, რომელიც გადააქვს პირუტყვზე ცხენის ერთგვარ ბუზს.

Nagan-surra-ზე აქ არ გვექნება საუბარი.

3. *Dourine*. ცხენების ათაშანგი: Подсѣдлѣ.

ამ სახელით ცნობილია ხრონიკული გადამდები კონტაგიუზი ავადმყოფობა, რომლითაც ავადდებიან ცხენები დაგრილების შემდეგ.

ეს ავადმყოფობა გამოიხატება, უწინააღეს ყოვლისა, გარეგანი სასქესო ორგანოების ადგილობრივი ანთებაში, რასაც

შემდეგში თან ერთვის სიღამბლეები პერიფერიულ ნერვების და ზურგის განგლიების დაზიანების გამო.

ათამანგი გავრცელებულია ამერიკაში, ევროპაში და, კერძოდ, რუსეთშიაც.

მის აღძვრელად ცნობილია *Grypanosoma equiperdum*.

ავადმყოფობა გადადის—ავადმყოფიდან კარგადმყოფზე დაგრძობის დროს ტრიპანოზომის საშუალებით, რომელიც მოთავსებულია შარდის გამტარებელი არხის და საშოს ლორწოვან გარსში.

ტრიპანოზომები, შესულნი სასქესო ორგანოებში, მრავლდებიან ჯერ აქ და იწვევენ ადგილობრივ ანთებას, შემდეგ გადადიან სისხლში და აქედან სხვა და სხვა სხეულის ორგანოებში. ავადმყოფობის მიმდინარეობის დროს ჩვენ ვარჩევთ ორ ხანას.

პირველ ხანის მიმდინარეობის დროს ზიანდებიან განსაკუთრებით, სასქესო ორგანოები. მაშინ 1) ვაყუბს ემჩნევა ასოს ჩუჩაზე შეშუპება, რომელიც ნელ-ნელა გადადის ასოს დანარჩენ კანზე და მიდამოებზე, რის გამოც სივდება მუცლის ქვედა ზედაპირი და სათესლეების ჩანთა. აგრეთვე სივდება ასოს თავიც. მის გარსზე, როგორც შიგნით, ისე გარეთ, ჩნდება მოწითალო—ყვითელი კვანძები, რომლებიც 14—36 საათის განმავლობაში იარდებიან და, ბოლოს, როგორც ამათი შედეგი, სამუდამოდ მათ ალაგზე რჩება თეთრ-თეთრი ლაქები.

ავადმყოფთა ეტყობათ არა ნორმალური სქესობრივი გაღიზიანება. გარდა ამისა, პირუტყვი ხშირად იკინტება შარდისთვის, მაგრამ შარდის მაგიერ გამოსდის ლორწო.

2) **ფაშატებს** (კაყებს)—უსიკდებათ სარცხვინო ჩარბები; საშოდან სდის ლორწო; თვით ლორწოვან გარსს ეტყობა ანთება, სადაც ჩნდება კვანძები და შემდეგ იარბები ასეთი კვანძები და იარბები შეიძლება გაჩნდეს საშოს ახლო-მახლო მიდამოებშიაც, როდესაც საშოდან დენა იღებს სულ სხვა ხასი-

ათს: სდის უხვად ჩირქიანი ლორწო, რომელიც იღებს მოყვი-
თალო და მომწვანო ფერს.

სიმსივნე გადადის ცურზე, მუცელზე და ბარძაყებზე.

აქაც პირუტყვს ეტყობა უთავბოლო კინტვა.

ეს ხანა ყოველთვის ასე მწვავედ არ მიმდინარეობს, შე-
იძლება ამ დროს ავადმყოფობამ ვერც-კი მიიპყროს ადამიანის
ყურადღება.

უფრო აშკარა და ნათელი ნიშნები აქვს ავადმყოფობის.

შეორე ხანას, როდესაც ზიანდებიან პერიფერიული ნე-
რვები და ზურგის განგლიები, რაც გამოიხატება სხეულის სხვა
და სხვა ადგილებზე ერთგვარ ლაქების და ბუშტულების გაჩე-
ნაში. გარდა ამისა, პირუტყვს ემჩნევა მთელი სხეულ-ს კანის
ნერვული გაღიზიანება, ე. წ. ჰერპესტეზია, რის გამოც
უბრალო კანის შეხება ხელით (უფრო-კი ზურგის გასწვრივ)
იწვევს ენერგიულ რეაქციას: ავადმყოფი ჰზნექს ზურგს და
შიძიმეთ კვნესავს. ამ გაღიზიანების გამო პირუტყვს უჭირს
სიარული და სუნთქვა.

ასეთი ლიპერესტეზია შეიძლება გადავიდეს ზოგიერთ შემ-
თხვევებში ცალკე მოძრავებელი ნერვების სიდამბლეებშიაც.
მაშინ ავადმყოფი ძლივს დაათრევს უკანა ფეხებს და დგომის
დროს ღუნავს მათ საბოროკილე სახსარში, რასაც თან ერთვის
კიდურების სახსრების სიმსივნეები.

ემჩნევა აგრეთვე ხახის ნერვების სიდამბლეებიც.

სხეულის ტემპერატურას აქვს ცვალებადი ხასიათი.

მაკე ცხენები შეორე-მესამე თვეზე აგდებენ.

ავადმყოფი ძალზე მკლევდება, მიუხედავად იმისა, რომ
მალა უკანასკნელ წუთამდე კარგი აქვს. პირუტყვი სუსტდება,
ველარ ღგება ფეხზე.

წინასწარმეტყველება აქ არ არის ისე უიმედო, რო-
გორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო: იღუპება მხოლოდ
50 % და ნაკლებიც.

დიაგნოზის დასმის დროს, ჩვენ, გარდა მოკვანილ ნიშნებისა, უნდა გვექონდეს სახეში შედეგები მიკროსკოპიული გამოკვლევისა. აქ უნდა ითქვას, რომ თვით სისხლში ძნელია ტრიპანოზომების ნახვა, მათი ოდენობის სიმცირის გამო. შედარებით ადვილათ მათი პოვნა შეიძლება საშოს ან შარდის გამტარებელ ლორწოს გამოანათხევეში.

ავადმყოფობის წინააღმდეგ შეიძლება ვიხმართ თავის შაქარი—*Acid. arsenicosum*. კან ქვეშ (0,01—0,05)—ღლეში თითო შპრიცი.

აქ საჭიროა მიექცეს ყურადღება პროფილაქტიკას: ხეჭვო პირუტყვი არ უნდა დაეშვას დახაზრილებლად.

8. ლეიშმანიოზი (კალა-აზარ, კენდილის და ზანჯის ილ-იარახი).

ძალღების და ადამიანის ხრონიკული ავადმყოფობაა.

ძალღები ამ შემთხვევაში ძალზე მკლევდებიან, კანზე უჩნდებათ იარები, ბალანი სცვივათ. შეგნითა ორგანოებიდან ყურადღებას იპყრობს უფრო ელენთა, რომელიც გასივებულია. ადამიანზე სენი გადადის ძალლიდან.

აღმძვრელი სენისა აღმოჩენილია *Leishmann*-ის მიერ 1900 წ. და წარმოადგენს ძლიერ პატარა მოგროძო ქმნას ბირთვით და ბლეთარობლასტით.

ავადმყოფობის მატარებლად ითვლება ბაღლინჯა *Cimex rottundatus*.

ლეიშმანიოზი, როგორც კალა-აზარ (შინაგანი ფორმა), ისე კენდილის ანუ ზანჯის იარა (კანის ფორმა) გავრცელებული უნდა იყოს ჩვენშიდაც (ექიმ გურკომ აღმოაჩინა თბილისში, ჩვენ ზანჯაში).

ქალა-აზარის წინასწარმეტყველება ცუდია. იარა-კი გრძელდება ერთს წელიწადს და სტუკებს, საშუალოდ ნაჯდომ ადგილზე (ხშირად ადამიანის სახეზე) სრულიად თავისებურ ნიშანს.

დ. ფილარიოზი.

ამ ავადმყოფობას ადგილი აქვს, როგორც ეტყობა, ჩვენშიდაც.

როგორც წინათ, ისე ჩვენ მიერაც 1914 წელში, ქალ. განჯაში იყო აღმოჩენილი ძაღლების სისხლში ერთგვარი, შედარებით ტრიპანოზომოსთან კიდევ უფრო დიდი, მიკროსკოპიული სისპლის კიები — *Filaria sanguinis immitis* n. s.

ასეთივე კიები არის შემჩნეული ცხენების (ციპბირში— დუდუკალოვის—ქალის მიერ) და ადამიანის (ცხელ ქვეყნებში) სისხლშიდაც.

ნ ა წ ი ლ ი II

ო რ ბ ე ნ ო თ ე
ს ვ ა დ გ ყ ო ფ ო ზ ე ნ ი,

მ ე ა ნ ო ზ ა დ ა დ ო ს ტ ა ქ რ ო ზ ა.

საკვაი: მრამელაბელ ორგანოთა ავადმყოფობანი:

ეს ავადმყოფობანი წარმოადგენენ ძლიერ ხშირ მოვლენას ჩვენ შინაურ პირუტყვთა შორის.

ამის მიზეზი არის, ერთიხ მხრით; თვით სპევები მასალა— მისი ნაკლულევენება, ზოგჯერ ლქონლობაც, უვარგისობა და მქორეს—ჟარყოფა და შეცთომები, დაშვებული დიეტეტიურ და ზოოპიგიენურ პირობებში.

იმის მიხედვით, რომ ამ ავადმყოფებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ვეტერინარიაში, საჭიროდ ვთვლით ვავეცნოთ აქ იმ წესს, რომლის საშუალებით შეიძლება ასე თუ ისე გამოცნობილ იქნას ეს სენები.

საკვების მომწოდებელ აპპარატის დაზიანების შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვავეგოთ ანამნეზიდან, ე. ი. ავადმყოფის პატრონის გამოკითხვიდან. სსე. ჩვენ შეგვიძლია მოვაგროვოთ ცნობები იმის შესახებ, აქვს პირუტყვს შადა და წყურვილი თუ არა, როგორ გადის გარეთ და შარდზე და სხვ. მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. საჭიროა ობიექტური ფართო და გულმოდგინე გასინჯვა საკვების მომწოდებელ აპპარატის ორგანოებისა და, ზოგიერთ შემთხვევებში, ფიზიკური და ქიმიური გამოკვლევანი, შარდის და განაფლისა.

თავდაპირველად ავადმყოფს უნდა ვაგესინჯოს სიცხე: მაღალი ტემპერატურა ნიშანია ავადმყოფობის სიმძიმისა და მისი მწვავე მიმდინარეობისა.

სიცხის შემდეგ ავადმყოფს უნდა ვაგესინჯოს პირის ღ.უ. ჩვენ აქ შევიძლებთ შევაზნოთ ნერწყვის'ან დორბლის დიდი გროვა, (ხანდახან სისხლნარევი,) ენის სითეთრე, ლორწო-ან

გარსის სიწითლე, ღრძილების, ენის და სხვა ნაწილების ტრავმატიული დაზიანება და კბილების ავადმყოფობა.

ბოლო შემთხვევას დიდი მნიშვნელობა აქვს: კბილების დაზიანება შეიძლება გახდეს მიზეზათ საკვების მომწელებელ ორგანოთა ფუნქციების აშკინა.

ხახის და საყლაპავი მილის თვალთ და ხელით გასინჯვის დროს, შეიძლება შევამჩნიოთ მათ სიმსივნე და სიმტკივნე.

ხახის ლორწოვანი გარსის დაზიანების გამო, ჩვენ ვამჩნევთ ყლაპვის შეუძლებლობას, სუნთქვის სიძნელეს და პირუტყვის საერთო სისუსტეს. საყლაპავი მილის ავადმყოფობის დროს, — ყლაპვის შეუძლებლობა და სუნთქვას სიძნელის გარდა, მუცლის შემობერვას.

მუცლის გასინჯვის დროს ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება მის სიდიდეს, მგრძობელობას და საერთო გაჭიმვას.

აქ საჭიროა მივმართოთ ე. წ. პერკუსიას, ან დაკაკუნებას, და, ხელით გასინჯვას, რის საშუალებით ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ მასში, თუ რით არის გამოწვეული მუცლის შემობერვა — ზედმედი საკვები თუ გაზებით.

მუცლის ღრუს მოსმენით შეიძლება დავრწმუნდეთ. არის თუ არა მოძრაობაში, ფაში და ნაწლავები. მცოხნავ პირუტყვთ მიმართ დიდ ყურადღებას აქვეყნენ ფაშის მდგომარეობას.

უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის პირიდან ღებინებას, რაც წარმოადგენს მსხვილ საქონლისთვის მძიმე და სახიფათო ნიშანს.

გარდა ამისა, საჭიროა ავადმყოფს გაესინჯოს ხელით (respi, მკლავით) სწორი წელი. აქ შეიძლება მოგროებული და შეჩერებული იქმნას დიდი ძალი მაგარი განაევლისა, რის გამოღების დროს (ხელით) შესაძლოა აღმოჩნდეს ნაწლავში, რაიმე სიმსივნე, ე. წ. ქვები და სხვ. ამ გზითვე შეიძლება გასინჯოს მწრდ-ბუშტის მდგომარეობაც.

დაბოლოს, უნდა მიექცეს ყურადღება თვალის კაკლის და

ჩარბების ფერს: ღვიძლის და თორმეტთითა ნაწლავის დაზიანების დროს ხსენებული ნაწილები იღებან ყვითელ ფერს.

აქვე უნდა ითქვას, რომ საჭიროა ფიზიკური გამოკვლევა შარდისა და მიკროსკოპიული — განაველისა, სადაც შეიძლება აღმოჩენილ იქმნას ჩანასახები (კვერცხები) სხვადასხვა ქიებისა.

სანამ გადავიდოდეთ თვით ორგანოთა ავადმყოფობებზე, საჭიროა გავეცნოთ აქ ერთ ტერმინს, რომელთანაც ჩვენ ხშირად გვექნება საქმე.

ეს არის კატარრი.

კატარრი, საზოგადოთ, სხვადასხვა ორგანოთა ლორწოიან გარსის ანთებაა, რის ნიშნათ უნდა ჩაითვალოს ამ გარსის მიერ ზედმეტი დამუშავება ლორწოსი და, კერძოთ, ჩირქისა.

დანარჩენში კატარრი მოგვაგონებს ჩვეულებრივი ანთების ნიშნებს.

კატარრს იწვევს სხვადასხვა ხასიათის გაღიზიანება, როგორათაც: გაცივება, ფიზიკური და ქიმიური გავლენანი, ინფექცია და სხვ.

პირის კატარრი.

პირის კატარრი შეიძლება გამოწვეულ იქმნას სხვადასხვა მიზეზების გამო: პირის გაკაწვრით ზოგიერთ მცენარეების მჩხვლეტავი ნაწილებით, რაიმე მკრელი ნივთით (მაგ. ლაგშირთ) და ავრეთვე პირუტყვის კბილების დაზიანების გამო.

პირის ანთების მიზეზათ შეიძლება გახდეს ცხელი საკვე-

ბრც:

გარდა ამისა ანთება შეძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ქიმიური ხასიათის გალიზიანებამ, როგორათაც; ალოკვამ სხეულის ნაწილიდან რომელიმე მწვავე წამლისა, შემთხვევით დაღვეამ საღებინფექციო მასალისა და სხვ.

ხშირად ანთების მიზეზათ ხდება უთავბოლო წამლობაც, როდესაც საქონლის პატრონი ან მომვლელი აძლევს ბოთლით წამალს ან მდულარე წყალში ან და ზოგიერთ წამლის გასახსნელად იღებს ძლიერ კოტა წყალს.

ძუძუ მწოვართა პირის კატარის იწვევს დაზიანებული (ყვავილი, თურქული) ცურიდან გამონაწერი რძე.

პირის კატარის შეიძლება გამოიწვიოს საკვებში ნარევი ზოგიერთ შხამიან მცენარეებმა, მაგ., რძიანამ, მიღვრის მღოგმვა, ცხვირის სატებელამ, შხამა-ბალახმა, ნედლ იონჯამ და სხ.

გარდა ამისა პირის ანთება შეიძლება გამოწვეულ იქმნას ზოგიერთ ინფექციურ სენების გამო, კბილების ამოჭრის და გამოცვლის დროს, საკვების მომწელებელ აპპარატის აშლის დროს, ხორხს, ხახის და ნერწყვის ჯირკვლების ანთების და სხვ.

ნიშნები: ლორწოიან გარსს ემჩნევა ზედმეტი მგრძობელობა, რის გამო პირუტყვი ჰკიდებს პირს საკვებს ფრთხილად და დეჰავს მას ზანტად.

უტყდება წყურვილი.

თვით გარსი (უფრო სასახე) ძალზე გაწითლებულია და გასივებული, ეტყობა სიმხურვალე, პირი სავსეა ერთგვარი გამწვევი ლორწოთი, რომელიც შემდეგ უხვად მოსდის პირიდან. ხანდახან ავადმყოფთ უსივდებათ ენაც.

ზოგიერთ შემთხვევაში პირში შეიძლება შევამჩნიოთ ზერელე იარები, რომლებიც, უნდა ითქვას, მალე ჰქრებიან.

პირუტყვს პირიდან სდის საძაგელი სუნით.

ხარ-კამეჩის ენა იღებს ხორკლიან სახეს.

ფრინველის ენას უკეთდება „ჭვალი“, ერთგვარი ჩანთა (типунъ, pellicula Linguae.)

ექიმობის დროს, ზენ უნდა შევეცადეთ, ავაცილოთ თავიდან პირუტყუს ამ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზები.

გამოსაკვებად აღარ უნდა მიეცეთ ხმელი, შიმშილი და ძნელად მოსანელეებელი საკვები. უნდა მიეცეს ნედლი ბალახი, რბილი თივა, წყალ-ნარვეი ქატი და პური, აგრეთვე სხვა და სხვა ძირიანი მხალი და სხვ.

თუ საღებავ კბილებს აქვს გვერდები გამწვეტებული და და გაღესილი—საქიროა წვეტები და კიდები გაქლიბულ იქმნას სავანგებო გრძელ ტარიან ქოპასანით.

გარდა ამისა, საქიროა პირის ღრუსი ხშირი გამობანა წმინდა წყლით. შეიძლება გამოიხრეცხოს პირი 0,4 % კალიმანგანით, 1 % შაბით ან ტანნინით, 2 % ბორის სიმევის ხსნილით, 1 % კრეოლინით ან და 10 % ღვინის ძმრით. —

ხახის კატარი. ხუნაგი.

ხუნაგი.—ცხენების და ღორების ხახის და ხოხის ლორწოიბნ გარსის ანთებაა.

არჩევნ ხუნაგის ორ ფორმას.

მწვავეს—გამოწვეულს მექანიკური მიზეზებით (მჩხვლეტელი მცენარეებით და სხ.) და ფიზიკური მიზეზებით (ცხელი საკვებით, რაიმე მწვავე ნივთიერებით, ცხელი ჰაერით ცეცხლის დროს, ბორას მატლებით, გაცივებით, ძალზე ცივი—გაყინული—საკვებ-სასმელით და სხ.)

ხანდახან ხუნაგი იღებს მასსიურ ხასიათს, რის მიზეზით უნდა ჩაითვალოს ინფექცია.

ხახის ანთება შეიძლება მოჰყვეს სხვა და სხვა ინფექციურ ავადმყოფობებს, როგორც გართულება.

ამ ავადმყოფობებს ეკუთვნის: ჩამომრები, ცხენების ინფლუენცა, ბარბონი, ღორის და ქათმის ქირი, ციმბირის ქირი, დიფტერია, ყვავილი და სხვ.

ხშირად მწვავე ფორმა გადადის **ხრონიკულ** ფორმაში იმ შემთხვევაში, თუ დროზე არ იქნა მიღებული ავადმყოფობის წინააღმდეგ ს. თანადა ზომები.

ნაზნები. ავადმყოფს ეკარგება მადა, ეწყება ხველა, თავი უძრავად აქვს გაქიმული, ყლაპვა უჭირს; სასა შეშუპებულია, რის გამოც მიღებული საკვები პირიდან უკან ბრუნდება, სას-მელი-კი გამოდის ცხვირიდან (*repurbitatia*).

ავადმყოფს პირიდან უხვად სდის ღორწო და ნერწყვი. ყელი უსივდება და უხეების დროს ჰგრძნობს ტკივნეულობას: ყელი უხურს

შეიძლება გასივებულ და დაჩირქებულ იქნეს ქვედა ყბის და ყელის ზევითა ჯარკვლები.

ანთება შეიძლება გადავიდეს ხორხზედაც, რის გამო პირუტყვი მძიმეთ სუნთქავს; ისმის სტვენა და ხიხინი. ხანდახან ეხუთება სული და კიდევ კვდება.

ავადმყოფობის დროს პირუტყვს აძლევს სიცხეს.

ექიმობა. ღორწოიან გარსის ანთების და ყლაპვის პროცესის აშლის გამო, საჭირია ავადმყოფს ეძლიოს მხოლოდ რბილი და თხელი საკვები: ნედლი ბალახი, წყალში გახსნილი ქათო, ღერღილი, ან ფქვილი (ღორს—წაქი, ან რძე).

დაჩირქებული სიმსივნეები უნდა გაიკრას და გამობანოს იქნას სადებინფექციო მასალით. ყელზე უნდა გაუყვდეს სათბობი კომპროსები.

ჩინჩახვის ავადმყოფობა.

ჩინჩახვი ზიანდება იმ შემთხვევებში, თრ ფრინველის მიერ გადაყლაპულ იქმნა რამე წვეტიანი ნივთი ან და ბლომად მიღებული ფურცლოვანი, რბილი ან, პირიქით, ძლიერ მაგარი და ხმელი საკვებ-საკენკი.

ამ ბოლო შემთხვევაში ჩინჩახვი ძალზე იტენება და შეიძლება გახდეს ფრინველის სიკვდილის მიზეზათ.

წაშნები. ფრინველი ჰკარგავს მადას. ეტყობა მოწყენილობა. ხშირად სკიმავეს ყელს. ყლაპვა უჭირს. შეხების დროს ჩინჩახვს ტკივლი ეტყობა.

თვით ჩინჩახვი ძალზე გატენილია, გამაგრებული და ხანდახან ჩამოშვებული.

ექიმობა. თავდაპირველად საჭიროა ჩინჩახვის განთავისუფლება საკენკისაგან; ამისათვის ფრინველი უნდა დავიჭიროთ ხელში თავქვე და ფრთხილად და ვუხილოთ ჩინჩახვი პირის შიშართულებით.

ზოგიერთს შემთხვევებში შეიძლება ფრინველს დასჯარდეს — ჩინჩახვის გამორეცხვა, ან გაჭრა, რაც ასე ხდება

ჩინჩახვის გამორეცხვა.

უნდა ავიღოთ რეზინის მილი, სიგრძით $\frac{3}{4}$ ალაბისა, რომლის ერთ-ერთ ბოლოზე წამოცობილ უნდა იქნეს ძაბრი; მეორე ბოლო-კი უნდა შეკვანილ იქმნას ფრთხილად ნისკარტიდან ჩინჩახვში.

ძაბრს კერძნ მალლა და ავსებენ 1% ბორის სიმკავის ხსნლით, — ხსნლი გადადის ჩინჩახვში.

რომოდ ნიმი წუთის შემდეგ ძაბრს უშვებენ პირქვე ძირს. ამ დროს თან. შემწე უზელს. და ჰელვლემს ჩინჩახვს.

ჩინჩახვის გაქრა.

ჩინჩახვს უნდა მოსცილდეს ბუნტყლი და წვეტიანი ღანთი გაიქრას 1 - 2 სანტიმეტრის სიგრძეზე, გამოიწმინდოს 3-ნცეტის საშუალებით, გამოირეცხოს 2⁰/₀. ბორის სიმკვების ხსნილით, ამოიკეროს და წაეცხოს იოლი.

პირველ დღეს ფრინველს უნდა მიეცეს შავ ღვინოში დამბალი პურის გული, მეორე დღეს-კი—ბლომად წყალი და რბილი საკმელი.

5—7 დღის შემდეგ ფრინველი გადადის ჩვეულებრივ საკვებზე.

პირიდან ღებინება. Vomitus.

პირიდან ღებინებას იწვევს თავის ტვინის ღებინების ცენტრის გაღიზიანება რაც შეიძლება გამოწვეულ იქმნას, თავის მხრით, სხვადასხვა მიზეზებისა გამო: ნერვული სისტემის ზოგიერთი ნაწილების აგზნების, საკვების მომწელებელ ორგანოების და ორგანიზმის სხვა ნაწილების გაღიზიანების გამო.

ასე რომ პირიდან ღებინება არის ნაწილობითი სიმპტომი სხვადასხვა ავადმყოფობისა, მაგრამ ხშირად ის არის მაჩვენებელი კუჭის და ნაწლავების დაზიანებისა.

ხშირად პირიდან ღებინების მიზეზი არის კუჭის გავსება ზედმეტი საკვებით.

გარდა ამისა მიზეზათ შეიძლება გახდეს მიღება რა-მე კუჭის ლორწოვანი გარსის გამაღიზიანებელი ან მწვავე საკვებისა და სხვ.

შესაძლოა პირიდან ღებინების მიზეზი იქნეს ნიწლავების განუვლელობა სხვადასხვა მიზეზებისა გამო.

ჩვენ შინაურ ფაუნაში ძლიერ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ცხენის პირიდან ღებინება (კუჭის ანატომიური თავი-

სებური აგებულების გამო) და თუ მას ადგილი აქვს, — ეს იქნება ნიშანი აუადმყოფის სახითათო მდგომარეობისა (ძძიმე კუჭის ანთება, კუჭის კედლების გასქდომა და სხ.)

ექიზობა. ზოკიერთ შემთხვევებში (ცხენის გარდა) პირიდან ლებინება წარმოადგენს სასურველ მოვლენას, როდესაც, მაგ., კუჭი გავსებულია ზედმეტი საკვებით და სხვ.

მაგრამ, თუ პირიდან ლებინებას აქვს ხანგრძლივი და მძლავრი ხასიათი, მაშინ საქროა მივილოთ მის წინააღმდეგ ზოკიერთი ზომები.

ავადმყოფს უნდა ვაყლაპვინოთ ყინულის ნატეხები, მუცელზედ გავუკეთოთ ცივი კომპრესები, შიგნით მივცეთ თერიაქი, გაუკეთოთ ქლორალჰიდრატის ოყნა და სხვ.

ფაშვის ზომავზედ გადაყბავით აღსება. ტიშკანიტა.

ეს მოვლენა გაოშვეულია რქოსან პირუტყვის მიერ ზედმეტი ხმელი (მშრალი) და ძძიმე საკვების მიღების გამო.

ამ შემთხვევაში პირუტყვს ძალზე ებერება მუცელი, ფაშვი ვერსძლებს საკვების გადამუშავებას, რისგამო საკვები ფ შვშივე იხრწნება: ჩნდება სხვადასხვა მომშხამელელი, გამალიზიანებული ნივთიერებები და გაზები.

თვით გაბეჩილი ფაშვი აწვება მექანიკურად გულ მკერდის ორგანოებს, რამაც, შეიძლება, გამოიწვიოს სულის შეხუთვა და პირუტყვის სიკვდილი.

ნიშნები. პირუტყვი ჭამას თავს ანებებს, სღვას უძრავად ერთ ადგილზე, ფეხები გაჩაჩხული აქვს, ზურგი აკუზული. ნაცოხარს ვერ იღებს. ეჩნევა მუცლის ქვალები ტკივილები, რის გამო პირუტყვი ხშირად იყურება მუცლისაკენ. სცემს მას რქებით, უყანა ფეხებით და კუდით. ჰყენესევს, სწუხს: დაწვება თუ არა, მაშინვე ფეხზე დგება.

მუცელს (უფრო მარცხენა მხარეს) ეტყობა შემობერვა. გავსებული იქვს და გამობერილი მარცხენა ე. წ. მშიეტი ფასო..

ფაში გამაგრებულია ან ცომის კონსისტენციისაა. დასაწყისში პირუტყვი გარეთ გადის ნორმალურად, მაგრამ შემდეგ ეტყობა შეკრულობა.

გულ-მკერდის ორგანოების წხრივაც ეტყობა პირუტყვის ზოკიერთი ცვლილებები: ავადმყოფი სუნთქავს ხშირად და მძიმეთ; ეტყობა გულის ძგერა.

ფური საქონელი თითქმის შრება.

ექიმობა. თავდაპირველად საჭიროა ავადმყოფს მოაცილონ მაგარი საკვები, შემდეგ უნდა მაგრათ დაეზილოს ზვიდან ქვეით ფაში და, საერთოთ, მუცელი ორივე ხელის მუშტების საშუალებით 5—10 წუთის განმავლობაში და 2—3 საათში ერთხელ ასეთივე მასაჟი შეიძლება გუკეთდეს ერთდროულად მეორე მხრითაც.

თუ ასეთ ექიმობას სასურველი შედეგი არ მოჰყვა, საჭიროა მივმართოთ სხვა საშუალებებს, აწითვის უნდა შეუშხაპუნოთ კანქვეში*).

Rp. Eseridini 0,2—0,3

Ac. tartarici 0,1

Aq. destill. 20,0

D. S. ერთიანად.

ან Rp. Pilocarpini 0,3—0,5

Aq. dest. 10,0

D. S. ერთიანად.

*) ავადმყოფ ხზოს უნდა მიეცეს შიგნით საფაღარათო ზეთი:

Rp. Ol. Ricini 60,0

gummi arabici 25,0

Aq. destill. 300,0

D. S. ერთიანად.

თუ, ვინიცობაა, პირუტყვს მოელის საშიშრობა სულის შეხუთებით, აუცილებლივ და დაუყონებლივ უნდა მივმართოთ ფაშვის გაზებიდან განთავისუფლებს, რისთვისაც ფაშვი უნდა გაიხვიტოს ან გაიქრას.

ეს ოპერაცია ხდება მარცხენა მშიერი ფოსოს შუა ადგილის გაქრით წვეტიანი დანის საშუალებით, ვერტიკალური მიმართულებით.

ასეთ ხელოვნურ ნაპრალიდან შეიძლება გამოღებულ იქნას (მაგ., მაშით) ზედმეტი საკვები.

ქრილობას უნდა წაეცხოს იოდი.

ხაჩ-ქამიჩის კუზ-ნაწლავების ქატარაი.

მიზეზი ამ ავადმყოფობისა არის უვარგისი, აშმორებულნი ან დამპალი სა ვები, გაცივება, გაზაფხულზე ადრია-ნი და აგრეთვე ზამთრის პირში საქონლის გადენა საძოვარზე, მსწრაფლი გადაყვანა ხმელი საკვებიდან ნედლზე, ძალზე მოქანცვა პირუტყვისა, მწვავე სიცხიანი ავადმყოფობანი და სხვ.

ნიშნები. პირუტყვს მაღა ეკარგება, ფეხები აქვს შიგნით შეწეული; ეტყობა სიზანტე; პირში ემჩნევა ზედმეტი გროვა ლორწოსი და დორბლისა.

ნაცოხარს პირუტყვი ძნელად ან სულ ვერ იღებს; აბოყინებს.

ფაშვი სავსეა ცომისებრი საკვებით. გარედ ძნელად გადის. განავალი მუქი ფერისაა, დაფარულია ლორწოთი და მყრალი სუნისაა.

მუცლის შეკრულობის შემდეგ პირუტყვს უტყდება ფაღარათი. პირუტყვი სწუხს. ემჩნევა თვალების კატარაი. შარდზე გადის ნაკლებათ და მუქის-ფრად.

აქვს სიცხე.

ექიმობა. უნდა მიექცეს ყურადღება საკვებს. უნდა მიეცეს იოლად მოსანელებელი საკვები: რბილი თივა, წყალ-ნარევი ქატო და ფქვილი:

შიგნით—საფლარათო: გლაუბერის მარილი (100,0) *Tartarus stibiatus* (10,0), აბუსალთინის ზეთი (700,0).

ფლარათის წინააღმდეგ—მუხის გამხმარი ქერქის ნახარში, ჯოჯოხეთის ქვის ხსნილი და სხვ.

გაზების წინააღმდეგ — კუჭის ზონდი ან ფაშვის გახვრეტა.

Rp. Arg. nitrici 0,5

Argillae 20,0

Aq. d. q. s ,

f. pil. t. d. № 5

S. დღეში ორ-ორი აბი ფლარათის წინააღმდეგ (ხარს, კამეჩს, ძროხას, ცხენს.)

ცხვრის და თხის ექიმობა ასეთივეა, მხოლოდ მცირე დოზებით.

ცხენის კუჭ-ნაწლავების კატარაი.

ა. კუჭის კატარაი.

ეს ავადმყოფობა წარმოადგენს ხშირ მოვლენას.

პირუტყვს ეტყობა მოწყენილობა; ეკარგება და ეცვლება შადა. საკვების მაგიერ სკამს ნეხეს, საფენს და სხვ.; ხშირად ამოქნარებს, ეტყობა პირის ტკივალი; მუცელი აქიმული აქვს, ენა თეთრი (გადაკრული); განავალი მაგარია და დაფარული ბრწყინვალე ფიფქით, — შეიცავს მოუნელებელ საკვებს.

ბ. ნაწლავების (წელეების) კატარრი.

პირველ ხანაში პირუტყვი ჩვეულებრივად იღებს საკვებს, მხოლოდ შემდეგ ეცვლება მადა. უტყდება წყურვილი (ფაღარათობის დროს). ისმის მანძილზე მუცლის გრიალი და მოჭუხჩუხე ხმები.

დროგამოშვებით, ნაწლავების პერისტალტიკა (მუშაობა) ჰქრება და მაშინ პირუტყვს ეტყობა მუცლის ჰვალეები.

პირუტყვი გადის გარეთ ხშირად, განავალი დაფარულია ლორწოთი და შეიცავს მოუნელებელ საკვებს უკანა ტანიდან გამოდის მყარლი გაზები.

რამოდენიმე დღის შემდეგ ავადმყოფს უტყდება ფაღარათი, რაც უნდა ჩაითვალოს ნაწლავების ანთების დამახასიათებელ ნიშნათ.

ამ დროს პირუტყვი შარდზე ნაკლებათ გადის.

რა პირობები იწვევს ამ ავადმყოფობას?

დამპალი და უვარგისი საკვები, ძლიერ ცივი წყალი, ზედმეტი მუშაობა, საკვების მიცემის შემდეგ დაუსვენებლივ მუშაობაში შებმა, გაცივება და სხვ.

იქ-მობ. თუ დროზე არ იქმნა მიღებული ავადმყოფობის წინააღმდეგ სათანადო ზომები, შესაძლოა, ავადმყოფობამ მიიღოს ქრონიკული ხასიათი და პირუტყვი სამუდამოთ დაუძღურდეს.

საკიროა მიექცეს ყურადღება საკვებს, რის შემდეგ პირუტყვს უნდა გაეწმინდოს კუჭი კალომელით (5—8,0), გლაუბერის მარილით (500—800,0) რომელიც უნდა გაიხსნას ცხელ წყალში და მიეცეს ნელ-თბილათ.

გაზების და მუცლის ზედმეტი შემობერვის წინააღმდეგ უნდა მიეცეს მარილის სიმეავე (*Ac. mariuticum*) 10—15,0 ნახევარ ვერო წყალზე ყოველ დღე, კამის შემდეგ (5—6 საათ.).

თუ გაზების მხრივ მოვლის პირუტყვს საშიშროება, მაშინ უნდა მიეცეს:

Rp. Tart. subsulfurosi 150,0
Pulv. Rhiz. calam. 25,0.
S. ერთ ბოთლ წყალზე.

ღორძის კუჭ-ნაწლავების კატარაი.

ავადმყოფი სწუხს, მაღა ეკარგება, უტყდება პირიდან ღებინება, ემჩნევა მუცლის ქვანობა, ფალარათი, აძლევს სიციხეს.

თუ ავადმყოფობის მიზეზია ჯვარგისი საკმელი, მაშინ პირუტყვს უნდა მიეცეს (შეეშხაპუნოს) კან ქვეშ veratrin-
ni 0,03.

ფალარათის წინააღმდეგ — უნდა გაუკეთდეს გამხმარი მუხის ქერქის ნახარშის ოყნა.

კუჭის გასაწმენდათ ხმარობენ:

Rp. Calomelanos 4,0.
Syrupi. 25,0.
S. მიეცეს ერთიანათ.

მუცლის ჭვალეაი. Colica.

მუცლის ქვანობა ნიშნავს მუცლის აუტანელ ტკივილებს, რაც გამოწვეულია სხვადასხვა შიგნითი ორგანოების (უფრო-კი კუჭ ნაწლავების) კრუნჩხვითი შეკუმშვებით.

მუცლის ქვანობა ცხენების პრაქტიკაში ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენაა, რის გამო იღუპება დაავადებულთა 12 — 15 %.

ქვანობის დროს ცხენი განუწყვეტლივ იყურება მუცლისკენ, მოუსვენრად აბაკუნებს ფეხებს, ჰფხვავს ფეხებით მი-

წას, სწუხს, უკანა ფეხებით ცდილობს შეეხოს მუცელს.

ცხენს მოძრაობა უჭირს, ეტყობა სიზანტე, ხშირად წვე-
ბა, ჰგორავს, ხან იჩოქებს, ხან ჯდება უკანა ფეხებზე (ძალ-
ლის მსგავსათ).

მიზეზი ქვალებისა — გაკივებ., საკვების ზედმეტი მიღება
და მისი უვარგობაა, კუჭ-ნაწლავების ანთება, მუცლის შე-
კრულობა, ზედმეტი გაზები, დიდი გროვა მუცლის ქიე-
ბისა და სხვ.

ექიმობა. კან-ქვეშ უნდა შეეშაპუნოს მოჭედი (0,3 —
0,5) არეკოლინი (Rp. Arecolini hydrobromici 0,5 +
Aq. dest. 2,0); შიგნით მიეცეს გვირილას ნახარში. მუცე-
ლი დაეხილოს სკიპიდარით, ქაფურის სპირტით და გაუკეთ-
დეს თბილი კომპრესები, გამოეწმინდოს ხელით სწორი წელი,
მიეცეს საფაღარათო. ამ დროს საჭიროა წელი ტარება.

Rp. Calomelanos 5,0
Pulv. Rad Alth. 100,0
Aq. dest. q. s.
f. Elect.

ან გლაუბერის მარილი 700—800,0.

თუ ქვალების მიზეზია ზედმეტი გაზები, უნდა მიეცეს ნი-
შადურის სპირტი (10,0), კარგათ გათქვეფილი 1 ბოთლ წყალ-
ში, ან-და კირის წყალი (1 : 600, გაწმენდილი ფილტროში) —
1 ლიტრი.

თუ ქვალების დროს ცხენს აქვს მაღალი სიცხე (40—
—41°), მაშინ, შესაძლოა, საქმე გვექონდეს ციში-
რას წყრთან, რაც აუცილებლად მოითხოვს ფრთხილად ექი-
მობას...

სასუთოი ორბანოების ავადმყოფობანი.

ს უ რ ლ ო.

მიზეზი სურდო ი არის პირუტყვის გაცივება, ცხელი და მტვერიანი ჰაერი, ინფექცია და სხვ.

ნიშნები. სიმშრალე ცხვირის ლორწოიან გარსებზე, პიერემია; შემდეგ შეშუპებითი სიმსივნე ლორწოიან გარსისა, ცხვირიდან დენა გამსქვირვალე ლორწოსი, რომელიც ნელ-ნელა იღებს ჩირქის მსგავს სითხის სახეს.

ექიმობა. კრეოლინის ან სკიპიდარის ინგალიაცია, გადაყვანა ცალკე შენობაში; მალლეინიზაცია.

ხორხის კატარრი.

მიზეზათ ხორხის კატარრისა, უნდა ჩაითვალოს გახურებული პირუტყვის პიერ ცივი ჰაერის შესუნთქვა, ცივი წყლის დაღევა, სხეულის გაცივება ცუდ ამინდში, განწონით გამვლელი ქარი და სხვ.

გარდა ამისა, ხორხის კატარრი შეიძლება იქმნას როგორც გართულება სხვა და სხვა ინფექციური ავადმყოფობისა.

მიმდინარეობს მწვავე და ქრონიკული ფორმით

ნიშნები. თავში, მშრალი მტკივნეული ხველა, შემდეგ — სველი. ხორხის ზედმეტი მგრძნობელობა, მსტვენავი ხიხინი, მძიმე სუნთქვა, საშუალო სიცხე.

ექიმობა. პირუტყვის დასვენება, სუფთა და ხალვათი სადგომი; ყელზე სათბობი კომპრესები; მძიმე ხველების წინააღმდეგ — კან ქვეშ მორფი პილოკარპინით.

Rp. Morphii muriat 0,5.
Pilocarpiui 0,1
Aq. destill. 10,0
M D კან ქვეშ ცხენს.

ბ რ ო ნ ხ ი ტ ი.

ბრონხიტით ავადდებიან ყველა პირუტყვები.

ბრონხიტი—ბრონხების კატარია, ხშირად გართულებული ხორხის და ცხვირის ღრუს კატარით.

მიზეზი. გაცივება, უვარგისი, შეხურებული საკვები და სხვ.

ნიშნები. მაღალი სიცხე (39,5—41,5), მშრალი და მტკივნეული ხველა, შემდეგ—სველი; ხმოვანი ხიხინი.

ექიმობა. უნდა ებოლოს კრეოლინის და სკიპიდარის ორთქლი. მშრალი ხველების წინააღმდეგ უნდა დაენიშნოს ქაფური.

ბრონხიტი ხშირად ქრონიკულ ხასიათს იღებს.

Rp Ammonii chlor. 30,0
Natr. chlorat 100,0
Pulv. rad. liquir.
„ „ Alth. აა 50,0.

M. cum aqua q. s.

S. ყოველ დღე ერთი მესამედი.

ფილტვების ანთეზა.

ფილტვების ანთებით ავადდებიან ყველა გვარის პირუტყვები.

მიზეზი. ზედმეტი მუშაობა, გაცივება და ინფექცია.

ნიშნები. მაღალი სიცხე (40,5—41,5); ჩქარი სუნთქვა, რომლის დროს ავადმყოფი ძალას ატანს ნეკნებს და ცხვირის ნესტოებს. პირუტყვი დაუსვენებლივ ფეხებზე სდგას გაჩაჩხული; ახველებს მოკლეთ; ხანდახან არც ახველებს.

ექიმობა. კარგი მოვლა და ჰიგიენური პირობები მაღალი სიცხის წინააღმდეგ—ანტიპირინი, ანტ ფებრინი, სალიცილის ნატრ ; გულის სისუსტის წინააღმდეგ—digitalis.

გვერდებზე უნდა გაუკეთდეს სათბური კომპრესები, რომელიც უნდა გამოეცვალოს ყოველ 3—4 საათში ერთხელ.

გარდა ამისა უნდა მიეღეს არაყი, წითელი ღვინო.

Rp. Antifebrini. 20,0

Pulv. rad. Alth. 30,0

Aq. com. q. s. f. pil. N 2

D. S. დილა-საღამოს თითო აბი.

Rp. Pulv. fo—Digitalis 12,0

Vini rubri 500,0

M. D. S. ერთბაშათ მაღალი სიცხის დროს.

4 უ მ ი.

ამ ტერმინით ჩვენ უნდა ვგვულისხმოდეთ, საერთოდ, პირუტყვის ძნელი, მძიმე სუნთქვა.

მიზეზი ამ სენისა შეიძლება იქნას: ფილტვების არანორმალური შემობერვა, ხრონიკული ბრონხიტი (კაპილიარული), ხორცმეტეები ფილტვებში, ხორხის, სასულის და ცხვირის ღრუების შევიწროება, გულის სარკველების ავადმყოფობა, ჩირქის ან სხვა ამგვარი სითხის გროვა ფილტვების აპკში, მეტხორცები ღვიძლში და ელენთაში.

ნიშნები. შიძვე სუნთქვა, რაკგამოიხატება: 1) გაძლიერებული, განძვინებულ სუნთქვის სიხშირეში (50 - 60 წუთში), უფრო პირუტყვის მოძრაობის დროს; თვით სუნთქვას აქვს ზერეოე ხასიათი და 2) ძალზე მკვერივი და მაგარ სუნთქვაში, საერთოთ, შესუნთქვის და ამოსუნთქვის დროს.

ამოსუნთქვის დროს პირუტყვი, ეტყობა, სუნთქავს მუცლის საშუალებით, რაზედაც ემჩნევა ე. წ. ქუშის ღვედი, ან ღარი, — მასთან ამოსუნთქვა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე შესუნთქვა

შესუნთქვის დროს პირუტყვი სცდილობს რაც შეიძლება უფრო ფართოთ გაშალოს ნესტოები. ამ დროს ნეკნები იწვევენ ზევით, ცხვირის ღრუში ისმის სტვენა და ხიხინი.

მუშაობის დროს პირუტყვს ემჩნევა მსწრაფლი და უხუი ოფლის დენა.

მიმდინარეობა ქრონიკულია, უსიცხო.

წინასწარმეტყველობა ცუდია.

ექიმობა. კარლსბადის მარილი, ნახველის ამოსაღები საშუალებანი, იოლად მოსანელებელი საკვები, digitalis, თავის შაქარი.

Rp. Acidi arsenicosi 0,5

Kalii bicarbonici 5,0

Pulv. fruct. carvi 10,0

Mf. pulv. d. t. d. № 8. S. ყოველ დღე ორ-ორი ფხვნილი ქერზე ან ღერლილზე.

გარდა ამისა, ზაფხულობით ასეთი ავადმყოფები უნდა გაიგზავნოს საბალახოზე.

III.

შარდის და სასქმისო ორგანოების ავადმყოფობანი.

შარდის ორგანოებ ს ავადმყოფობის გამოსაცნობათ საჭიროა ფიზიკური, ქიმიური და მიკროსკოპიული გამოკვლევანი შარდისა

უნდა მიექცეს ყურადღება შემდეგ გამოკვლევებს:

- ა. ს.წილიდო წონას, რაც უდრის ჩვეულებრივ - 1040 — 1050.
- ბ. რეაქციას, —რაც ხდება ლაკმუსის ქაღალდის საშუალებით: ბალახის მკამლებს აქვს მტუტი რეაქცია, დანარჩენებს შეაფე.
- გ. ცილას არსებობას, —რაც ხდება ქეზაფის (აზოტის სიმჟავის) საშუალებით: თუ შარდი, შეზავებული ამ სიმჟავით, აიძვრა და დაილეკა, ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ შარდში ცილაა (ნალეკი დუდილის შემდეგ არ უნდა გაიხსნას).
- დ. შაქრის არსებობას, —რაც ხდება Trommer-ის რეაქციით: შარდს უნდა მიემატოს კალის ტუტი და შაბიამანი—სითხე იღებს წითელ ფერს.
- ე. შემღებ ნივთიერების არსებობას (მაგ., ნალველის პიგმენტის), —რაც ხდება Gmelin-ის რეაქციით: შარდი შეზავებულ უნდა იქმნას ქეზაფით—ხსნილი იღებს სხვადასხვა ფერების ცვალებადობას (წვანეს, ყვითელს, წითელს, იისფერს და ლურჯს).
- ვ. წითელი, თეთრი ბურთულები, და სხვა და სხვა ცილინდრების ე. წ. ფორმალურ ელემენტების არსებო-

ბას, -- რაც ხდება მიკროსკოპის საშუალებით.

მაღალი საწილადა წონა ემჩნევა პირუტყვს იმ შემთხვევაში, თუ ის ავად არის რაიმე სიცხიანი ავადმყოფობით და ე. წ. შაქრიანი პაპასკირით.

დაბალი საწილადა წონა-კი ნიშანია უბრალო პაპასკირისა და ერთგვარი (ინტერსტიციალური) თირკმლების ანთებისა.

ცილა შარდში მოიპოვება იმ შემთხვევაში, თუ თირკმლები დაზიანებულია ანთებით, სიცხიან და ინფექციურ რაიმე ავადმყოფობით და სხვ.

შარდში წითელი სისლის ბურთულები იმყოფება 1) თუ პირუტყვს დაზიანებული აქვს (ტრამვატიული მიზეზი) თირკმლების არე, 2) დიდ ძალი მწვანე ქერის მიღების შემდეგ, 3) თირკმლების ანთების გამო, 4) დ. მასუსტებელი მუშაობის, შარდის ბუშტის ავადმყოფობის და მწვავე ინფექციური ავადმყოფობის შემდეგ და სხვ.

თირკმლების ანთება. Nephritis.

მიზეზი. თირკმლების ანთებით ავადდებიან ცხენები და სარკამეი.

თირკმლების ანთება გამოწვეულია თირკმლების პაპერემიით, სხეულის გაცივებით, ტრამვატიული გავლენებით, ინფექციური ავადმყოფობებით, შიგნითი ნოწამვლა-მოშხამვით ორგანიული და ლითონის ნივთიერებით და სხვ.

ნიშნები. შარდში უხვად მოიპოვება ცილა; შარდი სდის პირუტყვს ცოტ-ცოტა, ეტყობა ტკივილი.

'ხურგი (წელი) აზნექილი აქვს: ემჩნევა ტკივილი, კვალები. მოძრაობის დროს რომელიმე უკანა ფეხი ეყეცება. მაღა აშლილი აქვს, პულსი--მაგარი.

სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე — შეშუპებანი
ექიმობა. დასვენება, ოფლის მომგვრელი და საფალარა-
თო საშუალებანი, წელზე თბილი და სველი კომპრესები;
ბრომის ნარი, კინაქინის ქერქი, ტანინი.

Rp Pulv. cort. chinae 50,0

Pulv. Rad Aeth. 100,0

Aq d q. s. Electuar

DS. ცხენს ორ იჯრათ დღე და ღამის
განმავლობაში

Rp Pulv. urvae ursi 50,0

Natr. sulfur. 200,0

Pulv. rad. alth. 100,0

Aq. dest. q. s. f. Elect.

DS. ცხენს ორ იჯრათ დღე და ღამის
განმავლობაში.

ზავ-მოწითლო ზარდი.

ამ სენით ავადდებიან, ჩვეულებრივ, ცხენები, ხარ-კამეჩი,
ცხვარი და თხა.

მიზეზი ავადმყოფობის არის გაცივება და ინფექცია,
რის გამო გავის კუნთებს უჩნდება ანთება, რაც მიზეზია თა-
ვის მხრით კუნთების შემდეგ ნივთიერებების გახრწნისა და მა-
თი გადასვლა სისხლში.

ნიშნები. ცხენები ავად ხდებიან მოულოდნელად მუშაობის
დროს; თავში ემჩნევა მძიმე მოძრაობა და სიკოკლე ერთ-ერთ
ფეხზე; ოფლის დენა; ზოგიერთ მძიმე შემთხვევებში — უკანა ფეხებს
და გავას პირუტყვი ძლივს დაათრევს. მოძრაობის დროს ჰკან-
კალებს, ოფლში იწურება, ეცემა, მძიმე რსუნთქავს.

დაზიანებული კუნთები ძალზე მაგა'ი და მკვრივ-ია, კანით მათზე მხურვალე და გასივებულია; მგრძნობელობა დაკარგული აქვს.

ხანდახან ფეხებს ემჩნევა სიღამბლეც.

მაგ-ამ მთავარ ნიშნათ ითვლება მღვრიე. შავ მოწითალო ფერის შარდი.

მიმდინარეობას აქვს მძაფრი ხასიათი.

პროცენტი დაღუპვისა ამ სენიდან უდრის—10-ს.

ექ.მობა. შარდის დაკავების წინააღმდეგ შარდის გამტარებელი მილის კატეტერი, სწორი წელიდან ხელით შარდბუშტზე დაჭირება. მთელი ტანის დაზელა სკიპიდარით. კან ქვეშ არეკოლინი; იოლად მოსანელებელი საკვები: წყალ-ნარევი ქატო, ან ფქვილი, სტაფილო, კარგი ღარბილი თევზა.

Rp. Arecolini 0,06

Ad. dest. 2,0

MDS. კან ქვეშ.

შარდის დაკავება.

მიზეზი შარდის დაკავებისა, არის ხშირ დ არსებობა რაიიმე მეტხორცისა შარდის ბუშტში, ან შარდის გამტარებელ მილში, ან-და მილის მიდამოებში—რომელიმე ჯირკველში, საშვილოსნოში, საკვერცხეში

მიზეზათ შეიძლება იქნეს დაგროვება სწორ ნაწლავში მაგარი განავლისა, გადაგრება სასქესო ასოსი და სხვ.

ნიშნები. ცხენებს ეტუობა ქვალება, კინთვა; ასო გამრღინილია ჩუჩადან.

ექ.მობა. ასო'ს კატეტერიზაცია სათანადო კატეტერით (მხოლოდ ცხენს); ხარ-კამეჩს და ცხენს—სწორი წელიდან ხე-

ლის დაკირება შარდის ბუშტზე.

ნერვული მიზეზის წინააღმდეგ — მორფი, ქლორ-ჰიდრატი...

1) Rp. Morphii mus. 1,0

Aq. dest. 25,0

Ds. შეეშაპუნოს ცხენს, (ხარ-კამეჩს) კან ქვეშ, ნახევარი.

2) Rp. Chlos-hydr. 30,0

Decoct. Alth. 300,0

MDS. ოყნა ცხენს (ხარ-კამეჩს).

შარდ-ბუშტის ანთეზა.

მიზეზი. გაღიზიანება ბუშტის ლორწოსი მომშხამველი ან ინფექციური საფუძვლით; შეკავება შარდისა, ტრამვტიული გავლენანი, ე. წ. შარდის ქვები.

ნ შნებ. წვეთ-წვეთობით ხშირი და ტკივნეული გასვლა შარდზე, ხშირად ასოს გამოყოფა ჩუჩადან, კინთვა შარდისთვის, საერთო მდგომარეობა პირუტყვისა მოდუნებულია.

ექიმობა. უნდა მიეცეს სალიცილის სიმეაჟე, შარდის მომგვრელი საშუალებანი და სხვ.

Rp. Acidi saleyl. 100,0

Ds. სამ იჯრათ ცხენს (ხარ-კამეჩს) სასმელ წყალში.

Rp. Inf. flor. sambuc.

(ex 20,0—30,0) 150,0

Ammon. carbon. 5,0—10,0

MDS. ორ იჯრათ 3 საათის განმავლობაში ცხენს (ხარ-კამეჩს).

**შაკდით განკაფვა. მომავალურებელი შაკდის
დინება.**

Diabetes insipidus et mellitus.

ამ ავადმყოფობის დროს პირუტყვი უხვად გადის შარდზე...

ჩვენ გვინტერესებს უფრო უბრალო (უშაქრო) შარდის ზედმეტი დინება (Diab. insip.).

ავადმყოფობის მიზეზია—წამხდარი, უვარგისი საკვები, რის გამოც ორგანიზმი იშხამვება, რაც, სხვათა შორის, იწვევს თირკმლების ჰიპერემიას.

ნაშნები მადის აშლა, მუცლის ქვალეზა, უხვი, ფერმკრთალი, თხელ-იგამსჭვირვალე და ხშირი შარდის დინება; წყურვილი, დაღლილობა.

ექიმობა. გამოცვლა საკვებისა.

შიგნით:

Rp. Plumbi acet. 10,0

Opii pulv. 5,0.

Pulv. rad. alth. q. s. ut f. pil.

DS. მიეცეს ცხენს ერთბაშით.

პირუტყვის ცვედანობა.

მიზეზი. აღრიანი და ხშირი დაგრილება. ზედმეტი სიმსუქნე, ხანგრძლივი სიცხიანი და დამასუსტებელი სენები, ზურგის ტვინის ავადმყოფობა და სხვ.

ექიმობა. დასუსტებულ საქონელს უნდა ეძლიოს ქერი, შვრია, ძაძა; პირიქით, მსუქან პირუტყვს—ოდნავ მასაზრდოებელი საკვები; ხშირი მოძრაობა და მუშაობა. შიგნით უნდა მიეცეს ღვინო, არაყი, პილპილი, მლოგვი და სხვ.

IV.

თვალეხის ავადმყოფობანი.

ქუთუთოების ჭრილობა.

მიზეზი ქუთუთოების ჭრილობისა ხშირად არის კბენა სხვა პირუტყვის მიერ და სხვ.

ექიმობა. თავდაპირველად საჭიროა ჭრილობის 2% ბორის სიმკვების ხსნილით გაწმენდა და შეკერვა ახლად მოხარშული აბრეშუმის ძაფით, რის შემდეგ უნდა მიეფრქვიოს იოდოფორმი.

ქუთუთოს გადმობრუნება.

მიზეზი ლორწოიან გარსის შეკუმშვაა—ჭრილობის ან სხვა დაზიანების გამო.

ნიშნები. თვალის გარსის ანთება, ცრემლის დენა, იარები თვალის კაკალზე.

ექიმობა. საჭიროა ოპერაცია, რისთვისაც უნდა ამოიქრას მოღუნული მაკრატლით ქუთუთოს ზედაპირის ნაწილი. ჭრილობას უნდა მოეფრქვიოს იოდოფორმი და გაუკეთდეს ბინტი.

ქუთუთოს პირუკულმა გადაბრუნება.

მიზეზი და ნიშნები ისეთივეა, როგორც ზემო ხსენებულ მოვლენისა.

ექიმობა. საჭიროა თვალის გარსის ანთების წინააღმდეგ იქმნას მიღებული სათანადო ზომები: მობანა 2% ბორის სიმკვების ხსნილით და სხვ.

უკიდურეს შემთხვევაში, საჭიროა ოპერაცია, რისთვისაც უნდა ამოიქრას სიგრძეზე ქუთუთოს გარსიდან პატარა ნაოქი. ქრილობას უნდა მიეფრქვიოს იოდოფორმი.

თვალის გარსის კატარალური ანთება.

ეს ავადმყოფობა გამოიხატება თვალის ლორწოიან გარსის გაღიზიანებაში: მცენარის ფხით, ჩენჩით, ბეწვით, კირის ნაწილაკებით, თვალის ქიებიო (*filaria lacrimalis*) და სხვ.

მიზეზათ შეიძლება იქმნას ქუთუთოს ავადმყოფობაც.

გარდა ამისა, თვალის გარსის ანთება შეიძლება იქმნას სხვა და სხვა სიცხიან და ინფექციურ ავადმყოფობის მიმდინარეობის დროსაც.

ნიშნები. თვალის გარსის, ანუ კონიუნქტივის ჰიპერემია, რის დამახასიათებელია: სიწითლე, სიმსივნე, ცრემლის და ლორწოს დენა, შეწებვა წამწამებისა.

თუ დროზედ არ იქმნა ავადმყოფობის წინააღმდეგ ზომები მიღებული, შეიძლება ავადმყოფობამ მიიღოს ხრონიკული ხასიათი.

ექიმობა. მიზეზის მოშორება. ცივი კომპრესები, გაქუნთილი 4% ბორის სიმეავის ხსნილით ან *Zincum sulfur.* (1 : 1000), კონიუნქტივაზე წასმა ლიპისის 1% ხსნილით (რის შემდეგ მაშინვე უნდა მოებანოს გარსი მარილწყლით). კოკაინის წვეთები (2—4%).

როგორც საუკეთესო საშუალება ცნობილია შემდეგი:

Rp. Boracis 1,0

Aq. amygd. am. 2,0

Mucil. cydon. 20,0

Aq. destill. 150,0

MDS. თვალის წვეთები

თვალის კაკლის დაზიანება.

ეს პროცესი გამოიხატება მექანიკური, ქიმიური, ტერ-
მიული გავლენებში, აგრეთვე დაზიანებაში ლაკრიით ან ლარტყ-
მით და კრილობებში:

ა) თვალის დაზიანება.

ნიშნები. თვალის გაღიზიანება, ამღვრევა თვალისა (resp.
რქისებრი გარსის), ზოგჯერ თვალის დაჩირქებაც.

ექიმობა. ცივი კომპრესები, თვალის მობანა საღებუნ-
ფექციო მასალით (იხ. წინა ავადმყოფობა), ატროპინი, კო-
კაინი.

ბ) თვალის დაზიანება ჭრილობით და სხვ.

ნიშნები. ზერელეთ თვალის დაზიანება იწვევს სინათლის
შიშს და ცრემლის დენას.

თუ თვალი დაზიანებულია უღრმავესად, მაშინ შეი-
ძლება თვალი სამუდამოთ წახდეს ჩირქიან ანთების გამო.

ექიმობა. კოკაინი, ატროპინი, ცივი, საღებუნფექციო
კომპრესები; მობანა თვალისა სულემით (1 : 1000), სალიცი-
ლის სიმეფით (1 : 100), მიფრქვევა იოდოფორმისა; მიზების
მოშორება.

Rp. Hydr. chl. m.
Sacch. lact. 5,0
M. f. pulv. S. თვალის კაკალზე მისა-
ფრქვევი.

Rp. Atropini 0,1
Aq. destill 10,0
M. f. sol. S. თვალის წვეთები, რომ-
ლებიც იხმარებიან რიგ-რიგობით ეზე-
რინთან;

℞. Eserini sulfur. 0,05

Aq. destill. 10,0

MDS. თვალის წვეთები.

ატროპინ - ეზერინს ხმარობენ თვალის იარების წინააღმდეგ.

V

პირუტყვთა მანოზა.

მშობიარობა. Partus.

მშობიარობის წინ პირუტყვს ემჩნევა ზოგიერთი წინამაუწყებელი ნიშნები.

მათ ეკუთვნის: დაეიჩინება (გაუღენტა) სასქესო ორგანოებისა, გაფართოვება სასქესო ნაპრალისა, აქედან დენა ლორწოიან სითხესი, მოშვება ადგილობრივი იოგებისა, ჩავარდნა (დაშვება) გავისა და კუდის მძივებისა, დაეიჩინება ცურისა, რძის (resp. სქელი მოყვითლო სითხის) დენა.

ფაშატები (ჰაკები) რამოდენიმე დღე მშობიარობის წინ სრულიად არ წვებიან.

მშობიარობის დაწყებისას, პირუტყვს ეტყობა მოუსვენარობა, — დადიან წინ დე უკან, ხშირად წვებიან და სდგებიან, განუწყვეტლივ აქნევენ კუდს და სხვ.

ამ ნიშნების შემდეგ პირუტყვს ეწყება სამშობიარო (მუცლის) ტკივილები.

ამ დროს ფაშატები წვებიან მარჯვენა გვერდზე, ცხვრები სცილდებიან ჯოგს და ეყრდნობიან ზურგით კედელს ან სხვა საგანს, ღორები იმზადებენ სოროს... და პირუტყვს ეწყება ტკივილები. ამ დროს საშვილოსნოს პირი ფართოვდება, საიდანაც გამოდის ბუშტის მსგავსათ ნაწილი ე წ. კვერცხის გარსებისა. კიდევ ტკივილები, და ნაყოფი სტოვებს თავის ბუდეს და მიეშურება საშვილოსნოს პირისაკენ; ბუშტი სქდება და იღვრება წყალი, რის შემდეგ პირუტყვს კვლავ ეწყება ტკივილები, და ნაყოფი გამოდის საშვილოსნოდან.

ჩვეულებრივ და ნორმალურ შემთხვევებში ჯერ გამოდის წინა ფეხები და შემდეგ მოთავსებული მათზე (resp. მათ შუა) თავი.

ქიზი წყდება ან მშობიარობის დროს ან მის შემდეგ, როდესაც პირუტყვი ფეხზე სდგება.

ახლად დაბადებული დაფარულია გარედგან ერთგვარი ხაქოსებრი ნივთიერებით, რასაც დედა მიშინვე ჰლოკავს. თუ ჩველ პირუტყვს თან არ მოჰყვა მაშინვე მომყოლი (ბუდე), რამოდენიმე ხნის შემდეგ იწყება მომყოლის ტკივილები, რის გამო მშობიარე თავისუფლდება ნაყოფის გარსებიდან და მომყოლიდან.

ლორები სიამოვნებით სკამენ თავიანთ მომყოლს, მაგრამ მათ ამის საშუალება არ უნდა მიეცეთ. რადგანაც შეიძლება მის შემდეგ ლორებმა დაუწყონ ქამა გოქებსაც.

როგორც მშობიარობის წინ, ისე შემდგომ, პირუტყვის გამოკვებას და მოვლას უნდა მიექცეს გულს-მოდგინე ყურადღება.

ასეთ მოკლე წინასიტყვის შემდეგ გადავიდეთ ზოგიერთ არანორმალურ შემთხვევების განხილვაზე, რომლებსაც ხშირად აქვს ადგილი პირუტყვთა სამეანო პრაქტიკაში.

მშობიარის გადახარბებული და ძალზე სუსტი ზენტვა.

როგორც ერთი, ისე მეორე წარმოადგენენ არა სასურველ და არა ნორმალურ მოვლენას.

გადაჭარბებული ქინტვა ხელს უშლის მშობიარობას და, გარდა ამისა, შეიძლება მან გამოიწვიოს საშვილოსნოს გახლეჩაც. ასეთი ქინტვის თავიდან აცილებას დიდი მნიშვნელობა აქვს სამეანო ოპერაციის დროს, როდესაც მეანი სკლილობს ხელის საშუალებით აღმოუჩინოს მშობიარე პირუტყვს დახმარება.

ამისთვის ხმარობენ ქლოროფორმს, ქლორალ-ჰიდრატს და მორფის (კან ქვეშ).

სოფლ ს პრაქტიკაში შეიძლება, ამათ მაგიერ დავალევი-ნოთ პირუტყვს $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{3}$ ბოთლი არაყი.

ძალზე სუსტი ჰინტვის გასაძლიერებლათ შეიძლება მივ-მართოთ საშვილოსნოს პირის ხელით გაღიზიანებას.

ს ა მ ე ა ნ ო ი ა რ ა ლ ე ბ ი.

საუკეთესო სამეანო იარაღათ ითვლება—კაცის მკლავი და ხელი. ოპერაციის დროს უპირატესობა უნდა მიეცეს ყვე-ლა შემთხვევებში, სადაც ეს შესაძლებელია, მხოლოდ ხელს.

ამისთვის ხელი უნდა იქნეს გატიტვლებული მხარამდე.

ხელის შემდეგ მეანობაში დიდ როლს თამაშობს თოკი, ანუ ბაწარი. სიგრძე თოკს უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ ორი ალაბისა; ოპერაციის წინ თოკი უნდა იქმნას გაწმენდილი, და დარბილებული $\frac{5}{6}$ მღულარე კარბოლის ხსნარში გატა-რებით. თოკს უნდა გაუკეთდეს მარყუეი, რაც კეთდება ასე. თოკი იკეცება ორმაგათ, რის შემდეგ ორივე თავისუფალი ბოლოები უნდა გატარებულ იქმნან თოკის გადაკეცილ მუ-ხლში.

ასეთი მარყუეი უნდა მოეწილოს ნაყოფს, საბოლოოდ სა-ხსრის გარშემო, ძირა ყბას და სხვ.

მარყუეი შეაქვთ საშვილოსნოში ხელით (საჭიროა ხუთი-ვე თითებზე მარყუეის მაგრათ გაკეთება).

მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც მეანი დარწმუნდება მას-ში, რომ ნაყოფს თოკი საიმედოთ აქვს სათანადო ადგილზე გადაჭიმული, სტოვებს საშვილოსნოს და სჭიმავს ღონიერათ თავისკენ თოკს, თანაშემწეების დახმარებით... ე. ი. თოკი ვე-ტერინარიაში თამაშობს ისეთივე როლს, როგორც მედიცინა-ში სემეანო მაშა.

ს ა მ ე ა ნ ო ზ მ ე ლ ა .

მძიმე მშობიარობის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა; საშვილოსნოს ღრუში უნდა იქმნას შესხმული ბლომათ გადაღულებული თბილი წყალი ესმარხის აპარატის საშუალებით.

თუ საქმე გაჯანჯლდა, შეიძლება ეს საშუალება რამოდენიმეჯერ განმეორდეს.

თბილი წყლის მაგიერ (თუ საშუალება გვაქვს), შეიძლება ვიხმაროთ 1% კრეოლინის ხსნილი.

სანამ მივმართავდეთ თვით სამეანო შველას, საჭიროა მოგროვილ იქმნას ზოგიერთი ანამნესტიური ცნობა მაკეობის და მშობიარობის შესახებ, მაგ., იყო მიღებული თუ არა რაიმე ზომები ვეტერინარ-მეანის მოსვლამდე და სხვ.

მასთან საჭიროა საფენათ ნახმარ არ იქმნას აშმორებულ და ჩახურებული საკვები მასალა.

ახლო მდგომი ძროხები გადაყვანილ უნდა იქმნან სხვა შენობაში, ანდა თვით მშობიარე—სათანადო, ნათელ და ხალვათ სადგომში.

ოპერაციის წინ, მეანი იბანს მკლავს თბილი წყლით და საპნით, რის შემდეგ მან მკლავზე უნდა წაიციხოს ზეთი ან ქონი. ასეთი მომზადების შემდეგ, მკლავი შეაქვთ საშვილოსნოში (მუქს უნდა მიეცეს კონუსის ფორმა).

ხელის საშუალებით ჩვენ ვიკვლევთ ნაყოფის ასოთა მდებარეობას, რის მიხედვით ვიღებთ ამა-თუ იმ ღონის ძიებას.

ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ნაყოფის ასოთა გასწორება, უნდა იქმნას მიღებული ზომები მისთვის, რომ საშვილოსნოში იყოს ერთგვარი ხალვათობა.

ამისთვის მეანმა უნდა შეეცადოს ნაყოფი ან მისი ნაწილები უკან საშვილოსნოში და მუცლის ღრუსაკენ ხელით შესწიოს და ამის შემდეგ შეუდგეს ასოთა გასწორებას.

გარდა ამისა, ნაყოფის საშვილოსნოში საიმედოთ მიბრუნებისთვის საჭიროა მშობიარე დავაყენოთ ფეხზე. ამ შემთხვე-

ვაში ძროხები, ჩვეულებრივად, ჯიუტობენ, რის წინააღმდეგ უნდა მივმართოთ კუდის გრეხას, თავზე მაღლიდან ცივი წყლის დასხმას, ყურში ცივი წყლის შესხმას, შოლტით დარტყმას და სხვ.

ზოგიერთი პრაქტიკები ამისთვის ძალსაც აყენებენ: ყეფის შიშით პირუტყვი სდგება ფეხზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მშობიარეს უნდა გავის ქვეშ დაუდვათ ჩალის კონები, ჩარჩოდან ჩამოდებული კარი ან სხვა რამ ამდაგვარი.

აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ხელით ნაყოფის შეწევა უნდა მოხდეს მხოლოდ ქინტვათა შორის პაუზების დროს.

გასწორებას ძლიერ ხელს უწყობს საშვილოსნოში დიდძალი თბილი წყლის ჩაშვება.

ასოთა გასწორების შემდეგ, ჩვენ გულის-მოდგინეთ, ენერგიით და დაჟინებით ვცდილობთ განვათავისუფლოთ როგორც ჩვეილი პირუტყვი, ისე მშობიარე ღონიერი და დაუღალავი მკლავით, თოკით და დახელოვნებულ მოხერხებით.



VI.

ს ა შ ი ა ნ ო ა ვ ა დ მ ე ო ზ ო ბ ა ნ ი .

პირუტყვა გადმოგარუნება საშვილოსნოსი.

ეს ხშირად ეპართება ძროხას. საშვილოსნოს გადმოგარუნება შეიძლება იქმნას სრულიად დასრულებული და ნაწილობრივი. პირველ შემთხვევაში საშვილოსნო გამოვარდნილია გარეთ, რაც ხდება ხანდახან, და, ჩვეულებრივ, მშობიარობის შემდეგ.

ნაწილობრივი გადმოგარუნება-კი—შედეგია საშოს გამოვარდნისა.

საშვილოსნოს გამოვარდნას ხელს უწყობს საშვილოსნოს მაგარი გაკიშვა და მოშვება საშვილოსნოს და მთელი სხეულის იოგებისა.

ასე, საშვილოსნოს გამოვარდნის მიზეზია ტყუპის შობა, წყალ-მანკიანი ხბოს დაბადება და სხვ.

ნიშნები: საშვილოსნო გამოვარდნილია მსხალისებრი სიმსივნის ფორმით (ძროხას, ცხენს) და გრძელი ნაწლავს სახით (ღორს)-

საშვილოსნოს გამოვარდნა იწვევს სწორი წელის და შარდ-ბუშტის ადგილიდან დაძრვას, რის გამო პირუტყვს უკავდება შარდი და განავალი.

თუ დროზე არ იქმნა მიღებული ზომები, შეიძლება საშვილოსნოს გამოვარდნას მოჰყვეს საშვილოსნოს დამყაყებითი ანთება, რის შედეგი იქნება პირუტყვის სიკვდილი.

ექიმობა მდგომარეობს ან საშვილოსნოს გასწორებაში და შებრუნებაში ანდა საშოს ზემოდან საშვილოსნოს მოკვეთაში.

ზირველი ზომა აუცილებლივ უნდა იქმნას მიღებული ყველა იმ შემთხვევებში; როდესაც საშვილოსნო არ არის დაზიანებული და საქმე მისული არ არის განგრენამდე (ქსოვილის მოკვდომა).

ეს ოპერაცია უნდა იქმნას შესრულებული ფეხზე მდგომ საქონელზე (უკანა ტანს უნდა მიეცეს მაღალი მდებარეობა).

ასე, გასწორების წინ, საშვილოსნო უნდა გულმოდგინეთ გაიშინჯოს, გაუკეთდეს დეზინფექცია და განთავისუფლდეს მომყოლიდან.

მაგრამ გასწორებული საშვილოსნო ისევ ვარდება თავის ბუდიდან, თუ კიდევ არ მივიღეთ ამის წინააღმდეგ ზოგირთი ზომები.

გასწორების წინ საშვილოსნო უნდა იქმნას მობანილი სუფთა ცივი წყლით და შემდეგ შაბის ხსნილით, რომ ამით გამოვიწვიოთ მსწრაფლი შეკუმშვა ორგანოსი. მასთან : საჭიროა ხელი დავტოვოთ საშვილოსნოს ღრუში რაც შეიძლება დიდხანს.

კარგ საშუალებათ ითვლება ხელით შეტანა ღრუში ყინულის ნატეხებისა.

თუ საშვილოსნო ძლიერ დაზიანებულია და მისი ჩაწყობა ღრუში წარმოადგენს საშიშროებას ორგანიზმისთვის, საჭიროა მივმართოთ საშვილოსნოს მოკვეთას.

ოპერაცია ხდება ასე:

8—10 სანტიმ. დაცილებით სარკხვინო ნაპრალიდან, უნდა გადაეჭიროს საშვილოსნოს მაგარი ზონარი (ბატის ფრთის სისხლ) და ასეთი ლიგატურის გარეთ მოიქრას (10 სანტიმ. დაშორებით) ორგანო.

დარჩენილი ბოლო, დეზინფექციის შემდეგ, შეტანილ უნდა იქმნას მენჯის ღრუში.

მშობიარობის შემდგომ მთვარვა, ანუ ეკ- ლაჩსია.

ეს ავადმყოფობა წარმოადგენს მწვავეს, ხშირად მშობიარესთვის ს აშიშარ მოვლენა.

მთვარვა ემართება, უმეტეს ნაწილად, გაუმჯობესებულ ჯიშის ძროხებს.

ნიშნები. მშობიარე მოულოდნელად ავად ხდება მშობიარობის 2—3 დღის (ხან და ხან რამოდენიმე საათის) შემდეგ.

პირუტყვი სწუხს, ხშირად უცქერის მუცელს, ჭამსა და სმას ანებებს თავს, ჰკანკალებს: ხან და ხან ეტყობა ტვინის გაღაზიანება—ავადმყოფი ღრიალებს, ბლუვის, გყრდნობა თავით კედელს და სხვ, მაგრამ ეს ნიშნები მალე სცხრებიან: ძროხა წევს, კისერ მოღუნული, გვერდზე; ეტყობა, გონება დაკარგული აქვს. ძარღვი უცემს ხშირად, სუნთქავს ნელა და ღრმათ. ისმის ხიხინი.

ხახას ემჩნევა სიღამბლე—პირუტყვი ჰკარგავს ყლაპვის უნარს, რის გამო პირიდან უხვად სდის ნერწყვი.

კუკ-ნაწლავებს არ ეტყობა მუშაობა—ავადმყოფს ემჩნევა მუცლის შემობერვა, შეკრულობა.

ხშირად აბოყინებს, რის გამო საკვების ნაწილები ფაშვიდან, შესაძლოა, გადატანილ იქმნან სასულეში, რაც გამოიწვევს ე. წ. მექანიკურ ფილტვების ანთებას. ავადმყოფს შარდი უკავდება. მგრძნობელობა სავსებით ეკარგება.

ტემპერატურა სწორ წელში ეცემა 35°-მდე. ფეხები უცივდება. ეწყება კისრის კრუნჩხვები. ჰკვენისის, აკრაქუნებს კბილებს.

თუ დროზედ არ იქმნა სათანადო ზომები მიღებული, პირუტყვი კვდება.

მთვარვა შედეგია მშობიარობისა და ხშირად იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როდესად მშობიარობა ტარდება იო-

ლად და უვებ. გარდა ამისა შეცივებაც უმზადებს ნიადაგს ავადმყოფობას.

თვით ავადმყოფობა გამოიხატება თავის ტვინის მწვავე სისხლნაკლებობაში, და ეს მოვლენა უნდა იქმნას მიღებული, როგორც სენის მთავარი მიზეზი.

ექიმობა. უნდა მიექცეს ყურადღება ნერვულ სისტემას: საჭიროა მისი გალიზიანება, რისთვისაც უნდა დაეზილოს სხეული ჩალით და ნიშადურის სპირტით, დაედოს ზურგზე მდულარეში ამოვლებული ტილოები, შეესხას წელზე ცხელი წყალი და სხვ.

უკანასკნელ დროში ხმარობენ კარგი შედეგებით იოდის პრეპარატს, Kal. jodatum ს, რასაც უმზაპუნებენ როგორც ცურში (5—10,0), ისევე საუღლე ვენაში (2—3,0).—

Rp. Ol. crotonis 25 gutt.

Ol. tereb. 30,0

MD. მიეცეს ფრთხილად (ზონდის ან რეზინის მილის საშუალებით) საქმელზეთში.

მშობიარობის ცხელვა.

ეს ავადმყოფობა გამოიხატება საშვილოსნოს და საშოს მწვავე ანთებაში, რაც გამოწვეულია დამყაყებითი ნივთიერებათა ორგანიზმში შესვლით.

ავადმყოფობას, ჩვეულებრივ, —აქვს ადგილი მშობიარობის 3—4 დღის შემდეგ.

პირუტყვს (ხშირად ძროხას) აძლევს სიცხეს (40,5—41,0°), ეკარგება მადა, ეწყება ჭინტვა; პირუტყვი შრება, ხშირად სუნთქავს. ემჩნევა დაღლილობა და ქვალები.

გარდა ამისა, ავადმყოფს უსივდება სარცხვინო ჩარბები, საშო და საშვილოსნო; საშოზე ჩნდება იარბები.

იწყება სასქესო ორგანოებიდან დენა მყრალი, მღვრიე და მოწითალო ლორწოსი.

უკანასკნელ ხანებში ავადმყოფს ეტყობა მუცლის შემობერვა და ტკივილები.

ავადმყოფობა მიმდინარეობს 3—4 დღეს და მეტსაც...

მიზეზი ავადმყოფობისა—საშვილოსნოს, საშოს დაზიანება და იარბია, საიდანაც შედიან ორგანიზმში დამყაყებითი მიკროორგანიზმები.

ეს ხშირად ხდება ნაყოფის ან მომყოლის ღვობის გამო, ანდა ხვდება იარბებს ხსენებული მიკრობები ბინძური საგნებით საშუალებით (სამეანო იარაღები, საქონლის საწოლ-საფენი ან მეანის ხელები).

წინასწარმეტყველება ცუდია: უმეტესი ნაწილი ავადმყოფთა იხოცება; გადარჩენილი პირუტყვი სამუდამოთ საჩიხრდება.

ექიმობა. აქ ჩვენ უნდა გვქონდეს სახეში პროფილაქტიური ზომები.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საშოს და სარკვეინო ჩარბების იარების წინააღმდეგ მიღებული იქმნას დეზინფექცია.

ამისათვის უნდა იქმნას გამორეცხილი საშვილოსნო კარბოლის სიმეავის ხსნილით (Rp. Ac. carbol. 45,0, Aq. fervid. 5000,0) ესმარხის აპპარატის საშუალებით ორჯერ ღღეში. გარდა ამისა, უნდა იქმნას დაუყონებლივ განთავისუფლებული მშობიარე მომყოლიდან და მკვდარი ნაყოფიდან.—ასეთივე ზომები უნდა იქმნას მიღებული ავადმყოფობის წინააღმდეგაც.

Rp. Acidi carb. 15,0

Aq. fontan. 1500,0

DS. ძროხას (ცხენს) სამ იჯრათ ღღეში (შიგნით).

საშვილოსნოს და საშოს ანთება.

იშვიათად, მშობიარობის შემდეგ, შეიძლება მშობიარეს გაუჩნდეს საშვილოსნოს და საშოს საღი ლორწოიან გარსის უბრალო ანთება.

ნიშნები. ავადმყოფს სიცხე ნორმალური აქვს. უსივდება სარკვეინო ჩარბები და საშოს გარსი. ემჩნევა საშოდან კარგთვისებიანი ლორწოს დენა.

ექიმობა. უნდა გამოირეცხოს საშვილოსნო თბილი კარბოლის სიმეავის ხსნარით (2—3⁰/₀), ღღეში 2—3-ჯერ.

მომყოლის დარჩენა.

მომყოლი რჩება ხშირად რქოსან საქონელს და, იშვიათად, ცხენს.

ჩვეულებრივად მომყოლი სცილდება ძროხას მშობიარობის შემდეგ დაახლოვებით 6 საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვექნება მომყოლის დარჩენასთან.

ნიშნები. მომყოლის ნაწილები—საწყლგ და საშარდე გარსები—ჰკიდიან საშოზედ და ეხებიან მიწას; დანარჩენი ნაწილები კი დარჩენილია საშვილოსნოს ღრუში. პირუტყვი ხანდახან ისე მაგრა იქინტება, რომ საშვილოსნო მთლათ პირუკულმა ბრუნდება და ვარდება. ამ დროს პირუტყვი ჯერ კიდევ კარგად ჰგრძნობს თავს. თუ მომყოლი მოსცილდა ძროხას 2—3 დღის განმავლობაში, მაშინ შეიძლება კიდევ უშედევგოთ ჩაიაროს მომყოლის შეჩერებამ.

მაგრამ ხშირად მომყოლი რჩება საშვილოსნოს ღრუში 9—12 დღეს და მეტსაც. მაშინ, მომყოლის დამყაყებითი დახრწვნის გამო, ორგანიზმი ავადდება: პირუტყვს აძლევს სიცხეს (39 — 39,5°), ეკარგება მადა, მქლევდება, შრება, საშოდან სდის მყრალი და მღვრიე ლორწი (საშვილოსნოს ანთება).

ამ ნიშნებს შეიძლება თან დაერთოს ზოგიერთი გართულებანი: ჩირქგროვები საშოზე და სარცხვინო ჩარბებზე, რაც იწვევს ახლო-მახლო ქსოვილების მოკვდომას, გაშეშებას (Tetanus) და სხვა.

ექიშობა მდგომარეობს ოპერატიულ და თერაპევტიულ საშუალებებში.

აქ საჭიროა მოყვანილ იქმნას ერთი ცნობა.

საქმე იმაშია, რომ რქოსან საქონლის საშვილოსნოს ლორწოიანი (შიგნითი) გარსი მოფენილია ერთგვარი კვანძისებრი ხორკლებით (ე. წ. კურუნკულებით), რომლებზედაც მკიდროთ არის დამაგრებული და თითქმის მიზრდილი ჩანასახის (ე. ი. ხბოს, კრავის, თიკნის) მომყოლი.

თუ 24 საათის, მშობიარობიდან გასვლის შემდგომ, პირუტყვს არ მოსცილდა თავის-თავად მომყოლი, საჭიროა ის

დაუყონებლივ ხელის საშუალებით მოშორებულ იქმნას ფრ-
თ ხ ი ლ ა თ ხსენებულ კურუნკულებიდან.

თვით ოპერაცია ხდება ასე.

ოპერატორს, თბილი წყლით და საპნით ხელების დაბა-
ნის და ზედ ზეიჯუნის ზეთის წასმის შემდეგ. შეჰყავს მარჯვენა
ხელი, საშოს და მომყოლას შუა, თვით სიშოში, სადაც
თითებს საშუალებით აფართოვებს საშვილოსნოს ყელს, შე-
დის საშვილოსნოში და იქ სცდილობს ნელ-ნელა ცერით, სა-
ლოკი და შუათითით მოაშოროს კურუნკულებს მომყოლი;
ამავე დროს მარცხენა ხელით ფრთხილათ სწევს ძირს მომ-
ყოლის გამოვარდნილ ნაწილს.

როგორც ოპერაციის წინ, ისევე შემდგომ, საშვილო ს-
ნოს ღრუ უნდა გამოირეცხოს—ესმარხის აპარატის საშუალებ-
ით—მოდულდებულ წყლით (36°). მაგრამ, შეიძლება, ეს ოპე-
რაცია სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ იქმნას სისრულე-
ში მოყვანილი და მაშინ საჭიროა მივმართოთ სხვა საშუა-
ლებებს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გამოერეცხოს ავადმყოფს
საშვილოსნო სადენინფექციო მასალით, რისთვისაც ხელის სა-
შუალებით უნდა შეყვანილ იქმნას ესმარხის აპარატის რეზინის
მილი პირდაპირ საშვილოსნოში.

სადენინფექციო მასალათ ხმარობენ $1-2\frac{1}{2}\%$ კარბო-
ლის სიმეავის ხსნილს, $1\frac{1}{2}\%$ შაბის ხსნილს და 2% კრეო-
ლინს.

შიგნით უნდა მიეცეს:

Rp. Secal. Cornut. pulv. 15,0

Inf. flor. chamomill. ex gram 30,0

libr. un. ძროხას (ცხენს) ერთ იჯრათ ბოთლ
ღვინოზე.

ეს საშუალება შეიძლება განმეორდეს იმ დღესვე.

კიდევ: Rp. Summit. juniper. sabin. 15,0

Kal. carb. crud. 30,0

M. D. t. d. N III. S. 5—6 საათში თითო
ფხვნილი

Rp. Extr. sec. cornut 1,0 ,
glycer. spir. vin. aa 15,0
M. კან ქვეშ ერთბაშათ.

ქუქუს ღვრიღობის დაზავიგანი.

ამის მიზეზია ხშირად ძროხის ტლანქად მოწველა, ხბოს მიერ ცურზე კბენა, ცურის უსუფთო ოთ შენახვა და აგრეთვე რძის მანკი.

თუ ღროზედ არ იქმნა ამის წინააღმდეგ მიღებული ზომები, შეიძლება გაჩნდეს ცურის ანთება.

ექიმობა. მიზეზის მოშორება. დედიდან ხბოს ღროებით მოცალება. ძუძუს მობანა შაბის და ტანინის (მუხის ქერქის ნახარში) ხსნილით. ცინკის მალამო, კარბოლის ზეთი. ფრთხილად მოწველა.

VII

სადოქტორო ავადმყოფობანი.

ანთიმბა.

(იხ. ნაწ. I, გვ. 16) გარეგან ორგანოთა ექიმობა.

მიზეზის მოშორება. ზოგადი და ადგილობრივი საშუალებანი.

მათ ეკუთვნიან: ყინული (ან ცივი წყალი, კომპრესი), ეთერი; დაქირება, მასსაჟი (ანუ დაზილა); სკიპიდარი, მღოგვის ზეთი, ნიშადურის სპირტი, T-ra cantharidum; იოდის და ვერცხლის წყლის პრეპარატები (T-ra jodi და ვერცხლს წყლის მალამო—რქ. საქ. გარდა).

ლორწოიან გარსების ანთების წინააღმდეგ უნდა ვიხმაროთ: ტყვიის წყალი, ცინკის წყალი, 4% ბორის სიჟევის ხსნილი, 1—2% ჯოჯოხეთას ქვის (ლიაპისის) ხსნილი და სხვ.

მოკვდომა. Necrosis. Gangraena.

მიზეზები. ანთება, დაბეგვა, დაქირება, ცეცხლი, მაღალი ტემპერატურა, გაყინვა, მაგარა სიმუყეები, რომელიმე ქსოვილში, სისხლის მიმოქცევის მოსპობა.

ნაშნები. მგრძნობელობას დაკარგვა, სიმყაყის სუნი, გახმობა, შეკუმუხენა ქსოვილისა, მომკვდარ ქსოვმლის დახრწენა

ღბ ასეთ ქსოვილს გარშემო ანთება, მოცილება მომკვდარ ნაწილებისა.

ექიმობა. მიზეზის მოშორება. დეზინფექცია, მომკვდარი ნაწილების დაუყონებლივი მოკრა.

T-ra jodi, მუხის ქერქის ფხენილი, შაბი+შაბიამანი; ნაფტალინი+ტანინი.

კანქვეშა შემაერთებელი ქსოვილის ანთება (Phlegmona)

ამ ანთებას ჩვეულებრივად თან ერთვის დაჩირქება და ხშირად აქვს ადგილი გულ-მკერდზე, მუცლის ქვეშ და კიდურებზე.

მიზეზი—ინფექცია.

ნიშნები. მაგარი, ტკივნეული, მხურვალე სიმსივნე, შეშუპება ახლო მდებარე ნაწილებისა, ჯირკვლების სიმსივნე და, იშვიათად, სხეულის მაღალი ტემპერატურა.

ექიმობა. შეზღუდვა ანთებიითი პროცესისა, რისთვისაც საჭიროა გაუკეთდეს ორგანოს სველი სათბურები (ცხელი მოხარშული ქატო, სელის კაკლი და სხვ.). რის მიზანი იქნება — მომწიფება სიმსივნესი, მისი გაკრა და დეზინფექცია.

კუნთების ძარბაი.

მიზეზი. შეცივება ცულ ტაროსში. ხედნის შემდეგ მსწრაფლად გაცივება სხეულისა.

ნიშნები. პირუტყვს, უმეტესად, უზიანდებთ კიდურები ავადმყოფი ვერ ამოძრავებს თავისუფლად კიდურებს, უჭირს დიდი ხნით ფეხებზე დგომა და უკან დახევვა; ემჩნევა ტკივნე-

ლობა და სიმაგრე კუნთებისა, სიკოქლე; წელის კუნთების ქარებს დროს (ჩვენში ე. წ. წელკავი)—უძრავობა უკანა ტანისა, ტკივნელობა წელისა და სიძნელე ადგომისა.

კუნთების ქარებს (წელკავს) მიმდინარეობა აქვს მწვავე და, ვითამც, მალე პირუტყვი იკურნება, მაგრამ ხშირად ავად-მყოფობა მეორდება და იღებს ქრონიკულ, ხანდახან, მკიმე ხასიათს.

ექიმობა. მასსაეი და დაზელა კანის გამალიზიანებელი საშუალებებით: ქაპურის სპირტით, სკიპიდარით, ნიშადურის სპირტით, სათბობი კომპრესებთ; შიგნით—სალოლი, სალიცილის ნატრი; კან ქვეშ—პილოკარპინი, ვერატრინი; ტკივილების წინააღმდეგ მორფი.

თბილი სადგომი.

Rp. Pilocarpini muriat. 0,4

Aq. destill. 5,0

Mf. sol. S. კან ქვეშ ცხენს, ხარს.

Rp. Veratrini sulfurici 0,05

Aq. destill. 5,0

Mf. sol. S. ცხენს კან ქვეშ.

Rp. Morphii mur. 0,5

Aq. destill 10,0

Mf. sol, S. ცხენს კან ქვეშ.

სიმსივნეები. სორცმებები. (Tumores. Neplasmata).

აქ ამ საკითხს უნდა შევეხოთ გაკვირით, რადგანაც სიმსივნეები და მეტეორკები წარმოადგენენ მედიცინაში და ვეტერინარიაში რთულს და ძნელს ნაწილს, რის გასაგებათ საჭიროა მსმენელმა იცოდეს ნორმალური და პათოლოგიური გისტოლოგია.

მეტხორცები—სხეულის რომელიმე ნაწილას სიფართო-
ვესი და მოკუელობის არა ნორმალური გადადებაა, რაც დამო-
კიდებულია ქსოვილების უჯრედების ზომას გარეშე გამრავ-
ლე ბაზე.

ხორცმეტები, წარმომდგარი შემაერთებელ ქსოვილიდან,
ცნობილ ა, როგორც ფიბროზა, ლარწოიანი ქსოვილიდან—
მიქსომათ; ხრტილიდან—ხონდრომათ; ძვლის ქსოვილიდან—ოს-
ტეომათ; ცხიმიდან—ლიპომათ; ტენიდან—გლიომათ და სხვა.

პატოლოგიამ იცის კიდევ ხორცმეტები, ეგრ. წოდ., სარ-
კომები, კარცინომები (კიბო, ანუ კუ).

ზოგი ამათგანი სრულებით არ არიან მავნებლელნი ორ-
განიზმისთვის, ზოგი-კი ძლიერ საშიშოა, როგორათაც ბოლოს
ხსენებული სარკომა და კარცინომა.

ექიმობა მათი ხირურგიულია. მეტხორცი უნდა ამოიქრას
ან და ამოიწვას გახურებული შანთით ან და კიდევ რომელი-
მე მწვავე ტუტით ან სიმეავით.

გარდა ამ ხორცმეტებისა, შესაძლოა ჰქონდეს პირუტყვის
ჯანის სიმსივნეები, გავსებული რაიმე სითხით ან ჩირქით
(ეგრ წოდ. „ცივი სიმსივნეები“), რაც ხშირად ემჩნევათ ხარ-
კამეჩს. ასეთი სიმსივნე უნდა გაიქრას, გამოიწუროს ჩირქი
და გამოიწმინდოს 5% კარბოლის სიმეავით და ამოიწვას
Tra jodi-თ.

აბურცთაულოზა (დაწვისაგან), სიღამწმამ,

Combustio—

სხეულის ნაწილზე მალალი ტემპერატურის მოქმედების
შედეგია, რაც იყოფება 3 ხარისხათ.

1-ლ. ხარისხი გამოიხატება უბრალოა კანის სიწითლეში
და კანის ზერელე დაზიანებაში

2-რე ხარისხი — კანზე ბუშტების გაჩენაში, რაც შედეგია

ექსუდატის უცებ მოგროვებისა კანის შრეს ქვეშ და
3-მე ხარისხი—კანის და კანქვეშა ქსოვილების (კუნთის,
ძვლების) გახრწნაში—განგრენაში.

ამ შემთხვევაში დამწვარი სხეულის ნაწილი ან სავსებით
ხმება ან და იღებს სრულიად ნახშირის სახეს.

თუ სიღამწვრე ვრცლად არის მოდებული, ან ღრმად
არის გავრცელებული, მაშინ ორგანიზმს მოელის საშიშროე-
ბა. ასე, თუ სხეულის სიღამწვრე უდრის მთელ სხეულის ზე-
დაპირის $\frac{2}{3}$ -ს, მაშინ ამის შედეგი იქნება უსათუოთ ორგანი-
ზმის სიკვდილი, თუ გინდ სიღამწვრე იყოს მე-2 ხარის-
ხისა...

1-ლი და მე-2-რე ხ.არისხის სიღამწვრის ექიმობა იმყო-
ფება ტყვიის წყლის კომპრესებში და ზემოთ ბამბით მაგარი
შეხვევაში. კარგათ მოქმედებს იხთოლის მალამო და კირის
წყლიანი სელის ზეთი. თუ სიღამწვრეს თან დაერთო ჩირქი,
საჭიროა ვიხმაროთ ანტისეპტიური ექიმობა, —5% კრეოლინი
3% ლიზოლი და სხვ.

თუ სიღამწვრე მე-3 ხარისხისაა—საჭიროა დაშავებული
ნაწილი ამოიკრას და მერე მიღებულ იქმნას ზემოთ ნახსენები
საექიმო საშუალებანი.

გ ა ყ ი ნ შ ა, Congelatio —

არის დაავადებული ცვლილებანი, გამოწვეული ძლიერი
სიცივის ხანგრძლივი მოქმედებით პირუტყვის სხეულზე. ცვლი-
ლებანი ესე შეიძლება იყოს ადგილობრივი ხასიათის და ზო-
გადისა — როდესაც მთელი სხეულია გაყინული. ასეთი საერთო
გაყინვა შეიძლება გახდეს მოკლე დროს განმავლობაში სიკ-
ვდილის მიზეზათ. ამ შემთხვევაში სხეულის ტემპერატურა
უცებ ეცემა, გულის მუშაობა და სუნთქვა სუსტდება, სისხლი
სავსებით მიეშურება პერიფერიიდან შიგნითა ორგანოებისკენ, სა-

კუთრათ ტვინში, რის გამო ძალზე იესებიან ტვინის სისხლის ძარღვები, და იელენტება თვით ტვინის ნივთიერება სეროზულ სითხით. ამ შემთხვევაში საჭიროა დაუყონებლივ ავადმყოფი დაუყონებლივ გადავიყვანოთ ჯერ ისევ ცივში და შემდეგ უფრო თბილ შენობაში. ამასთან საჭიროა დაზელა გაფიჩხული სხეულების თოვლით და ყინულით. უნდა ვიყოთ ფრთხილათ, რომ არ გადავტეხოთ შემახვევით გაფიჩხული ასოები. თუ პირუტყვი ოდნავ მობრუნდა, სხეულს დაეტყობა გათბობა, გული უწყებს ნელ-ნელა ცემას... მაშინ საჭიროა ავადმყოფს აყნოსვიონ ნიშადურის სპირტი, შეუბერონ ცხვირში სული, წაუსონ ტანზე სკიპიდარი და ასვან ღვინო, არაყი, ეთერ-ვალერიანი და სხვა.

თუ გაყინულია რომელიმე ცალკე ორგანო, საჭიროა მაშინ მივიღოთ ისეთი ზომები, როგორც ცალკე ორგანოს ხილამწვრის დროს, მხოლოდ ექიმობის წინასწარ საჭიროა გაყინული ასოს ან ორგანოს თოვლით ან ყინულით დაზელა. სკიპიდარის ან სპირტის წასმა და თბილი კომპრესების გაკეთება.

ჩლიქების ავადმყოფობანი.

სანამ გადავიდოდეთ ამ ავადმყოფობაზე, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ის, თუ რას წარმოადგენს თვით ჩლიქი.

ჩლიქი—რქის ბუდეა, რომელიც უფარავს ზოგიერთ პირუტყვს თითის უკანასკნელ ასოს.

ჩვეულებრივად-კი ჩლიქს ეძახიან ჩლიქიან (ქაჩაჩოიან) პირუტყვთა ფეხ-ს უკანასკნელ მთელ ასოს.

ეს ასო უესდგება, რქის ბუდის გარდა, ჩლიქის ძვლიდან, სამაქოვე ძვლიდან, ჩლიქის ხრტილებიდან, რომლებიც მიმაგრებულია ჩლიქის ძვლის მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე.

ამ უკანასკნელ ძვალს და ხრტილებს ჰყარავს საერთო კანის გაგრძელება, რომელიც უბალნოა და რასა უჭკვიან ჩლიქი

ქის კანის ფენი (ეთანაბრება კაცის ხელის, resp. ფეხის გულს).

ჩლიქის ძვლები მკიდროთ არის დაფარული ირგვლივ ე. წ. ხორციანი კედლით, ხორციანი გვირგვინით, ხორციანი ისრით და ხორციანი ლანჩათი.

ამ ხორციან ნაწილებზე მკიდროთ არის დაკავშირებული ჩლიქის რქოვანი ფენი, რომელიც იღებს ფორმას, საზრდოს და ზრდას ჩლიქის ხორციან ნაწილებიდან.

ამის მიხედვით, ჩვენ ვარჩევთ ჩლიქის რქოვან კედელს, რქოვან ლანჩას და რქოვან ისარს (ქაჩაჩის საოლავს).

რქოვანი ისარი, სოლის მსგავსათ შედის ჩლიქის კუთხიან ძირა უკანა ნაწილში.

ისარი, თავის ძირა ზედაპირზე, გაყოფილია სიგრძეზედ კვლით—ისრის მარჯვენა და მარცხენა ღეროები, რომელნიც წინ უერთდებიან ერთმანეთს.

რქოვანი ლანჩა და რქოვანი ისარი შეადგენენ ერთ მთლიან რქოვან მასას, როელიც განუწყვეტლივ იზრდება ტყავოსან ფენიდან და რაც, თავისი გარეთი ფენებში, ნელ-ნელა, თანდათან სტყდება, სცვდება და სცილდება ჩლიქს.

რქოვან ლანჩაზე, იქ, სადაც ერთმანეთს უერთდებიან ჩლიქის ლანჩა და კედელი, რქა ყოველთვის თეთრი ფერისაა, რასაც ჰქვია ჩლიქის თეთრი ხაზი.

ჩლიქის კედელზე ჩვენ ვარჩევთ შემდეგ ნაწილებს:

შუა, და იმავე დროს, წინა ნაწილს, მომკიდებელ კედელს, გვერდითი კედლებს და საქუსლე კედელს (ქუსლს).

გვერდითი კედლებში განირჩევიან შიგნიანი და გარეთი კედლები...

ჩლიქის ზევითა ირგვლივ კიდეს ეძახიან რქოვან გვირგვინს, ძირას—დამურდნობ კიდეს.

ლანჩა უნდა იყოს ზემოთ შეხრილი და არ უნდა ეხებოდეს მიწას.

ბრტყელი ლანჩა იოლად ზიანდება ქვებიდან და სცვდება.

ისარი უნდა ებჯინებოდეს ლანჩას დამყრდნობ კიდის დონემდე.

ჩლიქის კედლები უნდა ეშვებოდენ ძირს ირიბათ, ან მრულეთ.



პირუტყვისთვის ჩლიქის მოვლას დიდი მნიშვნელობა აქვს, — ჩლიქის რქოვან ნაწილებს მუდმივ უნდა ემჩნევოდეს ერთგვარი უდრეკელობა და სიმაგრე.

ზედმეტი სისველე ძალზე არბილებს რქას, უმეტესად ჩლიქის ისარს. პირიქით, ზედმეტი სიმშრალე იწვევს მყიდობას (ადვილათ მტვრევის თვისებას).

ამისათვის ცხენს უნდა ვახმაროთ არც სველი, არც ზედმეტი მშრალი საწოლ-საფენი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წინა და უკანა ჩლიქებს **ცალ-ცალკე**, რადგანაც ეს ჩლიქები არიან **განსაკუთრებულ** მდგომარეობაში: უკანა ჩლიქები მუდამ იმყოფებიან შარდის და განავლის გამო სისველეში.

საკიროა ჩლიქები ყოველ დღე გულს-მოდგინეთ იქმნან გაწმენდილი, გაბანილი და წაამული ჩლიქის მალამოთი (ვაზელინი და სხვ.).

ჩლიქების ანთება.

ჩლიქების ხშირ ავადმყოფობას წარმოადგენს ჩლიქების ანთება, რაც გამოწვეულია სხვადასხვა მექანიკური მიზეზებით: დაბეჭვით, ლურსმნის შერკობით ჩლიქის ხორციან ნაწილში და სხვ.

ნიშნები ანთებისა, სხვათა შორის, არის ძლიერი ტკივილი და სიკოკლე, აგრეთვე ანთებითი სითხის და ჩირქის გროვა ჩლიქის ხორციან და რქოვან ნაწილების შუა.

პირუტყვის ხშირად აძლევს სიცხეს; ფეხის (ჩლიქის) სისხლის ძარღვი უცემს ხშირად.

დაზიანებულ ფეხს ემჩნევა ჩლიქის სახსარში სიმსივნე.

თუ დაზიანებულია ჩლიქის წინა ნაწილი, მაშინ პირუტყვი ეყრდნობა მიწას ჩლიქის უკანა ნაწილით, წინააღმდეგ შემთხვევაში — ჩლიქის წინა ნაწილით.

უფრო დანამდვილებით შეგვიძლია დავსვათ დიაგნოსი, თუ მივმართავთ ე. წ. ჩლიქის მაშას, ანუ უბრალო მკედლის გაზს.

ექიმობა. მოშორება მიზეზისა (შემთხვევითი ხასიათის საგნები: ლურსმანი, ცუდათ მოარგებული ნალი და სხვა.)

ცივი კომპრესები და ფეხის სადებინფექციო (5 პრ. კრეოლინის) ვანნები, დროზედ გამოშვება ჩირქისა ჩლიქის თეთრი ხაზის (სათანადო ადგილზე) გაქრით და რქის ნაწილის ამოჭრით.

გაქრის შემდეგ უნდა მაგრათ ამოიტენოს ხერელი იოდით გაჟღენთილი მარლას ტამპონით.

დილა-საღამოს (და ერთი თვის განმავლობაში) გაუკეთდეს ნელ-თბილი 5 პრ. კრეოლინის ვანნები.

საზოგადოთ, ჩლიქების ავადმყოფობის ყველა შემთხვევაში, ფეხს უნდა გაუკეთდეს თბილი ვენნები და მოსამწიფებელი კომპრესები.

თუ ჩლიქის გვირგვინი გასივებულია — უნდა გაიქრას და გაიწმინდოს სადებინფექციო ხსნარით.

ჩლიქის რქოვან ისრის დაზიანების დროს — უნდა ამოჭრილ იქმნას სათანადო მკედლის დანით დაზიანებული ნაწილები და ზედ წასმულ იოდის, კარბოლის და სხვ.

Rp. Acidi carbol. 12,0

glycerini 300,0

MDS.

ჩლიქების ძარბაზი.

ეს ემართება ცხენებს, და გამოიხატება ჩლიქის ხორციან წინა კედლის და დანარჩენ რბილ ნაწილების ზერელე ანთებაში. ზიანდებიან, ჩვეულებრივად, ან წინა ან უკანა ორივე ფეხები,

პროცესი იწყება უცებ და მოულოდნელად. აქვს მწვავე მიმდინარეობა.

ნიშნება. ტკივილები, სიკოკლე, მაღალი სიცხე (ადგილობრივი და საერთო), მოკლე ნაბიჯები, ჩლიქების დეფორმაცია (როგორც შედეგი) და სხვ

ექიმობა. სისხლის გამოშვება დაზიანებულ ფეხების ძარღვებიდან (1—2 ბოთლი), საფალარათო, პილოკარპინი კან ქვეშ.

ყინული, ცივი კომპრესები, მთელი ტანის და, განსაკუთრებით, ფეხების დახელა სკიპიდარით, ნიშადურის სპირტით.

ჩლიქების ლანჩის ძირს ჩამოწვევის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჩლიქს გაუკეთდეს ხელოვნური ლანჩა ნახერხით და ქვიშით.

Rp. Pilocarpini 0,3

Aq. dest. 6,0

MDS. კან ქვეშ.

Rp. Spirit. camph. 400,0

Ol. terebinth. 100,0

DS. ტანის და ფეხების დასაზელი.

საფინეზელი სახსრის ანთება. Шпартъ.

ეს ავადმყოფობა გამოიხატება საქენებელი სახსრის იოგე-

ბის და ძელების ანთებაში, რაც გამოწვეულია პირუტყვის ზედმეტი მუშაობით.

ნიშნები: მაგარი სიმსივნე და სიკოკლე. სიმსივნე ეტყობა სახსრის შიგნითი ზედაპირზედ.

დასვენების დროს, ცხენი დაზიანებულ ფეხს წამდაუწუმ ღუნავს: მიწას ეყრდნობა მხოლოდ ჩლიქის წინა ნაწილით.

ნაბიჯის დროს ცხენს სიკოკლე არ ეტყობა.

თოხარიკის, ჩორთით და გოგმანით სიარულის დროს-კი — ჰკოკლობს.

დასვენების (თავლიდან გამოყვანის) შემდეგ ცხენი შესამჩნევად ჰკოკლობს.

ექიმობა. სიმსივნეზე მწვავე მალაჰო, გახურებული შანთი.

Rp. Pulv. Canth

— euphorb. aa 4,0

Hydr. bichl. 2,0

Lanolini 30,0

Mf. ung. წაეცხოს ნაფოტით.

გაჯის და თიქოს სიკოკლევაში.

ეს სიკოკლეები გამოწვეულია ამ სახსრების კუნთების ტრავმატიულ ანთებით, ქარებით, ღრძობით და კუნთების გასქდომით, მათი სიღამბლით და სხვ.

ნიშნები: პირუტყვს რიგზე ვერ გააქვს წინ ფეხი, აკეთებს მოკლე ნაბიჯს, ხან ათრევს მას.

ექიმობა. T-ra iodi, ung. cantharidum.

კან ქვეშ 10 % ხსნარი საკმელი მარილისა. ელექტრონი.

საბორკილე სახსრის ღრძობა.

საბორკილე სახსრის ღრძობა ხშირად ემართება ცხენებს.

შიზეზათ ითვლება ზედმეტი მუშაობა და ტვირთი; შემთხვევითი ხასიათის გავლენანი.

ნიშნები: მოულოდნელი და ძლიერი სიკოქლე, თბილი და მტკივნეული სახსრის სიმსივნე. შესვენების დროს პირუტყვი ვერ მართავს ფეხს საბორკილე სახსარში; ეყრდნობა მიწას ჩლიქის წინა ნაწილით.

ექიმობა. აუცილებლივ დასვენება ავადმყოფისა, 3—4 დღე ცივი კომპრესები, შემდეგ — სათბური კომპრესები, ბინტი სახსარზე, მალამოთი დაზელა.

Rp. ungu. hydr. ciner.

Sapon. virid. ႁႁ 20,0

ზურგის, წელის და კისრის დაზავებანი.

არჩევნ ზერელე და ღრმა დაშავებებს.

პირველ შემთხვევაში დაზიანებულ ადგილს სცივია ბეწვი. ეტყობა ქსოვილიდან სისხლის ჟონა, რის შემდეგ მათ უკეთდება ქერქი. ქერქის ქვეშ ჩნდება იარა.

ასეთი ადგილი მტკივნეულია, მაგრამ სიმსივნე მას არ ემჩნევა.

ღრმა დაშავების დროს ჩნდება უღრეკელი, მხურვალე და მტკივნეული სიმსივნე, რაზედაც გადაკრულია გამხმარი კანი. ხშირად ასეთ სიმსივნეს აქვს შიგნით ღრმათ ჩასული არხები. ასეთი სიმსივნეები, ჩვეულებრივ, წარმოადგენენ სხვა და სხვა ჩირქის მომგვრელ მიკრობთა ბუდეს. აქედან მიკრობები იკვლევენ გზას და გადადიან ახლო-მახლო მდებარე კუნთებში, იოგებში და ძვლებში, სადაც იწვევენ ხსენებულ ქსოვილთა ნამდვილ მოკვდომას.

წინასწარმეტყველება საჭიროა გამოთქმულ იქმნას ფრთხილათ.

ექიმობა: მიზეზის მოშორება—უღელის ან ხამუტის გამოცვლა.

ახალ შემთხვევებში უნდა მიემართოთ ციკ კომპრესებს, **შემდეგ**—მასაჟს. იარების წინააღმდეგ— $3 \frac{0}{10}$ კრეოლინის ხსნარი იოლი.

ძველ შემთხვევებში, თუ კანი არ არის დაზიანებული, — სკიპიდარა, ნიშადურის სპირტი, მწვავე მალაქო (ung. hydrarg. ciner.)

თუ იარა დაჩირქულია — დაბანა თბილი წყლით და საპნით, დეზინფექცია, დაწვა ქსოვილის გახურებული შანთით.

თუ ახლო-მახლო ქსოვილებს ემჩნევა მოკედომა, ასეთი ნაწილები უნდა იქმნან ამოჭრილი. საჭიროა განწონითი გამწვევი პატრუქების გაკეთება და დეზინფექცია (ნაფტალინი, შაბიამანი და სხ.).

ჭ რ ი ლ ო ბ ე ბ ი.

ჭრილობებს შეიძლება ჰქონდეს სხვა და სხვა ხასიათი იმის მიხედვით, თუ რა მიზეზს აქვს გამოწვეული ჭრილობა.

ასე, ჩვენ ვარჩევთ გაჭრილ, განგმირულ, გაჩეხილ, დაშავებულ, დაგლეჯილ, ნაკბენ და ცეცხლის მფრქვეველ იარაღიდან გამოწვეულ ჭრილობებს.

ჭრილობები შეიძლება იქმნას იოლი, მძიმე და სასიკვდილო; იოლად და ძნელად მოსარჩენი და სხვ

ჭრილობები შეიძლება იქმნას **ახალი**, ანთებით მოცული, ჩირქიანი და ძველი.

ნიშნები: სისხლის დენა, დაზიანება ქსოვილისა, ორგანოს ფუნქციათა აშლა

ქრილობის შეზრდა. თუ ქრილობა ახალია, სუფთაა, ე. ი. თუ ქრილობას არა აქვს მოხვედრილი ჩირქის მომგვრელი მიკრობები და სხვ., მაშინ შეიძლება შეზრდა მოხდეს 24 საათის განმავლობაში.

თუ ქრილობა დაბეილია, დასვრილია ბაქტერიებით და, საერთოდ, ქუჩყით. მაშინ შეზრდის პროცესი გრძელდება და შეიძლება კიდევ გაჯანჯლდეს. ჩვეულებრივად, ქრილობას უჩნდება ჩირქი. აქ ქრილობის შეზრდას უნდა ხელის შეწყობა: საჭიროა დეზინფექცია და გაწმენდა ქსოვილის მომკვდარ ნაწილებიდან.

შეზრდა ქრილობისა შესაძლებელია **ქერქის ქვეშაც** იმ შემთხვევაში, როდეს ასეთ ფარის ქვეშ ბაქტერიები ვერ ხვდება ქრილობას.

ექიმობა. ექიმობის მიზანი უნდა იყოს ის, რომ ქრილობა არ დაჩირქდეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა იქმნას შეჩერებული სისხლის დენა, მოცილებულ იქმნას ყველა შემთხვევითი ხასიათის ნივთები, აგრეთვე დაუყონებლივ შეერთებულ იქმნან ქრილობის კიდეები.

სისხლის შესაჩერებლად ხმარობენ: ყინულს, ცივ წყალს, ცხელ წყალს ($46-50^{\circ} C$), გახურებული შანთით დაწვას, *liqu. ferri sesquichl., plumb. acet.* კრახმალით (1 : 5), შაბის ფხვნილი ან ხსნარი, *სკიპიდარო* და სხვ. (იხ. ნაწ. I გვ. 18).

საჭიროა დეზინფექცია, იოდოფორმი (სალიცილის სიმევის ფხვნილი, 10%, იოდოფორმ-ეთერი, 1 : 1000 სულემის ხსნარი, 2%, კრეოლინის ხსნარი, ბორის სიმეავე, ნაფტალინი, შაბი, სიმიდის ჩალის ნაცარი და სხვ.

ცურის ანთება. Mastitis.

ეს ავადმყოფობა გამოწვეულია ერთგვარი სტრეპტოკოკებით, რომლებიც ხვდება ცურს დაზიანებული კანის გზით.

არჩევენ ცურის 1) ზერელე ანთებას, როდესაც ცურს ემჩნევა კანის სიმსივნე, სიწითლე, ტკივილი, ბუშტულები, გავსილი მოყვითილო სითხით, — ადვილათ რჩება; 2) პარენხიმატიურ და ინტერსტიციალურ ანთებას: ავადმყოფობა ჩნდება მოულოდნელათ და ზიანდება $\frac{1}{4}$ ან $\frac{1}{2}$ ცურისა, — ემჩნევა სიმსივნე, ტკივილი, კანი ცურზე სქელდება, პირუტყვი კოკლობს, ჰკარგავს მადას; t° აღის — 10° -მდე. რძე მოდულების დროს იჭრება, შემდეგ — იკვეთება თვით ცურში.

ბოლოს, რძე შეიცავს ბლომათ მყრალი სუნის ჩირქს.

ცურის ანთებით ხშირათ ავად ხდებიან ძროხები და ცხვრები.

ექიმობა. მიზნის მოშორება. მობანა ცურისა 2% კარბოლის სიმჟავის ხსნარით.

ცურის ღრმა ფენების ანთების დროს — შეშხაპუნება სარძეო არხებში (ძუძუდან) 1% კარბოლის ან სალიცილის სიმჟავის ხსნარისა.

გაქრა ჩირქ-გროვისა. ცურის უჩირქო გამაგრების წინააღმდეგ — მასსაჟი.

პროფილაქტიკა. ცურის სუფთათ შენახა; მოწველის წინ და შემდეგ მობანა საპნით და თბილი წყლით და სუფთა ტილოთი გამშრალება; სუფთა საწოლ-საფენი. დეზინფექცია ცურისა დროგამოშვებით.

Rp. Chlorophormii

Ol. hyosciami aa 30,0

Mf. liniment.

D. S. დახელა ცურის ტკივილების დროს.

Rp. Acidi salicylici 6,0
Adip. suill. 8,0
Lanol 32,0
Mf. ungt.
D, S. დაეზილოს ცური ორჯერ დღეში.

Rp. Ol. hyosciami
Sap. virid. aa 40,0
Camph. 10,0

პირუტყვითა დაკოდა.

დაკოდას ეძახიან ქირურგიულ ოპერაციას, რომლის საშუალებით ისპობა სასქესო ჯირკვლების (სათესლეების, საკვერცხეების და სხვ.) ფუნქციები.

ამ ოპერაციას აქვს მხოლოდ ეკონომიური ხასიათი.

დაკოდა იყო მიღებული ძველადაც: ასირიელები, ეგვიპტელები, ებრაელები, რომაელები და ბერძნებიც ხშირად მიჰმართავდნენ ამ ოპერაციას.

დაკოდა დღესაც გავრცელებულია ხალხში.

პირუტყვი, დაკოდას შემდეგ, იცვლის ხასიათს, იჩენს მუშაობის გულს მოდგინე უნარს, სიწყნარეს, სუქდება მოკლე ხანში და სხვ.

ასე ჰკოდავენ ვაყებს და ბულებს, ღორებს (ნეზებს და ტახებს), ქათამს (როგორც დედალს, ისე მამალს), ცხვრებს (რის შემდეგ მატყლის ოდენობა იმატებს და მისი თვისებანი უმჯობესდებიან).

ზოგიერთ შემთხვევებში დაკოდვით ჩვენ გვაქვს მიზნით მოვაცილოთ პირუტყვის ხორცი არა სასიამოვნო სპეციფიური სუნი (თხის და ტახის ხორცი).

ბშირად საჭიროა, რომ უჯიშო მამალ საქონელს არ ჰქონდეს საშუალება შეურიოს თავისი სისხლი ოჯახში მიღებულ ჯიშში — ამისთვისაც, ჩვეულებრივ, მკამართავენ დაკოდვას.

დაკოდის დროს ჩვენ უნდა გვექონდეს სახეში პირუტყვის ხნოვანობა, აგებულობა და წლის დრო.

ასე, ვაყებს ჰკოდავენ 3—5 წლამდე. მსხვილ რქოსან საქონელს — მოზერებს (თუ გვსურს მათი დაკვლა ერთი წლამდე) უნდა დაკოდა მეორე-მესამე თვეზე. თუ მოზვერი გვინდა დავტოვოთ უღლისთვის — უნდა დაიკოდოს $1\frac{1}{3}$ —2 წლამდე. კრავებს ჰკოდავენ პირველ თვის ბოლოში. მამლებს 3—5 თვეზე.

დაკოდა ხდება უფრო გაზაფხულზე და შემოდგომაზე — გრილ ამიდში.

დაკოდის წინ პირუტყვი უნდა იქმნას წაქცეული თოკის საშუალებით მარცხენა მხარეზე; უკანა მარჯვენა ფეხი უნდა მოკიშოს და დაემაგროს დანარჩენ ფეხებიდან ცალკე, გვერდზე.

ამის შემდეგ საჭიროა მოხდეს სათანადო ადგილის (სათესლეების პარკის, ჩუჩასი და სხვა) თბილი წყლით და საპნით მობანა, დეზინფექცია სპირტით და სულემის $\frac{1}{100}$ ხსნარით. საქენებელი სახსრები უნდა იქმნან შეხვეული სუფთა პირის სახოცებით.

იარაღები (დანა, არტახები და სხვ.) უნდა იქმნას მოხარული 5% სოდის ხსნარით.

დაკოდის სხვა და სხვა მეთოდები*)

1. დაბეგვა სათესლეების ძარღვებისა (რაზედაც ჰკიდია სათესლეები) ცილინდრიული ჯოხების და ჩაქუჩის საშუალებით ფეხზე მდგომ საქონელზე.

*) ჩვენ აქ განვიხილავთ ისეთ მეთოდებს, რომლების შესრულება სოფლის მეურნის პრაქტიკაში შესაძლოა.

2. უბრალო გადაჭრა წერილ ფეხა და ახალ-გაზრდა (გოკების, კრავების) საქონლის სათესლეების ძარღვებისა.

ოპერაცია ხდება ასე. პარკის გაკრის და სათესლეების გამოღების შემდეგ, უნდა გადაჭრილ იქმნას სათესლეების ძარღვები უკნიდან წინ. ძარღვების ნარჩენი უნდა იქმნას ზემოთ აკიმული.

3. სათესლეების ძარღვების გადაწვას ადგილი აქვს ჰასაკში შესულ პირუტყვთა შორის.

აქაც საჭიროა წინასწარ პარკის გაკრა, რის შემდეგ უნდა იქმნას მოკერილი ძარღვებზე საგანგებო ხის ან რკინის გაზი. ტარი გაზისა უნდა გადაეცეს თანაშემწეს, რომელიც იკერს მას, მიბჯენილს მუცელზე.

ამის შემდეგ ოპერატორი თეთრამდე გახურებულ შანთით სცდილობს გადასწვას ძარღვები, გაზიდან $1\frac{1}{2}$ სანტიმეტრის დაცილებით. ოპერაციის დროს ბაყვები უნდა დაფარულ იქმნას სველი ტილოთი, რომ შანთმა არ დააზიანოს კანი.

დაწვა უნდა გრძელდებოდეს, სანამ კრილობას არ გაუკეთდება მაგარი ქერქი.

4. სათესლეების ძარღვების ლიგატურით გადაჭირება.

ამისათვის უნდა გაიკრას სათესლეების პარკი და გამოღებულ იქმნას სათესლეები, რის შემდეგ 2 სანტიმეტრის დაცილებით უნდა მოჭრილ იქმნან სათესლეები. (წინასწარ-კი ძარღვებს უნდა გადაეკიროს ზონარო). ოპერაციის შემდეგ საჭიროა კრილობას მიეფრქვას იოდოფორმი ან დაესხას იოდოფორმ-ეთერი.

5. არტახების საშუალებით დაკოდა.

ეს ითვლება საუკეთესო მეთოდათ, მაგრამ მის შესასრულებლათ საჭიროა სათანადო და საგანგებო იარაღები.

ნაწილის დაკრძალვა—Ovariectomy.

ქრილობა, რომლის საშუალებით უნდა იყოს მოშორებული მუცლის ღრუდან საკვერცხეები, უნდა მოხდეს ხერხემლის ახლოს, რამოდენიმე სანტიმეტრის დაშორებით გარეთი ფენიდან, ზევიდან ძირს და წინა მიმართულებით. ქრილობას უნდა ჰქონდეს სიგრძე 3—4 სანტ., თუ პირუტყვი ახალგაზრდაა ($1\frac{1}{2}$ —2 თვის) და 8—10 სანტ., თუ სუბიექტი ჰასაკში შესულია (2—3 წლის).

პირველ შემთხვევაში ოპერატორს უხდება მუშაობა ორი თითით, უკანასკნელში—მთელი ხელით.

ოპერაციისათვის საჭიროა სკალპელი, პინცეტი, მსხვილი აბრეშუმის ძაფი და ნემსი, წინასწარ მოხარშული, და იოდის ტინკტურა.

ხსენებულ ადგილის გაკრეკის და იოდით წასმის შემდეგ, ოპერატორი სკრის კანს და კუნთებს, რის შემდეგ სკდილობს პინცეტით წაავლოს ხელი მუცლის აპკს, რასაც სკრის ერთი სანტიმეტრის სიგრძეზე.

საკვერცხეების მოსანახავად საჭიროა მარჯვენა ხელის სალოკი თითით მუშაობა.

საკვერცხეები მოთავსებულია ხერხემლის და ნაწლავების შუა, თირკმლების უკან, რომლებიც ოდენობა არ აღემატება ლობიოს მარცვალს (2 თვის გოქს).

უფრო ადვილათ მოსაძებნი იქნება საკვერცხეები, თუ მუცლის ღრუდან ამოვიღებთ ეგრ. წოდ. საშვილოსნოს რქებს, რასაც ამოჰყვება საკვერცხეები (ამ მეთოდს მიჰმართავენ მხოლოდ გოქების პრაქტიკაში).

ასე თუ ისე ნაპოვნი საკვერცხეები უნდა იქმნან ცალცალკე ფრთხილად და აუჩქარებლივ დაგრებილი და მოწყვეტილი (საშვილოსნოს რქები-კი ჩალაგებული თავის ადგილზე).

ოპერაცია თავდება კრილობის შეკერვით და იოდის წასმით. ნემს და ძაფს არ უნდა მოჰყვეს ნაწლავები.

მამლის დაკოდა.

მამლის (resp. ყვიჩილის) დაკოდას ოჯახში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ასეთი ყვერული კარკად მსუქდება 1—2 თვის განმავლობაში და, გარდა ამისა, იოლად ეჩვევა წიწილების მოვლას.

ოპერაცია კეთდება ასე.

უნდა მოსცილდეს ბუნტული მუცელს, წაეცხოს მას იოდი, გაიკრას მკრელი დანით ტყავი, მუცლის კუნთები და აკი, რის შემდეგ სალოკი და შუა თითის საშუალებით მონახულ იქმნან სათესლეები (მოთავსებულია თირკმლების უკან და ხერხემალთან).

აქ სათესლეები ცალ-ცალკე უნდა იქმნან წყნარად და ნელათ დაგრეხილი და მოშორებული.

კრილობა უნდა იქნას შეკერილი მოხარული უბრალო ნემსითა და ძაფით.

როგორც მამლის, ისე ნეზვის დაკოდის წინ აუცილებელივს საჭიროა ასეთი ოპერაცია გატარებულ იქმნას სავარჯიშოთ დაკლულ პირუტყვზე.

ს ა რ ჩ ე ზ ი.

ნაწილი პირველი.

წინასიტყვაობა	3
შესავალი	5
გადამდები და არაგადამდები ავადმყოფობანი	11
ცხოველთა ნორმალური ტემპერატურა	12
პულსის ცემა წუთში	12
სუნთქვა წუთში	13
სიმაკე	13
რიგი	13
მშობიარობის შემდეგ რიგი	13
სისხლი	14
ანთება	16
სისხლის დენა	
ინვაზიური ავადმყოფობანი	
ბრტყელი ქიები	
ღორის ბუშტ-ქია	
ცხერის რეტი	
ენინოკოკი	
ღვიძლის პეპელა	
ტრიხინოზი	
ბორას რეტი	33
რგვალი ქიები	35
ქათმის თხიპა	37
ეკზემა	38
მკრიქაფი მუნნი	39

მუნი	41
ფხანა	42
ტკიპები	46
ციმბირის ქირი	46
ქოთაო	
ცოფი	
თურქული	
ქლექი	
აქტინომიკოზი	83
გაშეშება	85
საქონლის ქირი	87
ცხენების ჩამომრები	92
ყვავილი	97
ეპიზოოტიური პნემონია	102
ინფლუენცა	105
სეპტიცემია-პიემია	107
ცხენების პარტახტიანი ავადმყოფობა	108
ძაღლის ქირი	109
ხბოების ინფექციური მოგდება	110
ძუძუმწოვართა ფალარათობა	111
ქათმის ხოლერა	113
ქათმის ქირი	116
ფრინველთა დიფტერია	117
„ ყვავილი	120
„ ტუბერკულოზი	121
„ სპირილოზი	123
ინდაურების მალარია	124
ლორის ქირი	125
„ წითელი	129
ბარბონი	136--139
პიროპლაზმოზები	140
სამხრეთის პიროპლაზმოზი	141

ტროპიკული პიროპლაზმოზი	146
ტრიპანოზომოზები	146
ლეიშმანიოზი	149
ფილარიოზი	150

მეორე ნაწილი.

საკვების მომნ. ორგანოთა ავადმყოფობანი	153
პირის კატარრი	155
ხუნაგი	157
ჩინჩახვის ავადმყოფობა	159
„ გაქრა	160
პირიდან ღებინება	160
ფაშვის შემობერვა	161
ხარის ნაწლავების კატარრი	163
ცხენის „ „	164
ლორების „ „	166
მუცლის კვალები „	166
სურდო	168
ხორხის კატარრი	168
ბრონხიტი	169
ფილტვების ანთება	169
ქუში	170
თირკმლების ანთება	173
შავ-მოწითლო შარდი	174
შარდის დაკავება	175
შარდ-ბუშტის ანთება	176
შარდით განკაფვა. მომაუძღოურებელი შარდის ღენა	177
პირუტყვის ცვედანობა	177
თვალების ავადმყოფობანი	178
თვალის გარსის კატარალური ანთება	178

მშობიარობა	182
სუსტი კინტვები	183
სამეანო იარაღები	184
სამეანო შევლა	185
მომყოლის დარჩენა	192
მშობიარობის ცხელემა	191
მშობიარობის შემდეგ მთვარვა, ანუ ეკლამასია.	189
სამეანო იარაღები	184
სამეანო ავადმყოფობანი	187
პირუტყვთა მეანობა	182
გაყინვა	200
აბურცებულობა.	199
სიმსივნეები	198
ფლეგმონა	197
კუნთების ქარები	197
ჩლიქების ავადმყოფობანი	201
„ ანთება	203
„ ქარები	205
საქენებელი სახსრის ანთება.	—
ბექის სიკოქლე.	206
საბორკილე სახსრის ღრძობა	207
ზურგის დაშავებანი	—
კრილობები	208
ცურის ანთება	210
პირუტყვთა დაკოდა	211
მამლის დაკოდა.	215
შეცდომები	216



შ ე ც დ მ ე ბ ი.

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
7	16 ზემოდან	მთავრობების	მთავრობები
"	17 "	შესწავლილას	შესწავლას
11	2 ზემოდან	მიზეზის	მიზეზის,
81	8 ქვემოდან	მოემართოთ	მიემართოთ
83	10 ქვემოდან	ავადყოფი	ავადყოფი
"	4 "	ადგილობრივ...	მაგარი
			ადგილობრივი მაგარ
85	7 ზემოდ	იმოკრა	ამოკრა
88	4 ქვემოდ	დასავლეთ	აღმოსავლეთ
96	4 ზემოდ	დაეზილოს	დაიზილოს
"	9 ქვემოდ	შევატყოფთ	შევატყობთ
100	6 ზემოდ	1000,0	100,0
103	4 ქვემოდ	ბალინი	ბალანი
107	6 ზემოდ	ჰიემია	პიემია
"	8 ქვემოდ	ავადყოფობა	ავადყოფობათა
"	12 ქვემოდ	სიმჟავე	სიმჟავე
111	2 ზემოდ	სამშვილოსნოს	საშვილოსნოს
"	3 ქვემოდ	gaiumrab	gummi arab.
121	12 ,,	ლიაპისის	ლიაპისის
"	11 "	ლიაპისით	ლიაპისის
123	2 ,,	ლიმლამეობით	ლამლამეობით
137	6 ქვემოდ	კუნთების,	კუნთების
138	15 ზემოდ	დალურჯეფულია	დალურჯეფუ-
			ლია

139	10	ზემოდ	კარბუნკ. ავთვისებიანი	
			კარბუნკ., ავთვისებიანი	
"	12	ზემოდ	იმ	ამ
139	7	ქვეიოდ	სუპტიცემიზ	სეპტიცემია
140	3	ქვემოდ	პიროპლაზმოზებს	პიროპლაზმებს
144	3	ზემოდ	დემორაგიული	ჰემორაგიული
"	4	ზემოდ	შარდიც	ხანდახან შარდიც
"	11	ქვემოდ	შემთივევაშა	შემთხვევაში
"	8	ქვემოდ	რამე	რაიმე
146	1	ზემოდ	annulatin	annulatum
147	5	ზემოდ	gryp. equip.	Tryp. equip.
148	13	ქვემოდ	მოდრავებელი	მამოდრავებელი
150	6	ქვემოდ	ტრ. პანოზომოსთან	ტრიპანოზომასთან
"	5	ქვემოდ	სისპლის	სისხლის
153	13	ქვემოდ	სსე	ასე
153	2	ქვემოდ	შევიძლებთ.	შეგვიძლოა
154	14	ზემოდ	ყლარდლება	ყურადლება
"	13	ქვემოდ	შეიძლეია	შეიძლება
"	12	"	ნაწლავები.	ნაწლავები
"	10	"	ყურადლება	ყურადლება
"	5	"	განაეალისა	განავლისა
155	2	ზემოდ	ილებან	ილებენ
156	8	"	ამ მდულარე	მდულ-რე
"	10	"	პარის	პირის
"	14	"	მლოგმეა	მლოგემა
"	14	ქვემოდ	ხორხს	ხორხის
"	14	ქვემოდ	ანთების	ანთების გამო
159	2	ზემოდ	თრ	თუ
"	14	ქვემოდ	და ვუზილოთ	დავუზილოთ
160	10	ქვემოდ	მაჩვენებელს	მაჩვენებელი

161	2	"	ჰვენესეც	ჰვენესის
162	11	"	tertarici	tartarici
165	5	"	mariuticum	muriatricum
169	11	ქვემოლ	ქაფური	ნიშადური
170	9	ზემოლ	digitalis	digitalis
"	12	ქვემოლ	fo—	fol.
171	13	ზემოლ	პირუტყც	პირუტყცც
171	10	ქვემოლ	digitalis	digitalis
173	12	ზემოლ	ტრამვატიული	ტრამვატიული
"	8	ქვემოლ	"	"
174	6	ზემოლ	Acth.	Alth.
175	16	"	Ad.	Aq.
"	9	ქვემოლ	რაიიმე	რაიიმე
"	4	"	კინთვა	კინტვა
176	4	ზემოლ	mus.	mur.
176	8	ზემოლ	chlos.	chlor.
177	12	ზემოლ	ლორწოსი	ლორწოიან გარსის
"	16	ზემოლ	კინთვა	კინტვა
"	8	ქვემოლ	salcyl.	salicyl.

